

საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პრაგმატიკული

ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში

მარიამ ფარეშიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის (PHD)
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა : სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების
ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჯაში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

მარიამ ფარეშიშვილი 2013 წლის 28 თებერვალი

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნეში მომხდარი ძირეული ცვლილებები გარკვეულად განპირობებული იყო მედიასაშუალებების როლის და გავლენის ზრდით. დღეს პრესა, ტელევიზია და ინტერნეტი თანამედროვე სამყაროს განუყოფელი ნაწილია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე. შესაბამისად, ჩვენი კვლევა, რომელიც იხილავს საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნის თავისებურებებს ფრანგულიდან ქართულ ენაზე და, პირიქით, საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ ტრადუქტოლოგიის თვალსაზრისით, არამედ საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების და ზოგადად, პოლიტიკური მასალის თარგმნის პრაგმატიკის, დიდაქტიკისა და ტერმინოლოგიის კუთხით. ნაშრომში დეტალურადაა განხილული საგაზეთო სტატიების თარგმნის სტრატეგია, რომელიც მთარგმნელებს დაეხმარება თარგმნის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

გაზეთი წარმოადგენს ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, რომელიც გათვლილია ფართო და ამასთან, არაერთგვაროვან აუდიტორიაზე, ამიტომ, საჭიროა ინფორმაციის სწორად ორგანიზება. თავის მხრივ, საგაზეთო სტატიების მთარგმნელებმა ამოსავალი ტექსტის ინფორმაციული შინაარსი უნდა გაითვალისწინონ და შესაბამისი მთარგმნელობითი სტრატეგია აირჩიონ.

სათაურის როლი პრესაში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტექსტის გაგება გარკვეულად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახდენს სათაური ტექსტის პრეჟენტაციას. სათაური სტატიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, იგი პირველ რიგში იქცევს მკითხველის ყურადღებას. სათაური ტექსტსა და მკითხველს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს. ცალკე აღებული სათაური მთლიანად ანაცვლებს

ტექსტს პრაგმატიკული თვალსაზრისით. სათაური წარმოადგენს იმ ელემენტს, რომელიც პირველი იპყრობს რეცეპტორის ყურადღებას.

მთარგმნელისათვის აუცილებელია საგაზეთო სტილის, კერძოდ კი, საგაზეთო-პოლიტიკური სტატიების და მათი სათაურების თარგმნისათვის აუცილებელი ნიუანსების საფუძვლიანი და სიღრმისეული ცოდნა. სათაური დისკურსის სპეციფიკური ტიპია. მისი თარგმნა მთარგმნელის მხრიდან მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანია სათარგმნი თემის სოციო-პოლიტიკური, სოციო-კულტურული რეალობისა და კონტექსტის გათვალისწინება, რათა მკითხველმა ადეკვატურად აღიქვას ინფორმაცია. სათაურების თარგმნა, მხოლოდ მისი შემადგენელი ლექსიკური ერთეულების სხვა ენაზე გადატანას არ გულისხმობს. მთარგმნელს მის განსახორციელებლად გარკვეული უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს.

საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებით შეკუმშული, საქმიანი და მშრალია საინფორმაციო ხასიათის სტატიები და შეტყობინებები. მსგავსი შეტყობინებების თარგმნისას, სიზუსტე ძირითადად წინადადების სინტაქსური გარდაქმნების, სტრუქტურული ცვლილებებისა და ლექსიკურ-კონტექსტუალური ეკვივალენტების გამოყენებით მიიღწევა, რადგან ეს ცვლილებები გამოწვეულია სათარგმნი ენის ნორმებისა და საგაზეთო სტილის ნორმების დაცვის აუცილებლობით.

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, გამოგვევლინა ის თავისებურებები და სირთულებები, რომელიც ახასიათებს ფრანგული და ქართული საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნას, პრაგმატიკული ასპექტებისა და ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების გადმოცემას. ჩვენ ასევე შევეცადეთ გვეჩვენებინა, რაოდენ მნიშვნელოვანია ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური ტრანსფორმაციების განხორციელება ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პროცესში, წარმოგვეჩინა ახალი მიდგომები და სიახლეები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენს ამ საკითხზე მომუშავე ადამიანებს. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა იმ მთარგმნელებისა და ჟურნალისტებისათვის საჭირო თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს შეიცავს, რომლებიც პოლიტიკურ

სტატიებს თარგმნიან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისთვის. სადისერტაციო ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია მთარგმნელობითი ფაკულტეტის, ასევე, სინქრონული თარგმნის კურსებზე, თარგმნის თეორიის კურსის ფარგლებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრადუქტოლოგია, ლექსიკურ-სტილისტური ტრანსფორმაციები, სათაური, პრაგმატიკა, ფონური ცოდნა, რეალიები.

Abstract

Major changes that took place in the 20th century, to some extent, were preconditioned by the growth of the role and influence of media sources. Today, the press, television and the Internet represent integral parts of the modern world and have an important impact on people's lives. Accordingly, our study, which relates to the peculiarities of translation of the headlines and titles of French political newspaper articles into Georgian, and vice versa, should be interesting, not only from the viewpoint of traductology, but also from the viewpoint of pragmatics, didactics and terminology of translation of the political newspaper articles and of political material in general. The paper contains detailed descriptions of the strategy of translating newspaper articles, which aims at assisting translators in solving problems related to the methodology of translation.

Newspaper represents one of the powerful means of providing information and raising awareness of the reader, which is intended to be both wide and heterogeneous; therefore, it is necessary to organize the information correctly. In their turn, translators of newspaper articles should try to consider the informational content of the source text and choose the appropriate translation strategy.

The role of the title in the press is very important, because, to a certain extent, the understanding of the text depends on how the title presents the underlying text. Title of the article is an important element; it attracts the reader's attention in the first place. Title serves as a mediator between the text and the reader. From the pragmatic point of view the title of a text substitutes the entire text. Title is the first element, which attracts the attention of the receptor.

Thorough and in-depth knowledge of the newspaper style, particularly, awareness of the details necessary for translation of political newspaper articles and their titles is essential for a

translator. Title is a specific type of discourse. Translation of a title requires a number of decision-making from the side of the translator. In the process of translation, socio - political, socio - cultural reality and context should be taken into account, for the reader to be able to perceive the information adequately. Translation of titles does not imply transformation of the lexical units of one language into another. Translator should master certain skills necessary for fulfilling the task.

Journalistic articles are characterized by diversity. News articles and messages are especially concise, businesslike and dry. In translation of this kind of texts, accuracy is achieved through syntactic and structural transformations of the sentences of the source text and through using lexical and contextual equivalents, because these changes are due to the necessity of maintaining the norms of the source language and the standards of the newspaper style.

In this paper we try to reveal the peculiarities and difficulties characteristic to translation of the titles of French and Georgian political newspaper articles, transformation of pragmatic aspects and lexical and semantic peculiarities. We also try to prove the importance of lexical-semantic and stylistic transformations in the process of translating the titles of French and Georgian newspaper articles, to highlight new approaches and innovations that will provide support to people working on this issue. We believe that our research includes the necessary theoretical and practical recommendations for translators and journalists, engaged in translating political articles for various magazines and newspapers. This thesis can be incorporated into the course of the theory of translation for the faculty of translation, as well as for the courses of simultaneous interpretation.

Key words: traductology, lexical-stylistic transformation, title, pragmatics, background knowledge, realities

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მსურს, გამოვხატო უდიდესი პატივისცემა და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ილიას უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ქ-ნ ქეთევან ჯაშს, რომლის დახმარების, საინტერესო რჩევების, თანადგომის და წაქეზების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის დასრულება.

მსურს, ასევე, დიდი მადლობა გადავუხადო სორბონის უნივერსიტეტის მთარგმნელთა და თარჯიმანთა უმაღლესი სკოლის პროფესორს, თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის თანაავტორს, ქ-ნ მარიან ლედერერს, პროფესორებს: დანიელ ჟილს, კოლეტ ლაპლასს, ფორტუნატო ისრაელს და ტატიანა ბოდროვას, იმ საინტერესო რჩევებისა და კონსულტაციებისთვის, რომლებიც მათ ჩემს დისერტაციასთან დაკავშირებით მომაწოდეს.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით ჩემს მშობლებს და ჩემს შვილს, რომლებიც ყოველთვის გვერდში მედგნენ და მამხნელებდნენ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას.

სარჩევი

სარჩევი.....	viii
შესავალი.....	1
მეთოდოლოგია	9
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
თავი I. თარგმნის ლინგვისტური თეორია: ძირითადი კონცეფციები და მიმდინარეობები.....	27
<i>1.1. სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანი თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიის თვალსაზრისით.....</i>	<i>27</i>
<i>1.2. თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა თანამედროვე კონცეფციების თვალსაზრისით.....</i>	<i>35</i>
<i>1.3. მშობლიური ენის ინტერფერენცია და მისი დამლევს ხერხები ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნისას</i>	<i>42</i>
თავი II. თარგმნის პრაგმატიკული ასპექტები.....	48
<i>2.1. პრაგმატიკის საკითხები ლინგვისტურ კვლევებში.....</i>	<i>48</i>
<i>2.2. პრაგმატიკის როლი თარგმნის თეორიაში.....</i>	<i>57</i>
<i>2.3. თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომა.....</i>	<i>65</i>
<i>2.4. პრაგმატიკული ადაპტაცია თარგმანში.....</i>	<i>69</i>
თავი III. ექსტრალინგვისტური ცოდნა და თარგმანი	84

3.1. ექსტრალინგვისტური ცოდნის როლი საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პროცესში.....	84
3.2. ფონური ცოდნა როგორც მთარგმნელობითი საქმიანობის დეტერმინანტი.....	94
3.3. რეალიები როგორც ნაციონალური და ისტორიული კოლორიტის მატარებლები.....	104
3.4. ანთროპონიმების როლი და ფუნქცია ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნისას.....	118
3.5. საგაზეთო სტატიების სათაურების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები	127
თავი IV. მთარგმნელობითი სტრატეგიის პრაგმატიკული პირობები ფრანგული საგაზეთო სათაურების თარგმნისას.....	135
4.1. მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით.....	135
4.2. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი სტილისტური თვალსაზრისით.....	160
4.3. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი სემანტიკური თვალსაზრისით.....	172
4.4. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი პრაგმატიკული თვალსაზრისით.....	180
თავი V. მთარგმნელობითი სტრატეგიის პრაგმატიკული პირობები ქართული საგაზეთო სტატიის სათაურების თარგმნისას.....	186
5.1. მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით.....	186

5.2. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი სტილისტური თვალსაზრისით.....	196
5.3. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი სემანტიკური თვალსაზრისით.....	203
5.4. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი პრაგმატიკული თვალსაზრისით.....	208
5.5. ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების შეპირისპირებითი კვლევის ანალიზი.....	213
შედეგები.....	223
დისკუსია/ინტერპრეტაცია.....	234
დასკვნა და რეკომენდაციები.....	235
ბიბლიოგრაფია.....	236
დანართები	249

შესავალი

წინამდებარე დისერტაცია, “საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პრაგმატიკული ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში”, ეძღვნება საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნის თავისებურებებს. საგაზეთო მასალის თარგმნა ტრადუქტოლოგიების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული მასალის თარგმნა სხვადასხვა სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით, საგაზეთო სათაურების პრაგმატიკის გადმოცემის კუთხით, რისთვისაც მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს ტექსტის კომუნიკაციური ფუნქცია და სათარგმნი ტექსტის სტილისტური ეფექტი.

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და გლობალიზაციის პირობებში, მედია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ა. მიქოიანის აზრით¹, ინფორმატიკისა და კომუნიკაციის სფეროებში არსებული ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, პოლიტიკური მასალის თარგმანზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, რადგან ბევრი რამ მსოფლიოში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ოპერატიულად და ადეკვატურად მოხდება ინფორმაციის გადაცემა. შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისებურებების თარგმნის შესწავლა განსაკუთრებულ ინტერესს იძენს.

კ. დურიეს აზრით, სიტყვა “თარგმანის” უამრავი განსაზღვრება არსებობს. ლინგვისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თარგმანი – ეს არის ერთი ენის ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნების საშუალებით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ზედაპირული და აბსტრაქტულია, თითქოს თარგმანი წარმოადგენდეს ერთი ენის ლინგვისტური კოდის გაშიფვრას და მეორე ლინგვისტურ კოდში კონვერსიას წინასწარ დადგენილი შესატყვისების საშუალებით. ის არ აღწერს იმ ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც თარგმანს სჭირდება (დურიე 1988, 9).

¹ <http://www.km.ru/referats/AF3289B6A519414F8187B5D2D506993B>

თარგმნა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სფეროა და მნიშვნელოვან კულტურულ ტრადიციას წარმოადგენს. თარგმნას, როგორც ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროს, განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოების ცხოვრებაში. თუმცა, მეცნიერება თარგმნის პროცესის კანონზომიერებების შესახებ, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ასეთი დაგვიანება სწორედ თარგმნის კომპლექსური ხასიათით და სხვა დისციპლინებთან მჭიდრო კავშირით აიხსნება, ვინაიდან თარგმანი ახდენს არა მხოლოდ სხვადასხვა ენების, არამედ სხვადასხვა კულტურების შეპირისპირებასაც (ბრეუსი 2003, 4-5).

თარგმნა ნიშნავს ინფორმაციის გადამუშავებას და გულისხმობს მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებას. თარგმნის სპეციფიკურობა მის ემპირიულობაში მდგომარეობს, სადაც პრაქტიკას თეორიასთან შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თარგმანს ადამიანი ყველა დროში ახორციელებდა, თუმცა, არ ახდენდა მის თეორიულ გააზრებას. დღეს, ტრადუქტოლოგია ემპირიულობას, ანუ მთარგმნელობით პრაქტიკასა და თარგმნის პროცესზე დაკვირვებას ემყარება (გიდერი 2008, 11).

თანამედროვე მსოფლიოში თარგმნის მნიშვნელობა უდავოდ თვალშისაცემია. ის ხელს უწყობს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების დაცვას. მსოფლიოს მრავალ რეგიონში, თარგმანი წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ევოლუციის უმთავრეს ელემენტს (გიდერი 2008, 7).

მთარგმნელობითი მოღვაწეობის მზარდი მასშტაბების გამო, თარგმანმა მკვლევრების დიდი ყურადღება მიიპყრო. თარგმნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში იყო თარგმნის თეორიული გააზრების, მთარგმნელთა საქმიანობის, თარგმანის ხარისხის შეფასების, კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და იმ ფაქტორების განსაზღვრის არაერთი მცდელობა, რომლებიც გავლენას ახდენდა თარგმნის პროცესსა და შედეგებზე (კომისაროვი 1990, 12).

სწორედ თარგმნის მნიშვნელობის გაცნობიერებით შეიძლება აიხსნას თარგმნის პრაქტიკული და თეორიული ასპექტებისადმი ინტერესის ზრდა (გიდერი 2008, 6).

გლობალიზაციამ თარგმანი სამეცნიერო, ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახადა. ინფორმატიკისა და კომუნიკაციის სექტორებში, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, თარგმნის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. დოკუმენტები და საინფორმაციო ტექსტები სხვადასხვა ენებზე უფრო ჩქარა ითარგმნება (გიდერი 2008, 7).

ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნების გათვალისწინებით არჩევანი შევაჩერეთ პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმანზე. როდესაც საუბარია საგაზეთო სტატიების თარგმანზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ტექსტის ადეკვატური თარგმნა გულისხმობს არა მარტო ინფორმაციული შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად გადაცემას სხვა ენის საშუალებებით, არამედ – მისი კომუნიკაციურ-ფუნქციური მიმართულების გადაცემასაც².

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სისტემის სახეობა, რთულ მოვლენას წარმოადგენს მისი მიზნებისა და კომუნიკაციის პირობების არაერთგვაროვნებისა და ექსტრალინგვისტური თავისებურებების გამო. იგი მოიცავს მასობრივ პოლიტიკურ ტექსტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე³.

ა. მიქოიანის აზრით, თითოეული ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მიღმა, რომელიც, მაგალითად, განასხვავებს ანალიტიკურ სტატიას პოლიტიკური კომენტარისაგან ან სპორტული სიახლეებისაგან, შესაძლოა გამოვყოთ გარკვეული თავისებურებები, რომლებიც ზოგადად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ახასიათებს, და რომლებიც გარკვეულად განსაზღვრავენ საგაზეთო პოლიტიკური მასალების თარგმნის სპეციფიკას⁴.

ნ. ბელოვას⁵ აზრით, საგაზეთო ინფორმაციული სტილის ლექსიკურ-გრამატიკული სპეციფიკა განსაკუთრებით იჩენს თავს საგაზეთო სტატიების სათაურებში. სათაურის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველის ყურადღების მიპყრობა, რათა მან წაიკითხოს მთლიანი სტატია. ხშირ შემთხვევაში, სათაური სრულად ვერ გადმოსცემს სტატიის

² http://perevods.com.ua/katalog/?adv_id=24

³ www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc

⁴ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

⁵ www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc

შინაარსს. ის მხოლოდ ზოგად ორიენტაციას აძლევს მკითხველს, რომელსაც შეუძლია წარმოდგენა შეიქმნას მიმდინარე მოვლენების შესახებ და სრულად მხოლოდ ის სტატია წაიკითხოს, რომელიც მას დააინტერესებს.

ნ. ბელოვა აღნიშნავს, რომ საგაზეთო სტატიის სათაური უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და შინაარსობრივი, ამასთან, მან გარკვეული ემოციური გავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე. სათაურის ფუნქციაა მკითხველის ყურადღების მიქცევა და ამიტომ, ძალიან ხშირად, ის სრულად ვერ გადმოსცემს სტატიის შინაარსს. ამ ფუნქციას, ძირითადად ასრულებს ქვესათაური, რომელიც რამდენიმე სტრიქონის საშუალებით სტატიის მოკლე შინაარსს იძლევა.

როგორც კ. შაროდო აღნიშნავდა, “ინფორმაციულ ტექსტებში სათაურებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი არა მხოლოდ გვაწვდიან ინფორმაციას და გვიწევენ მეგზურობას, არამედ წარმოადგენენ სტატიის რეზიუმეს, კუმშავენ ინფორმაციას და მკითხველს ძირითად სიახლეებს აწვდიან. სათაურს აქვს დამოუკიდებელი სტატუსი, ის თვითონ ხდება ერთადერთი ტექსტი, რომელიც მკითხველებსა და მსმენელებს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის” (შაროდო 1983, 2).

ჟურნალისტური სათაური ტექსტის სიგნალი და რეცეპტორის ყურადღების მიპყრობის უმთავრესი საშუალებაა. ინფორმაცია, რომელსაც ცალკე აღებული სათაური შეიცავს, არაა ექსპლიციტური და მხოლოდ საორიენტაციო ფუნქციის მატარებელია (ვალევა-ბორისოვი 1992, 203).

სათაურების ფუნქცია იცვლება ჟანრების მიხედვით. თანამედროვე სათაურები აერთიანებენ როგორც საიდენტიფიკაციო, ასევე, ექსპრესიულ ფუნქციას (ლოფერი 1972, 98).

შესაბამისად, მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია ის ცოდნა, რომელიც მას საშუალებას მისცემს ობიექტურად აღიქვას სათაურის შინაარსი და ეკვივალენტური თარგმანი შეასრულოს სათარგმნი ენის სტილისტურ-გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით (ვალევა-ბორისოვი 1992, 341).

საგაზეთო მასალის თარგმნა ტრადუქტოლოგიების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მისი აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან

აღნიშნული მასალის თარგმნა სხვადასხვა სირთულეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით, საგაზეთო სათაურების პრაგმატიკის გადმოცემის კუთხით, რისთვისაც მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს ტექსტის კომუნიკაციური ფუნქცია და სათარგმნი ტექსტის სტილისტური ეფექტი.

მთარგმნელს ევალება, გამოხატოს აზრი ყოველგვარი ფორმის მიმსგავსების გარეშე. მან უნდა მოძებნოს ისეთი ეკვივალენტი, რომელიც გასაგებს გახდის სათარგმნი ტექსტის არსს მათთვის, ვისაც მხოლოდ თარგმანის იმედი აქვთ (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 41)

ნაშრომის ფარგლებში ჩვენ შევეცდებით შევჩოთ იმ პრობლემატიკას, რომლის წინაშეც დგება მთარგმნელი საგაზეთო სათაურების თარგმნის პროცესში, ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ მთარგმნელი ახორციელებს დისკურსის ადაპტირებას, რათა სოციო-კულტურული თავისებურებების გამო წარმოქმნილი გაგების სირთულეები გადალახოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ კულტურას შორის სიღრმისეული განსხვავება არსებობს. ვისაუბრებთ, ასევე, იმ სირთულეებზე, რომელსაც მთარგმნელი აწყდება აზრის ხელახალი გამოხატვის პროცესში.

ნაშრომის **სიახლე** იმაში მდგომარეობს, რომ პირველად:

1. ვახორციელებთ ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სტილისტური, ლექსიკური და პრაგმატიკული თავისებურებების გადმოცემის სტრატეგიისა და კულტურული განსხვავებების დამლევის ხერხების ფორმულირებას.
2. კომპლექსურად ვიკვლევთ თარგმანში საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების პრაგმატიკული ასპექტების გადმოცემის ხერხებს თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის გამოყენებით.
3. ვაპირისპირებთ ფრანგულ და ქართულ ჟურნალისტურ დისკურსში გამოყენებულ ლექსიკურ-სტილისტურ საშუალებებს მსგავსება-განსხვავების დასადგენად.

ნაშრომის ძირითადი **ჰიპოთეზა** შემდეგში მდგომარეობს: საგაზეთო პოლიტიკურ მასალებს, ისევე როგორც ნებისმიერი დისკურსის ენობრივ ერთეულებს, აქვთ პრაგმატიკული პოტენციალი, ანუ ადრესანტის განზრახვა, მოახდინოს

გარკვეული სახის ემოციური ზემოქმედება ტექსტის ადრესატზე. პრაგმატიკული პოტენციალი გამონათქვამის შინაარსის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. შესაბამისად, პრაგმატიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სათარგმნ ტექსტში. თარგმანის მიზნებიდან გამომდინარე, რეცეპტორზე სასურველი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, თარგმნის პროცესში მთარგმნელს უხდება ამოსავალი ტექსტის პრაგმატიკული ადაპტაცია და თარგმანში გარკვეული კორექტივების შეტანა, ამოსავალი და სათარგმნი ენის რეცეპტორების სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის განსხვავებების გათვალისწინებით. თუმცა ის, თუ რამდენად შეძლებს რეცეპტორი პრაგმატიკული პოტენციალის გააზრებას, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მის ექსტრალინგვისტურ ცოდნასა და გამოცდილებაზე.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს :

1. იმ სტილისტური, ლექსიკური და პრაგმატიკული პრობლემების განხილვა, რომელიც საგაზეთო სათაურების თარგმნის პროცესში იჩენს თავს. საგაზეთო სათაურების როლი იმდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკაში, რომ დიდ საინფორმაციო ჟურნალ-გაზეთებში სათაურების შერჩევას რედაქტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც კიდევ უფრო ართულებს მთარგმნელის საქმიანობას.
2. საგაზეთო მასალის თარგმნის პროცესში კონტექსტისა და ექსტრალინგვისტური ცოდნის მნიშვნელობის ხაზგასმა, ვინაიდან ავტონომიური ბუნების მიუხედავად, სათაურის თარგმნა ყოველთვის ხდება ფართო ტექსტუალურ ჭრილში.
3. ფრანგულ და ქართულ საგაზეთო კომუნიკაციაში არსებული სტილისტური მსგავსებებისა და განსხვავებების გადმოცემის სტრატეგიის ჩამოყალიბება.
4. თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით სათაურების თარგმნის სტრატეგიის აღწერა და სისტემაში მოყვანა.

დისერტაციაში გამოყენებული გვაქვს როგორც ფრანგულ, ასევე, ინგლისურ და რუსულ ენაზე არსებული წყაროები, სამეცნიერო სტატიები, აგრეთვე ინტერნეტში მოძიებული შრომები და სამეცნიერო სტატიები.

ნაშრომის ჰომოგენურობის შენარჩუნების მიზნით, გადავწყვიტეთ, არჩევანი საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურებზე შეგვეჩერებინა. ფაქტობრივ მასალად გამოყენებულია ავტორიტეტული ფრანგული და ქართული ჟურნალ-გაზეთები და რამდენიმე ინტერნეტგამოცემა: *“Le Monde”*, *“Le Figaro”*, *“Libération”*, *“L'Express”*, *“24 საათი”*, *“კვირის პალიტრა”*, <http://www.rustavi2.com.ge>, www.droni.ge და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურის დიდი ნაწილი მოვიპოვეთ საფრანგეთის მთარგმნელთა და თარჯიმანთა უმაღლეს სკოლაში (ESIT)⁶ სტაჟირებაზე ყოფნის დროს.

სადისერტაციო კვლევაში დასახულმა ამოცანებმა განაპირობა ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლის, 5 თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან, რომელიც მოიცავს 267 ერთეულს. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, სიახლეები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

დისერტაციის **პირველ თავში** განხილულია თარგმნის თეორიისათვის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა, სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმნის საკითხები თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიის თვალსაზრისით, ასევე, მშობლიური ენის ინტერფერენციის პრობლემა და მისი დაძლევის ხერხები საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნისას.

დისერტაციის **მეორე თავში** განხილულია თარგმნის პრაგმატიკული ასპექტები, თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომა და თარგმანში პრაგმატიკული ადაპტაციის საკითხები.

⁶ École supérieure d'interprètes et de traducteurs - პარიზის სორბონის უნივერსიტეტის, “პარიზი 3”-თან არსებული მთარგმნელთა და თარჯიმანთა უმაღლესი სკოლა.

დისერტაციის მესამე თავში განხილულია ექსტრალინგვისტური ცოდნის და ფონური ცოდნის მნიშვნელობა თარგმნის პროცესში, საუბარია რეალიების თარგმნის ხერხებზე, ანთროპონიმების როლსა და ფუნქციაზე საგაზეთო სტატიის სათაურების თარგმნისას.

დისერტაციის მეოთხე თავში განხილულია მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი და ფრანგული საგაზეთო სათაურების თარგმნის თავისებურებები სტილისტურ-სემანტიკური და პრაგმატიკული თვალსაზრისით.

დისერტაციის მეხუთე თავში საუბარია მთარგმნელის კულტურულ-ენობრივ როლსა და ქართული საგაზეთო სათაურების თარგმნის სტილისტურ-სემანტიკურ და პრაგმატიკულ თავისებურებებზე. ასევე, ფრანგული და ქართული საგაზეთო სათაურების თარგმნის სპეციფიკაზე, შეპირისპირებით პლანში.

შემაჯამებელ ნაწილში თავმოყრილია ის დასკვნები, რომლებიც დისერტაციის წერის დროს ჩამოყალიბდა.

მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის კვლევა თვისობრივი ხასიათისაა. მასში განხილულია 400-მდე საგაზეთო სათაური. რაც შეეხება დისერტაციის კვლევის მეთოდოლოგიას, არჩევანი შევაჩერეთ ფილოლოგიური კვლევისა და შეპირისპირებითი კვლევის მეთოდებსა და თარგმნის თეორიის ინტერპრეტაციულ მეთოდზე. ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში მოვახდინეთ სათაურის სემანტიკურ-პრაგმატიკული ასპექტების კვლევა, თარგმანის მიზნის, ანუ სკოპოსის⁷, და ადრესატის თავისებურებების გათვალისწინებით. ინტერპრეტაციული თარგმანისა და მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ლინგვისტური, ანუ ენობრივი თარგმანისაგან განსხვავებით, ის ეკვივალენტური თარგმანის შესრულებას ითვალისწინებს.

ფაქტობრივი მასალის დამუშავება ხდებოდა ფრანგებთან კონსულტაციის საფუძველზე. საგაზეთო სათაურების შედარებამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ფრანგული და ქართული საგაზეთო სათაურების სტილისტურ-სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები და ჩამოგვეყალიბებინა მათი თარგმნის სტრატეგიები.

ჩვენი კვლევის შედეგები გამყარებულია ამ სფეროში დაგროვილი საკუთარი გამოცდილებითაც.

⁷ ბერძნული სიტყვა “სკოპოსი” ნიშნავს მიზანს. ის გამოიყენება ტრადუქტოლოგიაში იმ თეორიის აღსანიშნავად, რომელიც გერმანიაში XX საუკუნის 70-იან წლებში ჰანს ვერმერმა განავითარა. სკოპოსის თეორიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს პრაგმატიკული ტექსტები და მათი ფუნქცია სათარგმნ კულტურაში. ამ თეორიის ჩარჩოებში თარგმანი განიხილება როგორც ადამიანის განსაკუთრებული ქმედება, რომელსაც აქვს ზუსტი მიზანი (სკოპოსი) და მისთვის სპეციფიკური საბოლოო პროდუქტი. ამ კონცეფციის მომხრეები ფიქრობენ, რომ მთარგმნელის ერთადერთი მოვალეობაა სათარგმნ ენაზე შექმნას ისეთი ტექსტი, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს ტექსტის დამკვეთის მიერ დასახული მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად მთარგმნელი, რომელმაც კარგად იცის რა საშუალებებითაა შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა, ორიგინალზე აქცენტის გაკეთების გარეშე ქმნის ტექსტს, რომელიც პასუხობს ამ მოთხოვნებს. რიგ შემთხვევებში, ასეთი თარგმანი შეიძლება ახლოს იყოს ორიგინალთან, რიგ შემთხვევებში კი არსებითად განსხვავდებოდეს მისგან.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უდიდესი ყურადღება ეთმობოდა თარგმნის ლინგვისტიკის შესწავლას, რომელიც თარგმანს განიხილავდა როგორც ლინგვისტურ მოვლენას. თარგმნის თეორიის ძირითადი მიზანი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენა იყო, რომელიც შესაძლებელს ხდიდა შინაარსის გადმოცემას სხვადასხვა ენაზე.

თარგმნის თეორიის მეცნიერულ საფუძველზე მუშაობა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც მთარგმნელობითმა პრობლემატიკამ ენათმეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ამ დრომდე ითვლებოდა, რომ თარგმანი არანაირად არ განეკუთვნებოდა იმ საკითხთა ნუსხას, რომელსაც ლინგვისტური მეცნიერება სწავლობდა (კომისაროვი 1990, 16).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი დისერტაცია ემყარება თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას, თუმცა, პარალელურად განხილული გვაქვს თარგმნის ლინგვისტური თეორიის პოსტულატებიც. მიუხედავად იმისა, რომ თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის მიმდევრების მტკიცებით, თარგმანი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი ენიდან მეორეზე ტრანსპოზიციის პროცესი, მიგვაჩნია, რომ თარგმნის პროცესში ლინგვისტური ფაქტორის სრულად უარყოფა მიუღებელია, ვინაიდან ენა წარმოადგენს გამონათქვამის აზრის გადმოცემის აუცილებელ ელემენტს (ჟილი 2005, 259) .

თარგმანის პირველი თეორეტიკოსები სწორედ მთარგმნელები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ საკუთარი და კოლეგების გამოცდილების განზოგადება. თუმცა, თარგმნის სფეროში პრაქტიკოსებსა და თეორეტიკოსებს შორის ყოველთვის დამაბული ურთიერთობა არსებობდა. პირველ მცდელობებს, დაესაბუთებინათ მთარგმნელობითი მოღვაწეობის სამეცნიერო გააზრების აუცილებლობა, მთარგმნელების გარკვეული ჯგუფის მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. ისინი მთარგმნელთა თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეზე ალაპარაკდნენ. თარგმნის თეორია აღიქვას, როგორც თარგმნის ხელოვნებისადმი მტრული და საწინააღმდეგო

მოვლენა. მთარგმნელები აღნიშნავენ, რომ ნიჭიერი მთარგმნელები თარგმნის თეორიაზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე ქმნიდნენ და ქმნიან შედეგებს, (კომისაროვი 1990, 15).

მთარგმნელთა ნაწილი დღესაც უარს ამბობს მათი საქმიანობის თეორიზაციის საჭიროებაზე და ინტუიციით მუშაობს, თუმცა, ინტუიციამ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს, ამასთან, ის არ გვაწვდის საჭირო არგუმენტებს, რომ ავხსნათ და ეფექტურად დავიცვათ მთარგმნელის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში არჩეული სტრატეგია (კომისაროვი 1990, 12).

უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა თარგმნის თეორია. თეორიული შრომების არარსებობის მიუხედავად, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელების მიზნებსა და საშუალებებზე მსჯელობა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

როგორც დ. ჟილი აღნიშნავს, თარგმანი კვლევის ობიექტი მხოლოდ XXს-ის 50-60-იანი წლებიდან გახდა და პირველები, ვინც ამ საკითხით დაინტერესდნენ, ლინგვისტები იყვნენ, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი არიან რომან იაკობსონი და ჯონ კატფორდი, ფრანკოფონულ სამყაროში კი აღსანიშნავია ჟორჟ მუნენი, ჟან-პოლ ვინე და ჟან დარბენლე. ბუნებრივია, ეს ლინგვისტები დაინტერესდნენ იმ ურთიერთობებით, რომლებიც არსებობს ამოსავალ და სათარგმნ ენებს შორის, ასევე ენებსა და იმ რეალობას შორის, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, თუმცა, არც საკომუნიკაციო აქტს და არც მთარგმნელის პიროვნებას, მათ თეორიებში რეალური ადგილი არ დაუკავებია (ჟილი 2005, 237).

პირველი ათწლეულების მანძილზე ტრადუქტოლოგია სხვა სამეცნიერო დისციპლინების, კერძოდ კი, ლინგვისტიკის განშტოებად ითვლებოდა. სხვადასხვა დროს თარგმანი განიხილებოდა როგორც კონტრასტული ლინგვისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის მიმართულება. თუმცა, კვლევის ვერანაირმა პერსპექტივამ ვერ ამოწურა მისი ობიექტის შესწავლა, ამიტომ ტრადუქტოლოგია ჩამოყალიბდა ავტონომიურ დისციპლინად (ტერმინი *ტრადუქტოლოგია* ერთდროულად ფრანგმა და კანადელმა ტრადუქტოლოგებმა, ჟ. რ. ლადმირალმა და ბ. ჰარისმა პირველად 1972 წელს გამოიყენეს). ტრადუქტოლოგია

კვლევების ერთობლიობაა, რომლის მიზანს და შედეგს “მთარგმნელობითი საქმიანობა და თარგმანი წარმოადგენს” (კიოლერი 1971, 4).

ტრადუქტოლოგია თარგმნის პროცესის და შედეგის სამეცნიერო კვლევას გულისხმობს. ტრადუქტოლოგია, თავისი არსით, ინტერდისციპლინარული მეცნიერებაა და ცდილობს თარგმნის პროცესის გლობალურ გაანალიზებას (გიდერი 2008, 11).

რომან იაკობსონის სტატიაში “თარგმნის ლინგვისტური ასპექტების შესახებ” მნიშვნელოვნად განაპირობა მთარგმნელობითი პრობლემატიკისადმი ენათმეცნიერების ინტერესი. სტატიაში ავტორმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ თარგმნის პროცესი უნდა რჩებოდეს ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრში და პირველმა მიუთითა ენათმეცნიერების სხვა სფეროებისათვის თარგმნის დიდ თეორიულ მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ გამოთქმის პრაქტიკულად ნებისმიერი ტრანსფორმაცია ინვარიანტული აზრის შენარჩუნებით, გარკვეული სახის თარგმანს წარმოადგენს (კომისაროვი 1990, 22).

პირველი, ვინც თარგმანში წმინდა ლინგვისტური მიდგომა შემოიტანა, ანდრეი ფეოდოროვი იყო. ა. ფეოდოროვმა მთარგმნელობითი ოპერაცია ცალკე კვლევის ობიექტად წარმოაჩინა. იგი აღნიშნავდა, რომ თარგმანი უპირველეს ყოვლისა ლინგვისტური ოპერაცია და ლინგვისტური ფენომენი იყო. ნაშრომში “*შესავალი თარგმანის თეორიაში*” ავტორი ცდილობს განახორციელოს თარგმნის სისტემური კვლევა ლინგვისტური პარადიგმის ჩარჩოებში, რადგან დარწმუნებულია, რომ “თარგმნის ნებისმიერი თეორია უნდა განიხილებოდეს ლინგვისტური მეცნიერებების ჭრილში” (ლაროზი 1989, 11).

ა. ფეოდოროვი აღნიშნავდა, რომ თარგმნის პრობლემა წყდებოდა ენის სფეროში და, შესაბამისად, თარგმნის თეორიას ლინგვისტურ დისციპლინად მოიაზრებდა. ფეოდოროვი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ლინგვისტიკა წარმოადგენდა საერთო აღმნიშვნელს, ყველა მთარგმნელობითი ოპერაციის საფუძველს. თარგმნის ყოველგვარ ოპერაციას, როგორც ა. ფეოდოროვი მიიჩნევდა, საფუძვლად უდევს ანალიზისა და ოპერაციების სერია, რომლებიც სპეციფიკურად ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება (ფეოდოროვი 1953, 186).

სრულფასოვანი თარგმნის თეორიის შემუშავების ერთ-ერთი პირველი მცდელობაც რუს მეცნიერებს – ა. ფეოდოროვსა და ი. რეცკერს ეკუთვნით. მათ შეიმუშავეს თარგმნის ლინგვისტური თეორია, რომელიც *“მუდმივი შესატყვისების თეორიის”* სახელით არის ცნობილი. ამ დროს თარგმანი, როგორც დისციპლინათაშორისი მოვლენა, სრულად არ იყო გააზრებული და ლოგიკურად მკვლევარების ყურადღება მხოლოდ თარგმნის ლინგვისტურ ასპექტებზე იქნა გადატანილი. ამ ორი ავტორის ნაშრომები მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო იქიდან გამომდინარე, რომ მათ თარგმნის ორ საკვანძო ცნებაზე – მთარგმნელობით შესატყვისსა და მთარგმნელობით ტრანსფორმაციებზე გაამახვილეს ყურადღება. აღნიშნული ნაშრომი, ბუნებრივია, არ იყო უნაკლო და წლების განმავლობაში იხვეწებოდა. ეს თეორია ძირითადად ეხებოდა მთარგმნელობითი შესატყვისის ფუნდამენტურ ცნებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც თარგმანში ენების შეპირისპირების საფუძველი (ბრეუსი 2008, 5-6).

ი. რეცკერი მიიჩნევდა, რომ თარგმანი მყარი ლინგვისტური საფუძველის გარეშე წარმოუდგენელია, მისი აზრით, ასეთი საფუძველი უნდა იყოს ენების შეპირისპირებითი შესწავლა და ორიგინალისა და თარგმანის ენებს შორის გარკვეული შესაბამისობების დამყარება. სწორედ ასეთი ურთიერთმიმართება ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სინტაქსისა და სტილის დონეზე უნდა ქმნიდეს თარგმნის თეორიის ლინგვისტურ საფუძველს (ფეოდოროვი 1953, 18).

თუმცა, მხოლოდ ა. ფეოდოროვი და ი. რეცკერი არ ფიქრობდნენ ასე. ჟ. პ. ვინე და ჟ. დარბენლევ ცდილობდნენ თარგმანი ლინგვისტიკის კვლევის ობიექტად წარმოეჩინათ. მათი ცნობილი ნაშრომი *“ფრანგული და ინგლისური ენების კომპარატივისტული სტილისტიკა”*, რ. ლაროზის აზრით, სტილისტიკაზე დაფუძნებული თარგმნის პირველ ჰემმარიტ მეთოდად მოიაზრებოდა (ლაროზი 1989, 11).

თარგმნის ლინგვისტური თეორიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს თარგმნის პროცესის, როგორც ენათაშორისი ტრანსფორმაციის სამეცნიერო აღწერა, ანუ ერთი ენის ტექსტის გადატანა მეორე ენაზე ეკვივალენტური ტექსტით. თარგმნის ლინგვისტური თეორიის ამოცანაა თარგმნის პროცესის მოდელირება, თარგმნის

პროცესის განსაზღვრული მოდელის, ანუ სამეცნიერო სქემის შექმნა, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით შეძლებს ამ პროცესის არსებითი მხარეების გადმოცემას (ბარხუდაროვი 1975, 6).

თარგმნის ლინგვისტური თეორიის განვითარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ენათმეცნიერებმა მალევე გააცნობიერეს, თუ რა მნიშვნელოვანი შედეგები შეეძლო მოეტანა მთარგმნელობითი პროცესის კვლევას სხვა ენათმეცნიერული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. მათ მიაჩნდათ, რომ ლინგვო-მთარგმნელობითი კვლევა დამატებით ცნობებს გვაწვდის ენის როგორც ურთიერთობის საშუალების გამოყენების შესახებ, სხვადასხვა ენების საშუალებით აზრის გამოხატვის მეთოდებს გვთავაზობს, გვებმარება გავმიჯნოთ ენობრივი და კოგნიტური შინაარსი სამეტყველო გამოთქმებში (კომისაროვი 1990, 19).

თარგმნის ლინგვისტური თეორია წარმოადგენს ლინგვისტურ დისციპლინას, რომელიც ფართოდ იყენებს ენათმეცნიერების სხვა დარგების კვლევების მეთოდებსა და მონაცემებს: იქნება ეს გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, სტილისტიკა, სოციოლინგვისტიკა თუ ფსიქოლინგვისტიკა. თარგმნის ზოგადი თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი კვლევის ობიექტზე ენათმეცნიერების საერთო პოსტულატების გავრცელებას: ენის – როგორც ურთიერთობის საშუალების, ენის როგორც სისტემისა და სამეტყველო რეალიზაციის ერთობლიობის, ენის ერთეულების ორი პლანის, ლოგიკურ კატეგორიებთან და რეალური სამყაროს მოვლენებთან ენის ურთიერთობების შესახებ (კომისაროვი 1990, 37).

ვ. კომისაროვის აზრით, თარგმნის ლინგვისტური თეორიის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

1. აღმოაჩინოს და აღწეროს თარგმნის ზოგადლინგვისტური საფუძვლები, აღნიშნოს, ენობრივი სისტემების რა თავისებურებები და კანონზომიერებები უდევს საფუძვლად თარგმნის პროცესებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ამ პროცესს, და ამასთან, განსაზღვრავს მის ხასიათსა და საზღვრებს.
2. განსაზღვროს თარგმანი როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი და მიუთითოს ენობრივი ურთიერთობების სხვა ფორმებისგან მის განსხვავებაზე.

3. შეიმუშაოს მთარგმნელობითი მოღვაწეობის სახეების ძირითადი კლასიფიკაცია.
4. აღმოაჩინოს მთარგმნელობითი ეკვივალენტობის არსი, როგორც ორიგინალსა და თარგმანს შორის კომუნიკაციური სრულფასოვნების საფუძველი.
5. ენების სხვადასხვა კომბინაციების შემთხვევაში შეიმუშაოს როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური თარგმნის თეორიისათვის საერთო პრინციპები და თავისებურებები.
6. შეიმუშაოს ზოგადი პრინციპები თარგმნის თეორიის სამეცნიერო აღწერისათვის, განსაზღვროს მთარგმნელის საქმიანობა და წარმოაჩინოს, თუ როგორ ახდენს იგი ორიგინალის ტექსტის ცვლილებას ნათარგმნ ტექსტში.
7. წარმოაჩინოს თარგმნის პროცესზე პრაგმატიკული და სოციო-ლინგვისტური ფაქტორების ზემოქმედება (კომისაროვი 1990, 35).

ნაშრომში *“თარგმნის თეორიული პრობლემები”*, ჟორჟ მუნენი ლინგვისტიკას თარგმნის შესწავლის საუკეთესო კონცეპტუალურ სფეროდ განიხილავს. ის ხელმძღვანელობს იმ პოსტულატიტ, რომ თარგმანი *“ენათა კონტაქტის, ბილინგვიზმის ფაქტია”*. ჟ. მუნენი წუხდა იმის გამო, რომ თარგმნის ლინგვისტური კვლევები არ არსებობდა. იგი საყვედურობდა ლინგვისტებს, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით დუმდნენ ამჯობინებდნენ და აცხადებდა, რომ თარგმნის პრობლემები შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური მეცნიერების ჩარჩოებში გადაწყდეს (მუნენი 1963, 11).

ჟ. მუნენის აზრით: *“თარგმანი წარმოადგენს ზუსტ მეცნიერებას, რომელსაც საკუთარი ტექნიკა და განსაკუთრებული პრობლემები აქვს, რომლებიც უნდა გადაწყდეს ლინგვისტიკაში არსებული ანალიზის საშუალებებით”*. ჟ. მუნენი ეთანხმება ა. ფეოდოროვს და აღნიშნავს, რომ თარგმნის საფუძველს წარმოადგენს მთელი რიგი ოპერაციები და ანალიზი, რომელიც სპეციფიკურად ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება და რომ სწორედ გამოყენებულ ლინგვისტურ მეცნიერებას ყველაზე უკეთ შეუძლია ამ საკითხის ახსნა. ჟ. მუნენი იქვე დასძენს, რომ თარგმანი ხელოვნებაა, რომელიც მეცნიერებას ეფუძნება. ჟ. პ. ვინესა და ა. ფეოდოროვის მსგავსად, ჟ. მუნენიც მიიჩნევს, რომ თარგმნის თეორიულ საკითხებს, შესაძლებელია

მხოლოდ ლინგვისტური მეცნიერების ჩარჩოებში მოეფინოს ნათელი (მუნენი 1963, 16-17).

ჟ. მუნენის აზრით: “თარგმანი ყოველთვის შესაძლებელი არაა[...], მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ დონეზე და გარკვეულ საზღვრებში”. იგი თარგმნის საზღვრების დასადგენად ცალკეული შემთხვევების განხილვას გვთავაზობს (მუნენი 1963, 237).

ჟ. მუნენის ძირითადი საზრუნავი ტრადუქტოლოგიისათვის მეცნიერების სტატუსის მინიჭება იყო. მის მიზანს ტრადუქტოლოგიის მეცნიერების რანგში აყვანა წარმოადგენდა, სწორედ მან დასვა იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი: “არის თუ არა თარგმნის ოპერაციის მეცნიერული კვლევა ლინგვისტიკის სფერო?”. თუმცა, ერთადერთ საშუალებად იგი ლინგვისტიკის დახმარებას მიიჩნევდა. მას სურდა, თარგმანი ლინგვისტიკის მიმართულებად ექცია. ის თარგმნის მანქანის შექმნის შესაძლებლობასაც განიხილავდა, იქიდან გამომდინარე, რომ მისთვის თარგმანი მხოლოდ ენობრივი მოვლენა იყო (მუნენი 1963, 10).

ჟ. გარნიე აღიარებდა ლინგვისტების ღვაწლს და ისიც თარგმნის ლინგვისტურ მიდგომას ემხრობოდა. ჟ. მუნენის მსგავსად, ის აღნიშნავდა, რომ ნებისმიერ თარგმანს საფუძვლად უდევს მთელი რიგი ოპერაციები და ანალიზი, რომლებიც სპეციფიკურად ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება (გარნიე 1985, 33).

ჯ. კეტფორდი ამტკიცებდა, რომ სურდა ყურადღების კონცენტრაცია იმის ანალიზზე მოეხდინა, თუ რა არის თარგმანი, რათა შეექმნა ზოგადი თეორია, რომლის გამოყენებაც ყველა ტიპის თარგმანისათვის იქნებოდა შესაძლებელი. შესავალში ის ცდილობს საკუთარი ლინგვისტური მიდგომა გაამართლოს: “რადგან თარგმანი მეტყველების სფეროს განეკუთვნება, თარგმნის პროცესის ანალიზისა და აღწერის დროს ძირითადად ის კატეგორიები უნდა იქნას გამოყენებული, რომლებიც ენების აღწერის დროს გამოიყენება”. ჯ. კეტფორდი აღნიშნავდა, რომ ტრადუქტოლოგია კომპარატივისტულ ლინგვისტიკაზე უნდა იყოს მიბმული (კეტფორდი 1965, 7).

მ. პერნიე საუბრობს როგორც ლინგვისტური მიდგომის ინტერესზე, ასევე, მის საზღვრებზე: “შეუძლებელია ექვეყნე დავაყენოთ ის გარემოება, რომ თარგმანი

ლინგვისტიკის სფეროს ნაწილია, ვინაიდან იგი ხორციელდება ენის საშუალებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ თარგმნის პრობლემებზე, უმრავლეს შემთხვევაში ტერმინ “ლინგვისტიკის” გამოყენება შეზღუდულია⁸. მისი აზრით, თარგმანი იმავე ენობრივი პრობლემატიკის ველს მოიცავს, რასაც ლინგვისტიკა, თუმცა, არ გამორიცხავს სხვა დისციპლინების გამოყენებას, რითაც არაპირდაპირ მიუთითებს ლინგვისტიკის კონცეპტუალური მეთოდების უკმარისობაზე და არ გამორიცხავს სხვა დისციპლინების გამოყენებას, თარგმნის მოვლენის ასახსნელად (პერნიე 1978, 7).

ჟან-რენე ლადმირალი იმავე აზრს იზიარებდა, თუმცა, მისი მიდგომა, სხვებთან შედარებით, გარკვეული ნიუანსებით განსხვავდებოდა: “მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკას არ შესწევს ძალა, შეიმუშაოს თეორია, მეცნიერება თარგმნის შესახებ”. ის აღნიშნავდა, რომ ლინგვისტიკა მნიშვნელოვან მეთოდოლოგიასა და კონცეპტუალიზაციის საშუალებებს გვაწვდის. მისი აზრით, ლინგვისტიკა მნიშვნელოვანია, თუმცა, საკმარისი არაა ტრადუქტოლოგიისათვის. ლადმირალის კრიტიკის მიზეზი ძირითადად ის ფაქტი იყო, რომ ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი ენაა, მაშინ, როდესაც თარგმანი მეტყველების სფეროს განეკუთვნება (ლადმირალი 1979, 8).

განსხვავებულია ი. ნაიდას პოზიცია, რომელსაც ბევრი თანამედროვე ტრადუქტოლოგიის მამად მიიჩნევს. ი. ნაიდა იყო ლინგვისტი და ანთროპოლოგი, რომელიც მიიწვიეს “*American Bible Society*”-ში, რათა მთარგმნელებს თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებაში დახმარებოდა (ეს იყო პრაქტიკოსებისა და მეცნიერების თანამშრომლობის არაჩვეულებრივი მაგალითი). ი. ნაიდა პირველი ლინგვისტი იყო, რომელმაც თარგმნის კომუნიკაციური მიზანი ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით თეორიულად შეიმუშავა (ჟილი 2005, 238).

შრომებში, რომლებიც თარგმანს ეძღვნება, ლინგვისტები ძირითადად იმ განსხვავებებით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც ენებსა და ლინგვისტურ სისტემებს შორის არსებობს. შესაბამისად, თარგმნის ლინგვისტური თეორია გარკვეულ

⁸ “ბიბლიის ამერიკული საზოგადოება” (ABS) 1816 წელს შეიქმნა ნიუ-იორკში. ასოციაციის მიზანია ბიბლიის თარგმნა, გამოქვეყნება და გავრცელება ბიბლიის უკეთ გასაცნობად, ასოციაცია მსურველებს სხვადასხვა სახის დახმარებას სთავაზობს.

უზუსტობებსა და ხარვეზებს მოიცავდა, რამაც ამ ორ დისციპლინას შორის განხეთქილება გამოიწვია. დღეს ყველაფერი ნათელია: ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ენები, მაშინ, როდესაც ტრადუქტოლოგია მთარგმნელებსა და თარგმანზეა ორიენტირებული (გიდერი 2008, 41).

ლინგვისტიკა თარგმანს ენების კუთხით, ანუ მთარგმნელობითი ოპერაციის შედეგის კუთხით განიხილავდა. სწორედ ესაა ის შენიშვნა, რომელსაც თანამედროვე ტრადუქტოლოგები ამ პირველ ლინგვისტურ მიდგომას უყენებენ და ბოლო 20 წლის მანძილზე ყურადღებას მთარგმნელის როლსა და საქმიანობაზე ამახვილებენ. ძირითადი კრიტიკა, რომელიც გაისმა ჟ. პ. ვინესა და ჟ. დარბენლეს *“Stylistique comparée du français et de l’anglais”*-ს მისამართით, იყო ის, რომ კომპარატივისტული ანალიზი და ორიგინალისა და სათარგმნი ტექსტების განსხვავების კატეგორიზაცია, რომელიც მასშია მოცემული, ხორციელდება თარგმნის აქტის გვერდის ავლით, იმ პროცესის ანალიზის გარეშე, რომელმაც აქამდე მიგვიყვანა (ჟილი 2005, 246).

ტრადუქტოლოგია მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ამ მეცნიერებას, საკუთარი იდენტობის მოსაპოვებლად და თარგმნის კვლევის ობიექტზე პრეტენზიის მქონე მეცნიერებების გვერდით კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად, მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუხდა (გიდერი 2008, 9).

რა არის ტრადუქტოლოგია? ტრადუქტოლოგია თარგმნის, როგორც პროცესის, და თარგმანის, როგორც შედეგის, სამეცნიერო კვლევაა. ტრადუქტოლოგიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს თარგმნა, როგორც პროცესი და თარგმანი, როგორც შედეგი (კიოლერი 1971, 4).

ტრადუქტოლოგია ცდილობს იმ ურთიერთობების, პრინციპების, წესებისა და მეთოდების იდენტიფიცირებასა და აღწერას, რომელიც თარგმნის პროცესს ახასიათებს. ტრადუქტოლოგია არის დისციპლინა საკუთარი იდენტობითა და ავტონომიით. იგი კვლევის ფართო არეალს მოიცავს, მას საკუთარი მეთოდოლოგია და კონცეფციები აქვს, თუმცა, კვლევის სრულყოფისათვის ის სხვადასხვა დისციპლინების კონცეფციებსა და მეთოდოლოგიას იყენებს (გიდერი 2008, 9-11).

ტრადუქტოლოგიის კვლევის ველი პირველად ჯ. ჰოლმსმა განსაზღვრა სტატიაში *“The name and nature of Tarnslations studies”*. ამ სტატიაში ჯ. ჰოლმსი ორ დიდ მიმართულებას განასხვავებს: “თეორიულ ტრადუქტოლოგიას” და “პრაქტიკულ ტრადუქტოლოგიას”. მისი აზრით, თეორიული ტრადუქტოლოგიის მიზანია თარგმნის მოვლენების აღწერა, ექსპლიკაციური პრინციპების განსაზღვრა და მთარგმნელობითი პრაქტიკის თეორიული დამუშავება. “პრაქტიკული ტრადუქტოლოგიის” მიზანს კი წარმოადგენს პრინციპებისა და თეორიების სისრულეში მოყვანა, იმ საშუალებების განვითარება, რომლებიც მთარგმნელებს თარგმნის განხორციელებაში დაეხმარება (გიდერი 2008, 9).

ჯ. ჰოლმსი თვლიდა, რომ ამ ორ მიმართულებას შორის დიალექტიკური ურთიერთობა არსებობს. მართლაც, თეორიული ტრადუქტოლოგია პრაქტიკულ რჩევებს გვაწვდის, ხოლო პრაქტიკული ტრადუქტოლოგია თეორიულ მსჯელობას ამდიდრებს. ისინი ერთსა და იმავე პლანში განიხილება და ორივე თანაბარ ყურადღებას საჭიროებს (გიდერი 2008, 9).

იმის მიუხედავად, რომ დღეს ტრადუქტოლოგიური კვლევა დესკრიფციული და არა პრესკრიფციული ხასიათისაა, მთარგმნელობითი საქმიანობა გარკვეულ წესებსა და ნორმებს მაინც ექვემდებარება. ამ ნორმების დაცვა შეგნებულად ან გაუაზრებლად ხდება, მაგრამ ეს ნორმები თარგმანის კონტექსტისა და მიზნების შესაბამისად არსებობს. როგორც დესკრიფციული დისციპლინა, ტრადუქტოლოგია დაკვირვების საფუძველზე ცდილობს მოახდინოს თარგმნის პროცესში გამოყენებული პრინციპებისა და მოვლენების ანალიზი (გიდერი 2008, 11).

დღესდღეობით ცოტაა ისეთი ტრადუქტოლოგი, რომელიც ლინგვისტურ სისტემებს შორის შესატყვისებისა და განსხვავებების ძიებითაა დაკავებული. იმის განსაზღვრა, თუ როგორ ითარგმნება ესა თუ ის სიტყვა ამა თუ იმ ენაზე, ტრადუქტოლოგების კვლევის ობიექტს ნამდვილად არ წარმოადგენს (ჟილი 2005, 246).

კიდევ ერთი პრეტენზია, რომელსაც ტრადუქტოლოგები ლინგვისტებს უყენებდნენ ისაა, რომ ლინგვისტური თეორია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა გამონათქვამის “აზრს”. ლინგვისტური თეორიის თანახმად, შეუძლებელია ინტერპრეტაცია, რადგან

აზრი ბუნდოვანია და შეიძლება მისი ინტერპრეტაცია არასწორად მოხდეს, მხოლოდ ნიშნებისადმი ერთგულება უზრუნველყოფს ავტორისადმი ერთგულებას.

ბუნებრივია, ტრადუქტოლოგიის განვითარება ლინგვისტიკის განვითარებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ლინგვისტებს ყოველთვის აინტერესებდათ თარგმანი და მასთან მიმართებაში სხვადასხვა თეორიულ მიდგომას იყენებდნენ. სტრუქტურალიზმი, ფუნქციონალიზმი, ტექსტის და კოგნიტური ლინგვისტიკა, სოციო- და ფსიქოლინგვისტიკა თარგმნის მოვლენის შესასწავლად საკუთარ პოსტულატებსა და განსხვავებულ კონცეფციებს იყენებდნენ, თუმცა, ამ მიმდინარეობებმა ვერ შეძლეს თარგმნის პროცესის კომპლექსური და გლობალური გააზრება. მოგვიანებით მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ლინგვისტიკის მეთოდები და მოდელები არ იყო საკმარისი თარგმნის რეალობის გააზრებისა და აღწერისათვის, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი მიდგომა შედარებით დამაჯერებელი იყო და შესაძლებელი გახდა მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი ასპექტების გაანალიზება (გიდერი 2008, 41).

მოკლედ, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ლინგვისტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტრადუქტოლოგიის განვითარებაში, მაგრამ იგი მოიცავდა გარკვეულ უზუსტობებსა და ხარვეზებს, რამაც ამ ორ დისციპლინას შორის განხეთქილება წარმოშვა (გიდერი 2008, 42).

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დღეს ორი დიდი თეორიული მიმდინარეობა – თარგმნის ლინგვისტური თეორია და თარგმნის ინტერპრეტაციული თეორია – ცდილობენ თარგმნის ოპერაციის ბუნება განსაზღვრონ. თარგმნის ლინგვისტური თეორია ცდილობს თარგმანი წარმოაჩინოს როგორც ლინგვისტური ტრანსფერი და აღნიშნავს, რომ მთარგმნელმა სწორედ ენაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის მიმდევრები კი თვლიან, რომ მთარგმნელის უმთავრესი მოვალეობაა ორიგინალის ტექსტის სათარგმნ ენაზე მორგება, იმ კულტურული განსხვავებების გათვალისწინებით, რომელიც ორიგინალისა და სათარგმნ ენის ადრესატებს შორის არსებობს.

ამ კუთხით, მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია არა იმის თარგმნა, რაც ლინგვისტური ნიშნების საშუალებებითაა მოცემული ამოსავალ ტექსტში, არამედ

ორიგინალის აზრის გადაცემა. ამისთვის მთარგმნელი სიტყვებით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოს ამოსავალი ტექსტის თემატური და პრაგმატიკული ასპექტები (ისრაელი, ლედერერი 2005, 168).

ისეთი მეცნიერებისაგან განსხვავებით, როგორებიც იყვნენ ჟ. მუნენი, ჟ.პ. ვინე, ჟ. დარბენლე, რ. იაკობსონი, ი. ნაიდა და ჯ. კეტფორდი, რომლებიც თარგმნის პროცესში მხოლოდ ენებზე აკეთებდნენ აქცენტს და ყურადღების მიღმა ტოვებდნენ მთარგმნელის პიროვნებას, თარგმნის პრაგმატიკოსი, ჟ. რ. ლადმირალი და თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის ავტორები, მ. ლედერერი და დ. სელესკოვიჩი აღნიშნავდნენ, რომ თარგმნის პროცესში სწორედ მთარგმნელი ასრულებს წამყვან როლს, ვინაიდან იგი ახორციელებს იმის ხელახალ გამოხატვას და ინტერპრეტაციას, რაც ამოსავალი ენის ტექსტშია მოცემული. ინტერპრეტაციული თეორიის მიმდევრების მტკიცებით, მთარგმნელი მხოლოდ ენებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან ის ახორციელებს ადრესანტის კომუნიკაციური და ინფორმაციული ინტენციის, ავტორისეული განზრახვის გადატანას სათარგმნ ენაზე.

ტრადუქტოლოგიურმა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა მრავალ თეორიას. თითოეულ თეორიას აქვს თავისი ღირებულება, ვინაიდან ყველა ეს სამეცნიერო მიდგომა უნდა განვიხილოთ როგორც თარგმნის თეორიის შემადგენელი ნაწილი. სხვადასხვა მიდგომა თარგმნის სხვადასხვა ფუნდამენტურ საკითხებს განსხვავებული კუთხით განიხილავს. ეს მიდგომები ერთმანეთისგან თავიანთი მიზნებით, გამოყენებული მეთოდებით, კვლევის სპეციფიკური სფეროთი და იმ დამოკიდებულებით განსხვავდება, რომელიც მას სხვადასხვა მეცნიერების მიმართ აქვს (ვერენბერგი 2006, 22).

ჰერმენევტიკისა და პარიზის სკოლის მხრიდან რადიკალური დამოკიდებულების შედეგად 80-იან წლებში ერთმანეთს გაემიჯნა ლინგვისტიკა და ტრადუქტოლოგია. ზოგიერთი ტრადუქტოლოგი, მათ შორის დანიცა სელესკოვიჩი, მარიან ლედერერი და მათი მოსწავლეები, *ESIT* - ში მთლიანად გაემიჯნენ ლინგვისტიკას იმ მოტივით, რომ ლინგვისტიკა ენას ყოველგვარი კომუნიკაციური კონტექსტის მიღმა სწავლობდა (ჟილი 2005, 246).

როგორც დ. სელესკოვიჩი აღნიშნავდა, ენობრივი გამონათქვამის გაგების პროცესი ორი სახის ცოდნას ეფუძნება: ენის ცოდნას და რელევანტურ ცოდნას, რომელსაც გამონათქვამი გადმოსცემს. ენა შესაძლოა არ იძლეოდეს ტექსტიდან აზრის გამოტანის საშუალებას, ამიტომ, შესაძლებელია მუდმივად დაგვჭირდეს ექსტრალინგვისტური ცოდნის მოშველიება, რადგანაც “ის, რისი გაგებაც ვერ ხდება ბუნებრივად, არ აღიქმება შეგნებულად” (სელესკოვიჩი 2008, 24).

მ. ლედერერი აცხადებდა, რომ როგორიც არ უნდა იყოს ლინგვისტიკის დამსახურება, მას არ შეუძლია თარგმნის პროცესის კომპლექსური ხასიათის ახსნა (ლედერერი 1994, 92).

ამ თეორიას დღეს უამრავი მიმდევარი ჰყავს, განსაკუთრებით ფრანკოფონულ სამყაროში. სწორედ თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას ეყრდნობა ჩვენი დისერტაცია.

ინტერპრეტაციული თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ნიშნების ერთგულება და ლინგვისტური თარგმანი ნაწარმოებს აფუჭებს. მ. ლედერერი აღნიშნავს, რომ თარგმნის პროცესში სიტყვის ან ფრაზის ლინგვისტურ მნიშვნელობაზე შეჩერება ხელს უშლის აზრის გაგებას, განსაკუთრებით ზეპირ თარგმანში (ლედერერი 1995, 23).

თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას საფუძვლად დაედო დ. სელესკოვიჩის პროფესიული გამოცდილება. ის დაინტერესდა პრაქტიკოსი თარგმანების მომზადებით და სორბონის უნივერსიტეტში მთარგმნელთა და თარგმანთა უმაღლეს სკოლას ჩაუყარა საფუძველი. მან საკუთარი მთარგმნელობითი პრაქტიკა გამოიყენა, რათა შეექმნა თარგმნის თეორიის ახალი მოდელი. ეს მოდელი თეორიულ პოსტულატებს იღებს როგორც ფსიქოლოგიის, ასევე იმ დროის სხვა კოგნიტური მეცნიერებებისგან და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თარგმნის მენტალურ პროცესს (გიდერი 2008, 69).

თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის ძირითადი კვლევის ობიექტია “აზრი”. წინადადების აზრი არის ის, რისი ნათლად გამოხატვაც სურს ავტორს. “აზრი არავერბალურია” იქიდან გამომდინარე, რომ აერთიანებს როგორც ექსპლიციტს,

ასევე, იმპლიციტს. ამ “აზრის” გასაგებად, მთარგმნელს უნდა ჰქონდეს სათანადო კოგნიტური ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთარგმნელი შესაძლოა ორაზროვნებისა და მრავალი ინტერპრეტაციის პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს (გიდერი 2008, 69).

ჟან დელილმა განავრცო დ. სელესკოვიჩის თეორია და დისკურსის ანალიზისა და ტექსტუალური ლინგვისტიკის გამოყენებით თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის უფრო დეტალური და დიდაქტიკური ვერსია შემოგვთავაზა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ინტერლინგვისტური ტრანსფერის პროცესში კონცეპტუალიზაციის ეტაპს. მისი აზრით თარგმნის პროცესი 3 ეტაპად იყოფა:

1. “გაგების” ფაზა, რომელიც ითვალისწინებს ამოსავალი ტექსტის დეკოდირებას, რომლის დროსაც უნდა მოხდეს სიტყვებს შორის სემანტიკური ურთიერთობების ანალიზი და კონტექსტის დახმარებით კონცეპტუალური შინაარსის განსაზღვრა.
2. “რევერბალიზაციის” ფაზა, რომელიც გულისხმობს ამოსავალი ტექსტის კონცეპტების ხელახალ ვერბალიზებას, სხვა ენაზე მსჯელობისა და იდეების ასოციაციის საშუალებით.
3. “შემოწმების” ფაზა, რომელიც მთარგმნელის მიერ გაკეთებული არჩევანის შემოწმებას ეკვივალენტების ხარისხობრივი ანალიზისა და უკუთარგმნის საშუალებით გულისხმობს (გიდერი 2008, 70).

წიგნში *“La Traduction aujourd’hui”* ინტერპრეტაციული თეორიის თანაავტორი მ. ლედერერი ამ იდეების ინტეგრაციას ახდენს და წარმოგვიდგენს ზოგად დებულებებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის გავიგოთ “ინტერპრეტაციული მოდელის” დეტალები.

ამ მოდელს სამი ძირითადი პოსტულატი უდევს საფუძვლად :

1. “ყველაფერი ინტერპრეტაციაა”;
2. “ინტერპრეტაციის გარეშე შეუძლებელია თარგმნა”;
3. “აზრის მოძიება და მისი ხელახალი გამოხატვა ყველა სახის თარგმანის საერთო აღმნიშვნელს წარმოადგენს” (ლედერერი 1994, 9-15).

ამ პოსტულატების საფუძველზე მ. ლედერერი აღნიშნავს: “თარგმნის პროცესი მდგომარეობს ორიგინალის ტექსტის გაგებაში, მისი ლინგვისტური ფორმის დევერბალიზაციასა და გაგებული იდეებისა და აღქმული გრძნობების სხვა ენაზე გამოხატვაში” (ლედერერი 1994, 11).

ინტერპრეტაციული მოდელი სამ ეტაპად მიმდინარეობს და მისი ორიგინალურობა, ძირითადად, მეორე ფაზაში, ანუ “დევერბალიზაციის” ფაზაში მდგომარეობს, რომელიც თარგმნის პროცესის ძირითად ეტაპს წარმოადგენს (გიდერი 2008, 70).

მ. ლედერერი მიიჩნევს, რომ ტექსტის აზრის ინტერპრეტაციის დროს აუცილებელია დავაზუსტოთ, რომელ დონეზეა საუბარი: “აუცილებელია თავიდანვე განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ენა, მისი ფრაზებად დანაწევრება და ტექსტი; თუკი ყველა ამ დონეზე თარგმანი შესაძლებელია, თარგმნის ოპერაცია ერთნაირი ვერ იქნება სიტყვების, ფრაზებისა და ტექსტის თარგმნისას” (ლედერერი 1994, 13).

ამ განსხვავების გათვალისწინებით (სიტყვებს, ფრაზებსა და ტექსტს შორის), პარიზის სკოლა მ. ლედერერის მეთაურობით, თარგმნის ორ ტიპს განასხვავებს: ლინგვისტურ, ანუ ლექსიკონისეულ თარგმანს (ტრანსკოდირებას) და ინტერპრეტაციულ თარგმანს. “ლინგვისტური თარგმნის ქვეშ მე მოვიაზრებ ფრაზების თარგმანს, სიტყვებისა და კონტექსტის გარეშე, ინტერპრეტაციულ თარგმანს ან, უბრალოდ, თარგმანს კი, ტექსტების თარგმნას ვუწოდებ” (ლედერერი 1994, 15).

მ. ლედერერი მიიჩნევს, რომ თარგმნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტებთან მიმართებაში და კონტექსტის გათვალისწინებით: “ინტერპრეტაციული თარგმანი თარგმანია ეკვივალენტებით, ლინგვისტური თარგმანი კი წარმოადგენს შესატყვისებით თარგმანს[...]. ძირითადი განსხვავება ეკვივალენტებსა და შესატყვისებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ეკვივალენტობა მყარდება ტექსტებს შორის, ხოლო შესატყვისობა – ენობრივ ელემენტებს შორის” (ლედერერი 1994, 51).

ურთიერთობა ლინგვისტიკასა და თარგმანს შორის უდავოდ ასიმეტრიულია. ის, რომ თარგმანი ლინგვისტიკისათვის საჭირო და გამოსადეგია, ეჭვს არ იწვევს. ამაზე ნათლად მეტყველებს ლინგვისტური პუბლიკაციებისა და შრომების რაოდენობის ზრდა (კერომნესი 2005, 55).

როგორც ვ. ვილსი აღნიშნავდა, იმისათვის, რომ მეცნიერულად გავიგოთ ისეთი რთული რეალობა, როგორიცაა თარგმანი, აუცილებელია მოვიშველიოთ ადამიანური და სოციალური მეცნიერებების ყველა სფერო, როგორიცაა: ლინგვისტიკა, სოციო-ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, კომუნიკაციური მეცნიერება... ეს სია გრძელდება (ვილსი 1987, 147).

ექვგარეშეა, რომ თარგმნის თეორია ლინგვისტიკისგან ბევრი რამითაა დავალებული. კარგი ხარისხის თარგმანი ყოველთვის ლინგვისტური ფორმით გვევლინება, მაგრამ ანალიზისა და რედაქტირების სინთეზს წარმოადგენს. ის მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას, დამატებით ცოდნას და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას. ენების ცოდნა მხოლოდ თარგმნის შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. ტექსტის თარგმნა დამოკიდებულია როგორც ლინგვისტურ, ასევე კულტურულ ფაქტორებზე, რომლებიც განსხვავებულია ამოსავალ და სათარგმნ ენაში. შესაბამისად, მთარგმნელი ამოსავალ და სათარგმნ ენაში არსებულ ნორმებს უნდა იცნობდეს (ჟილი 2005, 265).

თარგმანი ინტერდისციპლინარული მეცნიერებაა და სპეციფიკური მეთოდების გამოყენებას მოითხოვს. თარგმნის დროს არ ხდება სიტყვების თანმიმდევრული თარგმნა, არამედ გადმოიცემა აზრი, რომელიც წინასწარ იქნა გაგებული. კ. დურიე აღნიშნავს⁹, რომ გამონათქვამის აზრი არ წარმოადგენს მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.

თარგმნის ლინგვისტური ასპექტები მკვლევრების ყურადღებას საუკუნეების განმავლობაში იპყრობდა. დღეს თეორია და, განსაკუთრებით, ლინგვისტური თეორია, ნაკლებად იზიდავს მთარგმნელებს, მაგრამ მთარგმნელი, რომელიც იყენებს ენებს და რომელმაც სათარგმნ ენაზე უნდა შექმნას ამოსავალი ტექსტის ეკვივალენტური ტექსტი, სიღრმისეულად უნდა იცნობდეს ორივე ენას, თუმცა, უნდა აცნობიერებდეს, რომ ის ცალკეულ სიტყვებს, ფრაზებს ან აზრებს კი არ თარგმნის, არამედ ის თარგმნის მთლიან დისკურსს. ამისათვის კი, მხოლოდ ტექსტის ლექსიკურ-სინტაქსური ანალიზი საკმარისი არაა, მთარგმნელს სჭირდება ღრმა ექსტრალინგვისტური ცოდნა.

⁹ <http://lisa.revues.org/119>

თარგმანი მხოლოდ ლინგვისტური ოპერაცია არაა. ბუნებრივია თარგმნის თეორია მყარი ლინგვისტური თეორიის გარეშე წარმოდგენელია, თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არჩევანი თარგმნის ისეთ თეორიაზე შევაჩეროთ, რომელიც მხედველობაში იღებს ლინგვისტური ნიშნების როგორც სემანტიკურ, ასევე პრაგმატიკულ განზომილებას, ანუ სადაც ადგილი დაეთმობა კომუნიკაციურ ფუნქციას. შესაბამისად, ჩვენი დისერტაცია ემყარება თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას.

დისერტაციაში განხილული ფრანგულენოვანი წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის ავტორების, დანიცა სელესკოვიჩისა და მარიან ლედერერის შრომები, რომლებიც საქართველოში წარმოებულ სამეცნიერო კვლევებში ფაქტობრივად არ არის გამოყენებული. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო მ. ლედერერის ნაშრომი *“La Théorie Interprétative de la Traduction”* და დ. სელესკოვიჩის და მ. ლედერერის წიგნი *“Interpréter pour Traduire”*, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც პროფესორმა ქ. ჯაშმა ქართულ ენაზე თარგმნა.

დისერტაციაში ასევე გამოყენებული გვაქვს თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის ჩარჩოებში ჩატარებული კვლევები, ნაშრომები და სამეცნიერო სტატიები.

თავი I. თარგმნის ლინგვისტური თეორია : ძირითადი კონცეფციები და მიმდინარეობები

1.1. სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანი თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიის თვალსაზრისით

არსებობს უთანხმოება სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმნის მომხრეებს შორის, რომელიც კვლავაც გრძელდება. ბუნებრივია, მთარგმნელის მიერ არჩეული სტრატეგია ნაკარნახევია იმ დროითა და ადგილით, სადაც თარგმანი ხორციელდება (კორმიერი 1991, 84).

ს. ბასნეტის აზრით: “სხვადასხვა ეპოქაში არსებობდა თარგმნის სხვადასხვაგვარი კონცეფცია [...]. მთარგმნელის ფუნქცია და როლი რადიკალურად შეიცვალა. ასეთი ცვლილებები განპირობებულია კულტურული ისტორიით [...]. რაც შეეხება თარგმნისადმი დამოკიდებულებასა და სხვადასხვა დროს არსებულ მთარგმნელობით კონცეფციებს, ისინი იმ ეპოქის საკუთრებაა, რომელმაც წარმოშვა და იმ სოცო-ეკონომიკური ფაქტორების შედეგი, რომლებმაც შექმნა და განსაზღვრა ეს ეპოქა” (ბასნეტი 1980, 74).

როგორც მ. ლედერერი აღნიშნავს: “უკვე დიდი ხანია, არც ერთი თეორეტიკოსი არ ამტკიცებს, რომ თარგმნა ესაა სიტყვასიტყვითი ტრანსკოდირება. პრინციპი უარყოფილია, არავინ იცავს ამ მეთოდს. სიტყვასიტყვით გადათარგმნა? თვით ეს გამოთქმა დამამცირებელია! და მაინც ყოველთვის, როდესაც თეორიულად საკითხი თარგმანს ეხება, სიტყვებს შორის შესაბამისობა ხდება დისკუსიის საგანი” (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 33).

ვ. კომისაროვის განმარტებით სიტყვასიტყვითი თარგმანი, ანუ ტრანსკოდირება¹⁰, ხშირად არაადეკვატურია და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც მთარგმნელის წინაშე დგას ამოცანა, – თარგმანში ორიგინალის ფორმალური

¹⁰ ლექსიკონისეული თარგმანი

თავისებურებები წარმოაჩინოს. ასეთ შემთხვევაში მას უნდა ახლდეს განმარტება ან ადეკვატური თარგმანი¹¹.

ცნობილი ფრანგი ჰუმანისტი და მწერალი ე. დოლე აღნიშნავდა, რომ მთარგმნელი არ უნდა შეიბოჭოს სიტყვასიტყვითი თარგმანით. ის, ვინც ასე იქცევა, აზრსა და გონიერებას მოკლებულია.

სიტყვასიტყვითი თარგმანი იყო და რჩება დამწყები მთარგმნელების სენად. თარგმანის ეს ტიპი, სავარაუდოდ, იმ იდეით შეიქმნა, რომ ტექსტი სხვა არაფერია თუ არა – ცალკე აღებული სიტყვების სწორხაზოვანი (ლინეარული) თანმიმდევრობა. თარგმნის ეს ტიპი აქტიურად იყო გამოყენებული ბიბლიის პირველი მთარგმნელების მიერ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ წმინდა წიგნებში თვით სიტყვების წყობა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურა ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიტყვასიტყვითი თარგმანი არ ითვალისწინებს სათარგმნი ენის მოთხოვნებს, ასეთი თარგმანები გაუგებარია და როგორც წესი, მათი გაგება მხოლოდ ორიგინალის წაკითხვის შემდეგ ხდება შესაძლებელი (რაისი 2009, 18) .

სიტყვასიტყვითი თარგმანები სათარგმნელი ენის მკითხველისათვის შესაძლოა გასაგები იყოს მხოლოდ სუფთა ენობრივი თვალსაზრისით. ერთიანობაში ტექსტის ფუნქცია, მისი სტატუსი და აზრი გაუგებარი რჩება მკითხველისათვის, რომელიც ამოსავალი ენის კულტურას არ იცნობს (რაისი 2009, 19).

ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალის სიმონა სინიორეს მამა, ანდრე კამინკერი თანმიმდევრული თარგმანის დიდოსტატი იყო. მას ერთხელ ერთმა ორატორმა იმის გამო უსაყვედურა, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიმართ ერთგულება არ გამოიჩინა. მაშინ თარგმანმა უპასუხა: “მე ის არ მითქვამს, რაც თქვენ თქვით, მე ვთქვი ის, რაც თქვენ უნდა გეთქვათ” (მ. ჯაში, ქ. ჯაში 2003, 9).

სიტყვასიტყვითი თარგმანი არასწორად გაგებული სიზუსტე და უცხო ენის თავისებურებების უხეში კოპირებაა, რომელსაც სათარგმნი ტექსტის ნორმების დარღვევამდე ან აზრის დამახინჯებამდე, ან ორივემდე ერთად მივყავართ (ლევიცკაია, ფიტერმანი 1963, 16).

¹¹http://www.classes.ru/grammar/43.Teoriya_perevoda_Lingvicticheskiye_aspekty/extfile/help2/html/unnamed_68.html.

პროფესიონალი მთარგმნელი ყოველთვის აცნობიერებს, რომ ორიგინალის სიტყვასიტყვით გადმოცემა არ წარმოადგენს ზუსტ და “ერთგულ” თარგმანს. ჟ. დარბენლე აღნიშნავდა¹², რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი ბუნდოვანს ხდის აზრს და ხელს უშლის თარგმნის ძირითადი მიზნის განხორციელებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს გააცნოს ორიგინალის შინაარსი.

ბუნებრივია, არის შემთხვევები, როდესაც სახეზეა ამოსავალი და სათარგმნი ენის სიტყვებისა და კონსტრუქციების სრული თანხვედრა. ლექსიკური და სინტაქსური თანხვედრის ასეთი შემთხვევები, რომლებსაც თარგმანში ვხვდებით, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სიტყვასიტყვითი თარგმანი. თუმცა, ლექსიკური, ფრაზეოლოგიური და გრამატიკული კონსტრუქციების სიტყვასიტყვითი თარგმანი, ძირითადად, იწვევს სათარგმნი ენის ნორმების დარღვევასა და შინაარსის არასწორ გადმოცემას (ლევიცკაია, ფიტერმანი 1963, 16).

სიტყვასიტყვითი თარგმანის შესრულების ერთ-ერთი მიზეზი ენის არასათანადო ცოდნა და მთარგმნელის გამოუცდელობაა. ლექსიკურ და გრამატიკულ კოპირებასთან ერთად ხშირად სტილისტურ დონეზე კოპირებაც გვხვდება, როდესაც მთარგმნელი ახდენს ორიგინალში ინფორმაციის გადმოცემის მეთოდების კოპირებას და არ ფიქრობს იმაზე, რა ეფექტს მოახდენს ის თარგმანში და, რომ ამით დაირღვევას სათარგმნი ენის სტილისტური ნორმები (ლევიცკაია, ფიტერმანი 1963, 19).

შეიძლება ითქვას, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი არასაკმარისად ტრანსფორმირებული თარგმანია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სათარგმნი ენის მოთხოვნები ჯეროვნად არ ფასდება (ბრეუსი 2008, 16).

თარგმნის პედაგოგიური მიზნებისათვის სიტყვასიტყვით შესრულებული თარგმანი სავარაუდოდ იმ იდეიდან მომდინარეობს, რომ ტექსტი შესაძლოა ცალკეული ფრაზების ლინეარულ თანმიმდევრობამდე დავიყვანოთ. ასეთი მთარგმნელობითი საქმიანობა ხორციელდებოდა და კვლავაც ხორციელდება უცხო ენების სწავლების პროცესში. ეს მეთოდი ძირითადად იმის შესამოწმებლად გამოიყენება, გაიაზრა თუ არა მოსწავლემ ზოგიერთი ლექსიკურ-სინტაქსური ელემენტი და შეძლებს თუ არა მათ გამოყენებას სათარგმნ ენაში (რაისი 2009, 18).

¹² <http://www.erudit.org/revue/meta/1970/v15/n2/002478ar.pdf>

ხშირად მთარგმნელები სიტყვასიტყვით თარგმნიან ისეთ კონსტრუქციებს, რომლებიც არ მოიძებნება სათარგმნ ენაში. მთარგმნელი ზოგჯერ ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ სათარგმნ ენაში არ არსებობს ანალოგიური კონსტრუქცია და ამიტომ ცდილობს მის შენარჩუნებას. ეს არის კოპირება სინტაქსურ დონეზე. სიტყვასიტყვითი თარგმნის საფრთხე იმაშია, რომ მას შეუძლია მთლიანად დაამახინჯოს ორიგინალის აზრი (ბრეუსი 2008, 16).

როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე, თავისუფალი თარგმანი თარგმანის არაადეკვატურობაზე მიუთითებს. ჟ. დარბელნეს აზრით, თარგმანი არ უნდა იყოს არც სიტყვასიტყვითი, არც – თავისუფალი. თარგმანი უნდა იყოს ზუსტი. ჟ. დარბელნე აღნიშნავს, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი სიზუსტის გარანტიას არ წარმოადგენს. კარგი თარგმანი ზუსტად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის შინაარსს, უნდა იცავდეს სათარგმნელი ენის გრამატიკულ ნორმებს, უნდა იყოს სათარგმნელი ტექსტის სტილისტურად ეკვივალენტური და გასაგები მკითხველისათვის. მთარგმნელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მას არა აქვს უფლება, ტექსტის სტრუქტურის შენარჩუნების ხარჯზე, ტექსტის აზრი ბუნდოვანი გახადოს, მას აუცილებლად უნდა ესმოდეს, რომ ტექსტის აზრის გადმოსაცემად სტრუქტურა შესაძლოა დაირღვეს¹³.

ბუნებრივია, ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად სხვადასხვა ენებში განსხვავებული სტრუქტურები გამოიყენება. სტრუქტურის კალკირებამ შესაძლოა ტექსტის აზრი დაამახინჯოს. სიტყვასიტყვით თარგმანს არ შეუძლია გადმოსცეს ის, რაც სიტყვების მიღმაა მოცემული. ნებისმიერი ენა დაკავშირებულია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კულტურასთან, კულტურული მოვლენების გადმოცემა კი სიტყვასიტყვითი თარგმნით წარმოუდგენელია. თარგმნის პროცესი ამოსავალი ტექტის სათარგმნელი ენის მკითხველზე ადაპტაციას გულისხმობს. ადაპტაცია კი, თავისთავად, სიტყვების რაოდენობის კლება/მატებას საჭიროებს. სიტყვასიტყვითი თარგმანი არ შეიძლება იყოს არც ზუსტი და არც სწორი თარგმანი¹⁴.

¹³ <http://www.erudit.org/revue/meta/1970/v15/n2/002478ar.pdf>

¹⁴ <http://www.erudit.org/revue/meta/1970/v15/n2/002478ar.pdf>

კ. ტიერი აღნიშნავს, რომ ერთადერთი აუცილებელი პირობა ავტორის მიერ გამოხატული აზრის მიმართ ერთგულებაა. სხვადასხვა ენაში სიტყვებით გამოხატული რეალობა განსხვავებულია და ყოველგვარი სიტყვასიტყვითი ტრანსპოზიცია, იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული (ტიერი 1991, 234).

თავისუფალი თარგმანი – სიტყვასიტყვითი თარგმანის ანტიპოდს წარმოადგენს. თუკი სიტყვასიტყვითი თარგმანი არასაკმარისადაა ტრანსფორმირებული, თავისუფალი თარგმანი ზედმეტად ტრანსფორმირებულია. მთარგმნელს შეუძლია ჩამოშორდეს ორიგინალს იმ შემთხვევაში, თუკი ამას სათარგმნი ენის ნორმები მოითხოვს (ბრეუსი 2008, 17).

ტექნიკური, კომერციული და დიპლომატიური თარგმანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნები თარგმანის სიზუსტესთან დაკავშირებით¹⁵. მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, მსგავსი ტექსტების თავისუფალი თარგმნით შესრულებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ამიტომ, ამ სფეროებში თავისუფალი თარგმნის განხორციელება სრულიად დაუშვებელია.

მთარგმნელს ხშირად უხდება გარკვეულ დანაკარგებზე წასვლა და იმის გადაწყვეტა, თუ რომელი ელემენტები შეიძლება გამოტოვოს იმისთვის, რომ უფრო ზუსტად გადმოსცეს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დეტალები. როდესაც ორიგინალს გაუმართლებლად ჩამოსცილდება, მთარგმნელი გამოდის მისთვის უჩვეულო როლში, კერძოდ კი, ტექსტის ავტორის როლში (ბრეუსი 2008, 17).

ამოსავალი და სათარგმნი ტექსტების ეკვივალენტობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ არა მარტო მთარგმნელობითი ნორმიდან გადაცდომები თავისუფალი და სიტყვასიტყვითი თარგმნის სახით, არამედ ისეთი ცნება, როგორიცაა ეკვივალენტობის ხარისხი (ბრეუსი 2008, 17).

ა. მიქოიანის¹⁶ აზრით, როგორც კალკი, ასევე, ზედმეტად თავისუფალი თარგმანი, შესაძლოა იმის შედეგი იყოს, რომ მთარგმნელის მიერ ტექსტის გაგება შემოიფარგლება ამ ტექსტის ერთი ან რამდენიმე დონით. მაგალითად,

¹⁵ readeralexey.narod.ru/.../1.2_Translation_History_Modern.doc

¹⁶ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

სიტყვასიტყვითი თარგმანი მეტწილად იმის შედეგია, რომ მთარგმნელი მთელ ყურადღებას სიტყვების დონეს უთმობს და ფიქრობს, რომ ესმის ცალკეული სიტყვების აზრი, ის თარგმნის ცალკეულ სიტყვებს და არა ტექსტს, – როგორც ერთ ორგანულ მთლიანობას. შესატყვისებით შესრულებული თარგმანი მძიმე და არასასიამოვნოა. ბუნებრივია, ასეთ თარგმანში უხვადაა აზრობრივი და სტილისტური შეცდომები. გაუმართლებელი თავისუფლება თარგმანში კი იმის შედეგია, რომ მთარგმნელი ტექსტის ლექსიკურ დონეს სათანადოდ ვერ სწვდება. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელმა, რომელიც ტექსტის ზოგად აზრს გადმოსცემს, შესაძლოა გამოტოვოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ნიუანსები, ტექსტის სტილისტურ-ექსპრესიული მახასიათებლები და ტექსტის კომუნიკაციური ფუნქცია დაამახინჯოს.

ტექსტის სრულფასოვნად გადმოცემა მხოლოდ ინტერპრეტაციული თარგმანითაა შესაძლებელი. თარგმანი წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც თარგმანი ორიგინალის ეკვივალენტურია.

როდესაც პროფესიონალი მთარგმნელი კითხულობს ტექსტს, ის არ ცდილობს თითოეული სიტყვის მნიშვნელობის გაგებას. სიტყვების ერთობლიობა ქმნის აზრის ერთეულს, რომელიც თარგმნის ერთეულს წარმოადგენს. ზოგადად, თარგმნის აქტი ტექსტის გაგებასა და ამ ტექსტის მეორე ენაზე გადატანაში მდგომარეობს. ტექსტის გაგება კი საჭიროებს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის მობილიზებას (ლედერერი 1994, 27).

ტექსტის მეორე ენაზე გადატანის ხარისხი დამოკიდებულია სათარგმნი ენის ცოდნის დონესა და მთარგმნელის კომპეტენციაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად კარგად იცნობს მთარგმნელი სათარგმნ თემატიკას. ორიგინალის ენის ცოდნა და თემატიკის ცოდნა ის ორი ფაქტორია, რომელსაც ტექსტის გაგება ეფუძნება (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 43).

რაც არ უნდა ზუსტი იყოს მთარგმნელის მიერ გამოყენებული შესატყვისები, იგი ავტორის ერთგული ვერ დარჩება, თუკი ორიგინალის ენის თარგმნით შემოიფარგლა, ვინაიდან ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა არაა მხოლოდ ლინგვისტური კოდის ცვლილება. სავსებით ნორმალურია ის, რომ ორიგინალის ენა სათარგმნ ენაში არსებული ფორმულირებისაგან განსხვავდებოდეს, რათა ტექსტი არა მარტო გასაგები

იყოს მკითხველისათვის, არამედ მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს ავტორის აზრი.

მ. ლედერერი ტრანსკოდირებასთან (ენობრივ თარგმანთან) დაკავშირებულ ერთ ამბავს იხსენებს: “ერთ ძალზე ცნობილ ფრანგ ქირურგს გადაეთარგმნა აშშ-ში ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის დაკვირვების დღიური ისეთნაირად, რომ, მისი კოლეგების თქმით, ის, ვინც გაითვალისწინებდა ყველაფერს, რაც მის თარგმანში იყო მოცემული, შეიძლებოდა სერიოზულად დაესაჩივრებინა საკუთარი ავადმყოფები” (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 32)

როგორი უნდა იყოს კარგი თარგმანი? – ამ შეკითხვაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი პასუხი არსებობდა. პოლ ჰორგელენი თანამედროვე კონცეპტების სინთეზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ კარგი თარგმანი უნდა პასუხობდეს სიზუსტისა და გამჭირვალობის მოთხოვნებს, უნდა იყოს ერთგული აზრის მიმართ და უნდა შეიცავდეს გარკვეული დოზით ტრანსკოდირებასა და ხელახალ ფორმულირებას (ჰორგელენი 1978, 27).

მთარგმნელი ერთგული უნდა იყოს თუ თავისუფალი? მ. ლედერერი აღნიშნავს, რომ ამგვარად დასმული შეკითხვა მცდარია[...], ყოველგვარი თარგმანი გულისხმობს შესატყვისებისა და ეკვივალენტების მონაცვლეობას, თარგმნის დიალექტიკური კონცეფცია სწორედ ამ მონაცვლეობაში ახდენს რეალიზებას: შესატყვისები და ეკვივალენტები თარგმნის პროცესში მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული [...], ვერასდროს ვერც ერთი ვერ ახერხებს სრული უპირატესობის მოპოვებას მეორეზე” (ლედერერი 1994, 83).

თარგმანის ტიპის არჩევას განაპირობებს ორი ფაქტორი: 1. ის, თუ ვისთვის ვთარგმნით (ანუ ვინ არის თარგმანის პოტენციური მკითხველი) და 2. რა მიზნით ხორციელდება თარგმანი (კომუნიკაციის რა მიზანს ემსახურება იგი). თუმცა, დიდი ხანია ყველა აცნობიერებს, რომ თარგმანი ვერ იქნება ორიგინალის იდენტური და, რომ შეუძლებელია ან, თითქმის შეუძლებელია, თარგმანში ერთდროულად მოხდეს ორიგინალის ყველა დეტალის გათვალისწინება (რაისი 2009, 22).

მთარგმნელები და თარჯიმნები ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს, რაც სხვისი აზრის გადმოცემას გულისხმობს. მათი თარგმანი არ ემყარება, ერთი მხრივ, მხოლოდ ტრანსკოდირებას, მეორე მხრივ კი, მხოლოდ სხვისი აზრების გადმოცემას. ყველაზე მექანიკური თარგმანიც კი მოითხოვს გარკვეული სახით ინტერპრეტაციას. ყველაზე თავისუფალი ინტერპრეტაციაც კი გულისხმობს ყოველთვის რაღაც ფორმით ტრანსკოდირებას (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 15).

1.2. თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა თანამედროვე კონცეფციების თვალსაზრისით

ეკვივალენტობის ცნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა როგორც თარგმნის თეორიისათვის, ასევე – პრაქტიკისათვის. თუმცა, ეკვივალენტობის კონცეპტი არასტაბილურია და ეს ცვალებადობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ თარგმანი და მთარგმნელობითი საქმიანობა ისტორიის მანძილზე მუდმივად იცვლება (რაისი 2009, 153).

როგორც მ. პერნიე და რ. რობერტსი აღნიშნავენ¹⁷, დღეს ძალიან ცოტა მკვლევარი თუ ცდილობს ორი ენის ნიშნების დონეზე ეკვივალენტობა/არაეკვივალენტობის პრინციპებზე მუშაობას, როგორც ამას, მაგალითად, ჟორჟ მუნენი აკეთებდა. ბუნებრივია, თარგმანში ორი ენის სტრუქტურის თანხვედრა/განსხვავებების პრობლემა აქტუალურია, თუმცა, თარგმნის ეკვივალენტობის საკითხებზე მსჯელობისას ენების სემანტიკურ, სინტაქსურ და იდიომატურ განსხვავებებზე ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას.

მ. პერნიე იქვე დასძენს, რომ თარგმანი არ წარმოადგენს სტატიკური ეკვივალენტების მიებას ნიშნებისა და მათი აღსანიშნების დონეზე. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრაგმატიკული ფენომენი, რომელიც დინამიკურ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს მოიცავს. ამ ფაქტორების წინა პლანზე წამოწევას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო “აზრის თეორიის” ფუძემდებლის, დანიცა სელესკოვიჩის შრომებმა.

ის მკვლევრები, რომლებიც ამბობენ, რომ თარგმნის განხორციელება შეუძლებელია ან საუბრობენ თარგმნის სირთულეებზე, ხელმძღვანელობენ ძირითადად იმ ურთიერთობებით, რომლებიც ენებს შორის არსებობს. ცალკეულ შემთხვევაში ლინგვისტმა, რომელიც მუშაობს ნიშნის შინაარსობრივ მხარეზე, შეიძლება დააფიქსიროს ორიგინალისა და სათარგმნი ტექსტის არაეკვივალენტობა, მაშინ, როცა მთარგმნელმა, რომელიც ორიენტირებულია შეტყობინების აზრის გადმოცემაზე, პირიქით, შესაძლოა დააფიქსიროს ამოსავალი და სათარგმნი ტექსტის ეკვივალენტობა, ანუ ის, რაც არაეკვივალენტურია ენების დონეზე, შესაძლოა

¹⁷ <http://www.erudit.org/revue/meta/1987/v32/n4/003958ar.pdf>

ეკვივალენტური გახდეს დისკურსის დონეზე. თარგმანი არ არის ორი ენის ნიშნებს შორის ეკვივალენტების ძიების პროცესი. თარგმნის ძირითად მიზანს სათარგმნ ენაზე შეტყობინების აზრის გადაცემა წარმოადგენს¹⁸.

ეკვივალენტობა შეიძლება აღვწეროთ როგორც თანასწორი ურთიერთობა ტექსტების ზოგიერთ ლინგვისტურ ნიშანსა ან მთლიან ტექსტს შორის. კ. რაისის აზრით, ტექსტების სხვადასხვა ელემენტებს შორის ეკვივალენტური ურთიერთობების არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეკვივალენტობა *ipso facto* არსებობდეს ორ ტექსტს შორის და, პირიქით, ეკვივალენტობა გლობალურად აღებულ ორ ტექსტს შორის არ გულისხმობს ეკვივალენტობას ტექსტის ცალკეულ სემანტებს ან ტექსტის სხვადასხვა ელემენტებს შორის. ეკვივალენტური ურთიერთობა თარგმანში ზოგადად ეხება ტექსტებს და არა მის შემადგენელ ლინგვისტურ ელემენტებს. ამასთან, ორ ტექსტს შორის ეკვივალენტობა ვერ განხორციელდება, თუკი ორივე ტექსტი ეკვივალენტურ ფუნქციას არ ასრულებს ორსავე ენობრივ კოლექტივში (რაისი 2009, 151).

იქიდან გამომდინარე, რომ ორ ენას შორის არსებობს სტრუქტურული განსხვავება და რომ ორ ენობრივ კოლექტივს შორის არსებობს სიტუაციური და სოციო-კულტურული განსხვავებები, ადვილი გასაგებია, სრულფასოვანი თარგმანის შესრულება მხოლოდ ლინგვისტური ნიშნების ჩანაცვლებით შეუძლებელია. ზოგადად, მთარგმნელი იძულებულია მოახდინოს ურთიერთობების რეორგანიზირება შინაარსის ელემენტებსა და ფორმის ელემენტებს შორის ფუნქციური ასპექტების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თარგმანი შეიძლება სათარგმნ ენაში იმავე კომუნიკაციური ფუნქციის მატარებელი არ იყოს, რა ფუნქციასაც ეს ტექსტი ამოსავალ ენაში ასრულებს (რაისი 2009, 159).

კ. რაისი აღნიშნავდა: “ეკვივალენტობა თანასწორი ურთიერთობაა ორი ლინგვისტური სისტემის ნიშნებს შორის, ორ განსხვავებულ ლინგვისტურ კოლექტივში, სადაც თითოეულს საკუთარი სოციო-კულტურული კონტექსტი აქვს. ამასთან, ეკვივალენტური თარგმანი არ გულისხმობს თითოეული სიტყვის

¹⁸ <http://www.erudit.org/revue/meta/1987/v32/n4/003958ar.pdf>

შესატყვისობას. შესაძლოა, რომ თარგმანის მრავალი ვარიანტი იყოს ეკვივალენტური” (რაისი 2009, 146).

განმარტებებისა და მიდგომების სიმრავლის მიუხედავად, ეკვივალენტობის კონცეპტი ტრადუქტოლოგიაში კვლავ აქტუალურია. მან საფუძველი დაუდო როგორც პრესკრიფციული, ასევე დესკრიფციული სახის კვლევებს, რომლებიც დღესაც განსაზღვრავენ როგორც თარგმნის თეორიას, ასევე – თარგმნის პრაქტიკას (გიდერი 2008, 82.).

სხვადასხვა მკვლევარი განასხვავებს ეკვივალენტობის სხვადასხვა დონეს. ს. ბასნეტი ეკვივალენტური ანალიზის 3 დონეს განასხვავებს: 1. სინტაქსურ, 2. სემანტიკურ, 3. პრაგმატიკულ დონეს.

1. სინტაქსურ დონეზე ეკვივალენტობა იმ ურთიერთობის შედეგია, რომელიც ლინგვისტურ ერთეულებს შორის არსებობს.

სინტაქსური დონე ეკვივალენტობის ყველაზე დაბალი დონეა. ამ შემთხვევაში თარგმანი ერთი ლექსიკური ერთეულის მეორეთი ჩანაცვლებას გულისხმობს გამონათქვამის სინტაქსური სტრუქტურის შენარჩუნებით. ასეთი შემთხვევები ძალზე მცირეა. ხშირ შემთხვევაში ეკვივალენტობის მისაღწევად საჭირო ხდება გამონათქვამის სინტაქსური ფორმის შეცვლა.

2. სემანტიკურ დონეზე ეკვივალენტობა იმ ურთიერთობის შედეგია, რომელიც ლინგვისტურ ერთეულებსა და მათ მნიშვნელობებს შორის არსებობს.
3. პრაგმატიკულ დონეზე ეკვივალენტობა იმ ურთიერთობის შედეგია, რომელიც ლინგვისტურ ერთეულებს, მათ მნიშვნელობებსა და იმ ადამიანებს შორის არსებობს, ვინც მათ იყენებს (ბასნეტი 1980, 6).

ეკვივალენტობის უმაღლეს დონეს იერარქიულად პრაგმატიკული დონე წარმოადგენს. წინა ორ დონეზე შესატყვისობა დენოტაციური ფუნქციის ფარგლებში მყარდება. ამ დონეზე კი თარგმანში შეპირისპირების საფუძველად კომუნიკაციური პროცესის ორი რგოლი გვევლინება: კომუნიკაციური განზრახვა და კომუნიკაციური ეფექტი, ანუ ადრესანტის და ადრესატის დამოკიდებულება ტექსტთან (ბრეუსი 2008, 15).

პრაგმატიკულ დონეზე მნიშვნელოვანია არა ის, რამდენად ეკვივალენტურია ამოსავალი და სათარგმნი ტექსტები, არამედ ის, თუ რამდენად ეკვივალენტურია მკითხველზე მათ მიერ მოხდენილი ეფექტი. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, შეიგრძნობენ თუ არა სათარგმნელი ენის მკითხველები იმავე ემოციებს ტექსტის კითხვის დროს, ისევე ესმით თუ არა ეს ინფორმაცია და ახდენენ თუ არა მათ ინტერპრეტაციას ორიგინალის ტექსტის მკითხველის მსგავსად (ჟილი 2005, 70).

შეგახსენებთ, რომ დამოკიდებულებას ნიშანსა და მომხმარებელს შორის პრაგმატიკა ეწოდება. სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება – პრაგმატიკული ეკვივალენტობა. პრაგმატიკულ დონეზე ხშირად გვხვდება ისეთი სახის ტრანსფორმაციები, როგორიცაა: გამოტოვება, დამატება, სრული პერიფრაზირება და ა.შ (ბრეუსი 2008, 16).

რეალურად საკმაოდ რთულია ეფექტის ეკვივალენტობაზე საუბარი. უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველზე ტექსტის ეფექტს განაპირობებს მისი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნა, ის ინტერესი, რომელიც მას ტექსტის მიმართ აქვს, ის სისწრაფე, რომლითაც იგი კითხულობს ტექსტს, ის მიზნები, რა მიზნითაც მას ამ ტექსტის გამოყენება სურს, მისი დამოკიდებულება ავტორის მიმართ, მისი განწყობა, კონცენტრაციის უნარი, ინტელექტი და სხვა წიგნები, რომლებიც მას ამ თემაზე აქვს წაკითხული (ჟილი 2005, 71) .

ბუნებრივია, სრული ეკვივალენტობის უზრუნველყოფა ყოველთვის ვერ ხერხდება და გარკვეული დანაკარგები გარდაუვალია. სრული შესატყვისობის დამყარება ორიგინალსა და თარგმანს შორის მხოლოდ სინტაქსურ დონეზე მიიღწევა (*J'habite à Paris* – მე ვცხოვრობ პარიზში). ყველა სხვა დონეზე ადგილი აქვს ორიგინალიდან გადაცდომას (ბრეუსი 2008, 17).

სემანტიკურ დონეზე შენარჩუნებულია მხოლოდ კომუნიკაციის მიზანი, თუმცა განსხვავებულია ენობრივი გამოხატვის საშუალებები. დაბოლოს, პრაგმატიკულ დონეზე ადრესატის ფონური ცოდნის გათვალისწინებით, ახალი ინფორმაცია ემატება ან პირიქით, ორიგინალში მოცემული მონაცემები აკლდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სემანტიკურ და სინტაქსურ დონეებზე საუბარია ნაწილობრივ ეკვივალენტობაზე (ბრეუსი 2008, 18).

სრული ეკვივალენტობა ამოსავალი ტექსტის კომუნიკაციური პარამეტრების ამომწურავ გადაცემას გულისხმობს. საბოლოოდ, გადაწყვეტილება, რომელსაც მთარგმნელი იღებს, ხშირად კომპრომისული ხასიათისაა. თარგმნის პროცესში დანაკარგი გარდაუვალია, რათა მთარგმნელმა შეძლოს ამოსავალი ტექსტის არსებითი და მთავარი შეტყობინების გადმოცემა (კომუნიკაციური განზრახვა და კომუნიკაციური ეფექტი) (ბრეუსი 2008, 18).

კ. რაისი აღნიშნავდა, რომ ეკვივალენტობის კრიტერიუმების ფორმულირება ორიგინალსა და თარგმანს შორის ორ პრინციპს ექვემდებარება: 1. სელექციასა და 2. სუბორდინაციას. მთარგმნელი სელექციის პრინციპს იყენებს მაშინ, როდესაც ამოსავალი ტექსტის ანალიზის დროს, სათარგმნი ტექსტის დამახასიათებელ ელემენტებს ირჩევს. სუბორდინაციის პრინციპი თარგმანში შესანარჩუნებელ ელემენტებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრას ეხება, – როდესაც სათარგმნი ტექსტით შეუძლებელია თარგმანში ერთდროულად ყველა ელემენტი აღვადგინოთ. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტია ერთი მხრივ, ტექსტის თითოეული ელემენტის ფუნქცია ტექსტის საერთო აზრის ჩამოყალიბებაში და, მეორე მხრივ, თვით ტექსტის ფუნქცია – კომუნიკაციაში. მთარგმნელმა ობიექტურად უნდა შეისწავლოს მოცემული ლინგვისტური ნიშნები ტექსტის ჟანრისა და ტიპის გათვალისწინებით, რათა განსაზღვროს ტექსტის კომუნიკაციური ფუნქცია. სათარგმნი ტექსტში გამოსაყენებელი ლინგვისტური ნიშნები იმ შემთხვევაში შეიძლება ეკვივალენტურად ჩაითვალოს, თუკი თარგმანი ისეთივე მახასიათებლებს სთავაზობს მკითხველს, როგორსაც ამოსავალი ტექსტი. მთარგმნელი ანალიზებს ორიგინალის ტექსტს და განიხილავს სხვადასხვა ფაქტორს, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს თარგმნის პროცესზე (ადრესანტი, ადრესატი, ტექსტის ენა, ტექსტის ჟანრი, ტექსტის ტიპი, სიტუაციური კონტექსტი, სოციო-კულტურული გარემო), რათა შეაფასოს მათი გავლენა ლინგვისტური ნიშნების არჩევანზე და განსაზღვროს ტექსტის აზრი (ჰერმენევტიკული პროცესი) (რაისი 2009, 156).

მთარგმნელმა ამოსავალი ტექსტის ის ელემენტები უნდა შეარჩიოს, რომლებიც მას სახასიათოდ მიაჩნია [...] (სელექციის პრინციპი), შემდეგ, სუბორდინაციის პრინციპის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები, სათარგმნი ენაში ამ მნიშვნელოვანი ელემენტების ხელახლა გამოსახატავად. ეს არის ის ძირითადი პრინციპი, რომელსაც

უნდა დაეყრდნოს მთარგმნელი [...]. მთარგმნელობით გადაწყვეტილებებზე, ასევე, ამოსავალ და სათარგმნ ენებს შორის სტრუქტურული განსხვავება ახდენს გავლენას (რაისი 2009, 159).

ეკვივალენტობის განსაზღვრის პარალელურად, ტიპოლოგიური საკითხიც ტრადუქტოლოგებს შორის ყოველთვის დავის საგანი იყო. არსებული შეხედულებით, ეკვივალენტობა ბუნებისა და ტიპების მიხედვით იცვლება (გიდერი 2008, 81).

ნაშრომში, “შესავალი ტრადუქტოლოგიაში”, მ. გიდერი სხვადასხვა ტრადუქტოლოგიის მიერ მოცემული ეკვივალენტობის შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს: 1. ფორმალური ხასიათის “დინამიკურ ეკვივალენტობას” და რეფერენციული და კონოტაციური სახის “პრაგმატიკულ ეკვივალენტობას” (სინტაგმებისა და ფრაზების დონეზე). 2. “ფუნქციურ ეკვივალენტობას” და “ინტერპრეტაციულ ეკვივალენტებს” (კომუნიკაციის დონეზე). 3. “ნორმატიული” ხასიათის “კულტურულ” ეკვივალენტებს (რომლებიც ასახავენ თითოეული კულტურისათვის სპეციფიკურ თავისებურებებს) და პოლიტიკური ხასიათის “იდეოლოგიურ” ეკვივალენტებს (ექსტრალინგვისტურ დონეზე) (გიდერი 2008, 81-82).

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თეორეტიკოსები თანხმდებიან თარგმნის კვლევებისათვის მნიშვნელოვან ორ ძირითად საკითხზე: ერთი მხრივ, ისინი განასხვავებენ პოტენციურ შესატყვისებს, რომლებიც ენისა და ტრადიციული ორენოვანი ლექსიკონების დონეზე არსებობს და, მეორე მხრივ, რეალურ ეკვივალენტებს ტექსტების დონეზე, რომლებიც კონტექსტში არსებულ დისკურსის ტიპებს უკავშირდება. ამასთან, ეკვივალენტობა დღესდღეობით განისაზღვრება, ძირითადად, ინტერტექსტუალურ და არა ინტერლინგვისტურ დონეებზე (გიდერი 2008, 82).

მთარგმნელობითი ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის მეორე მიდგომა ორიგინალის შინაარსში რაღაც ინვარიანტული ნაწილის აღმოჩენას გულისხმობს, რომლის შენარჩუნება აუცილებელი და საკმარისია თარგმანის ეკვივალენტობის მისაღწევად. ხშირად, ასეთი ინვარიანტის როლი ორიგინალის ტექსტის ფუნქციას ან ტექსტში აღწერილ სიტუაციას ენიჭება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი თარგმანს

შეუძლია იმავე ფუნქციის შესრულება ან იმავე რეალობის აღწერა, რაც ორიგინალშია, მაშინ ის ეკვივალენტურია¹⁹.

განსხვავებები ენებს შორის და ის, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია სოციო-კულტურული კონტექსტის ნაწილია, ხშირად ხელს უშლის ამოსავალი ენის ყველა ელემენტისათვის ეკვივალენტური ვერსიის გადმოცემას ტექსტის ყველა დონეზე. ა. პიმი აღნიშნავდა, რომ სწორედ მთარგმნელი განსაზღვრავს ეკვივალენტობას: “ეკვივალენტობა გადამწყვეტია თარგმანში, რადგანაც ის წარმოადგენს ერთადერთ ინტერტექსტუალურ კავშირს, რომელსაც ნათარგმნი ტექსტები წარმოაჩენს სხვა ტიპის ტექსტებისაგან განსხვავებით” (პიმი 1995, 166).

როგორც დ. სელესკოვიჩი აღნიშნავდა, ორი განსხვავებული ენა ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად თითქმის არასოდეს მსგავს ფორმულირებას არ იყენებს (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 73).

ყველა დროის ლიტერატურაში იმას ამტკიცებენ, რომ თარგმანი შეუძლებელია. თარგმანი შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს, რომ თარგმანი ერთდროულად ენასა და ორიგინალში მოცემულ იდეებს დაემთხვეს. ენის ადეკვატურობა აზრის გაბუნდოვნებას იწვევს, აზრის ადეკვატურობას კი იქამდე მივყავართ, რომ საწყისი ფორმების მკაცრ დაცვაზე უარს ვამბობთ (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 85).

ეკვივალენტობის კონცეპტით ტრადუქტოლოგია რეალურად გაემიჯნა ლინგვისტიკას. იმის მიუხედავად, რომ ამ კონცეპტთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა არსებობს, მან ხელი შეუწყო ტრადუქტოლოგიის ავტონომიურ დისციპლინად ჩამოყალიბებას (გიდერი 2008, 82).

¹⁹ <http://naub.ua.edu.ua/2012/k-voprosu-o-probleme-ekvyvalentnosty-y-adekvatnosty-perevoda-nauchno-tehnicheskoyh-termynov/>

1.3. მშობლიური ენის ინტერფერენცია და მისი დამღევის ხერხები ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნისას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანი არა მხოლოდ ორი ენის, არამედ ორი კულტურის, ორი ცივილიზაციის კონტაქტს წარმოადგენს. როგორც წესი, თარგმნის ოპერაციის სირთულეს არა ერთი ენიდან მეორე ენაზე, არამედ ერთი ცივილიზაციიდან მეორე ცივილიზაციაზე გადასვლა წარმოადგენს (ჩოი 1991, 193).

ჟან რენე ლადმირალი აღნიშნავდა, რომ “თარგმანი ლინგვისტური შუამავლობის ფორმაა, რომელიც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის გადაცემას სხვადასხვა ენის მოსაუბრეებს შორის” (ლადმირალი 1994, 11).

დისკურსები, რომლებზეც მთარგმნელებს უხდებათ მუშაობა, იქნება ეს ტექნიკური, სამეცნიერო, ეკონომიკური თუ ა.შ., ითარგმნება პიროვნებების მიერ, რომლებიც კონკრეტულ კულტურას წარმოადგენენ (ჩოი 1991, 193).

დაკისრებული მისიის წარმატებით შესასრულებლად მთარგმნელი არა მარტო სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სამუშაო ენებს, არამედ საფუძვლიანადაც უნდა იცნობდეს ამ ორ კულტურას, ვინაიდან ენათა კონტაქტის დროს ხშირია ინტერფერენციის შემთხვევები, როდესაც შეცდომით ხდება გარეგნულად მსგავსი ორი ტერმინის გამოყენება. განსაკუთრებით ხშირად ამ პრობლემის წინაშე დამწყები მთარგმნელები დგანან, რომლებიც მშობლიური ენის გავლენის ქვეშ არიან.

ლინგვისტური კუთხით ინტერფერენცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ბილინგვიზმის შემთხვევა, ორი ენის კონტაქტის შედეგი. ვ. მაკეი ინტერფერენციის მარტივ განმარტებას გვთავაზობს: “ინტერფერენცია წერის ან საუბრის დროს სხვა ენის ელემენტების გამოყენებას გულისხმობს” (მაკეი 1976, 414).

წერითი თარგმანი უფრო მეტ სიზუსტეს მოითხოვს, შესაბამისად, შეცდომები და ორაზროვნება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რათა სათარგმნ ენაში შეტყობინება სრულად გადმოიცეს.

მთარგმნელი არ უნდა მოექცეს ორიგინალის ენის გავლენის ქვეშ, ინტერფერენციის დამღევის საუკეთესო საშუალება ენობრივი კომპეტენციის გაზრდა და იმის

გაცნობიერებაა, რომ ამოსავალ და სათარგმნ ენებს შორის არსებობს სინტაქსურ-სემანტიკური განსხვავებები. სემანტიკური ინტერფერენცია, ძირითადად, მთარგმნელის ე.წ. “ცრუ მეგობრების” ფორმით ხორციელდება. დამწყები მთარგმნელები ვერ აცნობიერებენ, რომ მიუხედავად მსგავსი ორთოგრაფიისა, სიტყვის მნიშვნელობა და მისი გამოყენება შეიძლება განსხვავებული იყოს.

ინტერფერენციის მიზეზი უცხო ენის არასათანადო დონეზე ფლობა და სათარგმნ ენაზე ზოგიერთი ტერმინის ეკვივალენტის არარსებობაა. მაგალითად, “საარჩევნო კარუსელი” და “მარკირება” – ცნებები, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ნაცნობი, მიუღებელია ტრანსკრიფციის გზით გადავიტანოთ ფრანგულში, ვინაიდან არც *carrousel électoral* და არც *marquage* ფრანგი მკითხველისათვის არაფერს არ ნიშნავს. შესაბამისად, ლოგიკურია ამ ქართული რეალიების გადმოცემა აღწერილობითი თარგმანით: *le vote multiple* და *l'utilisation (application) de l'encre indélébile*.

ენობრივ შეცდომებზე საუბრისას გამოიყოფა ორი კატეგორია: ლინგვისტური კალკი და “ცრუ მეგობრები”. ჟ. მუნენის ლინგვისტური ლექსიკონის განმარტებით, “ცრუ მეგობრები” მსგავსი ფორმისა და ეტიმოლოგიის სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობა ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებულია. ტერმინი “ცრუ მეგობრები” პირველად გამოიყენეს წიგნში *“Les faux amis ou les trahisons du vocabulaire anglais”*. ზოგიერთ შემთხვევაში ლინგვისტური კალკი ენობრივ შეცდომად შეიძლება არც ჩაითვალოს. როგორც წესი, კალკს იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც არა აქვთ სათანადო ენობრივი ცოდნა, ხოლო “ცრუ მეგობრებს” უწოდებენ ორი ენის სიტყვათა წყვილებს, რომლებიც “ინტერლინგვისტურ პარონიმებს” წარმოადგენენ. ფორმალური მსგავსების გამო ხშირად შეცდომით ხდება მათი ეკვივალენტებად აღქმა. მ. ბალარის განმარტებით, ესენია ორი სხვადასხვა ენის ნიშნები, რომელთა აღმნიშვნელები ომონიმურ ან პარონიმულ ურთიერთობაშია და რომელთა, აღსანიშნები, მეტ-ნაკლებად, განსხვავდება ერთმანეთისაგან (ბალარი 2003, 260).

აღმნიშვნელების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ აღსანიშნებიც შეესაბამება ერთმანეთს, რაც ხშირ შემთხვევაში ასე არ არის. ორ ტერმინს, გარეგნულად იდენტურსაც კი, რომელიც ეკუთვნის ორ სხვადასხვა ლინგვისტურ სისტემას,

შეუძლებელია ჰქონდეს ერთი და იგივე მნიშვნელობა. მ. ბალარი განასხვავებს სრულ და ნაწილობრივ “ცრუ მეგობრებს”. სრულ “ცრუ მეგობრებს” “სრულიად განსხვავებული აღსანიშნები აქვთ და, მაშასადამე, ისინი ვერასოდეს ვერ იქნებიან ეკვივალენტები”, სამაგიეროდ, ნაწილობრივი “ცრუ მეგობრების” შემთხვევაში, აღსანიშნების ნაწილი (ანუ ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა) განსხვავებულია და ნაწილი კი, მეტ-ნაკლებად ეკვივალენტური (ბალარი 2003, 261-62).

- *Le Syndicat de la Magistrature appelle à voter contre Nicolas Sarkozy (LEXPRESS 27/04/2012)* - სასამართლოს პროფკავშირი ამომრჩევლებს მოუწოდებს მხარი არ დაუჭირონ ნიკოლა სარკოზის / სასამართლოს პროფკავშირი ამომრჩევლებს მოუწოდებს საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ მისცენ ხმა.

მოცემულ სათაურში სწორედ მთარგმნელის “ცრუ მეგობართან” გვაქვს საქმე. სიტყვას “La magistrature” ფრანგულში ქართულისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ხშირად გარეგნული მსგავსების გამო პირდაპირ ითარგმნება. “La magistrature” არ ნიშნავს “მაგისტრატურას”, არამედ ნიშნავს “სასამართლოს”, მაგისტრატურა კი ფრანგულად გადმოიცემა როგორც “Le mastère”, თუმცა, ბოლო ხანებში მაგისტრატურის აღსანიშნავად ფრანგები ინგლისურ ფორმას Master (LMD) იყენებენ.

ომონიმიის შემთხვევები საკმაოდ ხშირია, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს პრესის სათაურების თარგმნის დროს. საქართველოში სტატიების თარგმანს ძირითადად ჟურნალისტები ასრულებენ, რომელთაც სპეციალური მომზადება არ აქვთ გავლილი.

- *Règlement sur les manifestations: des citoyens voulaient parler avant le vote²⁰* - დადგენილება დემონსტრაციების შესახებ: მოქალაქეებს საკითხის განხილვა ხმის მიცემამდე სურდათ.

მოცემულ შემთხვევაში სიტყვა “Règlement” - “რეგლამენტის” პირდაპირ გადმოტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და გადავწყვიტეთ ქართულ სათაურში ამ ტერმინის

²⁰ <http://www.lapresse.ca/le-soleil/actualites/la-capitale/201206/19/01-4536622-reglement-sur-les-manifestations-des-citoyens-voulaient-parler-avant-le-vote.php>

“დადგენილებით” შეცვლა, ვინაიდან, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, მათი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში განსხვავებულია.

- *Gaza: nouveau raid israélien malgré le cessez-le-feu (L'EXPRESS 14/03/2012)* - ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, ისრაელმა ღაზას სექტორზე საჰაერო იერიში მიიტანა.

მოცემულ სათაურში ასევე ომონიმიასთან გვაქვს საქმე: “raid” - “საჰაერო იერიში” საკმაოდ ხშირად პირდაპირ “რეიდად” გადმოაქვთ, ეს სიტყვაც მთარგმნელის “ცრუ მეგობრად” შეიძლება ჩაითვალოს. აქ საქმე გვაქვს მთარგმნელის ნაწილობრივ “ცრუ მეგობართან”, ვინაიდან სიტყვა “raid”-ის ერთ-ერთ მნიშვნელობად ლექსიკონში “რეიდი”-ც არის დაფიქსირებული, მაგრამ მთარგმნელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ლექსიკონში დაფიქსირებული პირველი მნიშვნელობით და ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სიტუაცია და კონტექსტი.

კალკირების დროს არ ითვალისწინებენ იმას, რომ ანალოგიურმა ტერმინებმა, რომელთაც შესაძლოა ერთი და იგივე წარმომავლობა ჰქონდეთ, განსხვავებული ევოლუცია განიცადეს განსხვავებულ ლინგვისტურ სისტემებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ფორმალურ მსგავსებას ძალზე იშვიათად ახლავს სემანტიკური მსგავსება. მაგალითად :

- *სერბეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას იგნორირება გაუკეთეს²¹ - L'investiture du président serbe boycottée par les pays voisins (par les dirigeants des Balkans)/ L'investiture de Nikolic boudée par ses voisins.*

მოცემულ სათაურში “ინაუგურაცია” ფრანგულად “investiture” - ით შევცვალეთ, ხოლო ზმნა “იგნორირება” - ერთ შემთხვევაში “boycotter”-ით, ხოლო მეორე შემთხვევაში ზმნა “boudier”-ით ჩავანაცვლეთ. ამ შემთხვევაშიც, საქმე მთარგმნელის “ცრუ მეგობრებთან” გვაქვს, იმის მიუხედავად, რომ სიტყვები “ინაუგურაცია” და “იგნორირება” ფრანგული წარმომავლობისაა, მას ფრანგულ ენაში არ აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ქართულ ენაში მიიღო. ფრანგულად “inauguration” - “საზეიმო გახსნას” ნიშნავს, ხოლო ზმნა “ignorer” - “არცოდნას”. პრეზიდენტის უფლებამოსილების აღების ცერემონიის გადმოსაცემად ფრანგები სიტყვა

²¹ <http://www.internet.ge/index.php?l=GE&m=2&sm=0&ID=4986>

“investiture”-ს იყენებენ, ხოლო “იგნორირების” გადმოსაცემად შესაძლებელია გამოვიყენოთ ზმნები: négliger, boycotter, boudier.

- *სახელისუფლებო გუნდი გიორგი ტულუშისგან "პოლიტიკურად ანგაჟირებული" ანგარიშების წარმოდგენას არ ელოდება²²/ Le parti au pouvoir ne s'attend pas à un rapport politiquement marqué de la part de l'ombudsman.*

ამ შემთხვევაში სიტყვა “ანგაჟირებული”, რომელიც ფრანგული ზმნა engager-დან მომდინარეობს, ქართულ ენაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება, შესაბამისად, ფრანგული კალკი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. “პოლიტიკურად ანგაჟირებული” ვთარგმნეთ როგორც “politiquement marqué”.

- *პარლამენტის სპიკერს საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან უფლებამოსილება შეუწყდება²³ - Après la déclaration publique, le Président du parlement sera suspendu de ses fonctions.*

ამ მაგალითში “პარლამენტის სპიკერი” ვთარგმნეთ როგორც “président du parlement”. აქაც მთარგმნელის “ცრუ მეგობართან” გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა “speaker” ფრანგულ ენაში არსებობს, მას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და “დიქტორს” ნიშნავს. ამ სიტყვას ფრანგულ და ქართულ ენებში განსხვავებულად იყენებენ. სიტყვა “speaker” ფრანგულში გამოიყენება მხოლოდ ინგლისისა და აშშ-ს პარლამენტის თავჯდომარის მისამართით.

წერილობით თარგმანში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ტექსტის ანალიზის გარეშე თარგმნა წარმოადგენს, რის შედეგადაც ტექსტში ხშირად ამოსავალი ენის მნიშვნელოვანი ელემენტები რჩება. თუკი გაგების ეტაპს გამოვყოფთ ტექსტის ხელახალი ფორმულირების ეტაპისგან, ეს რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება. დანიცა სელესკოვიჩი და მარიან ლედერერი ფიქრობენ, რომ: “თარგმნა ეს არ არის ერთი ენის ნიშნების ჩანაცვლება სხვა ენის ნიშნებით”. თავდაპირველად აუცილებელია განისაზღვროს ამ ნიშნების რელევანტური მნიშვნელობა, რათა მოხდეს სათარგმნ ენაში შესატყვისების მოძიება. მთარგმნელის “ცრუ მეგობრები” განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ სპეციალიზირებული ტექსტების

²² http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=30498&Itemid=52&ccdate=6-2012

²³ <http://www.internet.ge/?l=GE&m=2&sm=0&ID=2193>

შემთხვევაში, სადაც მთარგმნელი, რომელიც არ არის ამ სფეროს სპეციალისტი, ორმაგადაა შეზღუდული – როგორც ლინგვისტური, ასევე, ექსტრალინგვისტური ცოდნის სიმწირის გამო (სელესკოვიჩი, ლედერერი 2001, 15).

თავი II. თარგმნის პრაგმატიკული ასპექტები

2.1. პრაგმატიკის საკითხები ლინგვისტურ კვლევებში

1938 წელს სტატიაში *“Foundations of Theory of Signs”²⁴*, სემიოტიკოსმა ჩარლზ უილიამ მორისმა ნიშნების ორი განზომილების – სინტაქსის და სემანტიკის პარალელურად, წინა პლანზე წამოსწია პრაგმატიკა, როგორც ნიშნების მესამე განზომილება. ამით მან ყურადღება მიაპყრო იმ ფენომენს, რომელიც თარგმნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან თარგმანში ეკვივალენტობაზე საუბარი პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი არ იქნებოდა. მოგეხსენებათ, ენა არა მარტო ინფორმაციას გადმოსცემს, არამედ გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ადრესატზე. ზემოქმედებაში იგულისხმება მოსაუბრის სურვილი, გამოხატვის ჩვეულებრივი საშუალებებით, ადრესატს შეფასების ისეთივე სისტემა შეუქმნას, როგორიც თვითონ აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკული ასპექტი თავს იჩენს მაშინ, როდესაც გამოხატვის ესა თუ ის საშუალება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს აღქმული. ეს განსხვავებული აღქმა თვითნებურად არ ხდება, იგი განპირობებულია მოსაუბრეთა განსხვავებული აზროვნებით (რაისი 2009, 87).

ლინგვისტური ნიშნების სინტაქსურ განზომილებაში განხილვა იმ ურთიერთობის შესწავლას გულისხმობს, რომელიც მყარდება ენობრივ ნიშნებს შორის და დაინტერესებულია იმ კომბინაციებითა თუ წესებით, რომლებიც სიტყვათა წარმოებას, სიტყვების დაჯგუფებას სინტაგმებში, ფრაზებსა და ტექსტებში განაპირობებს. ლინგვისტური ნიშნების სემანტიკურ განზომილებაში განხილვა გულისხმობს ყურადღების გამახვილებას იმ დენოტაციურ ურთიერთობებზე, რომლებიც მყარდება იმ ლინგვისტურ ნიშნებსა და საგნებს შორის, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. სემანტიკური განზომილება გაცილებით რთული და კომპლექსურია, ვიდრე სინტაქსური, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ერთსა და იმავე ლინგვისტურ ნიშანს შეუძლია მთელი რიგი სემანტიკური ურთიერთობები დაამყაროს, ანუ ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს ფენომენი, რომელსაც პოლისემიას უწოდებენ, ყველა ენაში გვხვდება და

²⁴ “ნიშანთა თეორიის საფუძვლები”.

ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც ლინგვისტური ნიშნების შესწავლას ართულებს (რაისი 2009, 87-88).

პოლისემია, როგორც ამას დ. სელესკოვიჩი აღნიშნავდა, სიტყვებისათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი, ვიდრე ცალკეული საგნების ან ერთეული ცნებებისათვის, რომლებიც ყველა მნიშვნელობის ერთობლიობას შეიცავს [...]. პოლისემია ან ორაზროვნება ახასიათებს კონტექსტის გარეთ მყოფი სიტყვების ერთობლიობას. იგი მაშინვე ქრება, როგორც კი ფრაზა მთლიანად ჩასმულია დისკურსში. მხოლოდ კომუნიკაცია, რომელიც მეტყველებას ქმნის, ათავისუფლებს სიტყვებს პოლისემიისაგან, ფრაზებს კი – ორაზროვნებისაგან და მათ მნიშვნელობას ანიჭებს (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 19-20).

თუკი მოვიშველიებთ ვ. დრესლერის განმარტებას, ლინგვისტური ნიშნების პრაგმატიკულ განზომილებაში განხილვა გულისხმობს: “იმ ურთიერთობის შესწავლას, რომელიც კომუნიკაციის სიტუაციაში ლინგვისტურ ელემენტს ადრესანტთან, ენის მატარებელთან და ადრესატთან აკავშირებს”. ეს ურთიერთობები შესაძლოა უფრო კომპლექსური და განსხვავებული იყოს, ვიდრე სინტაქსურ და სემანტიკურ განზომილებაში. ვ. დრესლერის განმარტებით, პრაგმატიკული განზომილება ამ დანარჩენ ორ განზომილებაზე დომინირებს (დრესლერი 1972, 92).

პრაგმატიკა სწავლობს მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც ჩვენ წინადადებებს ვიყენებთ, ასევე სწავლობს რეალური ცხოვრების პირობებს, რომლის დროსაც გამონათქვამი შეიძლება სწორად იქნეს გამოყენებული. მ. გიდერი აღნიშნავდა, რომ: “პრაგმატიკა მეტყველების შესწავლაა მისი “პრაქსისის”, ანუ გამოყენებისა და მიზნების კუთხით. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს სამეტყველო აქტები და ისეთი გამოთქმები, რომელთაც ეფექტის მოხდენა შეუძლიათ” (გიდერი 2008, 62).

კ. რაისი მიიჩნევს, რომ თვით პრაგმატიკის ცნებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რომ ფ. დე სოსიურის მიერ დაფუძნებულ დისციპლინაში დამკვიდრებულიყო. ზოგიერთი ლინგვისტი პრაგმატიკას დღესაც არ განიხილავს მისი კვლევის სფეროში. თუმცა, ტრადუქტოლოგი, რომელიც უარს იტყვის პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინებაზე, ვერანაირად ვერ შეძლებს განიხილოს ინტერლინგვისტური თარგმანის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დელიკატური პრობლემა, რადგან

ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა არ გულისხმობს ერთი – ლინგვისტური სისტემის კონოტაციის არმქონე ნიშნების მეორე – ლინგვისტური სისტემის არაკონოტაციური ნიშნებით ჩანაცვლებას. მთარგმნელს საქმე აქვს ადრესანტის მიერ კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებულ ლინგვისტურ ნიშნებთან; მისი ფუნქციაა, სათარგმნ ენაში მოიძიოს იმავე ღირებულების ლინგვისტური ნიშნები. მისი ძალისხმევა მიმართულია ადრესატისადმი, რომელიც არა მარტო ლაპარაკობს სხვა ენაზე, არამედ სხვა კულტურული კოლექტივის ნაწილს წარმოადგენს (რაისი 2009, 89).

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნება “პრაგმატიკა” ენათმეცნიერებაში სრულებითაც არ დაიყვანება მხოლოდ ენობრივი ნიშნების პრაგმატიკული მნიშვნელობის ცნებასთან. ეს ცნება გაცილებით უფრო ფართოა და საკუთარ თავში მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ექსტრალინგვისტური გამოცდილების გათვალისწინებით, კომუნიკაციის მონაწილეების მიერ ამა თუ იმ ენობრივი ნიშნის და ტექსტის გაგების განსხვავებულ ხარისხთან და აღქმასთან. კომუნიკაციის მონაწილეების ექსტრალინგვისტური გამოცდილება ანუ ფონური ცოდნა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენობრივი და სამეტყველო ერთეულების გაგებას (ბარხუდაროვი 1975, 106).

თარგმნის პროცესის პირველ ეტაპზე მთარგმნელი, რომელიც რეცეპტორის როლშია, ცდილობს ტექსტიდან მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია, ამასთან იგი უნდა ფლობდეს ისეთსავე ფონურ ცოდნას, როგორიც ამოსავალი ენის მატარებლებს აქვთ. თარგმანის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია, მთარგმნელი იცნობდეს ამოსავალი ენის ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, წეს-ჩვეულებებსა და რეალიებს (კომისაროვი 2002, 137). მაგალითად:

- *Matignon propose un nouveau gendarme du nucléaire (Le Figaro 29/10/2012) - საფრანგეთის პრემიერმა ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურა დაასახელა.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: მატინიონი ბირთვული ენერგიის ახალ ჟანდარმს გვთავაზობს).

- *"თბილისის მხატვარი" საქართველოში: თენგიზ კიტოვანი დაბრუნდა*²⁵-
Tenguiz Kitovani - le principal instigateur de la guerre civile de retour en Géorgie/ Le principal "auteur" de la destruction de Tbilissi est de retour en Géorgie/ "Le peintre de Tbilissi" est de retour en Géorgie.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: Le peintre de Tbilissi est en Géorgie : Tenguiz Kitovani est retourné).

აუცილებელია ორივე სათაურის განმარტება. პირველი სათაურის შემთხვევაში საჭიროა განვმარტოთ ფრანგული პოლიტიკური რეალია "Matignon", რომელიც მეტონიმის სახეობაა და საფრანგეთის პრემიერისა და მთავრობის რეზიდენციას აღნიშნავს, და რომლის განმარტების გარეშე გადმოტანაც ქართველ მკითხველს სათაურის აღქმას გაურთულებს. ასევე ავხსენით "gendarme du nucléaire", რადგანაც მსგავსი სტრუქტურა ქართულ სინამდვილეში არ არსებობს, სიტყვა "gendarme", რომელიც ქართულში განსხვავებული კონოტაციის მატარებელია, შეცვალეთ სიტყვით "ხელმძღვანელი". მეორე სათაური ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ მტკივნეულ თემას უკავშირდება, შესაბამისად, თარგმნის დროს სათაურის პრაგმატიკის გათვალისწინება აუცილებელია, რათა მკითხველს ადეკვატურად მივაწოდოთ სათაურის შინაარსი და ემოცია. სათაურის თარგმნის დროს აუცილებელია ლექსიკური დამატებებისა და ტრანსფორმაციების განხორციელება. "თბილისის მხატვარი" ქართველ მკითხველში უარყოფით ემოციას იწვევს. ის 1992 წლის სამოქალაქო ომს და თბილისის ნგრევას უკავშირდება. სათაურის პირველ ვარიანტში განმარტებულია, რომ "თენგიზ კიტოვანი" საქართველოს სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, ფრანგულ სათაურში "მთავარი მხატვრის" მაგივრად "სამოქალაქო ომის გამჟღავნებელი" გამოვიყენეთ. მეორე ვარიანტიც ასევე მისაღებია, ვინაიდან განმარტებულია, რომ კიტოვანი თბილისის ნგრევის მთავარი ორგანიზატორი იყო. მესამე ვარიანტში "თბილისის მხატვარი" უცვლელად გადმოვიტანეთ. ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ თ. კიტოვანი პროფესიით მხატვარი იყო, რაც უცნობია მფრანგი მკითხველისათვის. ბრჭყალების გამოყენებით ვცდილობთ მკითხველის დაინტრიგებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი მიუღებელია. ამ ტრანსფორმაციების შედეგად

²⁵ <http://www.itv.ge/?m=16&CID=26314>

შედლებისდაგვარად შევეცადეთ აღნიშნული სათაურების პრაგმატიკა შეგვენარჩუნებინა.

“პრაგმატიკული მნიშვნელობა განსაზღვრულ იქნა როგორც ურთიერთობა ნიშანსა და ადამიანს შორის, უფრო ზუსტად კი, კოლექტივს შორის, რომელიც აღნიშნულ ნიშანს იყენებს. ლინგვისტური კომუნიკაციის პროცესში, ადამიანები, რომლებიც ენობრივ ნიშნებს იყენებენ, მათ მიმართ გულგრილები არ არიან. ისინი სხვადასხვანაირად რეაგირებენ ამა თუ იმ ენობრივ ნიშანზე და მათი საშუალებით აღნიშნულ რეფერენტებსა და დენოტატებზე. ადამიანების სუბიექტური ურთიერთობა ენობრივ ერთეულებთან და მათი საშუალებით, აღნიშნულ საგნებთან და ცნებებთან, ხშირად ფიქსირდება ამ ნიშანში და როგორც მუდმივი კომპონენტი, ენობრივი ნიშნის სემანტიკურ სტრუქტურაში პრაგმატიკული მნიშვნელობის სახით შედის” (ბარხუდაროვი 1975, 106).

ნებისმიერი ტექსტი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რომელსაც გადასცემენ ადრესატს. ადრესატმა უნდა აღიქვას და გაიგოს ეს ინფორმაცია. ამგვარად, მყარდება ე.წ. პრაგმატიკული ურთიერთობა მკითხველსა და ტექსტს შორის. ასეთი ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. არის შემთხვევები, როდესაც ტექსტი მკითხველისათვის მხოლოდ ინფორმაციის წყაროა სხვადასხვა მოვლენისა თუ ფაქტების შესახებ და მისთვის ინტერესის განსაკუთრებულ ობიექტს არ წარმოადგენს, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადრესატის გრძნობებზე და იწვევს გარკვეულ ემოციურ რეაქციას. ტექსტის თვისებას, მოახდინოს მსგავსი კომუნიკაციური ეფექტი ანუ პრაგმატიკული ზემოქმედება, პრაგმატიკულ ასპექტს უწოდებენ (კომისაროვი 1990, 209).

როგორც ნებისმიერ მკითხველს, მთარგმნელსაც უჩნდება საკუთარი დამოკიდებულება ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ. მთარგმნელი, რომელიც ენობრივი შუამავლის ფუნქციას ასრულებს, უნდა შეეცადოს, რომ მისი დამოკიდებულება არ აისახოს თარგმანის სისწორეზე. ამ თვალსაზრისით მთარგმნელი პრაგმატიკულად ნეიტრალური ფიგურა უნდა იყოს (კომისაროვი 1990, 211).

ლ. ბარხუდაროვის აზრით, პრაგმატიკულ მნიშვნელობებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც ენობრივი კოლექტივის წევრების ურთიერთობა ნიშანთან, ამ ნიშნის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილი ხდება და აისახება ლექსიკონში (ბარხუდაროვი 1975, 106).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლინგვისტური ნიშნების პრაგმატიკული განზომილება უკიდურესად რთული ფენომენია. ზოგჯერ ურთიერთობა, რომელიც მყარდება ენის მომხმარებელსა და ლინგვისტურ ნიშანს შორის, განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის შეტყობინების მომხმარებელი: ადრესანტი თუ ადრესატი. მაგალითად, იდეათა ასოციაცია ან რეაქცია, რომელსაც იწვევს ესა თუ ის ლინგვისტური ნიშანი, ზოგჯერ ძალიან ინდივიდუალურია, ვინაიდან ენის თითოეულ მომხმარებელს საკუთარი გამოცდილება და ტემპერამენტი აქვს. შესაძლოა, ლინგვისტური ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ორივე ადამიანისათვის ერთნაირი იყოს, მაგრამ განსხვავდებოდეს პრაგმატიკული განზომილება. როგორც წესი, ასხვავებენ ადრესანტთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ ფაქტორებსა და რეცეპტორთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ ფაქტორებს (რაისი 2009, 90).

თარგმნის ობიექტი უნდა იყოს შეტყობინების აზრი და არა – ენა. ენათა შედარების დონეზე წარმოებული თარგმანი არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მოხდება ტექსტში მოცემული ინფორმაციიდან აზრის სრულად გამოტანა. “ნებისმიერი ტექსტი კომუნიკაციურია და გარკვეულ შეტყობინებას შეიცავს, რომელსაც ადრესანტი გადასცემს ადრესატს. მიღებული ინფორმაციის აღქმის შედეგად, ადრესატი გარკვეულ პირადულ ურთიერთობაში შედის ტექსტთან, რომელსაც პრაგმატიკულ ურთიერთობებს უწოდებენ. ასეთი ურთიერთობები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, ისინი შესაძლოა იყოს უპირატესად ინტელექტუალური ხასიათისა, როდესაც, მაგალითად, რეცეპტორისათვის ტექსტი მხოლოდ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს გარკვეული ფაქტებისა თუ მოვლენების შესახებ, რომელიც მას პირადად არ ეხება და მისთვის განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს. იმავედროულად, მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება უფრო ღრმა გავლენა იქონიოს ადრესატზე. მან შეიძლება იმოქმედოს მის გრძნობებზე, გამოიწვიოს გარკვეული ემოციური რეაქცია და წააქეზოს რეცეპტორი გარკვეული ქმედებებისკენ. ტექსტის უნარს, მოახდინოს მსგავსი კომუნიკაციური ეფექტი, გამოიწვიოს ადრესატის

პრაგმატიკული დამოკიდებულება მიწოდებულ შეტყობინებაზე, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაგმატიკული ზეგავლენა იქონიოს ადრესატზე, პრაგმატიკული ასპექტი, ანუ ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალი ეწოდება” (კომისაროვი 1999, 209).

მაგალითად, ავიღოთ სიტყვები “პინგვინი” და “ოცნება”. ეს სიტყვები ფრანგ მკითხველში განსაკუთრებულ რეაქციას არ იწვევს, მაშინ, როდესაც ქართულ რეალობაში მათი დატვირთვა სრულიად განსხვავებულია. ამ სიტყვებს საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობასთან ერთად აქვს ემოციური დატვირთვაც. ამიტომ, ფრანგულად თარგმნის დროს პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ქართველი მკითხველისაგან განსხვავებით, ქართული პოლიტიკური ცხოვრების რეალიები ფრანგი მკითხველისათვის უცნობია. მაგალითად:

- *“მაესტროს” თეფშები ჰაერში დარჩა²⁶ - Les antennes paraboliques de la chaîne d’opposition «Maestro» saisies par la justice géorgienne / Les antennes satellitaires de la chaîne d’opposition « Maestro » restent en l’air.*

აღნიშნული სათაური ასახავს ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რომელსაც ქართველი მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს, შესაბამისად, მოცემული სათაური ზედმეტი განმარტებების გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, თუმცა, სათაურის თარგმნის დროს მისი პრაგმატიკის სრულად გადმოსაცემად საჭირო ხდება გარკვეული განმარტებების გაკეთება, როგორც “მაესტრო”, ასევე, “თეფშები” საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებებს. სათაურის თარგმანში განმარტებულია, რომ “თეფშების” შემთხვევაში საუბარია სატელიტურ ანტენებზე, ხოლო “მაესტროს” შემთხვევაში – ოპოზიციურ არხზე, ამასთან, სათაურის პირველ ვარიანტში დაზუსტებულია, რომ აღნიშნული თეფშები სასამართლო გადაწყვეტილებით იქნა დაყადაღებული, რაც ქართულ სათაურში იმპლიციტურადაა ნაგულისხმევი.

პრაგმატიკული დონე მოიცავს კომუნიკაციისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა, საკომუნიკაციო ინტენცია და საკომუნიკაციო ეფექტი²⁷.

²⁶ <http://www.radiotavisupleba.ge/content/tv-maestro/24642833.html>

მთარგმნელს ევალება მომართოს სათარგმნი ტექსტი მეორე ენის ძირითადი პრაგმატიკული პარამეტრების გათვალისწინებით და იმ რეაქციის წინასწარი განჭვრეტით, რასაც დენოტაციური და კონოტაციური კომპონენტების მატარებელი ტექსტი გამოიწვევს, ანუ მას უხდება არა მარტო ზუსტი აზრობრივი ეკვივალენტის პოვნა, არამედ ზუსტი ფუნქციური შესატყვისის მოძიება; მთარგმნელს უხდება არა მარტო ორი განსხვავებული ენის პრაგმატიკულ სისტემათა შეპირისპირება, არამედ – კულტურულ თავისებურებათა გათვალისწინება.

რეცეპტორზე პრაგმატიკული ზეგავლენის მოხდენა ნებისმიერი კომუნიკაციის, მათ შორის, ენათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ის, თუ როგორ პრაგმატიკულ ურთიერთობაში შევა რეცეპტორი ტექსტთან, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ენობრივ ერთეულებს გამოიყენებს მთარგმნელი სათარგმნ ენაში²⁸.

პრაგმატიკული განზომილება არ არსებობს მხოლოდ სიტყვის დონეზე, ის არსებობს სინტაგმის, ფრაზისა და მთლიანად აღებული ტექსტის დონეზე. აქედან გამომდინარე, პრაგმატიკული ურთიერთობები ხორციელდება ტექსტის პრაგმატიკის ჩარჩოებში. ლინგვისტური ნიშნების პრაგმატიკული განზომილება არის საზოგადოების ისტორიის ნაყოფი. ავტორები ხშირად მიმართავენ ისტორიულ ალუზიებს, რათა სიტყვების მცირე რაოდენობით გადმოსცენ რთული რეალობები და შეხედულება, რომელიც ამ ალუზიების ირგვლივ ჩამოყალიბდა (რაისი 2009, 91).

გ. მორენოს აზრით²⁹, საგაზეთო მასალის თარგმნის დროს ყოველთვის ჩნდება გარკვეული “დაპირისპირება” ამოსავალი და სათარგმნი ენის ლინგვისტურ და დისკურსულ სტრუქტურებს შორის. არჩევანი, როგორც წესი, სხვადასხვა მოტივაციის საფუძველზე კეთდება. საგაზეთო მასალის მთარგმნელს უხდება ამოსავალი ენის ტექსტის სათარგმნ ენაზე მორგება.

²⁷ http://samlib.ru/w/wagapow_a_s/breus-th-pr.shtml

²⁸ http://www.classes.ru/grammar/43.Teoriya_perevoda_Lingvicheskkiye_aspekty/extfile/help2/html/unnamed_50.html

²⁹ <http://www.translationdirectory.com/article1135.htm>

თუმცა, ყველაზე უფრო დიდი პრობლემების წინაშე, პრაგმატიკული პოტენციალის გადმოცემის თვალსაზრისით, მაინც მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელები დგანან (კომისაროვი 1990, 215).

დაბოლოს, პრაგმატიკულ ურთიერთობაზე გავლენას ახდენს კომუნიკაციური სიტუაცია და კომუნიკაციის სოციო-კულტურული როლი. როდესაც კომუნიკაციური სიტუაცია იცვლება, ტექსტის ტიპი და ტექსტის ჟანრიც იცვლება. პრაგმატიკის ჩარჩოებში შეიძლება განვასხვაოთ ტექსტის რომელიმე ტიპისა თუ ჟანრისათვის დამახასიათებელი პრაგმატიკული ფაქტორი (რაისი 2009, 91).

2.2. პრაგმატიკის როლი თარგმნის თეორიაში

როგორც დისერტაციის დასაწყისში აღვნიშნეთ, დღესდღეობით ორი დიდი თეორიული მიმდინარეობა – თარგმნის ლინგვისტური თეორია და თარგმნის ინტერპრეტაციული თეორია უპირისპირდება ერთმანეთს იმისათვის, რომ ნათელი მოჰფინონ თარგმნის ოპერაციის ბუნებას. თარგმნის ლინგვისტური თეორია, თარგმანს ლინგვისტურ ტრანსფერად მოიაზრებს და ამტკიცებს, რომ მთარგმნელმა სწორედ ენაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება.

თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის მომხრეების მსგავსად მიგვაჩნია, რომ მთარგმნელის მთავარი ფუნქცია არა სიტყვების, არამედ ორიგინალის ტექსტის ძირითადი აზრის გადმოცემაა, რომლის დროსაც მთარგმნელმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს არა სიტყვებზე, არამედ – ამოსავალი ტექსტის თემატურ და პრაგმატიკულ ასპექტებზე. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პრაგმატიკული ფაქტორების გათვალისწინება ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის უკეთ გასაგებად.

არსებობს უამრავი მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა დიდ შეცდომებს უშვებენ მთარგმნელები, როდესაც ლექსიკურ ერთეულებს მათი ფორმალური (ლექსიკური) შესატყვისებით გადმოსცემენ და არ ითვალისწინებენ მათ სემანტიკურ ველს, კონტექსტს, კულტურულ შეფერილობას და ვერ პოულობენ ტექსტუალურ ეკვივალენტებს.

კ. რაისი აღნიშნავდა, რომ მთარგმნელის მოვალეობას ორიგინალის ენის ადაპტირება და სათარგმნ ენაზე მორგება წარმოადგენს, ტექსტის ადრესანტისა და ადრესატის კულტურული განსხვავების გათვალისწინებით (რაისი 2009, 91).

ენობრივ ნიშანს აქვს არა მხოლოდ სემანტიკა (ურთიერთობა აღსანიშნთან) და სინტაქტიკა (ურთიერთობა სხვა ნიშნებთან), არამედ – პრაგმატიკაც (ურთიერთობა ენის მატარებელთან). ენობრივ ნიშნებს შეუძლიათ მოახდინონ სხვადასხვა სახის შთაბეჭდილება (დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური), მოახდინონ ზემოქმედება და ადრესატში ესა თუ ის რეაქცია გამოიწვიონ ³⁰.

³⁰ http://www.classes.ru/grammar/_109.Komissarov_Sovremennoe_perevodovedenie/html/8-.html

ვ. კომისაროვი იქვე დასძენს, რომ ნებისმიერი გამონათქვამი იქმნება კონკრეტული კომუნიკაციური ეფექტის მოხდენის მიზნით, ამიტომ პრაგმატიკული პოტენციალი გამონათქვამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, პრაგმატიკული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სათარგმნ ტექსტში. მთარგმნელს უხდება ორიგინალის პრაგმატიკული პოტენციალის გადმოცემა ან გარკვეული ცვლილებების შეტანა ტექსტში, ამიტომ, თარგმნის პრაგმატიკული ასპექტების შესწავლა თარგმნის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია.

ბუნებრივია, ამოსავალი ტექსტისა და ნათარგმნი ტექსტის პრაგმატიკა განსხვავებულია და ეს განსხვავება, რომელიც ადრესანტისა და ადრესატის პრაგმატიკის დონეზე სცდება ერთენოვანი კომუნიკაციის საზღვრებს, უნდა დაიდლოს თარგმნის ოპერაციის საშუალებით. როდესაც ელოდებიან, რომ თარგმანი იყოს ორიგინალის ეკვივალენტური, მთარგმნელი მხოლოდ სემანტიკური და სინტაქსური განზომილებებით ვერ შემოიფარგლება. აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ პრაგმატიკული განზომილება და სოციო-კულტურული ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტექსტის პრაგმატიკის თვალსაზრისით იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის ავტორისაგან განსხვავებით, ნათარგმნი ტექსტის მკითხველი სხვა ლინგვისტურ და კულტურულ კოლექტივს ეკუთვნის (რაისი 2009, 91).

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს კომუნიკაცია სათარგმნი ენის მკითხველთან და შენარჩუნებულ იქნას ავტორისეული განზრახვა, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს ენობრივ კოლექტივებს შორის არსებული პრაგმატიკული განსხვავებები, რომელიც მატერიალიზებულია ორ ლინგვისტურ სისტემაში. იმ მოვალეობებიდან, რომელიც მთარგმნელს ეკისრება, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (რაისი 2009, 92).

ვ. კომისაროვი აღნიშნავდა³¹, რომ ყველა სახის სათარგმნი მასალა ერთნაირად არ მოითხოვს პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინებას, აქ ლაპარაკი არაა თარგმანის ხარისხზე, საუბარია მხოლოდ ორიგინალისა და თარგმანის მკითხველის ერთნაირ რეაქციაზე. იმავე რეაქციის გამოწვევა არ წარმოადგენს ნებისმიერი თარგმანის

³¹ http://www.classes.ru/grammar/_109.Komissarov_Sovremennoe_perevodovedenie/html/8-.html

სავალდებულო მიზანს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამის მიღწევა პრინციპულად შეუძლებელია თარგმანის ადრესატის თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა, როგორც წესი, ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვე თარგმანისადმი წაყენებულ მთავარ მოთხოვნად რჩება.

თარგმნის თეორიის სპეციალისტი ა. ნოიბერტი სათარგმნ მასალას ოთხ ჯგუფად ყოფს იმის მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს მათში პრაგმატიკული მომენტები:

1. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, რომელიც ერთნაირადაა ორიენტირებული როგორც ამოსავალი, ასევე სათარგმნი ენის მატარებლებზე. მათი გაგების ხარისხი ერთნაირია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ყველა ადამიანისათვის, რადგან ის გათვლილია ამ სფეროს სპეციალისტებზე. ორიგინალის პრაგმატიკული მიმართულება გაცილებით სრულად გადმოიცემა მაშინ, როდესაც ადრესატებში არსებობს საერთო პრაგმატიკული ინტერესი. საკმაოდ წარმატებულადაა შესაძლებელი იმ ორიგინალების პრაგმატიკული პოტენციალის შენარჩუნება, რომლებიც სპეციალურად თარგმანისთვის იქმნება (მაგალითად, უცხოური აუდიტორიისთვის განკუთვნილი საინფორმაციო სახის მასალა).

2. ადგილობრივი პრესის მასალა და ზოგიერთი ტექსტი, რომელიც გათვლილია “შიდა მოხმარებაზე”. იმის მიუხედავად, რომ მათი შინაარსი ყოველთვის გასაგები როდია უცხოენოვანი მკითხველისათვის, მათი უცხო ენაზე თარგმნა ძალზე იშვიათად ხდება და მათი პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინების პრობლემა თარგმნის პროცესში, როგორც წესი, თავს არ იჩენს. მაგალითად:

- *მოიდა მარეხა, ოლეგა დაგერხა - ანუ ტააატამია, ხალხო, ტატააამი*³².
- *"ამერიკაში იცის კატრინა, კასპში გვყავს ქარიშხალი ოლეგა"*³³.

კასპის რაიონის გამგებელ ოლეგ იამისა და ამავე რაიონის მცხოვრებ მარეხ ყამბეგაშვილის დაპირისპირება დიდი ხანია კასპის რაიონის საზღვრებს გასცდა. ყოფილი თანაგუნდელები ო. იამეს რამდენიმე კვირის წინ საკადრო პოლიტიკის გამო დაუპირისპირდნენ. “მარეხ მოუსვენარი”, ასევე, “მრისხანე ოლეგა” ქართველ მკითხველს მხიარულ განწყობაზე აყენებს. ბევრი ვიფიქრეთ იმის შესახებ,

³² <http://marao.ambebi.ge/satcorao/3728>

³³ <http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/26293>

შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული სათაურების პრაგმატიკის ფრანგულად გადმოცემა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სახის მასალები ძირითადად ლოკალურ პრობლემებს ეხება, შეიძლება ითქვას, რა მთარგმნელობითი სტრატეგიაც არ უნდა ავირჩიოთ, ამ სათაურების პრაგმატიკული მხარე ფრანგი მკითხველისათვის ფაქტობრივად გაუგებარი დარჩება, თუმცა, ფრანგულად აზრის გადმოცემა შეიძლება მოვლენის აღწერით.

3. მხატვრული ლიტერატურა, რომელიც პირველ რიგში იმ მკითხველზეა გათვლილი, რომლისთვისაც მოცემული ენა მშობლიურია. მათი თარგმნა, პრაგმატიკული თვალსაზრისით, მთარგმნელისათვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს. როგორც წესი, მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც ორიენტირებულია ამოსავალი ენის ადრესატზე, საკმაოდ შეზღუდულია პრაგმატიკული ადეკვატურობა.

4. საგარეო პოლიტიკის და სარეკლამო მასალები. მათი თარგმნის პროცესში პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ისეთი დოკუმენტების პრაგმატიკული ადეკვატურობის გადმოცემა, რომლებიც ექსკლუზიურად მოცემულ ენობრივ კოლექტივზეა გათვლილი (საკანონმდებლო დოკუმენტები, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოცემები, სხვადასხვა სახის განცხადებები) საერთოდ შეუძლებელია (ნოიბერტი 1968, 30-31) .

თარგმანის დანიშნულება ორიგინალის სრულად ჩანაცვლებაა. მთარგმნელი ყოველთვის ცდილობს იხელმძღვანელოს ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალით და არა – მისი სისწორის ან მართებულობის მიმართ თავისი პირადი დამოკიდებულებით. რიგ შემთხვევებში, ორიგინალის შინაარსის ეკვივალენტური გადმოცემა თარგმანში, პრაგმატიკული პოტენციალის გადმოცემას უზრუნველყოფს³⁴.

კ. რაისი მიიჩნევს, რომ თარგმნის პროცესის პირველ ფაზაში, ანუ ამოსავალი ტექსტის ანალიზის დროს, მთარგმნელი ახდენს პრაგმატიკული ურთიერთობების განხილვას, რათა გამოავლინოს პრაგმატიკული ურთიერთობების ბუნება, მისი ეფექტი და ის ფუნქცია, რომელსაც ტექსტი ლინგვისტურ და სიტუაციურ კონტექსტში ასრულებს. ანალიზის დასრულების შემდეგ, სანამ მოხდება რევერბალიზაციის, ანუ ხელახალი ფორმულირების ეტაპზე გადასვლა, საჭიროა მოვძებნოთ ორიგინალისა და

³⁴ http://www.classes.ru/grammar/_109.Komissarov_Sovremennoe_perevodovedenie/html/8-.html

სათარგმნი ენების პრაგმატიკული ასპექტების საერთო აღმნიშვნელი, სწორედ ეს საერთო აღმნიშვნელი ხდის შესაძლებელს, შევადგინოთ ამოსავალი ტექსტის პრაგმატიკულად ეკვივალენტური სათარგმნი ტექსტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ ენას შორის ეს ფაქტორები განსხვავებულია. იმისათვის, რომ ვიპოვოთ ეს აღმნიშვნელი, საჭიროა არა მარტო ფართო ლინგვისტური და კულტურული ცოდნა, არამედ – ენის შეგრძნება და ემპათია³⁵ (რაისი 2009, 106).

“როდესაც ავტორი წერს საკუთარი ენობრივი და კულტურული კოლექტივისათვის, მას შეუძლია გაითვალისწინოს მისთვის დამახასიათებელი პრაგმატიკული ფაქტორები, მაგრამ არ შეუძლია გაითვალისწინოს ყველა იმ ადრესატის პრაგმატიკული ფაქტორი, რომლისთვისაც ეს ტექსტი შესაძლოა ითარგმნოს. იმისთვის, რომ აღმოფხვრას ის მცირე თუ დიდი პრაგმატიკული განსხვავებები, რომლებიც ორ კულტურულ და ლინგვისტურ კოლექტივს შორის არსებობს, მთარგმნელი ვალდებულია გაითვალისწინოს სათარგმნი ენის მკითხველის პრაგმატიკა. მთარგმნელი გარკვეულწილად “კულტურული ფილტრის” ფუნქციას ასრულებს. იმისთვის, რომ მკითხველს არ მიაწოდოს ნაკლებად გამოყენებული ან გაუგებარი ლინგვისტური ნიშნებით სავსე თარგმანი, მთარგმნელს უხდება სათარგმნელ ენაში მოიძიოს ის, რასაც ი. ნაიდა (1964, 166) “ყველაზე უფრო ახლო და ბუნებრივ ეკვივალენტს” უწოდებდა (რაისი 2009, 92). მაგალითად:

- *Royaume-Uni: le scandale des écoutes fait chuter le patron de Scotland Yard (Le Parisien 17.07.2011) - უკანონო სატელეფონო მოსმენების სკანდალის გამო დიდ ბრიტანეთში სკოტლანდ-იარდის ხელმძღვანელი გადადგა / უკანონო სატელეფონო მოსმენების სკანდალის გამო დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგა.*
- *საიდუმლო სერობა ავლაბარში, ანუ მერაბიშვილი პრეზიდენტობისთვის ემზადება!*³⁶ - *La Cène à la résidence du Président géorgien: l'ancien ministre de l'Intérieur se prépare à la présidentielle.*

³⁵ ადამიანის უნარი უთანაგრძნოს სხვებს და გაიგოს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა (იხ. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge>).

³⁶ <http://iverioni.com.ge/3190>

მოცემული სათაურები ინგლისურ და ქართულ რეალიებს აღწერს, პირველი სათაურის თარგმანის ორ ვარიანტს გთავაზობთ: პირველ შემთხვევაში შენარჩუნებულია რეალია “Scotland Yard” და ის განმარტებების გარეშე გვაქვს ქართულად გადმოტანილი, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სტრუქტურა მეტ-ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველისათვის. მეორე ვარიანტში “Scotland Yard”-ის ნაცვლად გამოყენებული გვაქვს “შინაგან საქმეთა მინისტრი”, ვფიქრობთ, მეორე ვარიანტი უფრო მისაღები უნდა იყოს მკითხველისათვის, თუმცა, ორივე სათაურის გამოყენება შესაძლებელია. მეორე სათაურში ასევე აუცილებელია განმარტებების გაკეთება, ვინაიდან, ქართველი მკითხველისაგან განსხვავებით, რეალია “ავლაბარი” გაუგებარია ფრანგი მკითხველისათვის და არ ასოცირდება პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ამასთან, თარგმნის დროს გადავწყვიტეთ “ვანო მერაბიშვილის” მაგივრად ფრანგულში გამოგვეყენებინა “შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი”, რათა მკითხველმა შეძლოს ტექსტში ორიენტირება.

როდესაც ლინგვისტური გამონათქვამი მიმართულია კომუნიკაციისაკენ (ნათარგმნი ტექსტის შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ კომუნიკაციის ინტენციაზე), ადრესანტის სურვილია, რომ მისი გზავნილი ადრესატს საკუთარი სურვილის მიხედვით გააგებინოს. შესაბამისად, ადრესანტი ლინგვისტურ ნიშნებს პოტენციური ადრესატის პრაგმატიკის გათვალისწინებით ირჩევს, ადრესატის წინარე ცოდნის, მენტალიტეტის და ენობრივ და კულტურულ კოლექტივში არსებული ჩვევებისა და წესების შესაბამისად. ტექსტის შექმნის პროცესში, ავტორი ყოველთვის არჩევანის წინაშე დგას, რომელი ინფორმაცია უნდა გადმოიცეს ტექსტში სიტყვების მეშვეობით და რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს ნაგულისხმევი, რადგან ეს ინფორმაცია სავარაუდოდ ცნობილი უნდა იყოს ადრესატისათვის. არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია იმაზე, ორიგინალის ენის მატარებელია ადრესატი, თუ – უცხო ენის. ის, რაც შეიძლება ნაგულისხმევი იყოს ამოსავალი ენის ადრესატისათვის და არ საჭიროებდეს სიტყვებით გამოხატვას, ძალიან ხშირად საჭიროებს განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას სათარგმნი ენის მკითხველისათვის (რაისი 2009, 92). მაგალითად :

- „ურწმუნო თომას“ ბაცილა თუ „ნაცების“ უაზრო პროტესტი³⁷ - *Le bacille de Thomas l'incrédule ou la contestation du parti nationaliste dénouée de tout fondement.*

იმის გასაგებად, რატომ არის შედარებული “ნაციონალური მოძრაობის” პროტესტი მაცხოვრის მოსწავლე თომასთან, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ თომა მოციქული სკეპტიციზმით გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, სტატიის ავტორს სურდა თომა მოციქულისა და ნაცმოძრაობის სკეპტიციზმს შორის პარალელის გავლება. ამასთან, თარგმნის დროს აუცილებელი ხდება განვმარტოთ რეალია “ნაცები”, რომლის კალკირებამ (nazy), ფრანგი მკითხველი შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს.

პრაგმატიკული მიდგომის ძირითად ინტერესს ტრადუქტოლოგიისათვის წარმოადგენს ის, რომ იგი ტექსტში ან დისკურსში ყველაზე უფრო თვალშისაცემ ელემენტებს უსვამს ხაზს. ამ მიდგომის წყალობით, მთარგმნელი აცნობიერებს თანამოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება გარეგნული ლინგვისტური აზრისაგან განსხვავდებოდეს (გიდერი 2008, 62).

პ. გრაისმა აჩვენა, რომ სამეტყველო კომუნიკაცია შეიძლება იყოს იმ დისკურსული იმპლიციტის მატარებელი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს გადმოცემული შეტყობინების აზრზე. მთარგმნელმა ან თარჯიმანმა არა მხოლოდ უნდა შეძლოს ამოსავალ ენაში ამ იმპლიციტური აზრის აღმოჩენა, არამედ ეს აზრი სათარგმნ ენაზე უნდა გადმოსცეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამონათესავე ენებისათვის, ვინაიდან ისინი ახსნისა და იმპლიკაციის სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ. არსებობს თითოეული ენის დისკურსისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები, რომელთა გვერდის ავლა თარგმანში შეუძლებელია. მოკლედ, პრაგმატიკული მიდგომა მთარგმნელისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენება ყველა ტიპის ტექსტისათვის და დისკურსის ყველა ჟანრისათვის შეუძლებელია. ის ეხება სიტუაციების გარკვეულ კატეგორიას, რომელთა მართვა შესაძლებელია კომუნიკაციის საერთო პარადიგმისა და შემეცნების ჩარჩოებში (გიდერი 2008, 62).

როგორც ვ. კომისაროვი აღნიშნავდა³⁸, გარკვეული პრაგმატიკული ზეგავლენისა და კომუნიკაციური ეფექტის მოხდენა მკითხველზე ან მსმენელზე შეუძლია ნებისმიერ

³⁷ <http://iverioni.com.ge/2400>

³⁸ http://www.classes.ru/grammar/_109.Komissarov_Sovremennoe_perevodovedenie/html/8-.html

ტექსტს. ასეთი ზეგავლენის ხასიათი განისაზღვრება 3 ძირითადი ფაქტორით: 1. გამონათქვამის შინაარსი, 2. გამონათქვამის აღქმა, რომელიც დამოკიდებულია ამ გამონათქვამის შემადგენელ ნიშნებზე და 3. გამონათქვამის პრაგმატიკული ზეგავლენა, რომელიც თვით ადრესატზეა დამოკიდებული. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრაგმატიკული ზეგავლენა, რომელიც გამონათქვამის შინაარსითა და ფორმით განისაზღვრება, შესაძლოა არასრულად განხორციელდეს ან საერთოდ არ განხორციელდეს ამა თუ იმ ტიპის ადრესატთან მიმართებაში. გამონათქვამის პრაგმატიკული პოტენციალი განსხვავებულად რეალიზდება და ძნელია განვსაზღვროთ რეალური ეფექტი, რომლის მოხდენაც სხვადასხვა ადრესატზე შეიძლება. ამასთან, უნდა ავღნიშნოთ, რომ ორიგინალისა და თარგმანის პრაგმატიკა შესაძლოა განსხვავდებოდეს და თარგმანის პრაგმატიკული ადეკვატურობა არ გულისხმობდეს ამოსავალი ტექსტის პრაგმატიკის შენარჩუნებას.

ბუნებრივია, თავის საქმიანობაში მთარგმნელმა ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს. თვით ყველაზე “ზუსტი” თარგმანიც კი ვერ აღწევს თავის მიზანს, თუკი იგი რჩება გაუგებარი მათთვის, ვისთვისაცაა ის განკუთვნილი. ამიტომ, სრული მთარგმნელობითი ადეკვატურობის მისაღწევად, პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა (ბარხუდაროვი 1975, 124-125).

ამგვარად, ამოსავალ და სათარგმნი ენის პრაგმატიკულ ფაქტორებს შორის განსხვავება რთული და კომპლექსური პრობლემაა, ეს განსხვავებები წარმოშობს სირთულეებს, რომლებიც მთარგმნელმა უნდა დაძლიოს, რაც საკმაოდ დელიკატური ამოცანაა, ვინაიდან მათ დასაძლევად ზუსტი წესები არ არსებობს, მაგრამ ეს განსხვავებები მთარგმნელის შემოქმედებითი უნარის ყველაზე აშკარა მაჩვენებელია (რაისი 2009, 106).

2.3. თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომა

თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის თანახმად, რომლის ჩარჩოებშიც განვიხილავთ ჩვენს დისერტაციას, თარგმნის ობიექტს წარმოადგენს ტექსტის აზრი და არა – მისი ენა. თარგმანი ეფუძნება ტექსტის გაგებას, დევერბალიზაციას და აზრის ხელახალ გამოხატვას (რევერბალიზაციას), ამოსავალი ენის თავისებურებების გათვალისწინებით³⁹.

ამ თეორიის მიხედვით, მთარგმნელის მოვალეობა ორიგინალის ტექსტის ლინგვისტური ფორმების ანალიზითა და სათარგმნ ენაში შესატყვისების ძიებით არ შემოიფარგლება (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 30).

ე. ლიტვინოვა თვლის⁴⁰, რომ ნებისმიერი ტექსტი შეიცავს ავტორის კომუნიკაციურ ინტენციას. მთარგმნელის მთავარი ფუნქციაა თარგმანში კომუნიკაციური და ინფორმაციული ელემენტების ზედმიწევნით გადატანა. ნებისმიერი ტექსტი იქმნება იმისათვის, რომ მოახდინოს გარკვეული კომუნიკაციური ეფექტი, შესაბამისად, პრაგმატიკული პოტენციალი ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ტექსტის პრაგმატიკა, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს, როგორიცაა: პრაგმატიკული ცოდნა, პრაგმატიკული ადაპტაცია, ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალი, ფონური ცოდნა და ა.შ.

ს. ჟ. შმიდტი ტექსტის გაგების ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: “რეცეპტორი იღებს ტექსტს, როდესაც აცნობიერებს მოსაუბრის მიერ განხორციელებულ ყველა არჩევანს, ამის შემდეგ მას შეუძლია აღადგინოს ავტორისეული განზრახვა, როგორც კომუნიკაციის შინაარსის, ასევე სასურველი ეფექტის თვალსაზრისით” (შმიდტი 1972, 24).

ამ იდეალისტური მიდგომის განხორციელებას უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი აფერხებს. რეალურად სათარგმნო ტექსტები შესაძლოა ასახავდეს განსხვავებულ ეპოქას და კულტურას, რის გამოც მთარგმნელმა შესაძლოა ნაკლებად იცოდეს ან საერთოდ არ იცოდეს ავტორის განზრახვა როგორც შინაარსის, ასევე, სასურველი

³⁹ http://ressources-cla.univ-fcomte.fr/gerflint/Mekong1/dinh_hong_van.pdf

⁴⁰ www.e-magazine.meli.ru/Vipusk_14/179_v14_litvinova_B.doc

ეფექტის თვალსაზრისით. ამას ისიც ემატება, რომ მთარგმნელი არაა ორიგინალის ტექსტის რედაქტორი, პირველ ეტაპზე ისიც რიგითი რეცეპტორია (რაისი 2009, 64).

ტექსტის გაგებაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, პირველ რიგში, მთარგმნელის პიროვნება და წინარე ცოდნა. ტექსტის გაგება მთლიანად სუბიექტურია მთარგმნელის ძალისხმევის მიუხედავად, რომ ობიექტური იყოს. მეორე ფაქტორი განსხვავებული წინარე ცოდნაა, ეს ინფორმაცია აუცილებელია მთარგმნელ-რეცეპტორისათვის, რათა მან შესაბამისად შეძლოს ტექსტის ლინგვისტური საფუძვლების გაანალიზება. და ბოლოს, ტექსტი შესაძლოა მრავალგვარი ინტერპრეტაციის ობიექტი გახდეს, იყოს გაუგებარი ან ორაზროვანი მისი ავტორის ლინგვისტური არაკომპეტენტურობის გამო (რაისი 2009, 64).

ლ. მაკაროვა და ე. დოლუდენკო ფიქრობენ, რომ თარგმანის ადეკვატურობის ცნება მთარგმნელობითი პრაგმატიკის მიღმა არ შეიძლება განვიხილოთ. თარგმნის მიზანი თარგმნის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც თარგმნის პროცესზე უშუალო გავლენას ახდენს. თარგმანის ადეკვატურობის შეფასების კრიტერიუმად, ორიგინალისადმი ერთგულება ვერ გამოდგება. პრაგმატიკული ადეკვატურობა განისაზღვრება იმით, რამდენად შეესაბამება სათარგმნი ენის ტექსტი კონკრეტული მთარგმნელობითი პროცესის ამოცანებს. პრაგმატიკული ადეკვატურობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამოსავალ და სათარგმნი ენის ტექსტებს შორის აზრობრივ ეკვივალენტობას კომუნიკაციური თვალსაზრისით. შესაბამისად, თარგმნის მთავარ ამოცანად შეიძლება ადეკვატური კომუნიკაციური ეფექტის მიღება მივიჩნიოთ (მაკაროვა, დოლუდენკო 2008, 55).

თარგმნისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ლინგვისტებმა ენის ფუნქციებზე დაიწყეს ყურადღების გამახვილება. კომუნიკაციის იდეა თარგმანთან მიმართებაში პირველად ი. ნაიდამ გამოიყენა თავის ნაშრომში *“Toward a Science of Translating”*⁴¹. ი. ნაიდა მთარგმნელებს სთავაზობდა, ყურადღება გაემახვილებინათ ორ ენაში არსებულ “არაპროგნოზირებად ინფორმაციაზე”, შესაბამისად, მთარგმნელის ფუნქცია პროგნოზირების დაბალი დონის “კომპენსირება” უნდა ყოფილიყო. კომპენსირების აუცილებლობა კი, მისი

⁴¹ “მეცნიერება თარგმნის შესახებ”.

აზრით, მომდინარეობდა როგორც ლინგვისტური, ასევე კულტურული ფაქტორებიდან (ზოგიერთი ცნების არარსებობა ან საყოფაცხოვრებო რეალიების არცოდნა) (ნაიდა 1964, 120).

თავის მხრივ ბ. ჰატიმისა და ი. მასონის ნაშრომის *“Discourse and the Translator”⁴²* მთავარი მიზანი იყო, წარმოეჩინა თარგმანი “როგორც კომუნიკაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სოციალური კონტექსტის შიგნით”. ისინი თარგმანს განიხილავდნენ როგორც “კომუნიკაციურ დისკურსს”, ხოლო სათარგმნ ტექსტს – როგორც “კომუნიკაციურ ტრანსაქციას”, ანუ როგორც “მოტივირებული არჩევანის შედეგს” (ჰატიმი, მასონი 1990, 20).

დღეს მკვლევრების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ინტერლინგვისტური თარგმანის ბევრი საინტერესო და დელიკატური პრობლემის განხილვა, რადგან თარგმნის პროცესი არ გულისხმობს ერთი ენის ლინგვისტური სისტემის ნიშნების ჩანაცვლებას მეორე ენის ლინგვისტური სისტემის ნიშნებით. მთარგმნელს საქმე აქვს ადრესანტის მიერ კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებულ ლინგვისტურ ნიშნებთან, მისი ფუნქციაა სათარგმნ ენაში მოიძიოს იმავე ღირებულების მქონე ლინგვისტური ნიშნები. მისი ძალისხმევა მიმართულია მკითხველისადმი, რომლებიც არა მარტო ლაპარაკობენ სხვა ენაზე, არამედ სხვა კულტურული თანამეგობრობის ნაწილს წარმოადგენენ (რაისი 2009, 90).

ამოსავალი ენის ნებისმიერი გამონათქვამი იქმნება კონკრეტულ ადგილასა და კონკრეტულ მომენტში. ტექსტის ან დისკურსის აზრი მჭიდროდაა დაკავშირებული სიტუაციასა და კონტექსტთან. კონტექსტი და სიტუაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექსტის სათარგმნად, არამედ – ტექსტის ინტერპრეტაციისათვის. ამოსავალი ტექსტის აზრის ინტერპრეტაციას კი, სწორედ მთარგმნელი ახორციელებს. ამ ელემენტების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ კონტექსტზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ამოსავალი ტექსტის ლინგვისტური ნიშნების აზრის გაგება და სათარგმნ ენაზე გადმოცემა.

⁴² “დისკურსი და მთარგმნელი”.

რეცეპტორის მიერ ტექსტის გაგება ბუნებრივია არ ხდება მხოლოდ ლინგვისტურ დონეზე, ტექსტის აღქმისთვის ასევე მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტური ცოდნა⁴³.

ამოსავალი ტექსტის და ნათარგმნი ტექსტის პრაგმატიკა, ბუნებრივია, განსხვავებულია. ეს განსხვავება, რომელიც ადრესანტის და ადრესატის პრაგმატიკის დონეზე სცდება ერთენოვანი კომუნიკაციის საზღვრებს, თარგმნის ოპერაციის საშუალებით უნდა დაიძლიოს. იმისთვის, რომ კომუნიკაცია შესაძლებელი გახდეს სათარგმნი ენის მკითხველთან და შენარჩუნებულ იქნეს ავტორისეული განზრახვა, მთარგმნელმა უნდა შეათავსოს პრაგმატიკული განსხვავებები, რომლებიც მომდინარეობს ენობრივ კოლექტივებს შორის არსებული განსხვავებიდან, და რომელიც მატერიალიზებულია ამ ორ ლინგვისტურ სისტემაში. იმ მოვალეობებიდან, რომელიც მთარგმნელს ეკისრება, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (რაისი 2009, 91).

ადეკვატური კომუნიკაციური ეფექტის მისაღწევად, ენობრივი ფუნქციის გადმოცემასთან ერთად, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამოსავალი და სათარგმნი ენის რეცეპტორები სხვადასხვა კულტურის მატარებლები არიან. იმის გამო, რომ განსხვავებულია მათი ამოსავალი ცოდნა და მსოფლმხედველობა, ერთი და იგივე ტექსტი შეიძლება განსხვავებულად იყოს აღქმული. იმ შემთხვევაში, როდესაც ორიგინალისა და სათარგმნი ტექსტის აღქმა განსხვავებულად ხდება, თარგმანი, როგორც ორენოვანი კომუნიკაცია, თავის მიზანს ვერ აღწევს (ბრეუსი 2003, 12-13).

⁴³ <http://www.erudit.org/revue/meta/1999/v44/n1/002225ar.pdf>

2.4. პრაგმატიკული ადაპტაცია თარგმანში

მთავარი მოთხოვნა, რომელსაც თარგმანს უყენებენ, მისი ადეკვატურობაა, რომელიც გულისხმობს ორიგინალის შინაარსისა და ფორმის ეკვივალენტური საშუალებებით გადმოცემას. ადეკვატური თარგმანი უცხოენოვან მკითხველში იმ რეაქციას იწვევს, რომელიც ადრესანტის კომუნიკაციურ განზრახვას შეესაბამება. ადეკვატური თარგმანის ცნება, ანუ ამოსავალი და სათარგმნი ტექსტების ეკვივალენტობა, როგორც პრაგმატიკული, ასევე, სემანტიკური ფაქტორების თანაბრად გათვალისწინებას გულისხმობს.

პრაგმატიკული პოტენციალი გამონათქვამის შინაარსის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. შესაბამისად, პრაგმატიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სათარგმნ ტექსტში. თარგმნის მიზნებიდან გამომდინარე და რეცეპტორზე სასურველი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, თარგმნის პროცესში მთარგმნელს უხდება ამოსავალი ტექსტის პრაგმატიკული ადაპტაცია, ანუ თარგმანში გარკვეული კორექტივების შეტანა, ამოსავალი და სათარგმნი ენის რეცეპტორების სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური, თუ სხვა სახის განსხვავებების გათვალისწინებით.

თეორიული თვალსაზრისით, პრაგმატიკული ადაპტაციის აუცილებლობამ, ტრადუქტოლოგები აიძულა დაინტერესებულიყვნენ თარგმნის პროცესის სხვა ასპექტებითაც, რის შედეგადაც თარგმანი განიხილება, როგორც მულტილინგვისტური კომუნიკაციის ფორმა, ხოლო მთარგმნელი – როგორც კულტურული მედიატორი (გიდერი 2008, 86).

პრაგმატიკული ადაპტაცია განპირობებულია ექსტრატექსტუალური გარემოებებით. ადაპტაციას მთარგმნელი იყენებს იმისთვის, რომ გაანეიტრალოს სათარგმნ კულტურაში ეკვივალენტის არარსებობა და სიტუაციური განსხვავებები. ადაპტაციის მიზანს ლინგვისტური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად, სათარგმნ კულტურაში შეტყობინების გადაცემა წარმოადგენს (გიდერი 2008, 86).

თარგმნის პროცესი ადაპტაციას გულისხმობს. ეს ტიპი ყველა იმ თარგმანს მოიცავს, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ცვლის ამოსავალ ტექსტს ენობრივი ორგანიზების, განსაკუთრებით კი, შინაარსის ან კომუნიკაციური ინტენციის დონეზე,

არა – თარგმნის პროცესის ტექნიკური მოთხოვნების გამო – არამედ დასახული მიზნის მისაღწევად. ამ ტიპის თარგმანებში, ამოსავალი ტექსტი ხდება პირველწყარო, რომელიც ექვემდებარება ტრანსფორმაციას და ასეთი სახით მიეწოდება სათარგმნო ენის მკითხველს (მაგალითად, უფროსებისათვის დაწერილი ნაწარმოების ბავშვებისა და მოზარდებისათვის ადაპტირება, სამეცნიერო ლიტერატურის ან სპეციალიზირებული ლიტერატურის გავრცელება) (რაისი 2009, 21-22).

არიან მეცნიერები, რომლებიც თარგმან-ადაპტაციას არ მიაკუთვნებენ თარგმნის ტიპებს იმის გამო, რომ თითქოს ადაპტირებულ ვარიანტს არაფერი აქვს საერთო თარგმანთან. თუმცა, კ. რაისი მიიჩნევდა, რომ თარგმნის ეს ტიპი აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ ადაპტაციას ყოველთვის წინ უსწრებს თარგმნის პროცესი, და საბოლოო ფორმა, რომელსაც ადაპტირებული ვარიანტი მიიღებს, უნდა იქნეს შეფასებული და განხილული ამოსავალ ტექსტთან მიმართებაში (რაისი 2009, 21).

ადაპტაცია ცნებაა, რომლის ისტორია პრაქტიკულად თარგმნის ისტორიას უკავშირდება. ანტიკურ ხანაში ციცერონმა და ჰორაციუსმა თარგმნის ორი ტიპი გამოყვეს: ორიგინალის სიტყვასიტყვითი რეპროდუქცია (სიტყვის ერთგულება) და ორიგინალის თავისუფალი თარგმანი, ანუ “ადაპტაცია”. თარგმანში ერთგულებისა და თავისუფლების იდეა, საუკუნეების მანძილზე დავის საგანს წარმოადგენდა. XVII საუკუნე “ადაპტაციის” ტრიუმფის ეპოქა იყო. ამ ტენდენციის მიმდევრები ემხრობოდნენ უცხოური ტექსტების ადაპტაციას, ეპოქის გემოვნებისა და სათარგმნო ენის კულტურაში არსებული წესების შესაბამისად, მათი საზოგადოებაში გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით. თუმცა, ადაპტაციის კრიტიკა ძირითადად ეთიკური და დეონტოლოგიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული, ვინაიდან, ადაპტაცია მოიაზრებოდა როგორც ორიგინალის გაუმართლებელი დამახინჯება და ორიგინალის ავტორის ღალატი (გიდერი 2008, 85).

ადაპტაცია თარგმნის ტექნიკურ ოპერაციას წარმოადგენს. ჟ.პ. ვინე და ჟ. დარბენლე ნაშრომში *“Stylistique comparée du français et de l'anglais”* (1958) ადაპტაციას თარგმნის ოპერაციად მოიხსენიებენ და აღნიშნავენ, რომ ადაპტაციის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც კონტექსტი, რომელიც მოცემულია ამოსავალ ტექსტში, სათარგმნო ენის კულტურაში არ არსებობს. ამ შემთხვევაში, ადაპტაციის

მიზანს, კულტურულად მარკირებული სიტყვების განსხვავებების მიუხედავად, სიტუაციური ეკვივალენტობის მიღწევა წარმოადგენს (გიდერი 2008, 85).

ადაპტაცია მოიაზრება როგორც თარგმნის სრულფასოვანი ტიპი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გარდაუვალია (მაგალითად, როდესაც საუბარია სარეკლამო ტექსტებზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენს უცხოურ კულტურაში პროდუქციისა და სერვისის რეკლამირება). ადაპტაციის მიზანს წარმოადგენს ტექსტის ფუნქციის შენარჩუნება ფორმულირების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით (გიდერი 2008, 86).

ტექსტის საერთო ფუნქცია და ჟანრის თავისებურებები განაპირობებს იმას, რომ ამოსავალ და სათარგმნ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ნიშნები ძალზე განსხვავებულია. მაგალითად, თითოეულ ლინგვისტურ საზოგადოებაში გარდაცვალების უწყებები წარმოადგენს განსაკუთრებულად კოდიფიცირებული ტექსტის ჟანრს. ასეთი ტექსტების სიტყვასიტყვითი თარგმნა, პრაგმატიკული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, დააბნევს სათარგმნი ენის მკითხველს, ამიტომ მათი თარგმნა უნდა მოხდეს სათარგმნ ენაში არსებული პრაგმატიკული ეკვივალენტით. იგივე შეიძლება ითქვას ზრდილობის ფორმულებზე, რომელიც ყველა ენაში განსხვავებულია და რომელთა თარგმნა სათარგმნი ენის მკითხველის პრაგმატიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მაგალითად, ფრანგები წერილის ბოლოს წერენ “Dans l’attente de votre réponse, veuillez, M. agréer mes meilleures salutations”, ამ ფორმულის თარგმნა აუცილებლად უნდა მოხდეს პრაგმატიკული ეკვივალენტით – “პატივისცემით”, და არა – ლინგვისტური თარგმნის გზით (“თქვენი პასუხის მოლოდინში”, “გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა”). მაგალითად, “Penguin edition” გასაგებია ინგლისელი მკითხველისათვის, მაგრამ ნაკლებადაა გასაგები ფრანგი მკითხველისთვის. იმისათვის, რომ ფრანგმა მკითხველმა საკუთარი პრაგმატიკის გათვალისწინებით გაიგოს ეს პასაჟი, მთარგმნელი მას გადმოსცემს როგორც “édition de poche⁴⁴” (რაისი 2009, 101).

იქიდან გამომდინარე, რომ თარგმნის ადრესატი სხვა ენობრივ კოლექტივს და სხვა კულტურას ეკუთვნის, ეკვივალენტური თარგმანი ხშირად პრაგმატიკულად არაადეკვატურია. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი იძულებულია, მიმართოს

⁴⁴ ქართულად უნდა ვთარგმნოთ როგორც “ჯიბის წიგნი” (საუბარია პატარა ფორმატის წიგნზე)

თარგმნის პრაგმატიკულ ადაპტაციას და სათარგმნ ტექსტში შეიტანოს საჭირო ცვლილებები. ა. ნოიბერტი მთარგმნელობით პრაქტიკაში პრაგმატიკული ადაპტაციის 4 ტიპს განასხვავებს:

1. პრაგმატიკული ადაპტაციის პირველი ტიპი მიზნად ისახავს ტექსტის ადრესატში ადეკვატური გაგების უზრუნველყოფას. მთარგმნელი ძირითადად ორიენტირებულია საშუალო დონის ადრესატზე და ითვალისწინებს, რომ ტექსტი, რომელიც სრულიად გასაგებია ორიგინალის მკითხველისათვის, შესაძლოა გაუგებარი აღმოჩნდეს თარგმანის მკითხველისათვის; რადგან ადრესატს შეიძლება საჭირო ფონური ცოდნა არ გააჩნდეს, მთარგმნელს ტექსტში შეაქვს დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად:
 - *Mali: Amnesty dénonce des exécutions de civils, réclame des enquêtes*⁴⁵ - ადამიანის უფლებადამცავი ორგანიზაცია “Amnesty International” გმობს მალიში უკანონო დახვრეტებს და მოკვლევის დაწყებას მოითხოვს.
 - *ფინანსთა სამინისტრო "რუსთავი 2"-სა და "იმედის" დავალიანებებს შეისწავლის ("24 საათი" 28.11.12) - Le ministère des Finances va étudier les dettes contractées par les chaînes Rustavi 2 et Imedi envers l'État géorgien.*

აღნიშნული სათაურების თარგმნისას აუცილებელი ხდება ფრანგული და ქართული სათაურების პრაგმატიკული ადაპტაცია. ორივე შემთხვევაში აღნიშნული ადაპტაცია ლექსიკური ერთეულების დამატებით ხორციელდება. პირველ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს, თუ რას წარმოადგენს “Amnesty”, რომელიც განმარტების გარეშე შეიძლება გაუგებარი დარჩეს ქართველი მკითხველისათვის. ქართულ თარგმანში დაზუსტებულია, რომ საუბარია საერთაშორისო ორგანიზაცია “Amnesty International”-ზე. მეორე სათაურის თარგმნის დროს, ასევე, ვაზუსტებთ, რომ როგორც “იმედი”, ასევე “რუსთავი 2” სატელევიზიო არხებია. აღნიშნული ინფორმაცია იმპლიციტურად ცნობილია ქართველებისათვის, მაგრამ სრულიად უცნობია ფრანგი მკითხველისათვის.

2. პრაგმატიკული ადაპტაციის მეორე ტიპის მიზანია მკითხველამდე ამოსავალი ტექსტის ემოციური ზეგავლენის მიტანა. ასეთი ადაპტაციის აუცილებლობა

⁴⁵ <http://fr.news.yahoo.com/mali-amnesty-dénonce-exécutions-civils-réclame-enquêtes-160501856.html>

ჩნდება იმიტომ, რომ თითოეულ ენაში არსებობს ობიექტებისა და სიტუაციების დასახელება, რომლებთანაც კონკრეტულ ენობრივ კოლექტივს განსაკუთრებული ემოციები აკავშირებს. თუ არ ხდება ამ ემოციების სწორად გადატანა თარგმანში, მაშინ ნათარგმნი ტექსტისა და ორიგინალის პრაგმატიკული პოტენციალი არ ემთხვევა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა შინაარსი ეკვივალენტურად გადმოიცემა. მაგალითად:

- *ჯონ ბასი : "მოდელირებული ქრონიკა" დიდი უპასუხისმგებლობა იყო და ჟურნალისტურ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა - L'ambassadeur des États-Unis en Géorgie : un faux reportage sur une imaginaire "invasion russe" est une démarche irresponsable et contraire à l'éthique journalistique.*

მოცემული სათაურის თარგმნის დროს აუცილებელი ხდება პრაგმატიკული ადაპტაცია, რომ მოხერხდეს სათაურში აღწერილი სიტუაციის მიმართ ქართველი მკითხველის ემოციური დამოკიდებულების გადატანა. სათაურის თარგმნის დროს "მოდელირებული ქრონიკა" შევცვალეთ ფორმით "un faux reportage sur une imaginaire invasion russe" ("იმიტირებული რეპორტაჟი რუსეთის შესაძლო თავდასხმის შესახებ"), რადგან სიტყვასიტყვითი ტრანსპოზიცია ფრანგი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარს დატოვებდა ამ სათაურის პრაგმატიკულ მხარეს.

3. პრაგმატიკული ადაპტაციის მესამე ტიპი, წინა ტიპებისაგან განსხვავებით, ორიენტირებულია არა საშუალო დონის მკითხველზე, არამედ, კონკრეტულ რეცეპტორზე და ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაზე და ცდილობს სასურველი ზეგავლენის უზრუნველყოფას. ამიტომ მსგავსი ადაპტაცია, როგორც წესი, გულისხმობს ორიგინალიდან მნიშვნელოვან გადაცდომას. კონკრეტულ შემთხვევებში, მთარგმნელი მიზანშეწონილად მიიჩნევს გადმოსცეს არა ის, რაც ითქმება ან იწერება, არამედ ის, რაც იგულისხმება, რადგან მიიჩნევს, რომ სასურველი ზეგავლენის მოსახდენად საჭიროა ორიგინალისაგან განსხვავებული საშუალებების გამოყენება. ბუნებრივია, მთარგმნელს ყოველთვის არა აქვს საშუალება, მოცილდეს ორიგინალს და განახორციელოს მსგავსი პრაგმატიკული ადაპტაცია. ასეთი ტიპის პრაგმატიკული ადაპტაცია საკმაოდ ხშირად ლიტერატურული ნაწარმოებების, კინოფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების თარგმნის დროს გვხვდება.

მთარგმნელები მიმართავენ პრაგმატიკულ ადაპტაციას, რათა მათი დასათაურება სათარგმნი ენის ადრესატებისათვის მისაღებად და ბუნებრივად გამოიყურებოდეს⁴⁶.

4. მეოთხე ტიპის პრაგმატიკული ადაპტაცია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც “განსაკუთრებული მთარგმნელობითი ამოცანის” გადაწყვეტა. ნებისმიერი მთარგმნელის მიზანია თარგმნის ადეკვატურობის უზრუნველყოფა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მთარგმნელმა შესაძლოა თარგმანი განსხვავებული მიზნისათვის გამოიყენოს და ამ მიზნის მისაღწევად ორიგინალის ზუსტი გადმოცემისაგან თავი შეიკავოს. ასეთი “ამოცანის” შესასრულებლად, მან შესაძლოა შეცვალოს ან დაამახინჯოს კიდეც ორიგინალი, რითაც ირღვევა მთარგმნელის პროფესიული საქმიანობის მთავარი პრინციპი. ბუნებრივია, ასეთი პრაქტიკა გამოწვევის წარმოადგენს და შესრულებული თარგმანიც არ წარმოადგენს თარგმანს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით (ნოიბერტი 1978, 185).

ვ. კომისაროვი ამ ტიპის პრაგმატიკული ადაპტაციის 4 ქვეტიპს გამოყოფს:

1. *ფილოლოგიური თარგმანი*, რომლის დროსაც მთარგმნელი ცდილობს, თარგმანში ორიგინალის ენის ფორმალური თავისებურებები გადმოსცეს, მაშინაც კი, თუკი სათარგმნი ენის ნორმა და უზუსტი ირღვევა. ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივ თარგმანში მიუღებელია, თუმცა, ხორციელდება გარკვეული მიზნების გათვალისწინებით. ასეთი თარგმანები, როგორც წესი, უცხო ენების შესასწავლად და მხატვრული ლიტერატურის სათარგმნად გამოიყენება. მთარგმნელი, რომელიც ორიგინალის ენას იცნობს, მაგრამ არ აქვს ლიტერატურული ნიჭი, ასრულებს თარგმანს, რომელიც რაც შეიძლება სრულად გადმოსცემს არა მარტო ორიგინალის შინაარსს, არამედ მის ფორმასაც, რის საფუძველზეც პოეტი ქმნის საბოლოო მხატვრულ ტექსტს.

⁴⁶ გაეროს მთარგმნელთა სამსახურის ხელმძღვანელი ფ. ლეიე-ლავალე იხსენებს, რომ კონგოს სამოქალაქო ომის დროს, გაეროს სამშვიდობო მისიის წარმომადგენელმა, თარჯიმნის დახმარებით სიტყვით მიმართა ერთ-ერთი ტომის უზუცესებს და მოუწოდა, თავი შეეკავებინათ ძალის გამოყენებისაგან. თარჯიმანმა ეს მიმართვა საგრძნობლად გაზარდა და შეალამაზა, ვინაიდან მან იცოდა, რა საშუალებებით შეიძლებოდა თავის მსმენელებზე გავლენის მოხდენა. ის საკმაოდ დიდი ხანი ლაპარაკობდა, მღეროდა და სარიტუალო ცეკვაც კი შეასრულა. ფ. ლეიე-ლავალე მიიჩნევს, რომ ეს იყო კარგი თარგმანი, ვინაიდან ამით შესაძლებელი გახდა უზუცესების დარწმუნება და საომარი მოქმედებების შეწყვეტა.

2. *მიახლოებითი თარგმანი*, როდესაც კონკრეტული ადრესატი მთარგმნელს სთხოვს, ზოგადად გადმოსცეს ორიგინალის შინაარსის მისთვის სასურველი ელემენტები. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი თარგმანის სამუშაო ვარიანტს აკეთებს, რომელიც, ბუნებრივია, სრულად არ პასუხობს ადეკვატურობის მოთხოვნებს.
 3. *თარგმანში ორიგინალის მოდერნიზაცია* ადაპტაციის განსაკუთრებულ ქვეტიპს წარმოადგენს, ამას, ხშირად, თარგმანიც კი უხერხულია ვუწოდოთ, ვინაიდან, მთარგმნელი ამოსავალი ტექსტის მოტივებზე ფაქტობრივად ახალ ნაწარმოებს ქმნის. მოდერნიზაცია შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი. ერთი მხრივ, მოქმედება შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა ეპოქასა და ქვეყანაში, შეიცვალოს მოქმედი პირების სახელები. მეორე მხრივ, მოდერნიზაცია მიიღწევა ისეთი გამოთქმების გამოყენებით, რომელიც თანამედროვეობისათვისაა დამახასიათებელი.
 4. საკმაოდ განსხვავებულია მეოთხე ტიპის პრაგმატიკული ადაპტაციის გამოყენების მიზეზები. ამ დროს მთარგმნელი თავის წინაშე აყენებს “განსაკუთრებულ მთარგმნელობით ამოცანას”, რომელიც ნაკარნახევია პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. მოსაზრებებით და რომელსაც საერთო არაფერი აქვს თარგმანის ტექსტთან. მთარგმნელი შესაძლოა ცდილობდეს რაიმეში დაარწმუნოს ადრესატი, თავს მოახვიოს ორიგინალის ავტორისადმი ან აღწერილი მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულება, თავიდან აიცილოს კონფლიქტი ან, პირიქით, ხელი შეუწყოს მის გამწვავებას. ასეთმა ტენდენციურობამ შეიძლება ორიგინალის სრულ დამახინჯებამდე მიგვიყვანოს, ამიტომ, როგორც წესი, მთარგმნელი საკუთარი შეხედულებების გამოვლენას ერიდება (კომისაროვი 1990, 222).
- ვ. კომისაროვი აღნიშნავდა, რომ ორიგინალისგან შეგნებული დაშორება მთარგმნელის დიდ გამჭრიახობასა და ერუდიციას მოითხოვს, ვინაიდან მთარგმნელი ქმნის ახალ ტექსტს ან ცდილობს, რომ ტექსტმა შეიძინოს სხვა პრაგმატიკული პოტენციალი, რომელიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ამოსავალი ტექსტის პრაგმატიკისგან. კონკრეტულ სიტუაციაში, მთარგმნელი თავისი საქმიანობისადმი ამა თუ იმ პრაგმატიკულ მიდგომას ირჩევს. თარგმნის პროცესში წამოჭრილი

პრაგმატიკული პრობლემები სათარგმნი ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალის შექმნით არ შემოიფარგლება⁴⁷.

როგორც ნებისმიერი ადრესატი, მთარგმნელიც გარკვეულ პრაგმატიკულ ურთიერთობას ამყარებს ორიგინალისა და თარგმანის ტექსტთან. შესაბამისად, მთარგმნელი სხვადასხვანაირად ხედავს საკუთარ როლს ენათაშორისი კომუნიკაციის პროცესში. ერთ შემთხვევაში, მთარგმნელი შუამავლის ფუნქციას ასრულებს, რომლის მიერ შესრულებული სამუშაოც ორიგინალისადმი ერთგულების ხარისხით ფასდება, მეორე შემთხვევაში, ის აქტიურად ერევა კომუნიკაციის პროცესში. ამ ტექსტებმა მთარგმნელში შეიძლება სხვადასხვა გრძნობები გამოიწვიოს, იგი შეიძლება დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მის შინაარსს და, ბუნებრივია, ამან შეიძლება მის გადაწყვეტილებასა და ქმედებაზე გარკვეული გავლენა იქონიოს, თუმცა, როგორც წესი, მთარგმნელი ცდილობს ეს გავლენა მინიმუმადე დაიყვანოს და რაც შეიძლება ობიექტურად მიუდგეს ორივე ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალის შეფასებას. თარგმანის პრაგმატიკულ პრობლემატიკას უკავშირდება, ასევე, მთარგმნელობითი პროცესის შედეგების შეფასებაც. თარგმანის ობიექტური შეფასება საკმაოდ რთულ დავალებას წარმოადგენს, ვინაიდან ამ დროს საჭიროა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება⁴⁸.

პრაგმატიკული ადაპტაციის ყველაზე გავრცელებული ხერხებია: დამატება, კლება და ჩანაცვლება (გიდერი 2008, 86).

დამატების მეთოდი გულისხმობს სათარგმნი ტექსტში ისეთი ინფორმაციის დამატებას, რომელიც ორიგინალში არაა მოცემული. დამატების მეთოდი თარგმნის გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს. ის გულისხმობს ისეთი ინფორმაციის გადმოცემას, რომელიც სავარაუდოდ ნაცნობია ამოსავალი ენის მატარებლებისათვის, მაგრამ უცნობია სათარგმნი ენის მკითხველისთვის. ამ ხერხის მიზანი სათარგმნი ენის მკითხველისათვის ტექსტის მაქსიმალურად სრულად მიწოდებაა. ხშირად, ასეთ განმარტებებს საჭიროებს სხვადასხვა სახის გეოგრაფიული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო რეალიები. მსგავსი სახის განმარტებები შესაძლოა საჭირო გახდეს, ასევე, დაწესებულებების, ფირმებისა და ბეჭდვითი გამომცემლობების გადმოცემის

⁴⁷ <http://library.durov.com/Komissarov-089.htm>

⁴⁸ <http://library.durov.com/Komissarov-089.htm>

დროს. ამგვარად, ამოსავალ ტექსტში იმპლიციტურად მოცემული ინფორმაცია თარგმანში ექსპლიციტურად გადმოიცემა (კომისაროვი 1990, 211). მაგალითად:

- *Nadine Morano annonce au Figaro son ralliement à Jean-François Copé (Le Figaro le 17/09/2012) - ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გაზეთ “Le Figaro-სთან” საუბარში ჟან ფრანსუა კოპეს მხარდაჭერას უცხადებს / საფრანგეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გაზეთ “Le Figaro-სთან” საუბარში ჟან ფრანსუა კოპეს სახალხო მოძრაობის კავშირის თავჯდომარის პოსტზე მხარდაჭერას უცხადებს.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ნადინ მორანომ ფიგაროს ჟან ფრანსუა კოპესთან გაერთიანების შესახებ განუცხადა).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ მიერ განხორციელებული დამატებები სავსებით ლოგიკურია. იმის მიუხედავად, რომ გამომცემლობა “Le Figaro” ყველასთვის ცნობილია, ქართველი მკითხველის ნაწილისათვის ეს ფრანგული რეალობა შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს. ამასთან, ხშირად ამ გაზეთის სათაურის ტრანსპოზიცია ქართული ორთოგრაფითაც ხდება, რაც ჩემი აზრით მიუღებელია, ვინაიდან ნებისმიერი გამომცემლობა (“The Times”, “The Economist”, “Le Monde”, “Libération”) უნდა იწერებოდეს ორიგინალში მოცემული ფორმით. აღნიშნული სათაურის პრაგმატიკის გადმოსაცემად აუცილებელია ლექსიკური ტრანსფორმაციების განხორციელება, ამიტომ დაზუსტებულია “ნადინ მორანოს” და “ჟან ფრანსუა კოპეს” თანამდებობები, რომლებიც უცნობია ქართველი მკითხველისათვის, ამასთან, დაზუსტებულია, თუ რა სახის მხარდაჭერაზეა საუბარი. სათაურის თარგმნის ორი ვარიანტი გვაქვს წარმოდგენილი, ვფიქრობთ, მეორე ვარიანტი გაცილებით სრულად გადმოსცემს სათაურის პრაგმატიკულ ასპექტს, ვინაიდან ექსპლიკაციის საშუალებით ქართველ მკითხველს აწვდის იმ ინფორმაციას, რომელიც იმპლიციტურად ცნობილია ფრანგი აუდიტორიისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში ადრესატისათვის შეტყობინების ადეკვატური გაგება და პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინება მიიღწევა მისთვის უცნობი დეტალების გამოტოვებით. ეს გარკვეულ ინფორმაციულ დანაკარგს იწვევს, თუმცა, უმნიშვნელო დეტალების გამოტოვებით, მთარგმნელები ხშირად ცდილობენ თარგმანში

გაუგებარი ელემენტების თავიდან აცილებას. ზოგჯერ, გამოტოვებული კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვები, შესაძლოა, მთარგმნელმა ზოგადი, მაგრამ რეცეპტორისათვის უფრო გასაგები სიტყვებით შეცვალოს (გიდერი 2008, 86).

სიტყვების *დამატება/მოკლების* მეთოდთან ერთად თარგმანის პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება *ჩანაცვლების* მეთოდი, რომლის მიზანია, სათარგმნი ენის მკითხველს მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც ორიგინალში უშუალოდ არაა მოცემული. ხშირად ასეთი ტიპის ჩანაცვლებები განზოგადების ხასიათს ატარებს, ანუ ხდება კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვის ჩანაცვლება ზოგადი მნიშვნელობის სიტყვით, რომელიც შედარებით გასაგებია უცხო ენის მატარებელთათვის. განზოგადების დროს ხშირად ხდება საკუთარი სახელების შეცვლა საზოგადო სახელით (ბარხუდაროვი 1975, 127-128). მაგალითად:

- *La Rada suprême a adopté de nouvelles règles pour les élections* ⁴⁹- *უკრაინის პარლამენტმა არჩევნებთან დაკავშირებით ახალ წესებს უყარა კენჭი.*

მოცემული სათაურის თარგმნის დროს, უკრაინული პოლიტიკური რეალია “La Rada suprême”, განზოგადების გზით ვთარგმნეთ როგორც “უკრაინის პარლამენტი”, რადგან საშუალო დონის ქართველი მკითხველი შეიძლება არ იცნობდეს ამ უკრაინულ რეალიას.

თარგმნის პროცესში, სხვადასხვა ენობრივი სისტემების შეპირისპირების პარალელურად, ხდება განსხვავებული კულტურების შეპირისპირებაც. შესაბამისად, პრაგმატიკული ფაქტორი განსაზღვრავს არა მხოლოდ თარგმნის სტრატეგიის შერჩევას, არამედ – თარგმანში მოცემული ინფორმაციის მოცულობასაც. საუბარია ორ ტენდენციაზე: ინფორმაციის იმპლიკაციასა და ექსპლიკაციას შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ამ ტენდენციის გათვალისწინებას პრაგმატიკული ადაპტაციის არსის გასაგებად პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ექსპლიკაციის ხერხი ორიგინალის ტექსტში მოცემული იმპლიციტური მომენტების თარგმანში ექსპლიციტურად გადმოცემას გულისხმობს. თარგმნის ამ ხერხზე ყურადღება პირველებმა ჟ.პ. ვინემ და ჟ. დარბენლემ გაამახვილეს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი შეკითხვა: როდის არის შესაძლებელი

⁴⁹ <http://targaza.blogspot.com/2012/08/>

ექსპლიკაცია, რისი ახსნა-განმარტება შეიძლება, როგორ და რა გზით უნდა მოხდეს ექსპლიკაცია (გიდერი 2008, 87).

ჟ.პ. ვინე და ჟ. დარბენლე აცხადებდნენ, რომ ექსპლიკაცია შესაძლებელია მაშინ, როდესაც ინფორმაცია “კონტექსტს ან სიტუაციას არ პასუხობს”. ი. ნაიდა ექსპლიკაციაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა “დამატებების” გამოყენება – იქნება ეს გრამატიკული ინფორმაციის დამატება თუ ლაკონური წინადადების გავრცობა, სინონიმების დამატება და ა.შ., ანუ ორიგინალში არარსებული ინფორმაციის თარგმანში დამატება (გიდერი 2008, 87).

სტატიაში “*სოციო-კულტურული განსხვავებები და მათი გადმოცემა თარგმანში*” (1991), ი. ჩოი აღნიშნავს, რომ ექსპლიკაცია ორმაგად აუცილებელია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ ტექსტის აზრთან დაკავშირებული გაუგებრობა, რადგან შესაძლებელია ორ ენაში სრულიად განსხვავებული რეალობების აღსანიშნავად ერთი და იგივე ლინგვისტური საშუალების გამოყენება მოხდეს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი თარიღების შემთხვევაში: 8 მაისი კორეაში დედების დღეა, მაშინ, როდესაც, საფრანგეთსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ეს თარიღი ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიულ მოვლენას უკავშირდება. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, თარგმნის დროს აუცილებელია ზემოხსენებული თარიღების აზრის ახსნა: “1945 წლის გამარჯვებისადმი მიძღვნილი დღე”. მაგალითად, კორეულში ციფრი 4 არის ქართული 13-ის ეკვივალენტი – თარსი რიცხვი. ეს მაგალითები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მთარგმნელს აუცილებლად სჭირდება სიღრმისეული ექსტრალინგვისტური ცოდნა, ზუსტად რომ გადმოსცეს ავტორისეული აზრი. თუმცა, მთარგმნელმა არ უნდა დაჩრდილოს უცხოური კულტურის თავისებურება და კოლორიტი. ამასთან, ექსპლიკაცია ინფორმაციული ხასიათისაა, იგი საზოგადოებას მისთვის უცნობ კულტურას აზიარებს და კულტურული განსხვავებების მიმართ უფრო მგრძნობიარეს ხდის. მთარგმნელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის ენას კი არა, უცხოურ კულტურაში არსებულ შეტყობინებას თარგმნის (ჩოი 1991, 194).

არსებობს შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი საწინააღმდეგო პროცესს, ანუ “იმპლიკაციას” მიმართავს. ზოგჯერ მთარგმნელს უხდება ავტორის მიერ მოტანილი

ზოგიერთი დეტალის გამოტოვება იმის გამო, რომ ეს დეტალები შეიძლება გაუგებარი და ზედაპირული იყოს ადრესატისათვის, ან შესაძლოა, თვითონ მთარგმნელს გაუჩნდეს გარკვეული კითხვები და მცდარ კვალს დაადგეს, რის შედეგადაც თარგმანმა შეიძლება მკითხველზე განსხვავებული ეფექტი მოახდინოს, ვიდრე ეს ავტორს სურდა (ჩოი 1991, 197).

ზოგიერთი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ექსპლიკაცია, ენებსა და დისკურსის სტრუქტურას შორის არსებული განსხვავებების გამო აუცილებელია (გიდერი 2008, 87).

ტრადუქტოლოგები განასხვავებენ “სავალდებულო” და “ფაკულტატიურ” ექსპლიკაციას. პირველი გამოწვეულია ენებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებებით, მეორე კი იმ სტილისტური არჩევანით, რომელსაც ავტორი უპირატესობას ანიჭებს. სინტაქსური და სემანტიკური ექსპლიკაცია აუცილებელია მაშინ, როდესაც გრამატიკულ კატეგორიებს შორის არსებული განსხვავებები ტექსტის აზრზე ახდენს გავლენას. უნდა აღვნიშნოთ, რომ სავალდებულო ექსპლიკაციის შემთხვევები საკმაოდ ცოტაა და მთარგმნელს ტექსტთან მიმართებაში სრული თავისუფლება აქვს. ექსპლიკაცია მთარგმნელობით ხერხს წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია ენებსა და კულტურებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით (გიდერი 2008, 87). მაგალითად:

- ყოფილი "მხედრიონელები" საქართველოში ბრუნდებიან⁵⁰ - *Les anciens membres du groupe paramilitaire de retour en Géorgie / Les anciens membres de la force militaire d'opposition Mkhedrioni reviennent en Géorgie.*

აღნიშნული სათაურის თარგმან მთარგმნელის მხრიდან როგორც ექსპლიკაციას, ასევე ლექსიკური დამატებების განხორციელებას საჭიროებს. საკმაოდ ძნელია გადმოიცეს ის დამოკიდებულება, რომელიც ქართველ მკითხველს “მხედრიონთან” მიმართებაში აქვს. იმისთვის, რომ ეს დამოკიდებულება ნაწილობრივ მაინც გადმოვცეთ, აუცილებელია, ფრანგ მკითხველს განვუმარტოთ, რას წარმოადგენდა “მხედრიონი”. ფრანგულ სათაურში განმარტებულია, რომ საუბარია სამხედრო დაჯგუფებაზე.

⁵⁰ http://primetimenews.ge/?page=9&news_id=16366

განზოგადების მეთოდის პარალელურად, პრაგმატიკულ ფაქტორს თარგმანში ხშირად საწინააღმდეგო მეთოდის – კონკრეტიზაციის გზით გადმოსცემენ. ამ შემთხვევაში ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვებით ვანაცვლებთ (კომისაროვი 1990, 214).

- *Bientôt l'Europe sans la Grande-Bretagne?* (Le Monde 12.07.2012) - დიდმა ბრიტანეთმა შესაძლოა ევროგაერთიანება დატოვოს.

ფრანგი მკითხველისაგან განსხვავებით, ქართველი მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება აღნიშნულ სათაურში სიტყვა “l'Europe”, ამიტომ თარგმანში საჭიროდ მიგვაჩნია იმის დაზუსტება, რა იგულისხმება ორიგინალში. შესაბამისად, ქართულში ვაზუსტებთ, რომ საქმე ეხება დიდი ბრიტანეთის “ევროკავშირიდან ” შესაძლო გასვლას.

პრაგმატიკული ადაპტაციის ხერხი ჩანაცვლება — გულისხმობს ორიგინალის კულტურული ელემენტის ჩანაცვლებას სათარგმნი ენის ეკვივალენტური ელემენტით, რომელიც, შესაძლოა, არც კი წარმოადგენდეს თარგმანს, მაგალითად, ანდაზა, დიალექტიზმი. ამ დროს ხდება ტექსტის ძირითადი იდეის შენარჩუნება ან ძველი ინფორმაციის ახალი ინფორმაციით ჩანაცვლება, კონტექსტისა და სიტუაციის გათვალისწინებით (გიდერი 2008, 86). მაგალითად: Avant de s'engager, il est bon de bien s'entendre - ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო (ვიდრე საქმეს ხელს მოკიდებდე, შეთანხმებაა საჭირო).

კომპენსაცია წარმოადგენს თარგმნის ხერხს, რომლის მიზანს სათარგმნ ტექსტში მსგავსი ეფექტის შექმნის გზით ამოსავალი ტექსტის დაკარგული ეფექტის გადმოცემა წარმოადგენს. კომპენსაცია გულისხმობს ორივე ენაში ერთნაირი ლინგვისტური ხერხის გამოყენებას იმავე ეფექტის მისაღებად. თარგმანში პრაგმატიკულად მარკირებული ლექსიკის გამოყენება, ნეიტრალური ლექსიკის მაგივრად, დასაშვებია მხოლოდ კომპენსაციის მეთოდის შემთხვევაში, რომელიც თარგმნის დროს პრაგმატიკული მნიშვნელობების გადაცემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს (გიდერი 2008, 86).

პ. ნიუმარკი მიიჩნევს, რომ კომპენსაციას ექვემდებარება კალამბურები, ალიტერაცია, არგო და მეტაფორა (ნიუმარკი 1994, 144).

ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ფრანგული კომიქსების “ტენტენისა” და “ასტერიქსის” თარგმანები, რომლებიც მოგვხსენებათ, დატვირთულია რთული კალამბურებითა და კულტურული რეალობებით. როგორც ბ. ჰატიმი და ი. მასონი აღნიშნავენ, მთარგმნელებმა ფრანგული კალამბურების ტრანსპოზიციის ყოველგვარ მცდელობაზე ხელი ჩაიქნიეს და კომპენსაციის ხერხის დახმარებით, გამოიყენეს ეკვივალენტური ინგლისური კალამბურები, რომლებიც ამოსავალ ტექსტში მოცემული არ იყო (ჰატიმი, მასონი 1990, 202).

იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსავალ ლექსიკას სათარგმნ ენაში არ გააჩნია პირდაპირი პრაგმატიკული შესატყვისი, გამოიყენება აღწერილობითი თარგმანი. იმის გამო, რომ ნებისმიერ ენაში არსებობს სიტყვა, რომელიც თავისი ლექსიკური მნიშვნელობით გადმოსცემს მოსაუბრის ემოციურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგანთან და მოვლენასთან (იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი), ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვას აქვს მხოლოდ პრაგმატიკული (ემოციურ-შეფასებითი) და არა რეფერენციული მნიშვნელობა (ბარხუდაროვი 1975, 119). მაგალითად:

- *პაწაწინა "გრეჩიხუნებმა" მრავალ თაობას ცხოვრება გაუმწარეს - მიხეილ სააკაშვილი*⁵¹ - *M. Saakashvili: ces criminels ont détruit la vie de plusieurs générations.*

მოცემული სათაურის სიტყვასიტყვით გადმოცემა ფრანგულ ენაში გაუგებარს დატოვებდა სათაურის შინაარსს და პრაგმატიკულ ასპექტს. ქართველი მკითხველისაგან განსხვავებით, ფრანგი მკითხველისათვის უცნობია, თუ ვინ იგულისხმბა საქართველოს პრეზიდენტმა “პაწაწინა გრეჩიხუნებში” (ალუზია ლევან გაჩეჩილაძის, იგივე “გრეჩიხას” შვილის საქმეზე). რეალურად საქმე ეხება ე.წ. “კრიმინალურ ავტორიტეტებს”. “პაწაწინა გრეჩიხუნები” ფრანგულში გადმოვეცით როგორც “კრიმინალები”, რითაც მეტ-ნაკლებად გასაგები გახდა სათაურის პრაგმატიკა.

⁵¹ <http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/26586>

ხშირია შემთხვევები, როდესაც მთარგმნელს უხდება რეალიებისა თუ მოვლენის შესახებ განმარტებების გაკეთება, რადგან ეს რეალიები და მოვლენები ცნობილია ამოსავალი ენის მკითხველისათვის, მაგრამ გაუგებარია სათარგმნი ენის მკითხველისათვის. მაგალითად:

- *Le Quai d'Orsay offert à Villepin? (Le Figaro 25/02/2011) - დომინიკ დე ვილპენს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს სთავაზობენ.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : ორსეს სანაპირო ვილპენს შესთავაზეს).

მოცემულ შემთხვევაში, მთარგმნელს განმარტებების და ტრანსფორმაციების განხორციელება უხდება. “Le Quai d'Orsay”-“ორსეს სანაპირო”, მეტონიმის წარმოადგენს და იმ სანაპიროზე მიუთითებს, სადაც საფრანგეთის საგარეო უწყების რეზიდენცია მდებარეობს. ამ მეტონიმის პირდაპირი გადმოტანა ქართულში გაუმართლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან, ფრანგი მკითხველისაგან განსხვავებით, ქართველი მკითხველისათვის, ის არ ასოცირდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. შესაბამისად, მთარგმნელი დამატებით ინფორმაციას გვაწვდის, რომ მოხდეს ქართველი მკითხველის მიერ სათაურის ადეკვატური აღქმა. მსგავსი დამატებები იმ რეალიების დასახელებების გაგებას უზრუნველყოფს, რომლებიც დაკავშირებულია სხვა კულტურასთან.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანში პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინება მთარგმნელისაგან მოითხოვს ამოსავალ ენაში მოცემული საგნებისა და სიტუაციების კარგ ცოდნას, ანუ საჭიროებს ღრმა ექსტრალინგვისტურ ცოდნას. ზემომოყვანილი მეთოდების გამოყენება მთარგმნელისაგან ზომიერებას მოითხოვს. მთარგმნელმა მკითხველს გაუგებარი ან უცნობი მოვლენები და ცნებები უნდა განუმარტოს, თუმცა, ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაანაცვლოს სათარგმნი ენის მკითხველისათვის ნაცნობი ან ჩვეული მოვლენებითა და ცნებებით, რადგანაც ამან შეიძლება ორიგინალი შეგნებულად ან შეუგნებლად დამახინჯოს (ბარხუდაროვი 1975, 130).

თავი III. ექსტრალინგვისტური ცოდნა და თარგმანი

3.1. ექსტრალინგვისტური ცოდნის როლი საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პროცესში

თარგმანი კომპლექსური სოციალური მოვლენაა. თარგმნის აქტი ორიგინალის ტექსტის გაგებას და ამ ტექსტის სათარგმნ ენაზე გადატანას გულისხმობს. ტექსტის უცხო ენაზე გადატანის ხარისხი დამოკიდებულია სათარგმნი ენის ცოდნის დონეზე და მთარგმნელის კომპეტენციაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად კარგად იცნობს ის სათარგმნ თემატიკას. ამოსავალი და სათარგმნი ენის ტექსტების ეკვივალენტობას განაპირობებს, ასევე, ტექსტის ბუნება, მისი დანიშნულება და ის ურთიერთობები, რომელიც არსებობს ორი ხალხის კულტურებს შორის.

მთარგმნელისათვის ლინგვისტური კომპეტენცია მნიშვნელოვანი ელემენტია და ამოსავალი და სათარგმნი ენის ლექსიკის, სინტაქსისა და სემანტიკური წესების სიღრმისეულ ცოდნას გულისხმობს. თარგმნის დროს, რაც უფრო ღრმაა ლინგვისტური ცოდნა, მთარგმნელი ნაკლებ პრობლემას ხვდება. თუმცა, მთარგმნელი, როგორც წესი, აცნობიერებს, რომ მხოლოდ ლინგვისტური ცოდნა საკმარისი არაა იმისათვის, რომ შეასრულოს თარგმანი. ენობრივი ახსნა-განმარტება, რომელიც მოცემულია ტექსტში, ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია, ტექსტის გაგებისათვის კოგნიტური ცოდნის მობილიზებაა აუცილებელი. დ. სელესკოვიჩი ფიქრობს, რომ არ არსებობს ტექსტი შეტყობინების, ავტორის წინასწარი ვარაუდისა და კოგნიტური ელემენტების გარეშე, რომლებიც შეიძლება ექსპლიციტური არ იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 15).

ექსტრალინგვისტური ცოდნა ისეთივე მნიშვნელოვანია თარგმანში, როგორც ენობრივი სტრუქტურები. ექსტრალინგვისტური ცოდნა მოიცავს ცოდნას სამყაროს შესახებ, ადამიანებს შორის ურთიერთობებს, სხვადასხვა საკითხების თემატურ ცოდნას და პირად გამოცდილებას. დ. სელესკოვიჩი აცხადებდა, რომ ნებისმიერი ადამიანისათვის ყოველდღიურობაში აზრის გაგებას განაპირობებს ორი ფაქტორი: სიტყვებისა და საგნების ცოდნა (სელესკოვიჩი 2001, 32-33).

ინტერპრეტაციულ თეორიაში აზრის გასაგებად სიტყვებისა და ფრაზების ლექსიკურ-გრამატიკულ ანუ ლინგვისტურ მნიშვნელობებს ემატება კოგნიტური ელემენტები, რომელიც, დ. სელესკოვიჩის განმარტებით, “სიტყვების სემანტიკისა და კოგნიტური დანამატების შერწყმას წარმოადგენს” (სელესკოვიჩი 1995, 27).

კოგნიტური დამატება ორი სახისაა: “კოგნიტური ცოდნა” და “კოგნიტური კონტექსტი”. “კოგნიტური ცოდნა” აერთიანებს ე.წ. ენციკლოპედიურ ცოდნას და მოიცავს “მცირე ან ხანგრძლივი დროით გონებაში დაღეწილ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ცოდნას”, რომელიც შესაძლებელს ხდის ტექსტის ექსპლიციტისა და იმპლიციტის გაგებას. “კოგნიტური კონტექსტი” კი არის “ცოდნა, რომელიც გროვდება ტექსტის კითხვის პროცესში”, ანუ ის, რასაც “დისკურსის სამყაროს” ან “ტექსტის სამყაროს” უწოდებენ. ეს ცოდნა არალინგვისტური ხასიათისაა. “როდესაც ვსაუბრობთ კოგნიტურ კონტექსტზე, მთარგმნელის გონებაში განვალაგებთ ექსტრალინგვისტურ დამატებას, დევერბალიზებულ ინფორმაციას, რომელიც ტექსტიდან გამომდინარეობს. დევერბალიზაციის პროცესში ტექსტის ინფორმაცია ექსტრალინგვისტურ ცოდნად გარდაიქმნება, ამ პროცესში მთარგმნელი იმახსოვრებს იმას, რაც გაიგო, სიტყვები კი ქრება” (ლედერერი 1995, 38-42).

თარგმნის პროცესში მთარგმნელი ამოცანას ისახავს: გამონათქვამის საშუალებით იპოვოს აზრი, რომელიც ამოძრავებს ავტორს და გადმოსცეს ინფორმაცია. იმისთვის, რომ სწორედ განსაზღვროს თარგმნის სტრატეგია, მთარგმნელს სჭირდება ექსტრალინგვისტური ცოდნის გააქტიურება, რომლის მიზანიც ორიგინალის გაგება და სათარგმნ ენაში მისი ადეკვატური გადატანაა. მ. ლედერერი აღნიშნავდა: “ლინგვისტური გამონათქვამის გასაგებად, ყოველთვის ექსტრალინგვისტურ ცოდნას ვიყენებთ” (ლედერერი 2001, 20).

თარგმანში ექსპლიკაცია აუცილებელია. მისი მიზანია თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა ტექსტის აზრთან დაკავშირებით, რადგან შესაძლებელია ორ ენაში მოხდეს ერთი და იმავე ლინგვისტური საშუალების გამოყენება სრულიად განსხვავებული რეალობების აღსანიშნავად. ექსპლიკაცია ინფორმაციული ხასიათისაა და საზოგადოებას მისთვის მანამდე უცნობ კულტურას აზიარებს. როდესაც მთარგმნელი ექსპლიციტურს ხდის იმას, რაც იმპლიციტურადაა მოცემული

ორიგინალში, ის არაფერს ამატებს ორიგინალს, ის გასაგებს ხდის მას (ჩოი 1991, 197). მაგალითად:

- *Total bientôt blanchi dans le naufrage de l'Erika (L'EPRESS 06/04/2012)* - ტოტალი ერიკას საქმეში შესაძლოა გაამართლონ / ფრანგული კომპანია ტოტალი შესაძლოა ტანკერ ერიკას ჩაძირვის საქმეში გაამართლონ.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ტოტალი მალე გამართლდება ერიკას ჩაძირვის საქმეში).

მოცემული სათაურის თარგმნა მთარგმნელისაგან აუცილებლად მოითხოვს ექსტრალინგვისტურ ცოდნას სათაურის პრაგმატიკული არსის სრულად გადმოსაცემად. “Total” და “Erika” ფრანგული რეალიებია, რომელიც უცხოა ქართველი მკითხველისათვის. საქმე ეხება გახმაურებულ სკანდალს, რომელიც 1999 წელს ფრანგული ნავთობ-გიგანტის “Total”-ის კუთვნილი ტანკერის “Erika”-ს ჩაძირვას მოჰყვა, რომელსაც 37 000 ტონა საწვავი გადაჰქონდა. ტანკერის ჩაძირვამ საფრანგეთს სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები შეუქმნა, კომპანია კი 192 მილიონი ევროთი დააჯარიმეს. სათაურის პირველი ვარიანტი ტრანსკოდირების გზით შევასრულეთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ სათაურის მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია, ვინაიდან ორივე რეალია სათაურშივეა განმარტებული: “Total”- ფრანგული კომპანია “ტოტალი”, “Erika”-ტანკერი “ერიკა”. ამ განმარტებით სათაური ქართველი მკითხველისათვის უფრო საინტერესო ხდება და სათაურის არსს სრულად გადმოსცემს.

- *Affaire DSK, la nouvelle affaire Dreyfus ?⁵²* - დომინიკ სტროს კანის საქმეს დრეიფუსის ცნობილ სკანდალს ადარებენ.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: დსკ საქმე, ახალი დრეიფუსის⁵³ საქმე?).

აღნიშნული სათაური ფრანგულ რეალობას ასახავს. საქმე ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის დომინიკ სტროს კანის გახმაურებულ სექსუალურ სკანდალს, რომელიც შეიძლება ქართველი მკითხველისთვის კარგად არ იყოს ცნობილი, ასევე ნაკლებ სავარაუდოა მკითხველი იცნობდეს “დრეიფუსის

⁵² <http://blogs.mediapart.fr/blog/sylvie-lyons/030611/>

⁵³ ებრაული წარმოშობის არტილერიის ფრანგი ოფიცერი, რომლის გასამართლება და პატიმრობა 1894 წელს ჯაშუშობის ბრალდებით, ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური პოლიტიკური მოვლენა გახდა თანამედროვე საფრანგეთისა და ევროპის ისტორიაში. ეს საქმე დრეიფუსის სახელითაა ცნობილი.

საქმეს”, შესაბამისად, მთარგმნელი თავისი ექსტრალინგვისტური ცოდნით უნდა შეეცადოს სრულად გადმოსცეს სათაურის არსი. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია სათაურის სრული ტრანსკოდირება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ექსტრალინგვისტური ცოდნის ნაკლებობით გამოწვეული ვაკუუმის შესავსებად, საჭიროა გამოვიყენოთ ლექსიკური დამატებები. ფრანგული სათაური კითხვით ფორმაშია მოცემული, თუმცა, მსგავსი კონსტრუქცია ქართულ თარგმანში არ შევინარჩუნეთ და წინადადება მტკიცებითი ფორმით გადმოვეცით, ამასთან, ქართულში “დრეიფუსის საქმე” “დრეიფუსის ცნობილი სკანდალით” შევცვალეთ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დამატებების საშუალებით მკითხველს შეძლებისდაგვარად მივაწოდეთ სათაურის ძირითადი აზრი.

- *Va-t-on revivre un krach comme en 1929?*⁵⁴ - უნდა ველოდოთ თუ არა 1929 წლის კრახის გამეორებას? / შესაძლოა თუ არა 30-იანი წლების “დიდი დეპრესია” განმეორდეს?

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: გამოვივლით თუ არა ისეთივე კრახს, როგორსაც 1929 წელს?).

აღნიშნული სათაურის თარგმნაც, ბუნებრივია, მოითხოვს ექსტრალინგვისტურ ცოდნას. სათაურში საუბარია 1929 წლის საბირჟო კრახზე, რომელმაც მსოფლიოში არნახულ კრიზისს მისცა დასაბამი და რომელმაც ე.წ “დიდი დეპრესია” გამოიწვია. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია მთარგმნელისათვის აუცილებელია ტექსტის ადეკვატურად გადმოსაცემად. სათაურის პირველი ვარიანტი ფაქტობრივად ტრანსკოდირების გზით არის შესრულებული, მეორე ვარიანტის თარგმნისას კი განზოგადების მეთოდი გამოვიყენეთ და “1929 წლის კრახი” – “დიდი დეპრესიით” შევცვალეთ. ბუნებრივია, მსგავსი განზოგადების გაკეთება მხოლოდ სტატიის წაკითხვის და გააზრების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

- *Des allégations de financement occulte éclaboussent Chirac et de Villepin*⁵⁵ - საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და პრემიერი ვილპენი პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსების სკანდალში გაეხვივნენ /

⁵⁴ <http://fr.internationalism.org/ri394/>

⁵⁵ <http://m.radio-canada.ca/nouvelles/International/2011/09/14/001>

ყოფილ პრეზიდენტ ჟაკ შირაკს და პრემიერ ვილპენს პოლიტიკური პარტიების უკანონო დაფინანსების ბრალდება წაუყენეს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ფარული დაფინანსების ბრალდებები ტალახში სვრის შირაკსა და ვილპენს).

- *Les valises de billets, «une pratique connue» selon Jean-Marie Le Pen (Liberation 24/09/2011) - ეროვნული ფრონტის ლიდერი ჟან მარი ლე პენი აცხადებს, რომ “აფრიკული ფულით სავსე ჩემოდნების” ხელისუფლებისთვის გადაცემა გავრცელებული პრაქტიკა იყო.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ბანკნოტიანი ჩემოდნები “კარგად ნაცნობი პრაქტიკა” ლეპენის თანახმად).

აღნიშნული სათაურების თარგმნისას, მთარგმნელი მხოლოდ ლინგვისტური შესატყვისების მიხედვით ვერ შემოიფარგლება. იმისთვის, რომ ეს სათაურები ქართველ მკითხველს გავაგებინოთ, აუცილებელია ლექსიკური დამატებების გამოყენება, რაც ექსტრალინგვისტური ცოდნის გარეშე წამოუდგენელია. სტატიაში საუბარია 90-იანი წლების მიწურულის ერთ-ერთ გახმაურებულ სკანდალზე, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების ფარული დაფინანსების ბრალდებაზე, რომელიც დღემდე აქტუალურია, ვინაიდან საქმეში საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის და იმჟამინდელი პრემიერ მინისტრის, დომინიკ დე ვილპენის გვარები ფიგურირებს. ორივე სათაურის თარგმნა ნაწილობრივი ტრანსკოდირების მეთოდითაა შესრულებული. ბუნებრივია, ქართული ვარიანტი მეტ დაზუსტებებს შეიცავს, როგორც საკუთარი სახელების დაკონკრეტების თვალსაზრისით, ასევე, პრაგმატიკული კუთხით. პირველი სათაურის თარგმანში დამატებულია როგორც შირაკის, ასევე ვილპენის თანამდებობები, ასევე, დაზუსტებულია, რომ საქმე სწორედ პოლიტიკური პარტიების ფარულ დაფინანსებას ეხება. მეორე სათაური კი მთარგმნელის მხრიდან გაცილებით ღრმა ექსტრალინგვისტურ ცოდნას მოითხოვს, ვინაიდან ცნება “Les valises de billets” - “ბანკნოტებით სავსე ჩემოდნები” უცნობია არა მარტო ქართველი მკითხველისათვის, არამედ ფრანგი მკითხველის ნაწილისთვისაც. საქმე ეხება აფრიკული ქვეყნებიდან გარკვეული გადაწყვეტილებების სანაცვლოდ მიღებულ უკანონო ფულს, რომლითაც საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები

ფინანსდებოდა. ამის მითითება სათაურში აუცილებელია, ასევე დაზუსტებულია ჟან მარი ლე პენის თანამდებობა.

ინფორმაციული დეფიციტის დასაძლევად, მთარგმნელი მუდმივად ცდილობს გაიდრმავოს ენციკლოპედიური ცოდნა, თუმცა, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის პარალელურად, მთარგმნელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ანალიზის უნარი, რათა ლოგიკურად შეძლოს იმის გარკვევა, რას ეხება ტექსტი (ჟილი 2005, 111).

საკმაოდ რთულია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნა, ვინაიდან გამონათქვამის გაგება ეფუძნება ამ ორი ფაქტორის ინტერაქციასა და რეცეპტორის მიერ ლინგვისტური გზით ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაციას. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მეტად იცნობს რეცეპტორი სიტუაციას და განსახილველ საკითხს, მას ლინგვისტური ცოდნა და ლინგვისტურად ახსნილი ინფორმაცია ამ გამონათქვამის ინტერპრეტაციისათვის ნაკლებად სჭირდება. ამგვარად, რაც უფრო იზრდება რეცეპტორის ექსტრალინგვისტური ცოდნა, ის ინფორმაცია, რომელიც ტექსტში ლინგვისტურადაა გამოხატული, ზედმეტი ხდება იქიდან გამომდინარე, რომ არ გვაწვდის ახალ ინფორმაციას (ჟილი 2005, 109). მაგალითად:

- *Sondage : Hollande à 51.62%, Sarkozy à 48.38% - გამოკითხვის შედეგად ფრანსუა ოლანდმა ხმათა 51,62%, ხოლო ნიკოლა სარკოზიმ 48,38% მოიპოვეს.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: გამოკითხვა: ოლანდი 51.62%, სარკოზი 48.38%).

საარჩევნო კამპანიის დროს მკითხველი ადვილად აღიქვამს მსგავსი ტიპის სათაურებს, ვინაიდან მარტივი მისახვედრია, რომ საქმე არჩევნების შედეგებს და საარჩევნო ბატალიებს ეხება. იგივე სათაური უცხოელი მკითხველისათვის, შესაძლოა, გაუგებარი დარჩეს არჩევნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, თუკი იგი კარგად არ იცნობს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში აუცილებელი გახდება იმის დაზუსტება, რომ საქმე ეხება 2012 წელს საფრანგეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებსა და საარჩევნო კამპანიას.

რაც უფრო ღრმად ექსტრალინგვისტური ცოდნა, მით უფრო მარტივად და ზუსტადაა შესაძლებელი ტექსტის გაგება და შეტყობინების გადაცემა სათარგმნ ენაზე (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 24).

იქიდან გამომდინარე, რომ ქართული საგაზეთო სტატიები ძირითადად ქართველი და არა – ფრანგი მთარგმნელების მიერ ითარგმნება, ერთი მხრივ, ეს მათ ამოცანას უიოლებს, ვინაიდან მათვის სიტუაცია დამატებითი ძალისხმევის გარეშეც გასაგებია, თუმცა, მთავარი სირთულე, რომელსაც ისინი აწყდებიან, ქართული რეალობის ფრანგულად გადატანა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ფრანგი მკითხველის ინფორმირებაა. ამიტომ მთარგმნელის პროფესიონალიზმი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია. მაგალითად:

- *აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა კომისიამ გიგა ბოკერიას მოუსმინა⁵⁶ - Le secrétaire du Conseil de sécurité nationale Guiga Bokeria entendu par la commission d'enquête du conflit armée d'août.*
- *არჩევნები დამთავრდა, არჩევნები იწყება⁵⁷ - Les élections terminées, les nouvelles élections s'annoncent dans la région séparatiste pro-russe/ Une fois les élections terminées, les Ossètes de nouveau aux urnes.*

პირველი სათაური ქართველი მკითხველისათვის კარგად ნაცნობ და მტკიცეულ საკითხს უკავშირდება. შესაბამისად, აგვისტოს მოვლენები ახსნა-განმარტების გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ ფრანგი მკითხველისათვის გარკვეულ განმარტებებს საჭიროებს. ფრანგულ სათაურში “აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია” ვთარგმნეთ როგორც “რუსეთ საქართველოს აგვისტოს ომის საკითხების შემსწავლელი კომისია”, ხოლო გიგა ბოკერიას ნაცვლად ფრანგულში გამოვიყენეთ მისი თანამდებობა “საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი”. მეორე სათაურის თარგმანი იმაზე მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე ქართული სათაური, რომელიც გარკვეული ინტრიგის მატარებელია, ვინაიდან დაზუსტებული არაა, სად ხდება მოქმედება. თარგმანში განმარტებული გვაქვს, რომ საქმე საქართველოს სეპარატისტულ რეგიონს ეხება. ვფიქრობთ, რომ როგორც

⁵⁶ <http://1tv.ge/news-view/47>

⁵⁷ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24543359.html>

ინფორმაციული, ასევე პრაგმატიკული თვალსაზრისით თარგმანი იმავე დატვირთვის მატარებელია.

- აკაკი ბობოხიძე: პირველ ოქტომბერს ქართველებმა ახალი დიდგორი უნდა მოვიგოთ⁵⁸ - *Akaki Bobokhidze : le 1er octobre les Géorgiens devraient remporter une nouvelle bataille de "Didgori"*⁵⁹ / *Selon le membre de la majorité parlementaire, la Géorgie devrait remporter une nouvelle bataille décisive aux élections législatives.*
- ვარდებიდან „ცოცხებამდე“ - *De la révolution des Roses à la révolution des balais.*

პირველი სათაური მთარგმნელის მხრიდან გარკვეული დამატებების განხორციელებას მოითხოვს. სათაურის თარგმნის 2 ვარიანტს გთავაზობთ: პირველ ვარიანტში აკაკი ბობოხიძის თანამდებობა არ გვაქვს დაზუსტებული და ასევე უცვლელად გვაქვს გადმოტანილი “დიდგორი”, რომელიც ქართველთა გამარჯვების სიმბოლოა. “დიდგორი” ქართული რეალიაა და, შესაბამისად, გაუგებარი დარჩება ფრანგი მკითხველისათვის. ამიტომ გთავაზობთ თარგმანის მეორე ვარიანტს, სადაც ა. ბობოხიძის ნაცვლად მითითებული გვაქვს, რომ აღნიშნულ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკეთებს, ხოლო “დიდგორის” მაგივრად გამოყენებული გვაქვს “გადამწყვეტი ბრძოლა”, ამ სტრატეგიით ვცდილობთ გადმოვცეთ ამ სათაურის პრაგმატიკა და შინაარსი. მეორე სათაურის შემთხვევაშიც ლექსიკური დამატების საშუალებით ვცდილობთ ავხსნათ, რომ როგორც “ვარდების”, ასევე “ცოცხების” შემთხვევაში საუბარია რევოლუციაზე, რაც ქართველი მკითხველისათვის განმარტებას არ საჭიროებს.

- 7 ნოემბერი და 26 მაისი „ჯაშუში“ ფოტოგრაფების ობიექტივში - *La dispersion des manifestations dans l'objectif des photographes géorgiens accusés d'espionnage / Le 7 novembre et le 26 mai dans l'objectif des photographes géorgiens accusés d'espionnage.*

მომდევნო სათაურის თარგმნა მთარგმნელის მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, ვინაიდან სათაური დატვირთულია ქართული პოლიტიკური

⁵⁸http://www.for.ge/view_from.php?from_id=5643&from_cat=1&n_title=%60

⁵⁹ ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე (1121 წლის 12 აგვისტო), რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

რეალიებით. თარგმნის დროს დაზუსტებულია, რომ “7 ნოემბრის” და “26 მაისის” შემთხვევაში საუბარია საპროტესტო აქციების დარბევაზე, ხოლო “ფოტოგრაფების” შემთხვევაში კი დაზუსტებულია, რომ საუბარია ჯამშუშობაში ეჭვმიტანილ ფოტოგრაფებზე. აღნიშნული განმარტებები აუცილებელია, ფრანგმა მკითხველმა ადეკვატურად რომ შესძლოს სათაურის გაგება.

- „მოგელადის უწყება მთელი ხუთი თვის განმავლობაში კანონგარეშე მოქმედებდა“⁶⁰ - *Les activités du service de suivi financier de la Cour des comptes étaient hors la loi / illégales.*

“მოგელადის უწყება”, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქტიურად იყო დაკავებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგით, უცნობია ფრანგი მკითხველისათვის. შესაბამისად, თარგმანში აუცილებელია მივუთითოთ, თუ რომელ უწყებაზეა საუბარი. ფრანგულ სათაურში “მოგელადის უწყების” ნაცვლად გამოყენებული გვაქვს “კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახური”.

ცოდნა, რომელიც დაგროვილია ნებისმიერი ადამიანის გონებაში, არის ლინგვისტური და არალინგვისტური. ლინგვისტიკა და თარგმანი მომიჯნავე სფეროებია და, შესაბამისად, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნა აუცილებელია ადეკვატური თარგმანის განხორციელებისათვის (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 153).

თარგმნის პროცესში ტექსტში მოცემული სიტყვების გაგება ვერ უზრუნველყოფს შეტყობინების გადაცემას სათარგმნ ენაზე, რადგან მთარგმნელი ვერ დაეყრდნობა მხოლოდ სიტყვებს. თარგმანი ოპერაციაა, რომელიც ცდილობს ეკვივალენტობა ორ სხვადასხვა ენაზე შექმნილ ტექსტს შორის დაამყაროს.

ექსტრალინგვისტური ცოდნა გვეხმარება შევავსოთ ლინგვისტური ხარვეზები. როდესაც სიტუაცია გასაგებია მკითხველისათვის, მაშინ მას შეუძლია გამონათქვამის ინტერპრეტირება მწირი ლინგვისტური ცოდნის პირობებშიც კი. რაც უფრო მეტადაა დამოკიდებული გამონათქვამის მნიშვნელობა ექსტრალინგვისტურ ცოდნაზე,

⁶⁰http://www.for.ge/view.php?for_id=16014&f_cat=2&a_title=%E2%80%99

მთარგმნელს უფრო მეტად სჭირდება ჩასწვდეს ამ ცოდნას, რათა შეძლოს სათარგმნენაში გამონათქვამის ადეკვატურად გადმოცემა (ქილი 2005, 110).

დ. სელესკოვიჩი აცხადებდა: “თარგმანს მთელს მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს, ლიტერატურის გარდა ის გამოიყენება ისეთ სფეროებში როგორებიცაა: ვაჭრობა, პოლიტიკა, სამართალი, სამხედრო საქმე – სადაც ინტერესი დიდია და ხშირად ბუნდოვანებამ და გაუგებრობამ შეიძლება უარყოფითი შედეგები იქონიოს. საჭირო არაა იმის მტკიცება, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს თარგმანმა იმისდა მიხედვით, სწორად გადმოსცემს აზრს თუ ბუნდოვანს ხდის მას” (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 86).

ექსტრალინგვისტური ცოდნა აუცილებელია, რომ მოვახდინოთ წინადადებაში წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. კარგი თარგმანი ყოველთვის გულისხმობს ტექსტის ინტერპრეტაციას და ექსტრალინგვისტური ცოდნის გამოყენებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათაურების თარგმნის პროცესში აუცილებელი ხდება ლექსიკური დამატებების გამოყენება, რომ ნათარგმნი ტექსტი მკითხველმა ადეკვატურად აღიქვას. შესაბამისად, თარგმნის პროცესში მთარგმნელს უხდება იმპლიციტური მომენტების ახსნა, რომ ფრანგული და ქართული პოლიტიკური რეალიები და პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსები მაქსიმალურად სრულად გადაიცეს სათარგმნელ ენაზე. მთარგმნელისათვის აუცილებელია როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური ცოდნის მობილიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტექსტი შეიძლება არასრულად ან არასწორად გავიგოთ.

3.2. ფონური ცოდნა როგორც მთარგმნელობითი საქმიანობის დეტერმინანტი

საგაზეთო სტატიებისა და, ზოგადად, თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანია ფონური ცოდნა. ფონური ცოდნა მასობრივი კულტურის ნაწილია და კარგადაა ცნობილი ამა თუ იმ საზოგადოებისთვის. ფონური ცოდნა მნიშვნელოვანია სხვადასხვა თემატიკისა და ფუნქციურ-სტილისტური ტექსტების აზრის გასაგებად⁶¹.

მასობრივი კულტურა და, ძირითადად, საგაზეთო სტატიები აქტიურად რეაგირებენ ენაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებაზე და სტრუქტურული და კულტურული ისტორიული განვითარების ყველა თანამედროვე ტენდენციას ასახავენ. ნებისმიერი ტექსტი საზოგადოების ცხოვრების ნაწილია, ამიტომ ფონური ცოდნა აუცილებელია ტექსტის ადეკვატურად აღქმისათვის. თანამედროვე სტატიების ადეკვატური აღქმა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ტექსტის ავტორს და მკითხველს ერთნაირი ფონური ცოდნის მარაგი აქვთ, რომლის ფრაგმენტებიც, ტექსტში ავტორის მიერ დაყენებული პრაგმატიკული ამოცანის გადასაჭრელად, კონკრეტული ენობრივი ერთეულების საშუალებით გადმოიცემა⁶².

ტრადუქტოლოგების უმრავლესობა თანხმდება, რომ ტექსტის მხოლოდ ლინგვისტური კუთხით შესწავლა გაუმართლებელია, ვინაიდან ცალკეული გამოთქმებისა და ტექსტის აზრი არ შედგება მხოლოდ მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამისაგან⁶³.

აზრის ჩამოყალიბება სხვადასხვა გზით ხდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის ფაქტორის გათვალისწინება. ექსტრალინგვისტურ ცოდნაში კი ფონური ცოდნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს⁶⁴.

ფონური ცოდნა კოგნიტური კატეგორია და ექსტრალინგვისტური ცოდნის ერთ-ერთი სახეობაა⁶⁵, ის წარმოადგენს ერის სოციო-კულტურულ ფონდს, რომელიც ასე თუ ისე აისახება ენაში. სწორედ კულტურის ეს ნაწილი უნდა იქნეს შესწავლილი

⁶¹ <http://www.dissers.ru/avtoreferati-kandidatskih-dissertatsii/a203.php>

⁶² ⁶² <http://www.dissercat.com/content/priemy-verbalizatsii-fonovykh-znani-na-materiale-angloyazychnoi-pressy>

⁶³ <http://lisa.revues.org/119>

⁶⁴ ექსტრალინგვისტური ცოდნა დასავლურ ლიტერატურაში გამოიყენება, ტერმინს “ფონური ცოდნა” კი, ძირითადად, რუსულ ლიტერატურაში ვხვდებით.

⁶⁵ <http://www.dissercat.com/content/>

ორიგინალის სრულად და სიღრმისეულად გააზრების თვალსაზრისით, რომ მოხდეს ამ ღირებულებების სრულად გადატანა სათარგმნი ენის მეშვეობით.

ე. ვერეშაგინის და ვ. კოსტომაროვის განმარტებით, ფონური ცოდნა წარმოადგენს მოსაუბრის ან მსმენელის ცოდნას, რომელიც კომუნიკაციის პროცესში იგულისხმება. ეს ცოდნა ენობრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. ფონური ცოდნის ვერბალიზაცია ყოველდღიურ ურთიერთობებში არ ხდება. ფონური ცოდნა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც “კომუნიკაციური აქტის მონაწილეების საერთო ცოდნა”, რომელიც საუბრის დროს ურთიერთგაგებას უზრუნველყოფს (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 1990, 126).

ი. შეინას აზრით⁶⁶, ფონურ ცოდნაში მოიაზრება სხვადასხვა ტიპის ცოდნა, რომელიც გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე, ჩვენს მოლოდინსა და პრესუპოზიციაზე და რომელიც კომუნიკაციური სიტუაციის ნაწილს წარმოადგენს. ფონური ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს “მზა ფორმულებად”, რომელსაც კულტურულ-ენობრივი ჯგუფი თავის წევრებს სთავაზობს. ბუნებრივია, ერთი კულტურის ჩარჩოებში არსებული ეს “მზა აზრები” სოციალური სტატუსის, პირადი გამოცდილებისა და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით იცვლება.

მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია⁶⁷ :

1. ისტორიულ-კულტურული ფონი (ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა ქვეყანა, მისი საზოგადოება და კულტურა ისტორიულ პროცესში). ტექსტებში ხშირად გვხვდება მინიშნებები ან ალუზიები ისტორიულ პიროვნებებზე და ლიტერატურულ პერსონაჟებზე. იმისთვის, რომ მთარგმნელმა ეს მკითხველამდე მიიტანოს, მას განსაკუთრებული ერუდიცია სჭირდება.
2. სოციო-კულტურული ფონი (ეს არის ცნობები საზოგადოების ურთიერთობის, ნორმების, ღირებულებების, ეტიკეტის, ჟესტების ენის შესახებ).
3. ეთნო-კულტურული ფონი (ცნობები ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების, ეროვნული დღესასწაულების შესახებ).

⁶⁶ <http://library.rsu.edu.ru/archives/6998>

⁶⁷ <http://fridge.com.ua/2010/10/>

4. სემიოტიკური ფონი (ცნობები ეროვნული სიმბოლიკისა და ტოპოგრაფიული დასახელებების შესახებ). საკუთარი სახელების თარგმნამ, რომელსაც ყველგან ვხვდებით, შესაძლოა სერიოზული სირთულეების წინაშე დააყენოს მთარგმნელი, ვინაიდან საკუთარი სახელები შეიძლება ისეთ ბგერებს შეიცავდეს, რომელიც სათარგმნ ენაში არ არსებობს.

ი. შეინა მიიჩნევს, რომ უცხოენოვანი ტექსტის გაგების პროცესში ადრესატი ახდენს კულტურულ-სპეციფიკური პრესუპოზიციების ინტერპრეტაციას მიღებული ინფორმაციის ფონურ ცოდნასთან შერწყმის გზით. თუკი მას საკმარისი ფონური ცოდნის მარაგი აქვს, იგი მაშინვე გამოყოფს აუცილებელ საკვანძო სიტყვებს იმპლიციტური აზრების სწორად ინტერპრეტაციის მიზნით, ანუ ფონური ცოდნის ლინგვისტურ კონტექსტთან შერწყმა სასურველ შედეგს გვაძლევს. თუკი ფონური ცოდნა არასათანადოა, მაშინ ადრესატი ცდილობს მათ ლინგვისტურ კონტექსტთან შეთავსებას, იგი ამუშავებს იმპლიციტის ინტერპრეტაციის ჰიპოტეზებს, რომელიც კულტურულ პრესუპოზიციებს ემყარება. თუკი არ არსებობს ფონური ცოდნა, მაშინ სწორი ჰიპოტეზის წამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური კონტექსტის სათანადოდ ახსნის შემთხვევაში. რ. სკოლონი და ს. სკოლონი ფიქრობენ, რომ სწორი გაგების უზრუნველსაყოფად, მოსაუბრეების ფონური ცოდნა, ზოგიერთ ასპექტში, ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს⁶⁸.

ი. შეინას აზრით, კომუნიკაციის აქტის დროს სრულად არ გამოიყენება კომუნიკანტების კოგნიტურ სისტემაში არსებული ცოდნა, არამედ ხდება მხოლოდ იმ ცოდნის გააქტიურება, რომელიც წარმატებული ურთიერთგაგებისათვის აუცილებელია⁶⁹.

თითოეული ადამიანის ცნობიერებაში საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირის შესახებ ცოდნის გარკვეული მარაგია. ცოდნა გამყარებულია ადამიანური პრაქტიკით. მყარი კავშირები საშუალებას გვაძლევს ღიად კი არ გადმოვცეთ ინფორმაცია, არამედ ვიგულისხმოთ. ა. კრიუკოვის აზრით, ფონური ცოდნა თავის რეალურ არსებობას მხოლოდ გააზრებულ გამონათქვამში ავლენს. ფონური ცოდნა არის ინდივიდის მიერ

⁶⁸ <http://library.rsu.edu.ru/archives/6998>

⁶⁹ <http://library.rsu.edu.ru/archives/6997>

როგორც მატერიალური, ასევე სულიერი ღირებულებების გათავისება (კრიუკოვი 1988, 30).

“ფონური ინფორმაცია ისტორიული მოვლენაა”, აღნიშნავდა ვ. ვინოგრადოვი: “ის რეალურ დროში არსებობს, თუმცა შეიძლება მოძველდეს და წარსულის ნაწილი გახდეს. ფონური ცოდნა, რომელიც ადამიანების ცნობიერებაში ფეხს ვერ იკიდებს, დავიწყებას ეძლევა, ამიტომ ფონური ცოდნა შეიძლება დავყოთ აქტუალურ და ისტორიულ ცოდნად. თარგმნის თეორისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, ხანგრძლივი და ხანმოკლე ფონური ინფორმაცია. პირველი წარმოადგენს ერის სულიერი და კულტურული ცხოვრების საფუძველს, თაობიდან თაობას გადაეცემა და არსებობს მუდმივად. იმას მიუხედავად, რომ ეს წმინდა ეროვნული ფაქტები და საგნები ყოველდღიურობიდან ქრება, ისინი მაინც რჩება ადამიანების ცნობიერებაში” (ვინოგრადოვი 2001, 42).

ვ. ვინოგრადოვის აზრით, ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გადმოსცემენ ხანგრძლივ ფონურ ცოდნას, ტექსტის აღქმისათვის განსაკუთრებულ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მათი უმრავლესობა დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის ლექსიკონებში. სხვაგვარადაა საქმე ხანმოკლე ფონური ცოდნის შემთხვევაში, რომელიც უცებ შემოდის ხმარებაში და მალევე ეძლევა დავიწყებას. შესაბამისად, ის არ ფიქსირდება ლექსიკონებში. საქმე ეხება მოდურ სიტყვებს, გამოთქმებს, რესტორნებისა და კაფეების დასახელებებს, კერპების სახელებს. ხანმოკლე ფონური ცოდნა ყველა დროისათვისაა დამახასიათებელი და აისახება ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ასეთი ფონური ცოდნა თარგმნის დროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გასული საუკუნის ნაწარმოებებს ეხება (ვინოგრადოვი 2001, 42).

კულტურულ-სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ფონური ცოდნის ნაწილს წარმოადგენს, ლინგვისტურ კონტექსტთან ურთიერთქმედებით გავლენას ახდენს უცხოენოვანი ტექსტის გაგებაზე. უცხოენოვანი ტექსტიდან ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციის მისაღებად მკითხველი იყენებს როგორც ფონურ ცოდნას, ასევე ლინგვისტურ კონტექსტს. თარგმნის პროცესში ფონური ცოდნა ურთიერთქმედებს სიტყვებთან და ტექსტის სტრუქტურასთან. თუმცა, არასაკმარისი ფონური ცოდნით,

რაც შეიძლება კულტურული ღირებულებების განსხვავებებით იყოს განპირობებული, შესაძლოა ხელი შეეშალოს გამოთქმის სწორად ინტერპრეტაციას.

ფონური ცოდნა არაერთგვაროვანია. ვ. ვინოგრადოვი გამოყოფს ფონური ცოდნის სამ ტიპს: ზოგადსაკაცობრიო, რეგიონალურ და ქვეყანათმცოდნეობით ფონურ ცოდნას. თუმცა, მსგავსი კლასიფიკაცია არასრულია და მასში არ არის მოცემული სოციალურ-ჯგუფური ცოდნა, რომელიც გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, ექიმებისათვის, იურისტებისათვის და ა.შ. (ვინოგრადოვი 2001, 34).

ფონური ცოდნა სოციო-კულტურული ინფორმაციაა, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კონკრეტული ერისათვის, გათავისებულია მისი მოსახლეობის მიერ და აისახება ამ ეროვნული ჯგუფის ენაში. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს არა მხოლოდ ინფორმაციაა ამა თუ იმ რეგიონში მოხინაძრე ცხოველების შესახებ ან ეროვნული კერძების მომზადების რეცეპტების შესახებ. თუმცა, ესეც გარკვეულწილად ფონური ცოდნის ნაწილია. ფონური ცოდნა არის ის ცოდნა, რომელიც არსებობს მხოლოდ ერთ ენაში, მის სიტყვებსა და სიტყვათშეერთებებში (ვინოგრადოვი 2001, 36).

ვ. ვინოგრადოვის განმარტებით, ფონური ცოდნა ძირითადად მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებსა და ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის, მისი გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების შესახებ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ცნებებს (ვინოგრადოვი 2001, 36).

ფონური ინფორმაციის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული უფრო ფართო და მრავალმნიშვნელოვან ცნებასთან, როგორცაა, იმპლიციტი, ანუ ნაგულისხმევი ინფორმაცია. მკვლევრები მასში აერთიანებენ ტექსტის პრაგმატიკულ წინაპირობასა და სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციას, პრესუპოზიციას, რომელიც გამონათქვამის კომპონენტია და მის გააზრებას აიოლებს (ვინოგრადოვი 2001, 39).

იმპლიციტი, როგორც პრაგმატიკული მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილი, თარგმნისთვის მნიშვნელოვანია. იმისთვის, რომ ამოსავალი ენის ტექსტი თარგმნო, აუცილებელია გაიგო როგორც იმპლიციტი, ასევე ექსპლიციტი. იმპლიციტის გაგება

შესაძლებელია სათანადო ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის საფუძველზე. იმპლიციტის გაგება საშუალებას აძლევს მთარგმნელს არ განახორციელოს ლექსიკონისეული თარგმანი ანუ ტრანსკოდირება, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მთარგმნელს არ აქვს სათანადო ცოდნა იმ კონცეპტების შესახებ, რომლებიც ტექსტშია მოცემული. იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელის და ტექსტის ავტორის ცოდნა ემთხვევა ერთმანეთს, იმპლიციტის თარგმნა წარმატებით ხორციელდება.

იმპლიციტის გაგება შესაძლებელია სწორედ კონტექსტის საშუალებით. იმპლიციტის გაგება თარგმნის პროცესში შესაძლებელია კონტექსტში არსებული რელევანტური, ენციკლოპედიური და ლინგვისტური ინფორმაციის შერწყმის გზით. ნებისმიერი გამონათქვამი, მასში არსებული კონცეპტუალური იმპლიციტით, გაცილებით დიდია, ვიდრე ის ფორმულირება, რომლითაც ხდება მისი ენაში გადმოცემა. რაც უფრო სრულად ხდება იმპლიციტის გაგება, გაცილებით იოლია ლინგვისტური ფორმებიდან აზრის გამოტანა” (ლედერერი 2001, 47).

მარკო რუჩი აღნიშნავს: “მთარგმნელს სხვა ბილინგვებისგან გამომარჩევს არა მხოლოდ რამდენიმე ენის ცოდნა და საკუთრივ ენობრივი კომპეტენცია, არამედ მისი უნარი, გამოიყენოს ეს კომპეტენცია ენათაშორის კომუნიკაციის პროცესში, ინფორმაციის გადამუშავების რთულ საქმიანობაში” (რუჩი 1996, 46).

ი. იგნატევა მიიჩნევს, რომ ტექსტის თარგმანს წინ უსწრებს ანალიზი, რომლის დროსაც მთარგმნელი განსაზღვრავს თარგმნის ზოგად სტრატეგიას, ახდენს შესაძლო ენობრივი შესატყვისებისა და სირთულეების ანალიზს, სწორედ ამ ეტაპზე განსაზღვრავს მთარგმნელი თუ რა დევს “ტექსტის მიღმა”. აღსანიშნავია, რომ მედიატექსტებში გვხვდება ვერბალური ცნებები, რომლებიც მოითხოვს როგორც ინტერტექსტუალურ, ასევე – რეალური სინამდვილის შესახებ ცოდნას. კონკრეტული ადამიანების, მოვლენების, ფაქტების შესახებ ინფორმაციის ფლობა, განსაკუთრებით მედიატექსტებშია მნიშვნელოვანი⁷⁰. მაგალითად:

⁷⁰ www.mgimo.ru/files2/.../6eba27998ed2bdec02f5d8acde191ee3.doc

- *Ces pays qui veulent quand même rejoindre l'euro*⁷¹ - ქვეყნები, რომლებსაც მაინც სურთ ევროზონაში გაწევრიანება / ქვეყნები, რომლებსაც კვლავ სურთ შეუერთდნენ ევროზონას.

მოცემულ სათაურში საუბარია რეგიონალურ რეალია “ევროზონაზე”. აღნიშნული რეალია და სიტუაცია კარგადაა ნაცნობი ევროპელი მკითხველისათვის, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი საშუალო დონის ქართველი მკითხველისათვის. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად მივიჩნიეთ განმარტების გაკეთება და “l’euro” (ევრო) “ევროზონად” ვთარგმნეთ.

- *NDI-სა და IRI-ს, რა თქმა უნდა, არ ვენდობით*⁷² - *Nous ne faisons pas confiance aux sondages réalisés par l'International Republican Institute (IRI) et le National Democratic Institute (NDI) / Le chef du parti conservateur géorgien ne fait pas confiance aux sondages réalisés par l'International Republican Institute (IRI) et le National Democratic Institute (NDI).*

აღნიშნული სათაური არჩევნებთან დაკავშირებულ ქართულ რეალობას ასახავს და ფრანგი მკითხველისათვის გარკვეულ განმარტებებს საჭიროებს. ბუნებრივია, შეგვეძლოს, აღნიშნული ორგანიზაციების სრული სახელწოდება არ მოგვეცა სათაურში, თუმცა ჩავთვალოთ, რომ მათი ახსნა-განმარტებით მოცემული სათაური ფრანგი მკითხველისათვის უფრო საინტერესო და გასაგები გახდა. პირველ სათაურში არაა დაკონკრეტებული, ვის ეკუთვნის აღნიშნული გამონათქვამი, მეორე სათაურში კი დამატებულია, რომ ამ გამოკითხვებს კონსერვატიული პარტიის ლიდერი არ ენდობა. ვფიქრობთ, მეორე სათაური უფრო ზუსტად გადმოსცემს სათაურის შინაარსს.

მთარგმნელი კულტურათაშორისი ურთიერთობის შუამავლად გვევლინება და ამიტომ მას ორმაგი როლი აკისრია. თავდაპირველად, ის შეტყობინების პირობითი ადრესატია, კომუნიკაციურად სრულფასოვანი ტექსტის შექმნისას კი, ამ შეტყობინების პირობითი ავტორი. როგორც კომისაროვი აღნიშნავს: “მთარგმნელს უფრო სიღრმისეულად უნდა ესმოდეს სათარგმნი ტექსტი, ვიდრე მკითხველს, ვისთვისაც ეს ტექსტია განკუთვნილი”, ანუ თვითონ მთარგმნელს უნდა ჰქონდეს

⁷¹ <http://dailybalte.com/2012/05/11/>

⁷² http://www.ptpress.ge/index.php?option=com_content&view=article&id=4809

საკმარისი ფონური ცოდნა, რათა ავტორისა და თარგმანის სავარაუდო მკითხველის ფონური ცოდნის შეპირისპირება შემდგომ და თარგმნის პროცესს გაცნობიერებულად მიუდგეს” (კომისაროვი 1999, 25). მაგალითად:

- *Affaire Petraeus: après le FBI et le Pentagone, la CIA ouvre une enquête*⁷³ - პენტაგონისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს შემდეგ, პეტრეუსის⁷⁴ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას ცენტრალური სადაზვერვო სამსახური იწყებს.

აღნიშნული სათაური დატვირთულია ამერიკული პოლიტიკური რეალიებით. იმის მიუხედავად, რომ ეს რეალიები მეტ-ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველისათვის, გარკვეული განმარტებების გაკეთება მაინც აუცილებლად მიგვაჩნია. ფრანგულ სათაურში მოცემული აბრევიატურები **FBI** და **CIA** შეუძლებელია არ განიმარტოს, ვინაიდან, შესაბამისი აბრევიატურები ქართულ ენაში არ არსებობს, თუმცა, განმარტების გარეშე დავტოვეთ “პენტაგონი”, რომელიც ქართველი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ისედაც ასოცირდება ამერიკის თავდაცვის სამინისტროსთან.

საგაზეთო სტატიების თარგმნის პროცესში ფონური ცოდნა მნიშვნელოვანია. თუ საგაზეთო ინფორმაცია საერთაშორისო ხასიათისაა, ზოგადი პრესუპოზიცია ორივე ენაზე ტექსტის ადეკვატურ აღქმას უზრუნველყოფს და თარგმნის დროს რაიმე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება საჭირო აღარ ხდება.

- *L'Amérique commémore le 11-Septembre (Le Point 11/09/2011)* - შეერთებულ შტატებში 11 სექტემბერს იხსენებენ / შეერთებულ შტატებში 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულებს იხსენებენ.

მოცემული სათაურის თარგმნა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან 11 სექტემბრის ტერაქტები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა, კარგადაა ნაცნობი ქართველი მკითხველისათვის. სათაურის თარგმნის 2 ვარიანტს გთავაზობთ.

⁷³ <http://www.20minutes.fr/monde/1043890>

⁷⁴ CIA-ს დირექტორ, დევიდ პეტრეუსსა და მის ბიოგრაფ პაულა ბროდველის შორის სასიყვარულო ურთიერთობების გამოძეურების შედეგად, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსი იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა.

ვფიქრობთ, ორივე ვარიანტი მისაღებია, თუმცა, მეორე ვერსია ლექსიკური დამატებებით უფრო სრულად გადმოსცემს სათაურის არსს.

სიტუაცია რთულდება, როცა საუბარია წმინდა ეროვნულ მოვლენებსა და რეალიებზე, აქ განსხვავებულ კომუნიკანტებს პრესუპოზიციის ერთნაირი ფონი არ აქვთ და ამიტომ ეს რეალიები მხოლოდ ერთი ენის მატარებლებისათვისაა გასაგები, აქ მთარგმნელის განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად:

- *Le Parti Socialiste parle d'un nouveau scandale digne de Watergate*⁷⁵ - სოციალისტურ პარტიაში უოტერგეიტის მასშტაბის ახალ სკანდალზე საუბრობენ.
- *დარღვევების მიუხედავად, „სამართლიანი არჩევნები“ „კარდაკარის“ შედეგებს დადებითად აფასებს - Malgré des irrégularités l'ONG "Élections Démocratiques" évalue positivement les activités de la campagne de "porte à porte".*

მოცემული სათაურების თარგმნა მთარგმნელის მხრიდან გარკვეულ ახსნა-განმარტებებს მოითხოვს, ვინაიდან საქმე ეხება წმინდა ეროვნულ ფაქტებს. ქართველი მკითხველის ნაწილმა შესაძლოა არ იცოდეს, რომ “უოტერგეიტის”⁷⁶ შემთხვევაში საუბარია 1972-1974 წლის პოლიტიკურ სკანდალზე შეერთებულ შტატებში, რომელიც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გადაყენებით დამთავრდა. მეორე სათაურში კი ქართულ პოლიტიკურ რეალიებზეა საუბარი, რომელიც განმარტებების გარეშე გაუგებარია ფრანგი მკითხველისათვის. მთარგმნელმა აუცილებლად უნდა განმარტოს, რომ “კარდაკარი” არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, ხოლო “სამართლიანი არჩევნები” კი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია არჩევნების მონიტორინგი⁷⁷.

ი. იგნატევას აზრით⁷⁸, წარუმატებელი თარგმანების ერთ-ერთ მიზეზს სწორედ არასათანადო ფონური ცოდნა წარმოადგენს. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს პოლიტიკური ცხოვრების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების, მსოფლიოში არსებული სიტუაციის არასათანადო დონეზე ცოდნა. ამგვარად, შეგვიძლია

⁷⁵ <http://www.franceculture.fr/emission-journal-de-9>

⁷⁶ აშშ-ის პოლიტიკური სკანდალი რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც ნიქსონის რამდენიმე უახლოესი მრჩეველის დაპატიმრებითა და თვით პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა.

⁷⁷ საფრანგეთში მოქალაქემ არჩევნებში მონაწილეობა რომ მიიღოს, უნდა განაცხადოს ამის შესახებ, საარჩევნო ბარათი მიიღოს.

⁷⁸ www.mgimo.ru/files2/.../6eba27998ed2bdec02f5d8acde191ee3.doc

დავასკვნათ, რომ მედია ტექსტების კომპეტენტური მთარგმნელი აუცილებლად უნდა ფლობდეს ექსტრალინგვისტურ ცოდნას, პირველ რიგში, ინფორმაციას გამოჩენილი ადამიანების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

გეოგრაფიული დასახელებების, საყოფაცხოვრებო რეალიების და ქცევის ნორმების ცოდნა გვეხმარება არა მხოლოდ თარგმანში, არამედ უშუალოდ ურთიერთობებში, რადგან ჩვენს თანამოსაუბრესთან ერთად, ჩვენ ვფლობთ ვირტუალური, არავერბალური ცოდნის გარკვეულ მარაგს და ვიცნობთ იმ რეალიებს, რომელზეც ვსაუბრობთ. სწორედ ეს უზრუნველყოფს ადეკვატურ ენობრივ ურთიერთობას⁷⁹.

ამგვარად, ფონური ცოდნა მთარგმნელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა. ფონური ცოდნა მოიცავს არა მარტო ამოსავალი და სათარგმნი ენის კულტურების შესახებ ინფორმაციას, არამედ სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტებში საერთო ერუდიციას.

⁷⁹ <http://fridge.com.ua/2010/10/chto-takoe-fonovyye-znaniya-i-zachem-oni-nuzhnyi/>

3.3. რეალიები როგორც ნაციონალური და ისტორიული კოლორიტის მატარებლები

ნებისმიერ ენაში ენობრივი მნიშვნელობების სისტემა ასახავს ადამიანის როგორც გარეგან, ისე შინაგან სამყაროს, ანუ მოიცავს ერთ კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის პრაქტიკულ გამოცდილებას. თუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კოლექტივების გამოცდილება ერთნაირია, ერთნაირია მნიშვნელობებიც, რომელიც გამოხატულია ამ ენებში. ყველაზე დიდი სირთულე თარგმანში მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სიტუაცია, რომელიც ამოსავალ ტექსტშია აღწერილი, არ არსებობს სათარგმნი ენის კოლექტივის გამოცდილებაში, ანუ როდესაც ამოსავალ ტექსტში აღწერილია ე.წ. “რეალიები” (ბარხუდაროვი 1975, 94).

რეალიის ცნება, თანამედროვე გაგებით, არ არსებობდა ჟ.პ ვინესა და ჟ. დარბელნეს დროს. თეორიაში, რომელიც 1958 წლით თარიღდება, ისინი საუბრობენ “მეტალინგვისტიკის პლანში არსებულ განსხვავებებზე” და მათ შემდეგნაირად ახასიათებენ: “ეს იმ ურთიერთობების ერთობლიობაა, რომლებიც სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მოვლენებს ლინგვისტურ სტრუქტურებთან აკავშირებენ”. “კულტურულ და მეტალინგვისტურ განსხვავებებში” ისინი მოიაზრებდნენ ხელობებს, საზომ ერთეულებს, სოციალურ ცხოვრებას, სკოლებსა და უნივერსიტეტებს (ვინე, დარბელნე 1958, 259).

1988 წელს არც პიტერ ნიუმარკი იყენებს ტერმინს “რეალია” წიგნში *“A Textbook of Translation”*⁸⁰. ის საუბრობს “უცხოენოვან კულტურულ სიტყვებზე”, რომლებიც დაკავშირებულია კულტურასთან და ამა თუ იმ ენასთან, და დასძენს, რომ თარგმანში პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ამოსავალი და სათარგმნი ენის კულტურებს შორის გარკვეული დისტანცია არსებობს (ნიუმარკი 1988, 94-95).

ლ. ბარხუდაროვის განმარტებით, რეალიები ფონური ინფორმაციის ნაწილია, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებს და ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნებების შესახებ. თარგმნის თეორიაში რეალიებს უწოდებენ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის საგნებს

⁸⁰ “თარგმნის სახელმძღვანელო”.

და მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონკრეტული ერის კულტურასთან. თარგმანში ამ ელემენტების გათვალისწინება აუცილებელია (ბარხუდაროვი 1975, 94).

ს. ვლახოვი და ს. ფლორინი რეალიების შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობენ: საგნობრივი, დროისა და ადგილმდებარეობის რეალიები:

1. *საგნობრივი რეალიები* აერთიანებენ გეოგრაფიულ რეალიებს (ფიზიკური გეოგრაფიის ობიექტები, ცხოველების და მცენარეების დასახელება). გეოგრაფიული დასახელებები, როგორც წესი, ითარგმნება ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის საშუალებით: Washington – ვაშინგტონი (ტრანსლიტერაცია), Yonne – იონის დეპარტამენტი, Miami – მაიამი (ტრანსკრიფცია). იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება გეოგრაფიული დასახელების თარგმნა მნიშვნელობების საფუძველზე: La Grande-Bretagne – დიდი ბრიტანეთი, La Haute Normandie – ზემო ნორმანდია.
2. *ეთნოგრაფიული რეალიები* (ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია ერის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურასთან) ძირითადად ითარგმნება აღწერის მეთოდით: ჩოხა – La tchokha (Le costume national, manteau à cartouchières); le réveillon – საშობაო ვახშამი; ბორში – le borsch (une soupe traditionnelle à base de betteraves d'origine russe).
3. რეალიების გამოყენება ფართოდაა დამახასიათებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, ამიტომ ასეთი სახის ტექსტების მთარგმნელებისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ეს არის ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან). ასეთი რეალიები ითარგმნება როგორც ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის საშუალებით, ასევე, აღწერილობითი თარგმანისა და ანალოგების შერჩევის გზით: La chambre des communes – თემთა პალატა, Le secrétaire général – გენერალური მდივანი, La cour des comptes – კონტროლის პალატა (ვლახოვი, ფლორინი 1980, 61).

ტექსტში რეალია შესაძლოა შემდეგნაირად ამოვიცნოთ⁸¹:

⁸¹ <http://www.lingvo-plus.ru/perevod-realiy/>

1. სიტყვას სათარგმნ ენაში არ აქვს მუდმივი ეკვივალენტი, რომელსაც შეუძლია გადმოსცეს მისი მატერიალური მნიშვნელობა.
2. სიტყვა აღნიშნავს საგანს ან მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია ამოსავალი ენისათვის და უცხოა სათარგმნი ენისათვის.

რეალიები ნაციონალური და ისტორიული კოლორიტის მატარებელია. სწორედ ამ კოლორიტის გადმოცემა წარმოადგენს მთარგმნელის ძირითად პრობლემას. იქიდან გამომდინარე, რომ რეალია ამოსავალი ტექსტის ნაწილია, მისი გადმოცემა მეორე ენაში თარგმანის ადეკვატურობის ერთ-ერთი წინაპირობაა. მაგალითად:

- *François Bayrou nomme un "shadow cabinet" (Le Point 21/09/2010) - საფრანგეთის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი "ჩრდილოვან კაბინეტს" ქმნის/ ფრანსუა ბეირუ ალტერნატიულ მთავრობას ქმნის.*
- *Bartolone: "pas question que l'Assemblée recule" sur le mariage homosexuel (Le Point 02/12/2012) - საფრანგეთის სოციალისტური პარტიის თავჯდომარე აცხადებს, რომ ეროვნული ასამბლეა ჰომოსექსუალთა ქორწინების საკითხთან დაკავშირებით უკან დახევას არ აპირებს.*

ორივე სათაური პოლიტიკურ რეალიებს შეიცავს. პირველ მაგალითში გამოყენებულია ინგლისური რეალია “shadow cabinet”, ანუ “ჩრდილოვანი კაბინეტი”, რომლის ანალოგიც ფრანგულ პოლიტიკურ რეალობაში არ არსებობს. შესაბამისად, ფრანგი ჟურნალისტი ცდილობს შეინარჩუნოს აღნიშნული რეალიის კოლორიტი და მას ტრანსკრიფციის ხერხის გამოყენებით გადმოსცემს ფრანგულ სათაურში. ვფიქრობთ, აღნიშნული რეალია ქართველი მკითხველისათვის გარკვეულ განმარტებებს საჭიროებს. “Shadow cabinet” ალტერნატიულ მთავრობას გულისხმობს, რომელსაც, როგორც წესი, არსებული მთავრობის საპირისპიროდ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ლიდერები აყალიბებენ. რეალური მთავრობის ყოველ წევრს ჰყავს თავისი ალტერნატიული ოპონენტი ოპოზიციურ მთავრობაში. იდეის მიხედვით, ოპოზიციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, “ჩრდილოვანი კაბინეტი” ლეგიტიმურ მთავრობად იქცევა. მოცემული სათაურის თარგმნის ორი ვერსია გვაქვს წარმოდგენილი: პირველ შემთხვევაში შევეცადეთ რეალიის კოლორიტი შეგვენარჩუნებინა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს რეალია

შენარჩუნებულია ფრანგულ სათაურშიც; მეორე შემთხვევაში კი ეს რეალია განზოგადების გზით გადმოვეცით როგორც “ალტერნატიული მთავრობა”. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობას მეორე სათაურს ვანიჭებთ, რომელიც მკითხველს სრულ ინფორმაციას აწვდის, თუნდაც, რეალიის კოლორიტის დაჩრდილვის ხარჯზე. ამასთან, განვმარტეთ ვინ არის “ფრანსუა ბეირუ”. ქართული სათაურის პირველ ვერსიაში, ფრანგული სათაურისგან განსხვავებით, მისი გვარი არ ფიგურირებს, არამედ მითითებულია მისი თანამდებობა. მეორე სათაური ფრანგულ პოლიტიკურ რეალიას შეიცავს: “L’Assemblée” ყოველგვარი განმარტებების გარეშე გასაგებია ფრანგი მკითხველისათვის, მაგრამ გაუგებარია ქართველი მკითხველის დიდი ნაწილისათვის. ტექსტში საუბარია საფრანგეთის “ეროვნულ ასამბლეაზე”, ანუ საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატაზე, რომელმაც ჰომოსექსუალთა ქორწინების საკითხზე უნდა იმსჯელოს. როგორც პირველ სათაურში, ამ შემთხვევაშიც პიროვნების გვარის ნაცვლად (*Bartolone*) თარგმანში მითითებულია ამ პიროვნების თანამდებობა, რითაც მკითხველს ტექსტში ორიენტირება უიოლდება.

რეალიის თარგმნის სტრატეგიის არჩევა მთარგმნელზეა დამოკიდებული. ერთი და იგივე რეალია შესაძლოა ითარგმნოს ორი ან სამი საშუალებით და ყველა ეს თარგმანი სწორი იყოს, თუკი იგი ზუსტად გადმოსცემს სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობას.

ზოგიერთი მკვლევარი (ა. ფეოდოროვი, ე. ვერეშაგინი, ვ. კოსტომაროვი) რეალიებს “არაეკვივალენტურ ლექსიკას” უწოდებენ. ვ. კოსტომაროვი და ე. ვერეშაგინი “არაეკვივალენტურ ლექსიკას” შემდეგნაირად განმარტავენ: “ეს სიტყვები ისეთი ცნებების გამოსახატავად გამოიყენება, რომლებიც არ არსებობს სხვა ენასა და სხვა კულტურაში. ისინი დაკავშირებულია კონკრეტულ კულტურულ ელემენტებთან, რომლებიც ერთ კულტურაში არსებობს და სხვა კულტურაში არ მოიძებნება; ასევე, სიტყვები, რომელთა მეორე ენაზე ერთი სიტყვით თარგმნა შეუძლებელია, რომლებსაც სხვა ენაში ეკვივალენტები არ გააჩნიათ (კოსტომაროვი, ვერეშაგინი 1990, 53).

აქ ძირითადად მოიაზრება სიტყვათა შემდეგი ჯგუფები:

1. სიტყვები, რომლებიც სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანების პრაქტიკულ გამოცდილებაში არარსებულ საგნებს, ცნებებსა და სიტუაციებს აღნიშნავენ.

2. სიტყვები, რომლებიც ერთი კონკრეტული ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგნებს აღნიშნავენ. მაგალითად, ნაციონალური კერძები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ა.შ.
3. სიტყვები და მყარი სიტყვათშეერთებები, რომლებიც ერთი ერისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ მოვლენებს აღნიშნავენ (ბარხუდაროვი 1975, 93).

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინს – “უეკვივალენტო ლექსიკა”, ვიყენებთ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შესატყვისი მეორე ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი თარგმნა, რადგან პრინციპში ნებისმიერ ენას შეუძლია ნებისმიერი ცნების გამოხატვა (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 1990, 53).

თუმცა, ყოველთვის მარტივი არ არის განვსაზღვროთ, რა შემთხვევაში შეიძლება მივაკუთვნოთ ესა თუ ის სიტყვა არაეკვივალენტურ ლექსიკას, რადგან ოკაზიონალური მთარგმნელობითი ეკვივალენტი შეიძლება მყარ ლექსიკურ შესიტყვებაში გადავიდეს (ბარხუდაროვი 1975, 95).

ასე დამკვიდრდა ქართულში სიტყვები: იმპიჩმენტი, თემთა პალატა, სპიკერი და ა.შ. ამის შედეგად, შესაბამისი ინგლისური და ფრანგული ლექსიკა შეიძლება არაეკვივალენტურ ლექსიკად აღარ ჩაითვალოს. მაგალითად:

- *უმრავლესობა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას არ აპირებს*⁸² -
Géorgie : la majorité parlementaire n'envisage pas d'engager une procédure de mise en accusation du Président de la République/ La majorité parlementaire n'entend pas déclencher la procédure d'impeachment du Président Saakashvili.

მოცემული სათაურის თარგმნის ორი ვარიანტი გვაქვს წარმოდგენილი. სიტყვა “იმპიჩმენტი” უეკვივალენტო ლექსიკას წარმოადგენს, რომელიც ქართულში კალკირების გზით დამკვიდრდა, იმპიჩმენტი კონსტიტუციური კანონმდებლობით გათვალისწინებული უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებებაში მიცემის განსაკუთრებული პროცედურაა. ფრანგულში მისი კალკი ნაკლებად გამოიყენება და

⁸² <http://news.ge/ge/news/story/37440>

ძირითადად გადმოიცემა როგორც “*la mise en accusation*”, თუმცა, რიგ შემთხვევებში კალკირების ფორმებიც გვხვდება (*la procédure d'impeachment*).

ენის ლექსიკურ მარაგში სპეციალური მნიშვნელობის არარსებობა სიტყვის ან მყარი შესიტყვების სახით, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ ცნების გამოხატვა მოცემული ენის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ენის სისტემაში არ მოიძებნება მოცემული ნიშანი, მისი შინაარსის გადმოცემა ყოველთვის შეიძლება მთელი რიგი საშუალებებით (ბარხუდაროვი 1975, 96).

გ. ტომახინის აზრით, სანამ უშუალოდ თარგმანს დავიწყებდეთ, აუცილებელია გავიაზროთ ორიგინალის უცნობი რეალია, უნდა განვსაზღვროთ რა ადგილი უკავია მას კონტექსტში, როგორ გადმოგვცემს მას ავტორი და რა ხერხებს იყენებს იგი, რომ მკითხველისათვის გასაგები გახდეს რეალიის სემანტიკური და კონოტაციური შინაარსი. ყველაზე ხშირად უცნობია სწორედ უცხოური რეალიები, რომლებიც აღწერენ მოცემული ენისათვის უცხო სინამდვილეს. ეროვნული რეალიები არ საჭიროებს რაიმე სახის გააზრებას, ვინაიდან “ჩურჩხელა”, მაგალითად, არანაირ განმარტებას არ საჭიროებს ქართველი მკითხველისათვის, “მისტრალი” – ფრანგი, “თაუერი” – ინგლისელი მკითხველისთვის. ასევე, ნაკლებ გააზრებას საჭიროებს ინტერნაციონალური რეალიები, რადგან, მათი გავრცელების შედეგად, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა უკვე აქვს შექმნილი ამ რეალიისა და მისი ეროვნული კუთვნილების შესახებ (ტომახინი 1997, 17).

რეალიების გადმოცემისას თარგმანში ორი ძირითადი სირთულე იჩენს თავს. ესენია:

1. ლექსიკური ვაკუუმი, ანუ სათარგმნ ენაში შესატყვისის (ეკვივალენტის ან ანალოგის) არარსებობა იმის გამო, რომ სათარგმნი ენის მკითხველის სინამდვილეში არ არსებობს რეალიის მიერ აღნიშნული ობიექტი (რეფერენტი), და 2. რეალიის საგნობრივ (სემანტიკურ) მნიშვნელობასთან ერთად მისი კოლორიტის გადმოცემის აუცილებლობა (ვლახოვი, ფლორინი 1986, 89).

ზოგიერთ რეალიას სათარგმნ ენაში ერთჯერადი შესატყვისი აქვს, მაგალითად, “*La chambre des communes*” – “თემთა პალატა”. ერთჯერადი შესატყვისი ნიშნავს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ამოსავალი ტექსტის მოცემული ერთეული ითარგმნება

სათარგმნი ენის ერთი და იმავე ერთეულით, ანუ ასეთი რეალიების თარგმნის დროს სირთულეები ფაქტობრივად არ წარმოიქმნება (კომისაროვი 1990, 175).

სიტყვა-რეალიების თარგმნის რამდენიმე საშუალება არსებობს. ლ. ბარხუდაროვი რეალიების თარგმნის შემდეგ ხერხებს გვთავაზობს: ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფცია, ახალი სიტყვის შექმნა, მიახლოებითი თარგმანი, ჰიპონიმური თარგმანი, კალკი, სემანტიკური ნეოლოგიზმის შექმნა, რეალიის შეცვლა და პერიფრაზული თარგმანი.

საგაზეთო პოლიტიკური სტატიების თარგმნის პროცესში ძირითადად გამოიყენება ისეთი ხერხები, როგორიცაა: ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია, კალკი, ნაწილობრივი კალკი, მიახლოებითი თარგმანი, ჰიპონიმური თარგმანი და კონტექსტუალური თარგმანი. დანარჩენი ხერხები, პოლიტიკური რეალიების გადმოცემის თვალსაზრისით, ნაკლებად გამოიყენება.

1. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია გულისხმობს სათარგმნი ენის გრაფიკული ერთეულების დახმარებით შესაბამისი რეალიის შემოტანას ტექსტში, სათარგმნი ენის ფონეტიკური საშუალებების ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოების გზით. ტრანსლიტერაციის შემთხვევაში ამოსავალი ენის სიტყვა გადაიცემა სათარგმნი ენის გრაფიკული ფორმის საშუალებით, ტრანსკრიფციის შემთხვევაში კი ბგერითი ფორმით. *Le croissant* – კრუასანი, *le Bundestag* – ბუნდესტაგი, *le Matignon* – მატინიონი (საფრანგეთის პრემიერ მინისტრის რეზიდენცია), *know-how* – ნოუ-ჰაუ.

- *Le Bundestag se prononce à nouveau sur l'aide à la Grèce*⁸³ - გერმანიის ბუნდესტაგი საბერძნეთის დახმარების საკითხს კვლავ განიხილავს.

აღნიშნულ სათაურში ტრანსკრიფციის გზით გადმოვეცით გერმანული პოლიტიკური რეალია “Bundestag”, თუმცა, დავამატეთ სიტყვა “გერმანული”, იმისთვის რომ მკითხველს გაუიოლდეს სიტუაციის აღქმა.

წარმატებული ტრანსკრიფციის შემთხვევაში, მთარგმნელი ახერხებს როგორც შინაარსის, ასევე რეალიის კოლორიტის გადმოცემას. იმ შემთხვევაში, თუკი სათარგმნი ენაში არ არსებობს ის ბგერა, რომელიც თავისი ჟღერადობით წააგავს ამოსავალი

⁸³ <http://eventsmonde.com>

ტექსტის ბგერას, გამოიყენება ასოების შეერთება, რომელიც შესაბამის ჟღერადობას იძლევა. მთარგმნელები ტრანსკრიფციას საკმაოდ ხშირად იყენებენ, თუმცა, ტრანსკრიფციის გამოყენება გარკვეულწილად ტექსტის ადრესატზეა დამოკიდებული, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად ცნობილია აღნიშნული რეალია, რომ ეს რეალია მკითხველისათვის გაუგებარი არ აღმოჩნდეს. მაგალითად, როდესაც ხდება სიტყვა “პიარის” ან “ლობისტების” გამოყენება, ეს ცნებები ძირითადად გასაგებია ახალგაზრდა მკითხველისათვის და, თითქმის, არანაირ გაუგებრობას არ იწვევს, თუმცა, თუ მოხდება ამ ცნებების გამოყენება ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა მკითხველებიც შესაძლოა ხანში შესული ადამიანები იყვნენ, მთარგმნელი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს, რამდენად მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში ტრანსკრიფციის გამოყენება და ეს ცნებები უფრო ნეიტრალური ცნებებით შეცვალოს, მაგალითად, “საზოგადოებრივი ურთიერთობები” და “ზეწოლის ჯგუფები”.

2. *კალკი* – საშუალებას იძლევა სათარგმნ ენაში გადავიტანოთ რეალია მისი სემანტიკის მაქსიმალურად შენარჩუნების გზით. თუმცა, სემანტიკის შენარჩუნება კოლორიტის შენარჩუნებას არ ნიშნავს, ვინაიდან სიტყვის ნაწილის გადაცემა სათარგმნ ენის საშუალებების გამოყენებით ხდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა “ცათამბჯენი”, რომელიც ინგლისური “skyscraper” -ის კალკს წარმოადგენს (ფრანგ. le gratte-ciel). კალკირების მეთოდს ანდაზების თარგმნის დროსაც იყენებენ, როდესაც სხვადასხვა მიზეზის დროს, აუცილებელია შევინარჩუნოთ არა მარტო მათი აზრი, არამედ მათი აზრობრივი საფუძველი. მაგალითად: Une hirondelle ne fait pas le printemps - ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
3. *ნაწილობრივი კალკი* – სიტყვების ნაწილობრივი სესხების საშუალებას წარმოადგენს, როდესაც სიტყვა ნაწილობრივ სათარგმნ ენის, ნაწილობრივ კი ორიგინალის ენის ელემენტებისაგან შედგება. მაგალითად, “მესამე რაიხი” - Le Troisième Reich, “რუსეთის სახელმწიფო დუმა” - La Douma d'État russe. ხშირად კალკი და ნაწილობრივი კალკი ფართო გავრცელებას პოულობს ენაში, მაგრამ ისინი მაინც “ეგზოტიკურ სიტყვებად” რჩება, ვინაიდან მათი დენოტატი სათარგმნ ენის მკითხველისთვის უცხოა.

4. *ჰიპოთეზური თარგმანი* – რეალიების თარგმნის ეს ხერხი რეალიების თარგმნის დროს კონკრეტული ცნების ზოგადი ცნებით ჩანაცვლებას გულისხმობს და, ძირითადად, მკითხველისათვის უცხო, უცნობი რეალიების გადმოცემის დროს გამოიყენება. ჰიპოთეზური თარგმნის საფუძველს განზოგადების მეთოდი წარმოადგენს. ამ დროს რეალიის გადმოცემა უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულით ხდება. განზოგადების მეთოდი ფართოდ გავრცელებული ხერხია, რომელიც შესაძლებელს ხდის, არ გამოვიყენოთ ტრანსკრიფციის მეთოდი და ჩავანაცვლოთ რეალია ისეთი ცნებით, რომელთა შორის განსხვავება მოცემულ კონტექსტში უმნიშვნელოა. მაგალითად:
- *არჩვენებს პოლონეთის სეიმის სადამკვირვებლო მისიის ჯგუფი დააკვირდება*⁸⁴ - *Le Parlement polonais va envoyer une mission d'observation électorale en Géorgie.*

აღნიშნული სათაურის შემთხვევაში პოლონეთის პოლიტიკური რეალიის სათარგმნელად სწორედ ჰიპოთეზური თარგმნის ხერხი გამოვიყენეთ. “პოლონეთის სეიმი” ვთარგმნეთ როგორც “პოლონეთის პარლამენტი”, რითაც ფრანგ მკითხველს გაუიოლდება სათაურის აღქმა.

5. *მიახლოებითი თარგმანი* – აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ფუნქციური ეკვივალენტის გამოყენება საკმაოდ გავრცელებული ხერხია, რომელიც ადრესატში ისეთივე ასოციაციას იწვევს, როგორც ორიგინალის კითხვისას. აღნიშნული თარგმანი ემყარება ფუნქციური ეკვივალენტის შერჩევას. მაგალითად, “Terre Sainte” (promise) “წმინდა / აღთქმული მიწა” ანუ “პალესტინა”; “Le pays du soleil levant”- ამომავალი მზის ქვეყანა ანუ იაპონია.
6. *კონტექსტუალური თარგმანი* – აღნიშნული მეთოდი თავისი არსით წააგავს მიახლოებით თარგმანს და ეწინააღმდეგება ლექსიკონისეულ თარგმანს, ვინაიდან ამ მეთოდის გამოყენების დროს, სათარგმნ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს შესატყვისი, რომელიც განსხვავდება ლექსიკონში მოცემული შესატყვისისაგან. მოცემულ შემთხვევაში, მთარგმნელისათვის ამოსავალია კონტექსტი. თვით ეს მეთოდი მდგომარეობს თარგმნის დროს ლექსიკონისეული შესატყვისის კონტექსტუალური, მასთან ლოგიკურად

⁸⁴ <http://www.internet.ge/?l=GE&m=1&sm=0&ID=12064>

დაკავშირებული შესატყვისით ჩანაცვლებაში. ასეთი თარგმანის ნაკლს რეალიის, როგორც ნაციონალური კოლორიტის, სრულად გამოტოვება წარმოადგენს (ბარხუდაროვი 1975, 96).

- *Angela Merkel, la «Tsarine» de la droite allemande - ანგელა მერკელი გერმანიის მემარჯვენე პარტიის თავჯდომარედ აირჩიეს.*

მოცემულ სათაურში, რუსული რეალია “Tsarine” ჩავანაცვლეთ კონტექსტუალური ეკვივალენტით “თავჯდომარე” და არ ვთარგმნეთ როგორც “დედოფალი”. ეს გადაწყვეტილება გამართლებულია, სტატიის შინაარსიდან გამომდინარე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რეალიების თარგმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი მაინც ტრანსკრიფციაა. ტრანსკრიფცია ფართოდ გამოიყენება ნაცნობ რეალიებთან მიმართებაში, ინტერნაციონალური და რეგიონალური რეალიების შემთხვევაში. ტრანსკრიფციის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი მაქსიმალური ლაკონურობა. ტექსტში ტრანსკრიბირებულ სიტყვას, როგორც წესი, თან ახლავს სქოლიო ან განმარტებები. თუმცა, გამოცდილი მთარგმნელები და თეორეტიკოსები ხშირად მოუწოდებენ თავიანთ კოლეგებს ზომიერებისაკენ უცხოენოვანი სიტყვების გამოყენებისას, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში კოლორიტის გადმოცემა განმსაზღვრელ ფაქტორს არ წარმოადგენს და, შესაძლოა, რეალიის აზრობრივი შინაარსი ჩრდილში მოექცეს, რითაც თარგმანის კომუნიკაციური ფუნქცია ვერ შესრულდება⁸⁵. მაგალითად:

- *Fukushima: "le gouvernement refuse d'admettre la gravité de la situation"*⁸⁶ - *იაპონიის მთავრობა არ აღიარებს, რომ ფუკუშიმაზე მდგომარეობა სერიოზულია / იაპონიის მთავრობა არ აღიარებს, რომ ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე მდგომარეობა კრიტიკულია.*
- *Un membre palestinien de la Knesset israélienne dénonce la Résolution 1701 des Nations Unies*⁸⁷ - *ისრაელის ქსენეთის პალესტინელი დეპუტატი გმობს გაეროს 1701 რეზოლუციას / ისრაელის პარლამენტის პალესტინელი წევრი გმობს გაეროს 1701 რეზოლუციას.*

⁸⁵ <http://referat.ru/referats/view/23656>

⁸⁶ <http://www.humanite.fr/monde/477656>

⁸⁷ http://fr.dir.groups.yahoo.com/group/islam_jeunesse_international/message/16964

მოცემულ სათაურებში რეალიები სწორედ ტრანსკრიფციის საშუალებით გვაქვს გადმოცემული. სათაურების თარგმანის ორ-ორ ვერსიას გთავაზობთ, მართალია, ორივე რეალია მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, ვფიქრობთ, სათაურების მეორე ვერსია, რომლებშიც ლექსიკური დამატებები გამოვიყენეთ, უფრო ზუსტად გადმოსცემს სათაურების არსს.

ა. სადიკოვის აზრით, როდესაც ვსაუბრობთ რეალიების ტრანსკრიფციაზე, უნდა გავითვალისწინოთ ენათაშორისი ომონიმის ფაქტორი, ანუ ენაში ფონეტიკურად მსგავსი სიტყვების არსებობა. ტრანსკრიფციის გამოყენება გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, თუკი იგი ეწინააღმდეგება მკითხველის ესთეტიკურ გრძნობებს ან სასაცილო და უხამსი სიტყვების ასოციაციას იწვევს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია, უარი თქვას ტრანსკრიფციაზე (სადიკოვი 1984, 82).

რეალიების გადმოცემის დროს ტრანსლიტერაციის ხერხი იშვიათად გამოიყენება. ტრანსლიტერაციაზე საუბარი შეგვიძლია მხოლოდ ისეთი ცნებების თარგმნის შემთხვევაში, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ან საკუთარ სახელებს ეხება⁸⁸.

თუმცა, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხების მსგავსების გამო, საკმაოდ ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალიების აღმნიშვნელი ტრანსკრიბირებული სიტყვების უხვად გამოყენება თარგმანში არა თუ ხელს უწყობს ნაციონალური კოლორიტის შენარჩუნებას, არამედ, პირიქით, ანადგურებს მას და აიძულებს მკითხველს ყოველ ნაბიჯზე წააწყდეს გამოუსადეგარ ეგზოტიკურ სიტყვებს⁸⁹. უცხო სიტყვების ტექსტში გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ამა თუ იმ რეალიას შესატყვისი არა აქვს სათარგმნ ენაში.

სირთულეების მიუხედავად, რეალიების თარგმნა შესაძლებელია[...]. ახალი სიტუაციების აღწერის შესაძლებლობა ნებისმიერი ენის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ეს თვისება ხდის შესაძლებელს სხვა ენის საშუალებებით გადმოცემით მეორე

⁸⁸ <http://rudocs.exdat.com/docs/index-128594.html>

⁸⁹ <http://referat.ru/referats/view/23656>

ქვეყნის ხალხის ცხოვრების სპეციფიკური სიტუაციები, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ სხვა ქვეყნების და ხალხების რეალობაში (ბარხუდაროვი 1975, 98).

გლობალიზაციის პირობებში ზოგჯერ ერთი ქვეყნის რეალიები მეორე კულტურის რეალიებად გვევლინება, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა ძალიან ბევრი პოლიტიკური რეალობა: პრემიერ-მინისტრი, ომბუდსმენი, იუსტიციის სახლი, არასამთავრობო ორგანიზაცია და ა.შ., რომლებმაც დღეს ქართულ რეალობაში მყარად მოიკიდა ფეხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საბჭოთა რეალია ფრანგულ ენაშიც დამკვიდრდა იმ რეალიების აღსანიშნავად, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების სინამდვილეს ასახავს. მაგალითად:

- *საკაშვილი - ჩვენი შეცდომაა, რომ ყოფილი "გაიშნიკი" მუშაობდა სისტემაში, გაყიდა ინფორმაცია და გაიქცა*⁹⁰ - *Saakashvili: c'est notre erreur d'avoir recruté un ancien gaïchnik dans le système pénitentiaire du pays, qui avait empoché de l'argent en vendant des vidéos des abus de la prison et s'était enfui.*

მოცემული სათაურის თარგმნის დროს აუცილებელი ხდება ლექსიკური დამატების განხორციელება, რათა ფრანგ მკითხველს მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, რას ეხება აღნიშნული სტატია. სათაურში დაკონკრეტებულია, რომ საქმე ეხება იმ კადრებს, რომლებიც საქართველოს ციხეებში პატიმრების წამების ფაქტებს ასახავდა, რაც ქართულ სათაურში არაა ახსნილი. რაც შეეხება რეალიას “გაიშნიკი”⁹¹, გადავწყვიტეთ მისი ტრანსკრიფციის გზით გადატანა, ვინაიდან შეუძლებელია ფრანგულში ისეთი ეკვივალენტის მოძიება, რომელიც არ დაჩრდილავდა მის კოლორიტს.

კულტურული განსხვავებები გავლენას ახდენს მთარგმნელის სტრატეგიაზე. იმ რეალიებმა, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტრუქტურებს აღნიშნავენ, შესაძლოა მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, ვინაიდან პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, “L’Administration américaine” – ზოგადად, ამერიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას აღნიშნავს, რომელიც ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით,

⁹⁰ <http://www.ambebi.ge/politika/61335-saakashvili-chveni-shecdomaa-rom-yofili-qgaishnikiq-mushaobda-sistemashi-gayida-informacia-da-gaiqca.html>

⁹¹ ავტონისპექტორი.

დაყოფილია დეპარტამენტებად. თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელს “მდივანს” უწოდებენ, მაგალითად: “Le secrétaire à la Défense” (“თავდაცვის მდივანი”) ამერიკულ რეალობაში თავდაცვის მინისტრის მოვალეობას ასრულებს, ამიტომ შეცდომა იქნება “Le secrétaire à la Défense” ქართულად გადმოვიტანოთ როგორც “თავდაცვის მინისტრი”.

- *Obama envisage Kerry comme secrétaire à la Défense, Rice comme secrétaire d'État*⁹² - *ობამა აპირებს სენატორ კერის თავდაცვის მდივნის პოსტი შეთავაზოს, სუზან რაისი კი საგარეოდო სახელმწიფო მდივნის თანამდებობას დაიკავებს.*
- *La garde des sceaux aurait demandé d'enquêter après une fuite dans la presse-(Le Monde 27.09.2012) - პრესაში ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა გამოძიების დაწყება მოითხოვა.*

პირველი სათაური ამერიკულ რეალიებს შეიცავს. თარგმანში მათი შენარჩუნება აუცილებლად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში განმარტებების გაკეთება საჭირო არაა, ვინაიდან აღნიშნული რეალიები კარგადაა ნაცნობი ქართველი მკითხველისათვის. ამიტომ თარგმანში შენარჩუნებულია “სახელმწიფო” და “თავდაცვის მდივნები” და არ გვაქვს გამოყენებული “პრემიერ-მინისტრი” და “თავდაცვის მინისტრი”. მეორე სათაური კი ფრანგულ რეალობას ასახავს: “La Garde des Sceaux” (“ბეჭდის მცველი”) – მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში არსებობს. შესაბამისად, თარგმნის პროცესში აუცილებელია განზოგადების მეთოდის გამოყენება, ეს რეალია რომ გასაგები გახდეს ქართველი მკითხველისათვის. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში რეალიის კოლორიტი იკარგება, თუმცა ხდება შინაარსობრივი მხარის შენარჩუნება.

თარგმნის დროს რეალიების მნიშვნელობების არცოდნა ერთ-ერთი არსებითი სირთულეა. ასევე რთულია იმ სიტყვების თარგმნა, რომელთა მნიშვნელობა, ერთი შეხედვით, ნაცნობია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ორიგინალის პუბლიკაციის შემდეგ შეიცვალა. თუმცა, მთარგმნელი არ უნდა მოხვდეს უცხო სამყაროს გავლენის ქვეშ და ყველა სიტყვაში რეალია არ უნდა ეძებოს. უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა-რეალიის გამოყენებით ავტორი ყოველთვის არ უსვამს ხაზს ამ რეალიის არსს და არ ახდენს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას. კონოტაციის და კოლორიტის

⁹² <http://vigiinfos.canalblog.com/archives/2012/11/14/25576790.html>

შენარჩუნება თარგმანში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის გადმოცემა. ამიტომ არჩევანი ყოველთვის ტექსტის ადრესატისა და მისი პრაგმატიკულ-ესთეტიკური ბუნების გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს.

3.4. ანთროპონიმების როლი და ფუნქცია ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნისას

ანთროპონიმი, ანუ საკუთარი სახელი ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და მკვლევრების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ის ინტერესი, რომელსაც ლინგვისტები, ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები ანთროპონიმების მიმართ იჩენენ, სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან ანთროპონიმები პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებას და კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ეს ლინგვისტური ელემენტები ენას ელფერს სძენენ და მოცემული კულტურის შესახებ ინფორმაციის მატარებლებად გვევლინება. ონომასტიკას წმინდა ლინგვისტური სფეროდან სოციალურ და ისტორიულ სფეროში გადავყავართ. ანთროპონიმები, ტოპონიმები და სხვა ონომასტიკური ფორმები მონაცემების ჭეშმარიტ წყაროს წარმოადგენენ, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავიგოთ, თუ პირობებში ჩამოყალიბდა ესა თუ ის ერი, მათი წეს-ჩვეულებები, გეოგრაფიული მდებარეობა და ა.შ.⁹³

ანთროპონიმიკა ონომასტიკის ნაწილია და ადამიანების სახელებს, მათ წარმომავლობას, ევოლუციას და მათი ფუნქციონირების კანონზომიერებებს შეისწავლის. “ანთროპონიმი საკუთარი სახელია, რომელიც ოფიციალურად მინიჭებული აქვს ცალკეულ ადამიანს როგორც გამოსაცნობი ნიშანი” (ერმოლოვიჩი 2001, 38).

ანთროპონიმი ასახელებს, მაგრამ არ მიუთითებს არანაირ თვისებაზე და მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს რეფერენტის ინდივიდუალიზაციას, განასხვავებს რა მას სხვა სახელების მატარებელი პირებისაგან (ერმოლოვიჩი 2001, 38).

უკანასკნელ დრომდე კვლევები საკუთარ სახელებზე საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. იმის მიუხედავად, რომ ონომასტიკა ყოველთვის ლინგვისტების ყურადღების ცენტრში იყო, ისინი ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ამ კატეგორიის ლექსიკური ნიშნების სხვადასხვა ენაზე გადატანის კანონზომიერებებით.

⁹³ <http://referat.ru/referats/view/18451>

საკუთარი სახელების თემა თარგმანში მე-20 საუკუნის ბოლოს გაჩნდა. ლინგვისტების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საკუთარი სახელი ეტიკეტია, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი აღსანიშნი და რომლის როლსაც რეფერენტთან ფორმის დაკავშირება წარმოადგენდა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ საკუთარი სახელები თარგმნის შესწავლაში განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებდა, ვინაიდან თარგმნის დროს ხდებოდა მათი ტრანსკრიფცია ან ტრანსლიტერაცია. ასეთი მიდგომა არასწორია, ვინაიდან საკუთარი სახელები ენობრივი ბარიერების გადალახვაში გვხვმარება. ენობრივ გარემოში მათ რთული აზრობრივი სტრუქტურა, უნიკალური ფორმა და ეტიმოლოგია აქვთ. ამ სახელების სხვა ენაზე გადატანის დროს, ამ თვისებების უდიდესი ნაწილი იკარგება. საკუთარი სახელების თავისებურებების იგნორირების შემთხვევაში, მათ სხვა ლინგვისტურ რეალობაში გადატანამ შესაძლოა არა მარტო გააიოლოს, არამედ პირიქით, გაართულოს სახელის მატარებლის იდენტიფიკაცია. საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით, საკუთარ სახელებს უნივერსალურობის ტენდენცია აქვთ. საკუთარი სახელები ენათაშორისი კომუნიკაციისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს და თარგმნისა და უცხო ენების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (ერმოლოვიჩი 2001, 3).

“საკუთარი სახელები საგნის განსაკუთრებული, ინდივიდუალური აღნიშვნისათვის გამოიყენება, აღწერილი სიტუაციისა და სავალდებულო დაზუსტებების გარეშე” (ერმოლოვიჩი 2001, 9).

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების პირობებში ძნელი წარმოსადგენია მოინახოს ადამიანი, რომელიც უცხო ენიდან ნასესხებ სახელებსა და დასახელებებს არ იყენებს. ყველა საკუთარ სახელს საგნობრივი მნიშვნელობა აქვს, ანუ საკუთარი სახელების უმრავლესობა საგნების გარკვეულ კლასს აღნიშნავს, რომელთა შორის ერთი საგანი განსაკუთრებით გამოიყოფა. საკუთარი სახელები საგანზე და მის თვისებებზე გარკვეული ინფორმაციის მატარებელია. ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს მდიდარი ან მწირი. თუკი ეს ინფორმაცია ენობრივი კოლექტივის მასშტაბით ვრცელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობები მოცემულ საგანზე საკუთარი სახელის ენობრივი მნიშვნელობის ნაწილს წარმოადგენს⁹⁴.

⁹⁴ <http://referat.ru/referats/view/18451>

ენათაშორისი და კულტურათაშორისი კონტაქტის პირობებში საკუთარი სახელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საკუთარი სახელები ადამიანების ურთიერთობისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

საკუთარი სახელების ძირითადი ფუნქცია ნომინაციური ფუნქციაა და მისი მიზანი მსგავსი ობიექტების ერთმანეთისაგან განსხვავებაა. სახელებისა და დასახელებების თავისებურება, სხვა ნასესხები სიტყვებისაგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ სხვა ენაზე გადმოცემის დროს, ისინი ძირითადად თავიანთ საწყის ჟღერადობას ინარჩუნებენ, ამის მიზეზს საკუთარი სახელების სემანტიკური სტრუქტურის სპეციფიკა წარმოადგენს.

ზოგადად, დასახელებებისა და სახელების უმრავლესობის გადატანა გრაფიკულად ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ ენობრივ კოლექტივში საკუთარი სახელის ფუნქცია საგნის იდენტიფიცირებაა, ხშირ შემთხვევაში სახელს ენობრივ-ნაციონალური კუთვნილება აქვს.

ჟურნალისტებს ყოველდღიურად უხდებათ უცხოური სახელებისა და დასახელებების წერა. იმისათვის, რომ სწორედ ვწეროთ უცხოური სახელები, აუცილებელია შესაბამისი წესებისა და პრინციპების ცოდნა, ტრანსკრიფციის საფუძვლების გააზრება, საკუთარი სახელის ბუნების გაგება, უცხოური სახელების გადმოცემის სხვადასხვა საშუალებების ცოდნა. ბევრი ჟურნალისტი თვლის, რომ საკუთარი სახელები ავტომატურად ითარგმნება. ასეთი მიდგომის შედეგია უცხოენოვანი სახელების თარგმანში მრავალრიცხოვანი შეცდომები და უზუსტობები⁹⁵.

ანთროპონიმების გადმოცემისას ძირითადი მნიშვნელობა მის ჟღერადობას ენიჭება, რადგანაც ისინი უშუალოდ დასახელებენ ინდივიდუალურ ობიექტებს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საკუთარი სახელის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემის დროს შესაძლოა მივიღოთ რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან აზრსმოკლებული სახელები და დასახელებები.

⁹⁵ <http://referat.ru/referats/view/18451>

ა. პალიცკას აზრით⁹⁶, ანთროპონიმების თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად ფონეტიკური და მორფო-სინტაქსური განსხვავებებითაა გამოწვეული (ის, რაც ერთ ენაში ადვილად წარმოითქმის და ბუნებრივად თავსდება მორფო-სინტაქსურ სტრუქტურაში, ვერ თავსდება სხვა ენის სტრუქტურაში), ანბანური სისტემების განსხვავებებით და საკუთარი სახელების კონოტაციური მნიშვნელობით, რის გამოც ვერ ხერხდება კულტურული საზღვრების გადალახვა.

კ. აგაფანოვის და ტ. გრასის აზრით, ანთროპონიმების თარგმნის რამდენიმე ხერხი არსებობს⁹⁷:

- ტრანსლიტერაცია (ელცინი - Eltsine)
- ტრანსკრიფცია (Jacques Chirac - ჟაკ შირაკი)
- ტრანსპოზიცია (გიორგი - Georges)

1. *ტრანსლიტერაცია* არის მკაცრად განსაზღვრული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამოსავალი ენის თითოეული გრაფემის სათარგმნი ენის გრაფემით ან გრაფემათა ჯგუფით ჩანაცვლებას, ჟღერადობის გათვალისწინების გარეშე.

ტრანსლიტერაცია ტრანსკრიფციისაგან თავისი სიმარტივეთა და დამატებითი ნიშნების შემოტანის შესაძლებლობით განსხვავდება. ტრანსლიტერაციის ხერხს ხშირად მიმართავენ ბიბლიოგრაფიების ან კატალოგების შედგენის დროს ⁹⁸.

იქიდან გამომდინარე, რომ ტრანსლიტერაცია გულისხმობს სათარგმნ ტექსტში უცხოური ელემენტების ჩართვას, ის ნაკლებად გამოყენებული ხერხია. ტრანსლიტერაციის დროს უცხოენოვანი სახელის ჟღერადობა მნიშვნელოვანწილად მახინჯდება. ტრანსლიტერაციაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც ენები იყენებენ განსხვავებულ გრაფიკულ სისტემებს. მაგალითად: რუსული, ინგლისური, ბერძნული, ქართული – ეს ენები შესაძლოა ერთმანეთთან გარკვეულ შესაბამისობაში განვიხილოთ და ამ შესაბამისობის მეშვეობით მოვახდინოთ საკუთარი სახელების გადატანა (ერმოლოვიჩი 2001, 17).

⁹⁶ <http://corydoras.nazwa.pl/pomoce/fr/pliki/paliczka.pdf>

⁹⁷ <http://www.erudit.org/revue/meta/2006/v51/n4/014330ar.pdf>

⁹⁸ <http://referat.ru/referats/view/18451>

ტრანსლიტერაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. უპირატესობა აშკარაა – სახელის წერილობითი ვარიანტი არ მაჩინჯდება. სახელის მატარებელს აქვს უნივერსალური, ენებისგან დამოუკიდებელი იდენტიფიკაცია. დღეს, წმინდა ტრანსლიტერაცია პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში ან ლათინური ანბანის ასოების ჟღერადობა შეიცვალა, ან მათი წაკითხვა ხდება არასტანდარტულად გარკვეულ სიტყვებსა და ასოთშეთანხმებაში, ამიტომ, მათი ტრანსლიტერაცია ქართული ასოებით, თუკი მას თანმიმდევრულად შევასრულებთ, ამ სახელის სხვადასხვა ვარიანტებს შექმნის, რომლებსაც ორიგინალთან ნაკლები საერთო ექნებათ. პირდაპირი გადატანის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სხვა ენაზე მოსაუბრეები, ხშირად დამწერლობით ვერ ხვდებიან, თუ როგორ გამოითქმის უცხოური საკუთარი სახელი. მაგალითად, იტალიელი ტურისტების ჯგუფი ჟენევის ტბაზე გემით მოგზაურობდა. ისინი ხელმძღვანელობდნენ იტალიური ენაზე შედგენილი გიდით და აპირებდნენ დასახლებულ პუნქტ Pully-ში ჩასვლას, რომელსაც ისინი გამოთქვავდნენ როგორც [პული]. გემის გაჩერებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კაპიტანმა გამოაცხადა დასახლებული პუნქტის სახელწოდება [პიუი], რომელზეც იტალიელებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. ისინი მხოლოდ მას შემდეგ ჩამოვიდნენ გემიდან, რაც გემი გაჩერდა და მათ შემღეს დასახლებული პუნქტის დასახელების წაკითხვა (ერმოლოვიჩი 2001, 15).

სახელის უცვლელი ფორმით გადატანისას, სათარგმნი ენის მკითხველები ხშირად მას საკუთარი კითხვის წესებით გამოთქვამენ, მაგალითად, “Mozart” – ფრანგები გამოთქვამენ როგორც [მოზარ], თითქოს ეს ფრანგული სახელი იყოს, ხოლო ბეთჰოვენს, – როგორც [ბეთოვ] (დ. ერმოლოვიჩი 2001, 16).

2. ტრანსკრიფცია – წარმოადგენს ნაკლებ ფორმალურ მეთოდს, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. ზოგადად, ტრანსკრიფცია გულისხმობს ანთროპონიმის თარგმნას ორიგინალის ფონეტიკის მაქსიმალური დაცვით. ტრანსკრიფციას თითქმის ყველა საკუთარი სახელი ექვემდებარება (ადამიანების, გეოგრაფიული დასახელებები, ციური სხეულები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ფირმები, სასტუმროები, რესტორნები, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები), თუმცა, ერთი

ენის ფარგლებში შეიძლება ერთი და იმავე დასახელების სხვადასხვა ვარიანტი არსებობდეს⁹⁹.

ტრანსკრიფციაში შეუძლებელია ყველაფრის ფორმალიზება. ტრანსკრიფციას, თარგმანსა და ტრანსლიტერაციას შორის მსგავსება იმაშია, რომ ისინი რომელიმე ენიდან სათარგმნ ენაში სიტყვის გადმოცემის საშუალებად გამოიყენება, განსხვავება კი ამ გადმოცემისათვის გამოყენებული ხერხებია (თუკი ტრანსკრიფციის დროს, რომელიმე სიტყვა არაკეთილხმოვნად ისმის ან უწმაწურ სიტყვასთან ასოცირდება, მაშინ მიზანშეწონილია ფონეტიკური პრინციპებიდან და ტრანსკრიფციის წესებიდან გადახვევა) (ერმოლოვიჩი 2001, 25). მაგალითად, ცნობილი ფრანგი ველომრბოელის K. Sireau-ს გვარი ქართულში უწმაწურ სიტყვასთან ასოცირდება, ამიტომ უკეთესია აღნიშნული გვარი გადმოვიტანოთ როგორც “სილო” და არა, –“სირო”.

საკუთარი სახელი ყოველთვის რეალიაა. მეტყველებაში იგი აღნიშნავს არსებულ ან გამოგონილ ობიექტს, პიროვნებას ან ადგილს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ერთადერთი და განუმეორებელია. თითოეული ასეთი სახელი, როგორც წესი, შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული ობიექტის ლოკალური და ნაციონალური კუთვნილების შესახებ. ტრანსკრიბირებული საკუთარი სახელები, სხვა რეალიებთან ერთად, თარგმნის იმ მცირერიცხოვან ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ჟღერადობის თვალსაზრისით გარკვეულ ნაციონალურ თავისებურებას ინარჩუნებენ¹⁰⁰. მაგალითად: Mikhail (Mikhaïl) Saakashvili, Guirguï Baramidze, Maïa Fandjikiidze, Nougzar Tsiklauri, Bidzina Ivanishvili, Batcho Akhalaia, Tea Tsulukiani, Zakaria Kutsnashvili, Anders Fogh Rasmussen, Djokhar Douaïev, Mikhaïl Gorbatchev, Sergueï Lavrov.

- *Le mandat de M. Rasmussen à la tête de l'OTAN prolongé d'un an - ნატოს გენ. მდივნის თანამდებობაზე რასმუსენს მანდატი ერთი წლით გაუხანგრძლივდა.*

თუმცა, ზოგიერთ ქართულ ინტერნეტ საიტზე ნატოს გენერალური მდივნის სახელი ხშირად შეცდომით იწერება (ანდრესი – ანდერსის ნაცვლად). მაგალითად :

- *ანდრეს ფოგ რასმუსენი: ნატო საქართველოს ერთგული პარტნიორია¹⁰¹.*

⁹⁹ <http://referat.ru/referats/view/18451>

¹⁰⁰ <http://referat.ru/referats/view/18451>

¹⁰¹ <http://ghn.ge/news-78105.html>

- *Hollande prêt à affronter Sarkozy (L'EXPRESS 17/10/2011)* - ოლანდი მზადაა სარკოზის დაუპირისპირდეს.

მოცემულ მაგალითში ორივე საკუთარი სახელი ტრანსკრიბირების ხერხითაა ნათარგმნი და ამოსავალი ენის ჟღერადობას ინარჩუნებს. თუმცა, ქართულ პრესაში *François Hollande*-ის ტრანსლიტერაციის მაგალითებსაც ვხვდებით: ჰოლანდი/ჰოლლანდი. მიგვაჩნია, რომ ორივე ვარიანტი არასწორია და ვთვლით, რომ საკუთარი სახელის გადმოცემის საუკეთესო ხერხია ტრანსკრიფცია, ვინაიდან ტრანსკრიბირების შემთხვევაში სახელი ამოსავალი ენის ჟღერადობას ინარჩუნებს. მაგალითად:

- *Entretien d'Henri de Raincourt avec Vera Kobalia, ministre de l'Économie et du Développement durable de Géorgie*¹⁰² - თანამშრომლობის საკითხებში საფრანგეთის მინისტრი ანრი დერენკური ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა კობალიას შეხვდა.

ფრანგული ჟურნალ-გაზეთები ქართული გვარების თარგმნის დროს სწორედ ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის მეთოდს იყენებენ:

- *Entretien du Premier ministre avec le Président géorgien Mikheil Saakashvili*¹⁰³ - საფრანგეთის პრემიერ მინისტრი პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა.
- *François Fillon avertit contre le risque de « balkanisation de l'UMP »*¹⁰⁴ - ფრანსუა ფიონი "სახალხო მოძრაობის" დანაწევრების საფრთხეზე საუბრობს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ფრანსუა ფიონი "სახალხო მოძრაობის კავშირის" ბალკანიზაციის საფრთხის შესახებ გვაფრთხილებს).

მოცემული სათაურის თარგმნის დროს მოვახდინეთ ლექსიკური ჩანაცვლება, სიტყვა "ბალკანიზაცია" შევცვალეთ სიტყვით "დაშლა". მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში კალკი გაუმართლებელი იქნებოდა, ვინაიდან მკითხველს გაუჭირდება იუგოსლავიის დაშლასა და პარტიის დაშლას შორის პარალელის გავლება. ორივე ანთროპონიმის შემთხვევაში, როგორც ქართულ, ასევე, ფრანგულ პრესაში არსებობს რამდენიმე ვარიანტი: ფრანსუა ფიონი /ფრანსუა ფილონი/ ფრანსუა ფილონი, Mikheil Saakashvili/ Mikhail Saakashvili/ Mikhail Saakashvili.

¹⁰² <http://www.diplomatie.gouv.fr/fr/pays-zones-geo/georgie/la-france-et-la-georgie/visites-8569/>

¹⁰³ http://archives.gouvernement.fr/fillon_version2/presse/

¹⁰⁴ <http://www.lesechos.fr/economie-politique/politique/actu/0202252686236>

ტრანსკრიფციასა და ტრანსპოზიციასთან ერთად ანთროპონიმების გადმოცემის პრაქტიკაში არსებობს კიდევ ერთი, ნაკლებად შესწავლილი პრინციპი – ტრანსპოზიცია. ტრანსპოზიცია ეტიმოლოგიური შესატყვისის პრინციპია და გულისხმობს სემანტიკურად იდენტური, მაგრამ სინტაქსურად განსხვავებული ლექსემის გამოყენებას. საკუთარი სახელის ტრანსპოზიცია ითვალისწინებს ორიგინალის ენის საკუთარი სახელის ჩანაცვლებას სათარგმნ ენაში არსებული ფორმით. სხვადასხვა ენაზე არსებული საკუთარი სახელები, რომლებიც განსხვავდება ფორმით, მაგრამ აქვთ საერთო ლინგვისტური წარმომავლობა, შეიძლება გამოვიყენოთ ერთმანეთის გადმოსაცემად. ზოგჯერ ტრანსპოზიცია რეგულარულად გამოიყენება, ზოგჯერ კი მას ეპიზოდური ხასიათი აქვს (Georges – გიორგი, Jean – ივანე) (ერმოლოვიჩი 2001, 15).

ავიღოთ, მაგალითად, Gerhard Schröder – გერჰარდ შროდერი და George Bush – ჯორჯ ბუში. ამ სახელების თარგმნის დროს ფრანგები ფრანგულ ვარიანტს იყენებენ და “ჟორჟ ბუშს” და “ჟერარ შროდერს” გამოთქვამენ.

ტრანსპოზიცია ძირითადად გამოიყენება ისტორიული, ბიბლიური პერსონაჟებისა და მონარქების გადმოსაცემად. ძველი დროიდან არსებობს პრაქტიკა, რომ მონარქებისა და რელიგიური მოღვაწეების სახელების გადმოცემა ხდებოდა ტრანსპოზიციის გზით. მაგალითად:

- *La visite du Pape Jean-Paul II à Cuba: Une leçon au monde*¹⁰⁵ - იოანე-პავლე მეორეს ვიზიტი კუბაში მსოფლიოსთვის მაგალითია / რომის პაპი კუბაში ვიზიტით მსოფლიოს მაგალითს აძლევს.

რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების დასახელებას, თარგმნისას, ძირითადად, ხდება მათი ტრანსკრიფცია: “Le Figaro” - გაზეთი “ლეფიგარო”; “Le Monde” - გაზეთი “ლემონდი”; “Libération” - გაზეთი “ლიბერასიონი”, “24 საათი - 24 saati”; “კვირის პალიტრა” - “kviris palitra” და ა.შ.

თუ მთარგმნელი იყენებს ისეთ ენებს, რომლებსაც განსხვავებული გრაფიკა აქვთ, მაშინ ის საკუთარი სახელების ტრანსკრიბირებას არსებული წესებით ახდენს, თუკი

¹⁰⁵ <http://www.granma.cu/frances/plus-d'infos/22mar-Une%20lecon.html>

მათ ერთნაირი გრაფიკა აქვთ, მაშინ სახელი უცვლელად გადადის. თუმცა, გარკვეული სირთულეები ანთროპონიმების ტრანსკრიბირების დროს მაინც არსებობს, რაც გაგების დროს შეცდომებს იწვევს და ერთი უცხოური სახელის ორი ან მეტი ვარიანტის შექმნის შესაძლებლობას ქმნის.

უცხოური სახელების გადმოცემა მრავალმხრივ რთული პრობლემაა. ის დაკავშირებულია მთელ რიგ შეცდომებთან, კურიოზებთან და გაუგებრობებთან. ამ შეცდომების მიზეზი მხოლოდ მთარგმნელების ან ჟურნალისტების არაკომპეტენტურობა არ არის. უცხოური სახელების თარგმანში გადმოტანას, როგორც ამას დ. ერმოლოვიჩი აღნიშნავდა, გარკვეული დიალექტური წინააღმდეგობრიობა ახასიათებს (ერმოლოვიჩი 2001, 14).

საკუთარი სახელის უნიკალურობის შენარჩუნება მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას გულისხმობს, რაც გარკვეული შეზღუდვების გამო, ყოველთვის ვერ ხორციელდება.

3.5. საგაზეთო სტატიების სათაურების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა მთარგმნელისაგან მოითხოვს ე.წ. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხორციელებას, რათა ნათარგმნი ტექსტი მაქსიმალურად სრულად გადმოსცემდეს ამოსავალ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას. მთარგმნელი უნდა ცდილობდეს ორიგინალის თავისებურების შენარჩუნებას სათარგმნი ენის ნორმების მკაცრი დაცვით. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, რაც მისაღები და დამახასიათებელია ერთი ენისათვის, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მეორე ენისათვის.

თარგმანის ხარისხი ფასდება ორგვარად: ერთი მხრივ, თარგმანი – როგორც ავტონომიური ტექსტი და, მეორე მხრივ, მისი ურთიერთობა ორიგინალთან, რასაც, როგორც წესი, “ორიგინალისადმი ერთგულებას” უწოდებენ (ჟილი 2005, 55).

თარგმნის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ტექსტის სტატუსი ამოსავალ კულტურაში და მისი გავლენა თარგმნის პროცესზე (კონსტიტუციისა და ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნისას, მთარგმნელი ერთნაირ სტრატეგიას ვერ გამოიყენებს). იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ სათაურის თარგმანზე, გ. მომპარი გამოყოფს მოვლენისა და კითხვის მომენტებს, კომუნიკაციის საშუალებას (ჟურნალი, გაზეთი), მედიის ორიენტაციას (იდეოლოგიური და პოლიტიკური პრინციპები), ჟურნალისტურ და კულტურულ ტრადიციებს, ჟურნალისტურ ჟანრსა და რუბრიკას (მომპარი 1982, 53).

სათაურების თარგმნისას აუცილებელი ხდება ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური ტრანსფორმაციების განხორციელება. საგაზეთო სტატიები, რომელთა მიზანია ინფორმირება, ახსნა და მკითხველის დარწმუნება, იქნება ეს თარგმანი თუ ორიგინალი, გასაგები უნდა იყოს, უნდა იცავდეს შესაბამისი რეგისტრის ლინგვისტურ ნორმებს, რაც, თავისთავად, დამატებითი სიტყვების გამოყენებასა და გრამატიკული სტრუქტურის ცვლილებას გულისხმობს, რომ ის აზრი, რომელიც მოკლედ არის ჩამოყალიბებული ფრანგულ ენაზე, სრულყოფილად იქნას გადმოცემული ქართულში და, პირიქით.

კ. ნორდი აღნიშნავდა, რომ სათაურების თარგმნის პირველ ეტაპზე აუცილებელია მოხდეს თარგმანის სკოპოსის, ანუ მიზნის ანალიზი (ნორდი 1995, 281).

ორიგინალის ტექსტის სათაურები იშვიათად ითარგმნება სიტყვასიტყვით. როგორც წესი, მთარგმნელის არჩევანს განაპირობებს ის კომუნიკაციური რეალობა, რომელშიც ტექსტი უნდა ითარგმნოს.

თარგმანში უამრავი სირთულე არსებობს, რომელთა გადაწყვეტა, ზოგიერთ შემთხვევაში, მთარგმნელისგან მოითხოვს შემოქმედებით სვლას. ეს პრობლემები არსებობს როგორც ლექსიკურ დონეზე, ასევე სინტაქსურ პლანში. იქიდან გამომდინარე, რომ ლექსიკურ დონეზე არჩევანი ხშირად სუბიექტურია, ლექსიკა წარმოადგენს კრეატიულობის განსაკუთრებულ სფეროს (გალაგერი 2007, 97).

ორიგინალის ტექსტის აზრის გადმოსაცემად ლექსიკური ერთეულების სწორად შერჩევა, თარგმანის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. ამ ამოცანის სირთულე განპირობებულია სიტყვის კომპლექსური ბუნებით, მისი მრავალმხრივობითა და სემანტიკური სიმდიდრით. სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული, ორ ენაში ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მთარგმნელის ამოცანაა ამოსავალი ტექსტის ადეკვატური თარგმანის განსახორციელება, რათა თარგმანი ადეკვატურად გადმოსცემდეს ინფორმაციას, ჰქონდეს იგივე სტილისტური შეფერილობა და იგივე ეფექტი მოახდინოს მკითხველზე.

მთარგმნელს უნდა ახსოვდეს, რომ სიტყვას, საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის გარდა, აქვს ემოციური მნიშვნელობაც. სიტყვების ემოციური მნიშვნელობა გვიქმნის არა მარტო წარმოდგენას საგნის, მისი თვისებისა და მოქმედების შესახებ, არამედ იწვევს გრძნობას, ემოციას და გარკვეულ დამოკიდებულებას საგნის ან მოვლენის მიმართ. მაგალითად, ქართულში სიტყვებმა “ჩაი” და “ცოცხი” განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ, “ცოცხი” პროტესტის სიმბოლოდ იქცა, ხოლო მას შემდეგ, რაც პარლამენტში შეჭრილმა მიხეილ სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის ჩაი დალია, “ჩაი” შევარდნაძის ეპოქის დასასრულთან ასოცირდება. მაგალითად:

- როგორ გადაიქცა "ვარდების რევოლუცია" "ცოცხების რევოლუციად".¹⁰⁶ – *Géorgie: la révolution des Roses transformée en "révolution des balais" à l'approche des élections.*
- მიხეილ სააკაშვილის თქმით, მან შევარდნაძის ჩაი ქართველი ხალხის სახელით დალია¹⁰⁷ – *Saakashvili: j'ai bu du thé du président Chevardnadze au nom du peuple géorgien.*

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შესახებ თარგმნის თეორიაში მრავალი ნაშრომი არსებობს. მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია ანუ ენათაშორისი გარდაქმნა ამოსავალი ტექსტის ელემენტების გადაადგილებას, აზრის ხელახალ გამოხატვას და პერიფრაზირებას ითვალისწინებს, რომლის მიზანსაც მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან დაკავშირებით თარგმნის თეორიის სპეციალისტებს შორის საერთო აზრი არ არსებობს. წამყვანი სპეციალისტები მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების სხვადასხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ, თუმცა ჩვენ უპირატესობას ა. ფიტერმანის და ი. ლევიცკაიას კლასიფიკაციას ვანიჭებთ, რომლებიც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების 3 ტიპს გამოყოფენ:

1. *გრამატიკული ტრანსფორმაცია* – ტრანსფორმაციის ეს ტიპი გულისხმობს შემდეგი ხერხების გამოყენებას: გადაადგილება, გამოტოვება, დამატება, გარდაქმნები და წინადადებების ჩანაცვლება.
2. *სტილისტური ტრანსფორმაციები* – ამ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი ხერხები, როგორიცაა: სინონიმური ჩანაცვლებები, აღწერილობითი თარგმანი, კომპენსაცია და ა.შ.
3. *ლექსიკური ტრანსფორმაციები* – ტრანსფორმაციის ეს ტიპი აერთიანებს ჩანაცვლებებს, დამატებებს, კონკრეტიზაციას, განზოგადებასა და გამოტოვებებს (ლევიცკაია, ფიტერმანი 1973, 136).

თარგმნის პროცესში განსკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკური ტრანსფორმაციის ისეთი ტიპები, როგორიცაა: კონკრეტიზაცია, განზოგადება, დამატებები, ჩანაცვლება და გამოტოვება.

¹⁰⁶ <http://nicholaska.blogspot.com/2012/09/blog-post.html>

¹⁰⁷ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/159370>

კონკრეტიზაცია ეწოდება ამოსავალი ენის ფართო დენოტაციური მნიშვნელობის სიტყვის ან შესიტყვების სათარგმნი ენის უფრო ვიწრო მნიშვნელობის სიტყვით ან შესიტყვებით ჩანაცვლებას. კონკრეტიზაცია შეიძლება იყოს ენობრივი ან – კონტექსტუალური. კონკრეტიზაცია განპირობებულია ორი ენის წყობაში არსებული განსხვავებით, სათარგმნ ენაში ისეთი ლექსიკური ერთეულის არარსებობით, რომელსაც ისეთივე ფართო მნიშვნელობა ექნებოდა, სტილისტური მახასიათებლების განსხვავებით ან გრამატიკული თავისებურებებით. რაც შეეხება კონტექსტუალურ კონკრეტიზაციას, ის განპირობებულია ძირითადად ამოსავალ და სათარგმნ ენებს შორის არა სისტემურ-სტრუქტურული განსხვავებებით, არამედ – კონტექსტუალური ფაქტორებით ან სტილისტური მოსაზრებებით, მაგალითად, გამეორებების თავიდან აცილების სურვილით და ფრაზის დამთავრების აუცილებლობით. ხშირად საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვების კონკრეტიზაცია ხდება კონტექსტზე დაყრდნობით.

განზოგადება ეწოდება მოვლენას, როდესაც ამოსავალი ენის ერთეული, რომელსაც აქვს ვიწრო მნიშვნელობა, სათარგმნ ტექსტში იცვლება უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ერთეულით. განზოგადება ხშირ შემთხვევაში პრაგმატიკული ფაქტორების გადმოსაცემად გამოიყენება (ბარხუდაროვი 1975, 129). მაგალითად:

- *Ukraine: pas d'examen du problème ABM à la Rada suprême*¹⁰⁸ - უკრაინის პარლამენტი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის განთავსების საკითხს არ განიხილავს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: უკრაინა: უმაღლესი რადა ABM - ის პრობლემას არ განიხილავს).

აღნიშნული სათაურის თარგმანი სრულად გადმოსცემს სათაურის პრაგმატიკულ არსს. თარგმნის დროს მივმართეთ ზომიერ ექსპლიციტს და მოვახდინეთ ტრანსფორმაციები ქართული ენის სტილისტური და ლექსიკური ნორმების გათვალისწინებით. ქართულ სათაურში განმარტებულია, რომ ანტისარაკეტო სისტემა (ABM), რომელზეც საუბარია ტექსტში, შეერთებულ შტატებს ეკუთვნის, ამასთან, “უმაღლესი რადა” განზოგადების გზით ვთარგმნეთ როგორც “უკრაინის

¹⁰⁸ <http://fr.rian.ru/world/20070319/62246532.html>

პარლამენტი”. ვფიქრობთ, აღნიშნული ტრანსფორმაციების შედეგად ფრანგული სათაური ქართველი მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს,

დამატება – მიზეზები, რის გამოც შეიძლება გაჩნდეს ლექსიკური დამატებების აუცილებლობა, მრავალგვარია. დამატებების განხორციელება თარგმანში შეიძლება გამოწვეული იყოს წინადადების სინტაქსური გარდაქმნის აუცილებლობით, რომლის დროსაც ზოგჯერ ამა თუ იმ ელემენტის დამატება ხდება საჭირო. მაგალითად, ქვემდებარის დამატება, რომელიც არაა მოცემული ამოსავალ ტექსტში. არის შემთხვევები, როდესაც დამატებები განპირობებულია იმ მნიშვნელობების გადმოცემის აუცილებლობით, რომელიც ორიგინალში გრამატიკული საშუალებებითაა გამოხატული, ზოგიერთ შემთხვევაში დამატება განპირობებულია წმინდა სტილისტური მოსაზრებებით. მაგალითად:

- *Ingérence impérialiste en Syrie: les “démocraties” occidentales isolées sur la question syrienne*¹⁰⁹ - იმპერიალისტური ჩარევა სირიის საშინაო საქმეებში: დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები სირიის საკითხთან დაკავშირებით იზოლაციაში აღმოჩნდნენ.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: იმპერიალისტური ჩარევა სირიაში: დასავლური დემოკრატიები იზოლირებულები სირიის საკითხზე).

მოცემული სათაურის თარგმნა ლექსიკურ ტრანსფორმაციებს მოითხოვს, რაც წინადადების სინტაქსური გარდაქმნის აუცილებლობითაა გამოწვეული. ამასთან, სწორედ ლექსიკური დამატებით ხდება შესაძლებელი ფრანგულში არტიკლით გადმოცემული მნიშვნელობის ქართულ ენაზე გადმოტანა: *les démocraties* - ქართულ ენაში ვამატებთ სიტყვა “სახელმწიფოს”, რათა სათაური ადეკვატურად იქნას გადმოცემული თარგმანში. თუმცა, ქართველი ჟურნალისტები ხშირად იყენებენ სიტყვას “დემოკრატიები”, რაც ქართული ენის ნორმების დარღვევაა.

ჩანაცვლებები – მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ყველაზე გავრცელებული მეთოდია. თარგმნის პროცესში ჩანაცვლებას შეიძლება დაექვემდებაროს როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური ერთეულები, ამასთან, შეიძლება მოხდეს არა მარტო

¹⁰⁹ <http://www.n30.fr/?p=5923>

ცალკეული ერთეულების ჩანაცვლება, არამედ მთლიანი კონსტრუქციების ჩანაცვლებაც. მაგალითად:

- *L'opposition raille le manque de réponses à la crise (Le Figaro 03/07/2011) - ოპოზიცია მთავრობას კრიზისის მოგვარების გეგმის არ არსებობისთვის აკრიტიკებს.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ოპოზიცია დასცინის კრიზისზე პასუხების ნაკლებობას).

- *UMP : Copé organise la «reconquête» sur le terrain (Le Figaro 02/07/2012) - კოპე პოზიციებს გამყარებისათვის ემზადება.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კოპე აწყობს მოედნის ხელახალ დაპყრობას).

- *Cameron tenté par un référendum sur l'UE (Le Figaro 02/07/2012) - ბრიტანეთის პრემიერი ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავს.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კამერონი ევროკავშირის შესახებ რეფერენდუმის ცდუნების წინაშე).

აღნიშნულ მაგალითებში ხდება ფრანგული ენის ცალკეული ლექსიკური ერთეულების ქართული ენის ლექსიკური ერთეულებით ჩანაცვლება, რომლებიც მათ ლექსიკონისეულ შესატყვისს არ წარმოადგენენ, ანუ ცალკე აღებულს, განსხვავებული დენოტაციური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ზმნა “railler” – დაცინვა, ხუმრობა, პირველ სათაურში ზმნა “გაკრიტიკებით” შევცვალეთ, რომელიც ზმნა “railler”-ს ლექსიკონისეულ შესატყვისს არ წარმოადგენს, მეორე სათაურში “la reconquête” – ხელახალი დაპყრობა, დაბრუნება, – შევცვალეთ ზმნა “გამყარებით”, მესამე სათაურში კი ზმნა “tenter” – მოხიბვლა, გამოცდა, – ჩავანაცვლეთ ზმნა “გამორიცხვით” უარყოფით ფორმაში (ანუ ამ შემთხვევაში შევასრულეთ ანტონიმური თარგმანი). მოცემული შესატყვისები წარმოადგენენ ფრანგული ლექსიკური ერთეულების კონტექსტუალურ შესატყვისებს.

გამოტოვება – დამატების საპირისპირო მეთოდია. თარგმნისას გამოტოვებას ექვემდებარება სემანტიკურად ზედმეტი სიტყვები, ანუ სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ისეთ მნიშვნელობას, რაც ტექსტში მათი გამოყენების გარეშეც გასაგებია.

მაგალითად, სინონიმური წყვილები – ანუ სიტყვები, რომლებიც პარალელურად გამოიყენება და ერთნაირი ან მსგავსი რეფერენციალური მნიშვნელობა აქვთ. ზედმეტი ელემენტების გამოტოვება მთარგმნელს საშუალებას აძლევს განახორციელოს ტექსტის კომპრესია, ანუ ტექსტის მოცულობის შემცირება, სათარგმნი ენის ენობრივი და სტილისტური ნორმების ჩარჩოებში. მაგალითად:

- *Des élections "libres et équitables" pourraient être contestées*¹¹⁰ - ანგოლაში სამართლიანი არჩევნების შედეგები შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

ამ შემთხვევაში *“élections libres et équitables”* შეიძლება ვთარგმნოთ როგორც *“სამართლიანი არჩევნები”*. ამას გარდა, დამატების მეთოდის საშუალებით ვაზუსტებთ, რომ საქმე ანგოლაში ჩატარებულ არჩევნებს ეხება.

იმისთვის, რომ ვთარგმნოთ, აუცილებელია როგორც ამოსავალი ტექსტი, ასევე, ნათარგმნი ტექსტის გაგება, რათა არ მოხდეს ტექსტის უბრალო ტრანსკოდირება. მუდმივად უნდა ხდებოდეს იმის გაცნობიერება, რომ თარგმანი არის ქმედება, რომელიც გულისხმობს სათარგმნ ენაზე ადეკვატური ტექსტის შექმნას, რომელიც ორიგინალის ტექსტის ერთგული იქნება, თუმცა, სათარგმნი ტექსტისადმი ერთგულება მაშინაცაა შესაძლებელი, როცა ნათარგმნი ტექსტის სიტყვები და სტრუქტურა მნიშვნელოვნად სცილდება ორიგინალს. მაგალითად :

- *Sarkozy-Fillon, la haine (Le Point 05/04/2011)* - განხეთქილება საფრანგეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: სარკოზი—ფიონი, ზიზღი).

ჟურნალ *“Le Point”*- ში გამოქვეყნებული სტატია მოგვითხრობს იმ დაპირისპირების შესახებ, რომელიც უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთის პრეზიდენტსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შორის წარმოიშვა. მოცემული სიტუაცია კარგადაა ცნობილი ფრანგი –, მაგრამ სრულიად უცხოა ქართველი მკითხველისათვის. ლექსიკური დამატებებისა და გრამატიკული ტრანსფორმაციების გზით შევეცადეთ სათაური ქართველი მკითხველისათვის გასაგები გამხდარიყო და, ამასთან, არ დარღვეულიყო ქართული ენის სტილისტური ნორმები. ფრანგულ ენაში მოცემული გვარები

¹¹⁰ http://ipsinternational.org/fr/_note.asp?idnews=7198

ქართულში თანამდებობებით შევცვალეთ (*Sarkozy – საფრანგეთის პრეზიდენტი, Fillon – საფრანგეთის პრემიერ მინისტრი*). ფრანგული სათაური ინტრიგაზეა გათვლილი, ხოლო ქართული სათაური კი ძირითადად ინფორმირებაზე. ფრანგული პრესისათვის სათაურის მსგავსი წყობა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია, მაგრამ მიუღებელია ქართული ენისათვის. არსებული სახით ფრანგული სათაურის პირდაპირი გადმოტანა, ქართული ენის როგორც გრამატიკული, ასევე, სტილისტური ნორმების უხეშ დარღვევას გამოიწვევდა. ამიტომ, ლოგიკურად მიგვაჩნია სათაურების გაშლა და სტილისტურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების განხორციელება სათაურის პრაგმატიკის სრულად გადმოსაცემად.

მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თარგმნის პროცესში როგორც ლექსიკური, ასევე სტილისტური ტრანსფორმაციების განხორციელება. თარგმანი არ წარმოადგენს უბრალო ტრანსკოდირებას და მთარგმნელისაგან მთელ რიგ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, რადგან მთარგმნელის ფუნქცია არ შემოიფარგლება ერთი ენის სიტყვების მეორე ენის სიტყვებით ჩანაცვლებით და რომ ნათარგმნმა ტექსტმა ორიგინალის მსგავსი ეფექტი უნდა მოახდინოს.

თავი IV. მთარგმნელობითი სტრატეგიის პრაგმატიკული პირობები

ფრანგული საგაზეთო სათაურების თარგმნისას

4.1. მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით

მთელს მსოფლიოში თარგმანი უდავოდ დიდ როლს თამაშობს. ის დიალოგი, რომელიც ხალხთა შორის მიმდინარეობს, სწორედ თარგმანის საშუალებით ხორციელდება. თანამედროვე სამყაროში, ინფორმაციული კავშირები სოციალურ-კულტურული პროგრესის ძირითად წყაროს წარმოადგენს, სადაც გაზეთი ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანების ცნობიერებაზე.

თარგმანი ყოველთვის იყო ლინგვისტური მრავალფეროვნების სამსახურში და ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას უწყობდა ხელს. ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ. მდე - 3000 წელს ეგვიპტელებს ჰქონდათ იეროგლიფი, რომელიც თარგმანს და თარჯიმანს აღნიშნავდა. იქიდან გამომდინარე, რომ თარგმნის აქტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ კულტურულ ტრანსფერსაც, მთარგმნელი წარმოადგენს პიროვნებას, რომელიც ინტერკულტურული ბარიერის გადალახვაში გვეხმარება¹¹¹.

ნ. გორმეზანოს აზრით¹¹², დღეს მთარგმნელი მოიაზრება როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის სპეციალისტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტი პოლიტიკურ, არამედ – ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. პროფესიონალ მთარგმნელს მოეთხოვება არა მხოლოდ უცხო ენაზე შედგენილი ტექსტის გაგება, არამედ უცხო კულტურის გააზრება და სათარგმნ ენაზე ადეკვატური გადაცემა, ვინაიდან, კულტურული განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე.

კენიაში მისიით იმყოფებოდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა მასაის ტომთან და ცდილობდა ამ ხალხისთვის მიეწოდებინა ცნობები

¹¹¹ http://hal-confremo.archives-ouvertes.fr/docs/00/59/95/78/PDF/LA_na_Menhem-version_finale-2_dec_2010.pdf

¹¹² http://dtiil.unilat.org/XIseminariofct_ul/gormezano.htm

საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ. თარჯიმანს მოუხდა ცნება “ინტერნეტის” თარგმნა, რომელიც ამ ტომის რეალობაში არ არსებობდა. თარჯიმანმა გააცნობიერა, რომ მარტო სიტყვის თარგმნა საკმარისი არ იქნებოდა და საჭიროდ ჩათვალა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. მან გადაწყვიტა, პოეტურად აეხსნა ტერმინი “ინტერნეტი” და იგი ცაში მოფარფატე დიდ ბიბლიოთეკას შეადარა. “მაუსის” გადმოსაცემად კი მან სხვა მღრღნელი, კერძოდ, ვირთხა გამოიყენა, ვინაიდან ამ ტომის წევრები არ იცნობდნენ ქალაქის პატარა თავგებს. ამ გზით მთარგმნელმა წარმატებით შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება¹¹³.

თარგმნა უბრალო ტრანსკოდირებას არ გულისხმობს. თარგმანი უკიდურესად კომპლექსური მოვლენაა, რომელიც მოიცავს ენას, კულტურას და ადამიანებს შორის ურთიერთობებს. საგაზეთო სტატიების თარგმნისათვის ლინგვისტური ცოდნა საკმარისი არ არის, მთარგმნელს აუცილებლად ესაჭიროება ფართო ექსტრალინგვისტური ცოდნა და კულტურული კომპეტენცია¹¹⁴.

ვ. ვიალონი გამოყოფს მთარგმნელისათვის აუცილებელ 6 კომპონენტს: ლინგვისტურს, დისკურსულს, ფსიქო-ფიზიოლოგიურს, არავერბალურს, სოციო-კულტურულს, რეფერენციულს და სტრატეგიულს¹¹⁵.

ა. მიქოიანის აზრით¹¹⁶ მთარგმნელის წარმატებული საქმიანობისათვის ერთ-ერთი და გადამწყვეტი ფაქტორია “გაგება”. მთარგმნელის მიერ ამოსავალი ტექსტის გაგება, მისი საერთო აზრის გაგება, თითოეული ელემენტის გაგება და გააზრება, ცალკეული სიტყვებიდან, წინადადებიდან დაწყებული, ტექსტის დონით დამთავრებული, რადგანაც ტექსტის გაგების გარეშე, ადეკვატური თარგმანის შესრულება შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში, თარგმანში ლექსიკური შეცდომების მიზეზი, სწორედ, ამოსავალი ტექსტის არასწორად ან არასრულად გაგებაა.

ამოსავალი ტექსტის სწორად გაგების ერთ-ერთი წინაპირობაა იმის გააზრება, რომ ორი ენის ე.წ. “ლექსიკონისეული შესატყვისები” ხშირად სხვადასხვა

¹¹³ http://hal-confremo.archives-ouvertes.fr/docs/00/59/95/78/PDF/LA_na_Menhem-version_finale-2_dec_2010.pdf

¹¹⁴ <http://www.bdue.de/append/mdue/MDueculture.pdf>

¹¹⁵ <http://www.bdue.de/append/mdue/MDueculture.pdf>

¹¹⁶ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

აზრობრივი სტრუქტურის მატარებლებია. აზრობრივი სტრუქტურების შეუსაბამობა ახასიათებთ, ძირითადად, ყველაზე ფართოდ გამოყენებულ სიტყვებს, რომლებსაც მრავალი მნიშვნელობა და კონტექსტუალური კონოტაცია აქვთ. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თარგმანის ადეკვატურობა მხოლოდ სწორად ნაპოვნი ლექსიკური შესატყვისებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი¹¹⁷.

მთარგმნელობითი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, როგორც ა. მიქოიანი მიიჩნევდა, მთარგმნელი უნდა:

1. ჩაწვდეს ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციას და სტრუქტურის აზრობრივ შინაარსს;
2. განსაზღვროს მთავარი იდეა და აქცენტები;
3. გამოავლინოს ტექსტის კავშირი ტექსტს მიღმა მოვლენებთან და რეალურ სინამდვილესთან;
4. გაითვალისწინოს ფართო კონტექსტი, მათ შორის, ექსტრალინგვისტური;
5. განსაზღვროს და გაითვალისწინოს ტექსტის სტილი/რეგისტრი და აუდიტორიის თავისებურებები;
6. გაითვალისწინოს ის სიტუაცია, რომელშიც ტექსტი შეიქმნა და გაითვალისწინოს ტექსტის ავტორის განზრახვა;
7. გაითვალისწინოს კონოტაცია და დაუშვას იმის შესაძლებლობა, რომ ამოსავალ ტექსტში გაემიჯნოს ლექსიკონისეულ მნიშვნელობებს;
8. მუდმივად იმუშავოს ფონური ცოდნის გადრეკებაზე;
9. გამოიყენოს ლექსიკონები, ცნობარები და მიმართოს ექსპერტებს კონსულტაციებისთვის;
10. შეამოწმოს ყველა ის საკუთარი სახელი და ტოპონიმი, რომლებიც მოხსენიებულია ტექსტში;
11. გაჰყვეს მთლიანად ტექსტის ლოგიკას.

ა. მიქოიანი იქვე განმარტავს, თუ რა არ უნდა გააკეთოს მთარგმნელმა:

¹¹⁷ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

1. მთარგმნელმა არ უნდა იმსჯელოს ამოსავალ ტექსტში მოცემული სიტყვის აზრის შესახებ მისი ძირითადი მნიშვნელობით (ან იმ მნიშვნელობით, რომელიც მისთვისაა ცნობილი) ან ლექსიკონში მოცემული პირველი მნიშვნელობით;
2. ბრმად არ ენდოს ორენოვან ლექსიკონებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თარგმნის უცხო ენაზე (ამ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს მნიშვნელობა, კონოტაცია და ის, თუ რეალურად როგორ გამოიყენება ესა თუ ის სიტყვა);
3. არ დატოვოს გადაუმოწმებელი “საექვო” შემთხვევები და აზრობრივი შეუსაბამოებები;
4. არ ენდოს მხოლოდ ინტუიციასა და ვარაუდს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია მათი შემოწმება;
5. არ შეასრულოს სიტყვასიტყვითი თარგმანი.

სათაურები ხშირად გამხდარა სხვადასხვა სფეროს კვლევის ობიექტი. სათაური მკითხველის ინტერესის აღძვრის საშუალებაა და სპეციფიკურ ენობრივ სტრატეგიებს იყენებს ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა: რიტორიკა, ლინგვისტიკა, სოციალური დისკურსი, პრაგმატიკა და ა.შ. (პენალვერ ვისეა 1965, 251).

ა. მიქოიანის¹¹⁸ აზრით, დღეს ბევრი რამ არის დამოკიდებული ინფორმაციის გადაცემის ადეკვატურობასა და ოპერატიულობაზე, შესაბამისად, საგაზეთო სტატიების თარგმნის პრობლემატიკა მეტ აქტუალობას იძენს. ამიტომ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს აზრის არასწორად ან ბუნდოვნად გადმოცემა.

გ. სოლგანიკის აზრით¹¹⁹, საგაზეთო ენა ყოველთვის იყო კრიტიკის ობიექტი. შტამპები, გაუმართლებელი კალკები და შეცდომები საგაზეთო ენას ყოველთვის თან ახლავს. ბუნებრივია, სამეტყველო კულტურის მკვეთრი დაქვეითება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც შეეხო. ეს გამოწვეულია როგორც მოუმზადებელი კადრების ჟურნალისტიკაში მოსვლით, ასევე შიდა ცენზურის არარსებობით. საკმარისია ნებისმიერი გაზეთის გადაშლა ან გადაცემის ყურება, რომ აღმოვაჩინოთ

¹¹⁸ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

¹¹⁹ <http://evartist.narod.ru/text12/15.htm>

მრავალრიცხოვანი შეცდომები და ნორმებიდან გადახვევა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში შეცდომების ხარისხი და რაოდენობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

საგაზეთო ენას უდიდესი შესაძლებლობები და გავლენა აქვს საზოგადოებაზე. გაზეთი ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ის გათვლილია ფართო და, ამასთან, არაერთგვაროვან აუდიტორიაზე, რომელიც მან უნდა დააინტერესოს, ამიტომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწორად ორგანიზება¹²⁰.

საგაზეთო პუბლიცისტური სტილი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სახეობა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, რთულ მოვლენას წარმოადგენს.

საგაზეთო ტექსტები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით შეკუმშული, საქმიანი და მშრალია საინფორმაციო ხასიათის სტატიები და შეტყობინებები. მსგავსი შეტყობინებების თარგმნა წინადადების სინტაქსური გარდაქმნების, სტრუქტურული ცვლილებებისა და ლექსიკური ტრანსფორმაციების გზით უნდა მოხდეს, რადგან ეს ცვლილებები სათარგმნი ენის ნორმებისა და საგაზეთო სტილის ნორმების დაცვის აუცილებლობითაა გამოწვეული (ლევინკაია, ფიტერმანი 1963, 13).

საგაზეთო სტატიებთან დაკავშირებული სემიოტიკურ-ლინგვისტური კვლევების სიმწირის მიუხედავად, სათაურების როლი პრესაში უდავოდ მნიშვნელოვანია. საგაზეთო ენის შესწავლას, მხოლოდ მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. საგაზეთო ენა იყო უნიფიცირებული და არ მოიცავდა ლინგვისტურ მარკერებს. ისეთი საგაზეთო ჟანრების ლინგვისტური კვლევა, როგორიცაა: რეპორტაჟი, ინტერვიუ, საგაზეთო სტატია, მოგვიანებით დაიწყო.

ა. მიქოიანის აზრით¹²¹, თითოეული ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებები გარკვეულად განსაზღვრავენ საგაზეთო მასალების თარგმნის სპეციფიკას. მასობრივი ინფორმაციის ტექსტების ერთ-ერთ თავისებურებას ინფორმირებისა და ზემოქმედების ელემენტების შეხამება წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ გაზეთის მთავარი ფუნქცია სწორედ ინფორმაციის გადაცემაა, ეს

¹²⁰ http://philology-and-culture.kpfu.ru/?q=system/files/130-133_3.pdf

¹²¹ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

ინფორმაცია ძალზე იშვიათად შეიძლება იყოს ნეიტრალური და არ შეიცავდეს აუდიტორიაზე ზემოქმედების ელემენტებს. ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის გადაცემას ენობრივი და სამეტყველო საშუალებებით პირდაპირი ან არაპირდაპირი შეფასება ახლავს თან, რომელიც აუდიტორიაში მიწოდებული ინფორმაციის მიმართ გარკვეულ რეაქციას იწვევს, ახდენს მათი ყურადღების კონცენტრირებას ინფორმაციაზე ან ტექსტში მოცემულ შეხედულებებზე. სხვადასხვა ჟანრის ტექსტები განსხვავებული დოზით მოიცავენ ინფორმირებისა და ზემოქმედების ელემენტებს. პროფესიონალ მთარგმნელს უნდა შეეძლოს ნებისმიერ ტექსტში არა მხოლოდ ამ ფარდობითობის გაცნობიერება, არამედ მისი ადეკვატურად გადმოცემა თარგმანში.

ნებისმიერი გამონათქვამი მოიცავს პირველად ინფორმაციას, რომლის გადმოცემაც ავტორს სურს და მეორად ინფორმაციას, რომელიც პირველად ინფორმაციას ახლავს თან. პირველადი ინფორმაცია თვით ამ გამონათქვამის არსებობის მიზეზს წარმოადგენს და სწორედ ამ ინფორმაციის გადმოსაცემადაა შექმნილი. შესაბამისად, პირველადი ინფორმაცია ყოველთვის უნდა იყოს გადმოცემული თარგმანში (ჟილი 2005, 89).

რ. მერტენსი აღნიშნავს, რომ ფრანგული პრესა მეტად ფრთხილად ეკიდება სათაურების შერჩევას. გაზეთ *“Le Monde”* - ისთვის დამახასიათებელია გრძელი, მაგრამ ნაკლებად თვალშისაცემი სათაურები, ფრანგული *“Libération”* კი ხმაურიანი სათაურებითაა ცნობილი. ზედმეტად თვალშისაცემმა სათაურმა შესაძლოა გაზეთის იმიჯს და ინფორმაციის სერიოზულობას ზიანი მიაყენოს¹²².

გ. სოლგანიკის აზრით, თანამედროვე ხარისხიანი გაზეთების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია ინფორმაციულობის წინა პლანზე წამოწევაა, რაც სათაურების სისტემის ევოლუციაში აშკარად იჩენს თავს. ინფორმაციული მიმართულების გაძლიერებას ადასტურებს სათაურებში ზმნების ხშირი გამოყენება, სადაც ინტრიგა და რეკლამირება მეორე პლანზე იწევს. სათაური ნათლად და ლაკონურად უნდა გადმოსცემდეს ტექსტის შინაარსს. სწორედ ამაში მდგომარეობს საგაზეთო სათაურის ესთეტიკა და ექსპრესიულობა¹²³.

¹²² <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

¹²³ <http://evartist.narod.ru/text12/15.htm>

პ. შარადოს განმარტებით, სათაურის მიზანს წარმოადგენს მოვლენის წინა პლანზე წამოწევა, თითქოს სწორედ სათაური შეიცავდეს მთელ ინფორმაციას და ექსკლუზიურად მხოლოდ ის იმსახურებდეს მკითხველის ინტერესს (შარადო 2005, 39).

საგაზეთო სტატიებისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების, საგაზეთო შტამპების, პოლიტიკური ტერმინებისა და სოციალური რეალიების გამოყენება. მთარგმნელი, რომელიც საგაზეთო მასალებს თარგმნის, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს, გადმოსცეს ასეთი პუბლიკაციების ზუსტი პოლიტიკურ-სოციალური აზრი და მათი იდეოლოგიური მიმართულება. ამის მისაღწევად, მთარგმნელმა უნდა მოახდინოს ორიგინალის სტილის “კორექტირება” და სათარგმნი ენის საგაზეთო სტილზე მორგება (ვინოგრადოვი 2001, 23).

საგაზეთო სათაურებს ახასიათებთ ინფორმაციის კონცენტრირებული მიწოდება, რაც მკითხველს უიოლებს შესაძლებლობას აირჩიოს გაზეთში ის, რაც მას აინტერესებს. სათაური სტატიის შესახებ საერთო ორიენტაციას იძლევა. ხშირად, სათაური, რომელიც 5-6 სიტყვისგან შედგება, იმ სიტყვით იწყება, რომელზეც საუბარია ტექსტში. ამგვარად, მკითხველს აქვს შესაძლებლობა სათაურების საშუალებით ძირითადი მოვლენების შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას.

სათაურში მოცემულია სტატიის ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი ან თვალისმომჭრელი და დასამახსოვრებელი ფრაზა სტატიიდან. როგორც წესი, სათაურის ფუნქციაა მკითხველის ყურადღების მიქცევა და ამიტომ ძალიან ხშირად, ის სრულად ვერ გადმოსცემს სტატიის შინაარსს. ამ ფუნქციას, ძირითადად, ქვესათაური ასრულებს ¹²⁴.

სათაურები, დისკურსის ორგანიზების სხვადასხვა დონეზე, კომპლექსურ ტექსტუალურ სეგმენტებს წარმოადგენს, მათი პოლიფუნქციურობიდან გამომდინარე. ც. ნორდი სათაურების მიერ შესრულებულ შემდეგ ფუნქციებზე ამახვილებს ყურადღებას:

¹²⁴ <http://referat.ru/referats/view/13815>

1. ფატიკური ფუნქცია (რომელიც სტატიის ავტორსა და მკითხველს შორის კომუნიკაციის დაწყებას გულისხმობს).
2. აპელაციური ფუნქცია (რომლის მიზანია მკითხველის მოხიზვლა, რათა მან წაიკითხოს სტატია).
3. საინფორმაციო ფუნქცია (იმ თემის გაჟღერება, რომელზეც საუბარია ტექსტში).
4. ექსპრესიული ფუნქცია (რომელიც მიმდინარე მოვლენების მიმართ ავტორისეული ემოციებისა და დამოკიდებულების გამოხატვას გულისხმობს და რომელიც, ჟურნალისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, შეიძლება მეტ-ნაკლები სიცხადით იქნას გამოხატული) (ნორდი 1998, 177).

საგაზეთო სტატიის სათაური უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და შინაარსობრივი, ამასთან, მან გარკვეული ემოციური ზეგავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ საგაზეთო სათაურები მაქსიმალურად ინფორმაციული უნდა იყოს, ისინი ორაზროვნებით ხასიათდება, რაც ადასტურებს, რომ ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, მკითხველის დაინტერესების ფუნქცია ამ ტიპის დისკურსების ნაწილს წარმოადგენს. მისი მიზანია მკითხველში ინტერესის გამოწვევა, თუმცა, იმპლიციტურად იგულისხმება, რომ ამ გაუგებრობის განმარტება სწორედ ტექსტშია (ვალევა-ბორისოვი 1992, 183).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათაური ადრესატის ყურადღების მიპყრობის უმთავრესი საშუალებაა. ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ცალკე აღებული სათაური, არაა ექსპლიციტური და მხოლოდ საორიენტაციო ფუნქციის მატარებელია.

სათაური ახდენს ინფორმაციის კომპრესიას. არის შემთხვევები, როდესაც მეტ-ნაკლებად გრძელი სტატია ნაწილებად იყოფა და თითოეულ ნაწილს თავისი სათაური აქვს. ეს ხდება მკითხველის მაქსიმალურად დასაინტერესებლად, რათა მკითხველმა, რომელიც თვალს გადაავლებს ტექსტის რამდენიმე სტრიქონს, აღნიშნული სტატია ბოლომდე წაიკითხოს¹²⁵.

¹²⁵ <http://lib.tr200.net/v.php?id=100476&sp=1>

რ. მერტენსი აღნიშნავს¹²⁶, რომ სათაური, რომელიც მკითხველის ინტერესის აღძვრის გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს, იდეალურ ვარიანტში ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს მოკლე და ექსპლიციტური.

საგაზეთო სათაურების გაგება და თარგმნა მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს და მთარგმნელისაგან მთელ რიგ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ეს სპეციფიკური თავისებურებები ძირითადად 3 ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, სათაურის ძირითადი დანიშნულება მკითხველის ყურადღების მიპყრობაა. მეორე მხრივ, სათაურმა მოკლედ უნდა გადმოსცეს სტატიის შინაარსი ან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები, და მესამე, სათაურმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი და სტატიის ძირითადი იდეა შთააგონოს მას (კომისაროვი, რეცკერი 1965, 215).

მთარგმნელისათვის ტექსტის გაგება ისეთი პრობლემატიკაა, რომელსაც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარე აქვს: მთარგმნელმა არა მარტო უნდა გაიგოს ტექსტი, არამედ სხვასაც უნდა გააგებინოს ის სხვა ენაზე (რაისი 2009, 59).

მთარგმნელს თეორიული ცოდნა და სამეცნიერო კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმნის პრობლემა იჩენს თავს ან მთარგმნელი განსხვავებულ სამუშაო მდგომარეობაში აღმოჩნდება, შესძლოს პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტა.

ფ. ერბულოს აზრით, მთარგმნელმა მის ხელთ არსებულ საშუალებათა ერთობლიობიდან ის ვარიანტი უნდა შეარჩიოს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს. თარგმნის დროს უნდა მოხდეს ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინება, რომელიც სტატიის ავტორისათვის იმპლიციტურია და ნაკლებად გასაგებია მკითხველისათვის. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი ექსპლიციტს ზომიერების ფარგლებში მიმართავს. ამ მოვალეობის წარმატებით განხორციელებისათვის, მთარგმნელი არა მარტო სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სამუშაო ენებს, არამედ საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ამ ორ კულტურას (ერბულო 1991, 100) .

¹²⁶ <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

ენის ცოდნა თარგმნის აუცილებელი პირობაა, თუმცა, მთარგმნელის ფუნქცია ენობრივი ანალიზი არაა. როგორც მ. ლედერერი აღნიშნავდა, მთარგმნელი უნდა შეეცადოს მეორე ენაში მოახდინოს აზრის ხელახალი გამოხატვა (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 30).

იმისათვის, რომ უზრუნველყოს შინაარსის გადმოცემა, მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს მისი კვლევის ობიექტი, ტექსტის მნიშვნელობა და ავტორის მიერ გამოხატული აზრი (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 30).

ზოგადი კულტურისა და განათლების მნიშვნელობა ხშირად დაკნინებულია თარგმანში. თუმცა, როგორც პროფესიონალების, ასევე არაპროფესიონალების მიერ შესრულებული თარგმანები ცხადყოფს, რომ კარგი ენობრივი ცოდნა, თუკი მას არ ახლავს სათანადო ექსტრალინგვისტური ცოდნა, შესაძლოა არასწორი თარგმანის მიზეზი გახდეს. თარგმნის პროცესი გულისხმობს სათარგმნ ენაზე ისეთივე ტექსტის შექმნას, რომელიც შესძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას (ჟილი 2005, 13).

საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხებია: სიტყვასიტყვითი თარგმანი, ნაწილობრივი ტრანსკოდირება და სრული გარდაქმნა. მაგალითად:

- *La Russie doit se retirer sans délai de Géorgie* (*Le Figaro* 17/08/2008) - *რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს საქართველო.*
- *La tension monte en Égypte*¹²⁷ - *ეგვიპტეში დაძაბულობა მატულობს.*
- *Paris réchauffe ses relations avec la Géorgie* (*Le Figaro* 08/06/2010) - *საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების დათბობა.*
- *Le vice-président US Biden en Russie* (*Le Figaro* 07/03/2011) - *რუსეთში ბაიდენის ვიზიტი დაიწყო.*
- *Libye : les rebelles avancent vers l'ouest* (*Le Point* 16.04 2011) - *ლიბიელი მემზობხეები ქვეყნის დასავლეთისკენ მიიწევენ.*
- *Le président géorgien tend la main à Moscou* (*Le Figaro* 08/12/2010) - *პრეზიდენტი სააკაშვილი ხელს უწვდის მოსკოვს.*

¹²⁷ <http://www.lesoir-echos.com/la-tension-monte-en-egypte/monde/53446/>

- *La Géorgie démantèle un réseau d'espionnage russe (Le Figaro 05/11/2010)* - საქართველო რუსულ ჯაშუშურ ქსელს ამხელს.

ფრანგული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ამ სტატიების სათაურების ქართულად თარგმნა, განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ როგორც ქართველი, ასევე ფრანგი მკითხველისათვის, ძირითადად, ნათელია, რას ეხება სტატიები. ასეთ შემთხვევებში, მთარგმნელს შეუძლია მთარგმნელობით სტრატეგიად ტრანსკოდირება აირჩიოს.

თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართული ენის სტილისტური და გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, მთარგმნელი ნაწილობრივ ტრანსკოდირებას მიმართავს, რომლის დროსაც, დასაშვებია გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციები, თარგმანმა მკითხველზე ორიგინალის მსგავსი ზემოქმედება რომ მოახდინოს. მაგალითად:

- *Libye: Paris rapatrie ses ressortissants¹²⁸* - საფრანგეთის ხელისუფლება თავის მოქალაქეებს ლიბიის დატოვებისაკენ მოუწოდებს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : ლიბია: პარიზი თავის მოქალაქეებს აბრუნებს).

ამ შემთხვევაში, ქართული სათაურების სტილისტური ნორმიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული დამატებების განხორციელება: ზმნა “*rapatrier* - დაბრუნება” ქართულში “*დაბრუნების მოწოდებით*” შევცვალეთ და ამასთან, მივუთითეთ, რომელ ქვეყანაზეა საუბარი. ქართულ სათაურში გადავადგილეთ სიტყვები და მივუთითეთ, რომ საქმე ეხება ლიბიას, საიდანაც, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია მოეხდინა.

- *Le porte-parole de Clinton démissionne (Le Figaro 13/03/2011)* - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანი გადადგა.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კლინტონის პრესმდივანი გადადგა).

¹²⁸ <http://www.journaux.ma/maroc/actualite-internationale/>

მოცემული სათაური მცირე ლექსიკური ტრანსფორმაციის გზით არის შესრულებული. ქართულ სათაურში, ფრანგული სათაურისგან განსხვავებით, არ ფიგურირებს ამერიკის სახელმწიფო მდივნის გვარი და მხოლოდ მისი თანამდებობაა მითითებული.

- *WikiLeaks s'apprête à publier ses nouvelles fuites (Le Figaro 28/11/2010)* - ვიკილიქსი სკანდალური ინფორმაციის გამოქვეყნებას აპირებს.

სათაურის ქართულ თარგმანში არ არის მითითებული, რომ “ვიკილიქსი” არის ინტერნეტ-საიტი, რომელიც კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებით არის ცნობილი. ჩვენი ეს გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ ბოლო დროს ვიკილიქსის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციებმა დიპლომატიური სამყარო ფეხზე დააყენა, შესაბამისად, მკითხველი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია ამ საიტის საქმიანობის შესახებ. თუმცა, სათაურმა განიცადა მცირე ლექსიკური ტრანსფორმაცია: “*fuites (f.pl)* - გაქცევა, გაჟონვა” ვთარგმნეთ როგორც “სკანდალური ინფორმაცია”, რადგან სემანტიკური შესატყვისის გამოყენებით ვერ შევძლებდით გადმოგვეცა ის ინფორმაცია, რომელსაც ფრანგული სათაური შეიცავს. ამ ლექსიკური ჩანაცვლების საშუალებით ქართული სათაური სრულად გადმოსცემს ფრანგული სათაურის არსს და ამასთან, არ არღვევს ქართული ენის ნორმებს.

- *Le conflit qui empoisonne les rapports Est-Ouest (Le Figaro 01.09.2008)* - კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპისა და რუსეთის ურთიერთობებს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : კონფლიქტი, რომელიც წამლავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებს).

ამ სათაურის თარგმანის შემთხვევაშიც, გარკვეულ ცვლილებას აქვს ადგილი: ზმნა “*empoisonner - მოწამვლა*”-ს ნაცვლად ქართულ თარგმანში გამოყენებულია “საფრთხეს უქმნის”, ხოლო “*Est-Ouest*” - “დასავლეთი და აღმოსავლეთი”-ის ნაცვლად “ევროპა” და “რუსეთი”, ვინაიდან, ტექსტში საუბარია იმ დამაბულობაზე, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის მას შემდეგ წარმოიშვა, რაც რუსეთმა საქართველოს ავტონომიური ერთეულების დამოუკიდებლობა აღიარა.

- *Zone euro: l'optimisme d'Hollande contesté (Le Figaro 19/10/2012)* - ევროზონასთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტის ოპტიმიზმს ეჭვის თვალით უყურებენ / ევროზონასთან დაკავშირებით ფრანსუა ოლანდის ოპტიმიზმი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ევროზონა: ოლანდის ოპტიმიზმი ეჭვქვეშაა).

- *Affaire Karachi : un témoin cite le nom de Balladur (Le Figaro 19/10/2012)- ე.წ.* "კარაჩის საქმესთან" დაკავშირებით, საფრანგეთის ყოფილი პრემიერის გვარმა გაიჟღერა/ ე.წ. "კარაჩის საქმესთან" დაკავშირებით, მოწმემ ედუარდ ბალადიურის გვარი დაასახელა.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კარაჩის საქმე: მოწმე ედუარდ ბალადიურს ასახელებს).

ორივე სათაური ნაწილობრივი ტრანსკოდირების გზით არის ნათარგმნი. ორივე შემთხვევაში ქართული თარგმანის 2 ვარიანტს გთავაზობთ: პირველ მაგალითში ლექსიკური დამატებების გზით შევეცადეთ სათაური ქართული ენის საგაზეთო ნორმების გათვალისწინებით გადმოგვეცა, თარგმანში დაზუსტებულია, რომ საუბარია საფრანგეთის პრეზიდენტზე. რაც შეეხება მეორე სათაურს, ლექსიკური დამატებების განხორციელება აქაც აუცილებელია, ვინაიდან, "ედუარდ ბალადიური", რომელიც საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იყო, უცნობია ქართველი მკითხველისათვის. სტატიაში საუბარია "კარაჩის" გახმაურებულ საქმეზე, რომელშიც ფრანგი მაღალჩინოსნების და, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტის გვარები ფიგურირებს¹²⁹. იმის მიუხედავად, რომ ქართულ სათაურში მსგავსი განმარტება არ გაგვიკეთებია, ვფიქრობთ, აღნიშნული ფორმულირებით სათაური მკითხველის დაინტერესებას მაინც შესძლებს.

- *Otan: Ukraine/Géorgie "légitimes (Le Figaro 03.04.2008)* - საქართველოსა და უკრაინის ნატოსკენ სწრაფვა სრულიად კანონიერია.

¹²⁹ გამოძიების ვერსიით, 1994-1995 წლებში ედუარ ბალადიური, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობდა და ფინანსთა მინისტრი, ნიკოლა სარკოზი საუდის არაბეთისა და პაკისტანისთვის ფრანგული წყალქვეშა ნავების მიყიდვისათვის რამდენიმე შუამავალს საკომისიოს უხდიდნენ, გარიგებებიდან უკანონოდ სარგებელი რომ მიეღოთ.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : ნატო: უკრაინა/საქართველო “კანონიერი”).

- *Mistral/Russie: pas d'accord sur le prix (Le Figaro 03/03/2011) - რუსეთი და საფრანგეთი მისტრალის ფასზე ვერ თანხმდებიან.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : მისტრალი/რუსეთი : შეუთანხმებლობა ფასზე).

მოცემული სათაურების თარგმნა მოვახდინეთ ხელახალი რეფორმულირების გზით. არსებული სახით ფრანგული სათაურების პირდაპირი გადმოტანა, ქართული ენის როგორც გრამატიკული, ისე სტილისტური ნორმების უხეშ დარღვევას გამოიწვევდა, ამიტომ, სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, ლოგიკურად მიგვაჩნია სათაურების გაშლა და სტილისტურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების განხორციელება. პირველ სათაურში, უკრაინისა და საქართველოს ნატოსკენ სწრაფვაზე პირდაპირი მინიშნება არ არის მოცემული, აქ მთარგმნელის ექსტრალინგვისტური ცოდნა გადამწყვეტია, იმისთვის, რომ ზუსტად მოხდეს ორიგინალის სათაურის შინაარსის გადმოცემა. იმის მიუხედავად, რომ მეორე სათაური ფრანგულ სამხედრო რეალიას, “მისტრალს” შეიცავს, მოვახდინეთ ამ რეალიის პირდაპირი გადმოტანა ქართულში, რადგან თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი ექსპლიკაცია საჭიროდ არ მიგვაჩნია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც მოხდა სათაურის ხელახალი ფორმულირება და სათაურის ქართული ენის სტილისტურ-გრამატიკულ ნორმებზე მორგება.

ლ. ჰოკი აღნიშნავდა, რომ სათაური ტექსტთან მიმართებაში ავტონომიურია, თუმცა, არსებობს მჭიდრო კავშირი სათაურსა და ტექსტს შორის (ჰოკი 1981, 2).

რ. მეერტენსის აზრით¹³⁰, სათაურების თარგმნის პროცესში მთარგმნელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, ვინ არის ტექსტის ადრესატი. იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი განკუთვნილია რომელიმე კონკრეტული სფეროს მკითხველისთვის, მაშინ ტერმინოლოგია უნდა იყოს ზუსტი და სტილიც – შესაბამისი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტი ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, თარგმანის ენა შედარებით მარტივი უნდა იყოს, რადგან ნებისმიერი გაურკვევლობა ჩიხში აქცევს მკითხველს. მაგალითად:

¹³⁰ <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

- *Nombre des personnes infectées par H5N1 ne cesse de décroître - ფრინველის ვირუსით დაავადებულთა რიცხვი მცირდება.*

ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ *H5N1*-ის ჩანაცვლება “*ფრინველის ვირუსით*”, ვინაიდან ეს ფორმა საშუალო დონის მკითხველისათვის უფრო გასაგებია, ვიდრე “*ფრინველის მაღალპათოგენური გრიპი*” ან აბრევიატურა *H5N1*.

სათაურების თარგმნისას მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს აბრევიატურების გამოყენებას. ესა თუ ის აბრევიატურა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი მანამდე მოცემული იყო მისი სრული დასახელება¹³¹. თუმცა, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის აბრევიატურები, როგორებიცაა *L'ONU* - გაერო, *L'OTAN* -ნატო, *L'UE* - ევროკავშირი, *l'OSCE* - ეუთო, მკითხველისათვის ძირითადად ცნობილია და ქართულ თარგმანში მათი სრული ფორმით გადმოცემა საჭირო აღარ ხდება. მაგალითად:

- *Kirghistan : ONU, OSCE coordonneront leurs efforts - გაერო და ეუთო ყირგიზეთთან მიმართებაში შეთანხმებით იმოქმედებენ.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ყირგიზეთი: გაერო და ეუთო ძალისხმევას შეატანხმებენ).

- *L'OSCE va retirer ses observateurs de Géorgie (Le Figaro 24/12/2008) - ეუთოს დამკვირვებელთა მისია საქართველოს ტოვებს.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ეუთო საქართველოდან დამკვირვებლებს გაიყვანს).

მოცემულ მაგალითებში აბრევიატურა “*ეუთო*” და “*გაეროს*” გამოყენება შესაძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან, ეს აბრევიატურები საკმაოდ კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის, იმ საქმიანობიდან გამომდინარე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ახორციელებს, შესაბამისად, საჭიროდ აღარ ვთვლით სათაურებში აღნიშნული ორგანიზაციის სრული დასახელების მითითებას.

¹³¹ <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

თუმცა, მეორე სათაურში მცირე ცვლილებები მაინც შევიტანეთ და ფრანგულ სათაურში მოცემული “observateurs - დამკვირვებლები” “დამკვირვებელთა მისიით” შევცვალეთ.

- *La Géorgie va négocier l'adhésion de la Russie à l'OMC¹³² - თბილისი და მოსკოვი რუსეთის WTO-ში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს იწყებენ.*

მოცემულ თარგმანში აბრევიატურა “OMC” - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, გადმოცემული გვაქვს ინგლისური აბრევიატურით “WTO” (*World Trade organization*). “ევროკავშირის” მსგავსად, არც ამ ორგანიზაციის ქართული აბრევიატურა არ არსებობს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ძირითადად ინგლისურ აბრევიატურას იყენებენ. თუმცა ვფიქრობთ, რომ ორგანიზაციის სრული დასახელება აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სტატიის თარგმანში, რადგან შესაძლოა ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვის გაუგებარი აღმოჩნდეს აღნიშნული დასახელება.

- *L'UE ouvre des négociations commerciales avec la Géorgie et la Moldavie¹³³ - ევროკავშირი საქართველოსა და მოლდოვასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს იწყებს.*

იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის გავრცელებული აბრევიატურა ქართულ ენაში ჯერ არ არსებობს, თარგმანში მოცემული გვაქვს ფრანგული აბრევიატურის “L'UE -ევროკავშირი” სრული დასახელება. თუმცა იმისთვის, რომ სათაური გასაგები და საინტერესო გახდეს მკითხველისთვის, ქართულ თარგმანში დაზუსტებულია, რომ მოლაპარაკებები ევროკავშირსა და საქართველო-მოლდოვას შორის სწორედ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უნდა წარიმართოს, მაშინ როდესაც, ფრანგულ ვარიანტში მსგავსი განმარტება არ ფიგურირებს და საუბარია მხოლოდ სავაჭრო მოლაპარაკებებზე (*négociations commerciales*).

- *Sommet du GUAM à Batumi¹³⁴ - ბათუმში სუამის სამიტი ჩატარდება.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: სუამის სამიტი ბათუმში).

¹³² <http://french.peopledaily.com.cn/International/7312658.html>

¹³³ <http://www.monde.org/fr/tout-le-contenu/actualite/lue>

¹³⁴ <http://www.ladocumentationfrancaise.fr/chronologies/>

გუამი (GUAM) სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც 1997 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ შეიქმნა. ორგანიზაციის სახელი მასში შემავალი სახელმწიფოების სახელებისაგან შემდგარი აკრონიმია (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა). მიგვაჩნია, რომ აღნიშნული აბრევიატურა ნაკლებადაა ცნობილი მკითხველისათვის და აუცილებელია ტექსტში დაზუსტებულ იქნას მასში შემავალი ქვეყნები, თუმცა, სათაურში ვამჯობინეთ ორგანიზაციის ქართული აბრევიატურის დატოვება. ამასთან, ფრანგულ სათაურში ზმნა არაა გამოყენებული, ქართულ სათაურში კი დავუმატეთ ზმნა “ჩატარდება”, ქართული სათაური რომ სტილისტურად გამართული ყოფილიყო.

- *L'OTSC n'a pas de rôle à jouer au Kirghizstan*¹³⁵ - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია არ აპირებს ჩაერიოს ყირგიზეთში მიმდინარე მოვლენებში.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: OTSC-ს არ აქვს სათამაშო როლი ყირგიზეთში).

იქიდან გამომდინარე, რომ “OTSC” - “კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია” ნაკლებად ცნობილია მკითხველისათვის, გადაწყვეტეთ, თავი შეგვეკავებინა აბრევიატურის გამოყენებისაგან და ქართულ სათაურში ორგანიზაციის სრული დასახელება გამოვიყენეთ. ამასთან, ქართულში გარკვეული ლექსიკური ერთეულების დამატების გზით შევეცადეთ სათაური ქართველი მკითხველისათვის მისაღები და გასაგები გამხდარიყო.

თუკი სათაურში მოცემულია თანამდებობის პირების საკუთარი სახელები, მთარგმნელი ვალდებულია, მიუთითოს ამ პიროვნებების თანამდებობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ორიგინალში მითითებული არაა, რათა სათარგმნი ენის მკითხველმა მოახერხოს კონტექსტში ორიენტირება. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სათარგმნი ენის მკითხველისათვის ნაცნობი თანამდებობის პირები¹³⁶.

- *Kouchner soutient Tbilissi contre Moscou (Le Figaro 16/07/2010) - კუშნერი თბილისს მოსკოვთან დაპირისპირებაში მხარს უჭერს.*

¹³⁵ http://fr.rian.ru/ex_urss/20100423/186535183.html

¹³⁶ <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კუმნერი მხარს უჭერს თბილისს მოსკოვის წინააღმდეგ).

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის, იმ საქმიანობიდან და ძალისხმევიდან გამომდინარე, რომელიც ამ უკანასკნელმა აგვისტოს მოვლენების დროს საქართველოს მხარდასაჭერად გასწია, შესაბამისად, მისი თანამდებობის ქართულ სათაურში მითითება საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ, თუმცა, ქართულ თარგმანში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათაურის ლექსიკური ტრანსფორმაცია.

- *Alliot-Marie appelée à la démission, nouvelles révélations sur ses congés tunisiens (Le Point 16/02/2011)* - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადადგომისკენ მოუწოდებენ, ტუნისში გატარებული საშობაო არდადეგების საქმეში ახალი დეტალები იკვეთება.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ალიო მარის გადადგომისკენ მოუწოდებენ, ახალი მხილებები მის ტუნისურ არდადეგებზე).

აღნიშნულ შემთხვევაში *Alliot-Marie*, რომელიც კარგადაა ცნობილი ფრანგი საზოგადოებისათვის, ქართულ თარგმანში არ ფიგურირებს, სამაგიეროდ, თარგმანში მითითებულია მისი თანამდებობა, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ამ საკუთარი სახელის პირდაპირი გადმოტანა ქართულში გაუმართლებელი იქნებოდა და სრულად ვერ გადმოსცემდა სათაურის არსს. ამასთან, სათაურში განხორციელებულია ლექსიკური ტრანსფორმაცია, რათა ლექსიკური ერთეულების დამატების გზით ქართველ მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სკანდალზე, რომელიც მიშელ ალიო მარისთან დაკავშირებით საფრანგეთში აგორდა. მკითხველის დასაინტერესებლად ქართულ სათაურში დავამატეთ სიტყვები “საშობაო” და “სკანდალი”, რომელიც ფრანგულ ენაში არ ფიგურირებს, რითაც, ვფიქრობთ, სათაური ქართველი მკითხველისათვის ინფორმაციული და საინტერესო გახდა და ამასთან, მთლიანად გადმოსცემს ფრანგული სათაურის შინაარსს.

- *MAM annonce sa démission (Le Figaro 27/02/201)* - ტუნისის მოვლენების გამო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: მამ გადადგომის შესახებ განაცხადა).

აღნიშნული სათაური ასევე ტრანსფორმაციების გზით არის გადმოცემული ქართულ ენაზე. ქართული სათაური იმაზე მეტ ინფორმაციას გადმოსცემს, ვიდრე ფრანგული სათაური, თუმცა, მკითხველის დასაინტერესებლად და ორიენტაციის მისაცემად, გადაწყვეტეთ არა მხოლოდ აკრონიმებით გადმოცემული საკუთარი სახელი შეგვეცვალა თანამდებობით, არამედ ლექსიკური დამატებების გზით მკითხველისათვის მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა. მართალია, სათაური საორიენტაციო ფუნქციის მატარებელია და მისი გასაღები ყოველთვის ტექსტშია მოცემული, ჩვენ მაინც შევეცადეთ საფრანგეთის ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მწვავე თემა, ქართველი მკითხველისათვის შედარებით გასაგები გაგვეხადა. ის ექსტრალინგვისტური ცოდნა, რომელსაც ამ შემთხვევაში ვფლობდით, გამოვიყენეთ იმისთვის, რომ მოგვეხდინა წინადადებაში წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობების ინტერპრეტაცია და აზრის გამოტანა. ბუნებრივია, რაც უფრო ღრმაა ცოდნა, მით უფრო ზუსტ ინფორმაციას გადმოსცემს თარგმანი.

მთარგმნელის პრაქტიკული საქმიანობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბეჭდვითი პრესის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა: ოფიციალური ტიტულები, საგაზეთო სათაურების განსაკუთრებული ხასიათი, საგაზეთო ინფორმაციული მასალის ლექსიკური თავისებურებებისა და ტერმინების გამოყენება¹³⁷.

მედიატექსტებში ხდება დიდი რაოდენობით ნეიტრალური კლიშეების გამოყენება¹³⁸, შესაბამისად, თარგმანშიც იგივე საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, მითუმეტეს, რომ ბევრი ჟურნალისტური კლიშესათვის, რომელიც გამოიყენება ფრანგულ პრესაში, აზრობრივი და სტილისტური ეკვივალენტი ადვილი მოსაძებნია (*De notre envoyé spécial* - ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ინფორმაციით; *selon des sources certaines* - სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით) და ა.შ.

სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის გაზეთებისათვის ორივე ენაში დამახასიათებელია განსხვავებული სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, კლიშეები და ა.შ. საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნას ის ფაქტიც ართულებს, რომ სტატიებში ხშირად გამოიყენება პოლისემანტიური სიტყვები, ტერმინები და

¹³⁷ <http://referat.ru/referats/view/13815>

¹³⁸ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

კონსტრუქციები, რომელთა გადმოცემისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სათარგმნელი ენის ჟანრულ-სტილისტური თავისებურებები, ამასთან, საჭიროა, დიდი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ინფორმაციის კომპრესირებისას, რასაც ადგილი აქვს ხოლმე თარგმნის პროცესში, არ მოხდეს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა, ვინაიდან საგაზეთო სტატიებში ძალზე მნიშვნელოვანია დეტალები, თარიღები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული დასახელებები, ციფრობრივი მონაცემები და ა.შ.

იმისთვის, რომ მივიღოთ ოპტიმალური თარგმანი, შეუძლებელია ტექსტის რედაქტირების ისეთი ფორმის არჩევა, როგორსაც ორიგინალის ავტორი მიმართავს: “იმისათვის რომ ორიგინალის ტექსტი გასაგები იყოს, მან უნდა მოიშოროს ორიგინალის ენისათვის დამახასიათებელი გარსი და შეიმოსოს სათარგმნი ენის გარსით” (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 83).

მაღალი დონის თარგმანის შესასრულებლად, აუცილებელია მთარგმნელს სარედაქციო კომპეტენცია ჰქონდეს, რომელიც განსხვავებულია ლიტერატურულ თარგმანსა და ჟურნალისტურ თარგმანში (ჟილი 2005, 14).

განხილული სათაურები გვიჩვენებს, რომ თარგმნის ყველაზე მეტად გარცელებული ხერხებია სრული და ნაწილობრივი ტრანსკოდირება. თუმცა, მთარგმნელს რიგ შემთხვევაში უხდება სათარგმნ ტექსტში მნიშვნელოვანი დამატებების შეტანა ან სათაურის ხელახალი ფორმულირება. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი მიმართავს მოდულაციას, მოდიფიკაციას და მუტაციას. გთავაზობთ ჩამოთვლილი კატეგორიების ვან ლუვენ ცვარტის სქემას :

- მთარგმნელის მინიმალური მონაწილეობა: 1. სიტყვასიტყვითი თარგმანი და ნაწილობრივი ტრანსკოდირება;

2. ალიტერალური (არასიტყვასიტყვითი) თარგმანი:

ა) მოდულაცია;

ბ) მოდიფიკაცია;

გ) ბრჭყალების დამატება;

დ) სამეცნიერო აქტის ცვლილება;

ე) ორწევრიანი სათაურის სტრუქტურის ცვლილება.

+ მთარგმნელის აქტიური მონაწილეობა – მუტაცია: აზრის რადიკალური ცვლილება.

მთარგმნელები ხშირად მიმართავენ სრულ და ნაწილობრივ ტრანსკოდირებას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია ამოსავალი ტექსტის სტრუქტურული და ფორმალური თავისებურებების დაცვა. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელის ინტერვენციის დონე საკმაოდ დაბალია. სათაური განიცდის მცირე ცვლილებას, თუმცა, უცვლელი რჩება ზოგადი ფორმა და აზრი. არის შემთხვევები, როდესაც მხოლოდ რიცხვის არსებითი სახელი მრავლობითი რიცხვით გადმოიცემა ან მთარგმნელი აკეთებს განმარტებებს, რომელიც ამოსავალ ტექსტში არ ფიგურირებს. ამით მთარგმნელები ინარჩუნებენ ამოსავალი ტექსტის ლინგვისტურ და კულტურულ ელემენტებს.

ა) *მოდულაცია* – ხდება მაშინ, როდესაც მყარდება ჰიპერონიმული ურთიერთობა თარგმნის სტრატეგიასა და ამოსავალ ტექსტს შორის: თარგმანში ხდება სინტაქსური, სემანტიკური და სტილისტური დანაწევრება.

- *Israël: la "défense" rongée¹³⁹ par la corruption - ისრაელის თავდაცვის სფერო კორუმპირებულია.*
- *ცხარე დებატები საქართველოს პარლამენტში- Géorgie : controverse au Parlement.*

სემანტიკური თვალსაზრისით თარგმანში შერჩეულია უფრო ზოგადი ეკვივალენტი (*rongée¹⁴⁰ par la corruption - კორუმპირებული*, ცხარე დებატები - *controverse¹⁴¹*). ამ სტრატეგიით ნაკლები სიზუსტით ხდება სემანტიკური ინტენსივობის გამოხატვა და იკლებს სათაურის ემოციური დატვირთვა.

ბ) *მოდულირება* – ხდება მაშინ, როდესაც ამოსავალ და სათარგმნ ტექსტს შორის თავს იჩენს კონტრასტული ურთიერთობა.

¹³⁹ დადრნილი, შექმნილი

¹⁴⁰ დადრნილი, შექმნილი

¹⁴¹ დავა, უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა

გ) ბრჭყალების დამატება

- *La Syrie évoque une riposte «surprenante» envers Israël - სირია ისრაელის მიმართ “არნახულ” საპასუხო ქმედებებზე საუბრობს.*
- *ოპოზიციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ სირცხვილის კორიდორი მოაწყო.¹⁴² - L’opposition géorgienne a établi un « couloir de la honte » devant le diffuseur public/ L’opposition a établi un « couloir de la honte » devant la télévision publique géorgienne.*

მოცემული სათაურების თარგმანი ნაწილობრივი ტრასნკოდირების მეთოდით არის შესრულებული და ტექსტში შეტანილია გარკვეული დამატებები. მეორე სათაურში მითითებულია, რომ საუბარია ქართულ ოპოზიციაზე, რაც ორიგინალის სათაურში არაა დაკონკრეტებული. თარგმანის მეორე ვარიანტში, *საზოგადოებრივი მაუწყებლის* ნაცვლად გამოვიყენეთ *ქართული საზოგადოებრივი ტელევიზია*, ამით ფრანგი მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ მოვლენები სწორედ საქართველოში ვითარდება. რაც შეეხება *სირცხვილის კორიდორს*, ანუ ქართულ პოლიტიკურ რეალობას, გადავწყვიტეთ მისი ბრჭყალებით გამოყოფა, ზოგადად, ბრჭყალების დამატება გარკვეულად მიუთითებს ეჭვზე, რომელიც გამოყენებული ტერმინის სიზუსტის მიმართ არსებობს.

დ) სამეტყველო აქტის ცვლილება

არის შემთხვევები, როდესაც ამოსავალი ტექსტის სეგმენტის სამეტყველო აქტი, ექსკლამაცია ან რიტორიკული შეკითხვა ქართულში გადმოიცემა მტკიცებითი ფორმით, რითაც სათაურში იკარგება ენონსიატიური ძალა.

- *Le Parti républicain survivra-t-il à l’échec de Mitt Romney?- რესპუბლიკური პარტია მით რომნის მარცხის შემდეგ.*
- *მესამე მსოფლიო ომი დაიწყო ?¹⁴³ - Le début de la 3ème Guerre Mondiale.*

ფრანგული და ქართული სათაურები კითხვით ფორმაშია მოცემული და გარკვეული ინტრიგის მატარებელია, მათი მიზანი მკითხველის მაქსიმალური დაინტერესებაა.

¹⁴² <http://news.ge/ge/news/all/14380>

¹⁴³ <http://forum.ge/?f=29&showtopic=34234647>

სათაურები ემოციური შეფერილობის მატარებელნი არიან, თუმცა, თარგმანები, რომელსაც გთავაზობთ, თხრობის თვალსაზრისით ნაკლებადაა შეფერილი.

არის შემთხვევები, როდესაც თხრობითი ძალის დაკარგვასთან ერთად ხდება ორიგინალისგან სათაურის სემანტიკური დაშორება:

- *საქართველო კრიზისის მიჯნაზე (?)*¹⁴⁴ - *L'économie géorgienne va-t-elle survivre à la crise économique mondiale ?*

მოცემული სათაურის თარგმნის დროს კითხვა-მახილის წინადადება კითხვითი წინადადებით გადმოვეცით და თარგმანში განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები. ფრანგული თარგმანი გადმოვეცით განსხვავებული სემანტიკურ-პრაგმატიკული პარამეტრებით, რაც, ბუნებრივია, მთლიანი ტექსტის წაკითხვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სათაურის თარგმნის სხვა სტრატეგიის არჩევაც შეიძლებოდა (მაგალითად, *La Géorgie au bord de la crise*), თუმცა, ამ მაგალითებით ვცდილობთ მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ მთარგმნელის ხელთ არსებული საშუალებები.

ე) ორწევრიანი სათაურის სტრუქტურის ცვლილება. ლოკაციური ელემენტის გაუქმება

ფრანგულ პრესას ახასიათებს ორწევრიანი სათაურები, რაც ქართულ ჟურნალისტურ ტრადიციაში ნაკლებად გამოიყენება, შესაბამისად, გთავაზობთ სინტაქსურ-პრაგმატიკული ცვლილების ფრანგულ მაგალითებს:

- *La Géorgie, un an après la guerre*- *საქართველო 2008 წლის ომიდან ერთი წლის შემდეგ*
- *Tchéchénie et Russie, histoire d'une tragédie*- *ჩეჩნეთი და რუსეთი, ტრაგედიის ისტორია/ტრაგიკული ისტორია*

ქართული ენის სტილისტურ-გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, მოხდა მოცემული სათაურების ტრანსფორმაცია და სათაურის ორი ნაწილის გაერთიანება. ამ მაგალითებით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სათაურების თარგმნის დროს დისკურსული ჟანრის მხედველობაში მიღება, რაც

¹⁴⁴ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00>

მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთარგმნელობით სტრატეგიას, რათა სათაური სათარგმნი ენის ნორმების დაცვით შესრულდეს.

სათაურის გაერთიანების ერთ-ერთი ხერხი ამოსავალ ტექსტში მოცემული ლოკაციური ელემენტის გაუქმებაა. ამ ელემენტის მთავარი ფუნქცია მკითხველის გეოგრაფიულ და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკურ სივრცეში ორიენტირებაა, მკითხველს მთელი სტატიის წაკითხვა რომ არ დასჭირდეს. როგორც წესი, ლოკაციური ელემენტი ფრანგული სათაურის დასაწყისშია მოცემული და ზოგიერთი მთარგმნელი ამ ელემენტის გაუქმების სტრატეგიასაც მიმართავს, თუმცა, ქართული ჟურნალისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, სტატიებში ლოკაციური ელემენტი ძირითადად რჩება, ოღონდ ხდება მისი ადგილის ცვლილება (ლუვენ ცვარტი 1990, 151-181).

- *Géorgie : Saakachvili, Ivanichvili s'engagent à une transition démocratique*¹⁴⁵ -

საკაკაშვილი და ივანიშვილი ძალაუფლების დემოკრატიულ გადაბარებას იწყებენ.

- *Grèce: les 2 grands partis laminés, crise politique en plus de l'économique*¹⁴⁶ -
ეკონომიკურ კრიზისს საბერძნეთში პოლიტიკური კრიზისიც დაერთო:
საკანონმდებლო არჩევნებში ორი დიდი პოლიტიკური პარტია დამარცხდა /
ორი დიდი პოლიტიკური პარტიის მარცხის შედეგად, ეკონომიკური კრიზისის
პარალელურად, საბერძნეთში პოლიტიკური კრიზისის საფრთხეც გაჩნდა.

იქიდან გამომდინარე, რომ პირველი სათაური ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ეხება, სავსებით შესაძლებელია ლოკაციური ელემენტის, “საქართველოს” გამოტოვება. მეორე სათაურის თარგმნის მომენტში კი, შესაძლებლად მიგვაჩნია ლოკაციური ელემენტისათვის ადგილის შეცვლა.

ა. მორენოს აზრით¹⁴⁷, სათაურების თარგმანს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კულტურული და ლინგვისტური რეალობა, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. ამიტომ, თარგმნის პროცესში აუცილებელია თითოეული

¹⁴⁵ http://www.armenews.com/article.php3?id_article=83362

¹⁴⁶ <http://www.rtb.be/info/monde/detail>

¹⁴⁷ <http://www.translationdirectory.com/article1135.htm>

ენისათვის დამახასიათებელი სოციალური გარემოს გათვალისწინება. ორიგინალის ტექსტის სათაურები იშვიათად ითარგმნება სიტყვასიტყვით. როგორც წესი, მთარგმნელის არჩევანს განაპირობებს ის კომუნიკაციური რეალობა, რომელშიც ტექსტი უნდა ითარგმნოს. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ სათაურების თარგმანს, აღსანიშნავია: მოვლენის დრო, ადგილი, კომუნიკაციური საშუალება, მედიის პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაცია, კულტურული და ჟურნალისტური ტრადიცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთი მკითხველის ინფორმირებისა და დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. საგაზეთო ინფორმაციული სტილის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის მიწოდება მკითხველზე სასურველი გავლენის მოხდენის მიზნით. საგაზეთო-ინფორმაციული სტატიების შინაარსი განსხვავდება სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტებისაგან, მისი ენა კი განსხვავებულია მხატვრული ლიტერატურისაგან. ჟურნალისტური თარგმანი, რომელმაც მხოლოდ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მკითხველს, ერთი შეხედვით, განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, არც სტილისტური და არც ლექსიკური თვალსაზრისით, თუმცა, საგაზეთო მასალის და, განსაკუთრებით, საგაზეთო სათაურების თარგმანა მთარგმნელისათვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება¹⁴⁸.

¹⁴⁸ www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc

4.2. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმანის თავისებურებანი სტილისტური თვალსაზრისით

დ. იზაჩენკო აღნიშნავს¹⁴⁹, რომ პრესა არა მხოლოდ ინფორმაციის, არამედ ლინგვისტური მასალის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მასმედია და, განსაკუთრებით, პრესა, ენების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შესაბამისად, პრესა მკვლევრების განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

დ. იზაჩენკოს აზრით, ბეჭდური პრესა რეალურ დროში ასახავს მიმდინარე მოვლენებს. მკითხველის დროული ინფორმირების მიზნით, ჟურნალისტებს მცირე დროში უხდებათ სტატიების წერა, შესაბამისად, მათ არ რჩებათ დრო ყურადღება დაუთმონ ენას, რაც ყოველდღიურ გაზეთებში ნათლად იჩენს თავს, ძირითადად, საინფორმაციო პრესაში. პრესის ენა მუდმივ ცვლილებებს განიცდის და საკმაოდ მრავალფეროვანია სტილისტური თვალსაზრისით.

საგაზეთო ენის სტილისტურ სპეციფიკას გარკვეულწილად განსაზღვრავენ ის ფუნქციები, რომლებსაც გაზეთი კომუნიკაციის პროცესში ასრულებს. პრესის ძირითადი ფუნქცია – მკითხველის ინფორმირებისა და ზემოქმედების ფუნქციაა. მასობრივი ინფორმაციის სტილის განმარტება თავისთავადაა მოცემული სტილის ტრადიციულ განმარტებაში: “სტილი ენის ნაირსახეობაა, რომელიც ტრადიციულად დამკვიდრებულია მოცემული საზოგადოების სოციალური ცხოვრების სფეროში და რომელიც ნაწილობრივ განსხვავდება იმავე ენის სხვა ნაირსახეობებისგან, ყველა ძირითადი პარამეტრებით: ლექსიკით, ფონეტიკით და გრამატიკით¹⁵⁰”.

მასობრივი კომუნიკაცია სამეტყველო პრაქტიკის მნიშვნელოვან სოციალურ სფეროს წარმოადგენს და მისი თავისებურებები მასობრივი კომუნიკაციის ტიპური თავისებურებებითაა განპირობებული. საგაზეთო სტილი ხასიათდება გარკვეული ენობრივი ერთეულების მუდმივი გამოყენებით. იმის მიუხედავად, რომ საგაზეთო ტექსტების რაოდენობამ მკვეთრად იმატა, ტექსტების თემატური სტრუქტურა

¹⁴⁹ <http://dea.isachenko.free.fr/>

¹⁵⁰ Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990.

ერთფეროვანია და საგაზეთო ინფორმაციის ფორმა, ფაქტობრივად, უცვლელია. განსაკუთრებული სტილისტური თავისებურებებით ხასიათდება ახალი ამბები, რეკლამა და პუბლიცისტური ტექსტები. სწორედ ამ ტიპის ტექსტები ქმნიან თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის ტექსტების კორპუსს. ახალი ამბები, კერძოდ, პოლიტიკური სტატიები, მასობრივი ინფორმაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ამ დასკვნამდე სპეციალისტები მივიდნენ იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ამბები სრულად ასრულებს მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც მკითხველის ინფორმირებას გულისხმობს. თუმცა, ინფორმირებასთან ერთად, გაზეთი მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებად იქცა, ანუ ინფორმირებასთან ერთად მან აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქცია შეიძინა. დღეს საკმაოდ იშვიათია სტატიები, რომლებიც მშრალად გადმოსცემენ ფაქტებს.

საგაზეთო სტილის ერთ-ერთი თავისებურება სტანდარტების და ენობრივი თავისებურებების არსებობაა. გასათვალისწინებელია, რომ საგაზეთო მასალები იქმნება მაქსიმალურად მცირე დროის მონაკვეთში და ხშირად არ არსებობს იმის საშუალება, რომ სტატიამ ენობრივად სრულყოფილი სახე მიიღოს, ამასთან, საგაზეთო მასალებზე მუშაობენ სხვადასხვა ჟურნალისტები, რომლებიც მასალებს ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიან. საგაზეთო სტილზე დიდ გავლენას ახდენს კომუნიკაციის მასობრივი ხასიათი. გაზეთი მასობრივი ინფორმაციის და პროპაგანდის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, ვინაიდან მასობრივია როგორც ადრესატი, ასევე ავტორი.

იმ თავისებურებებს შორის, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენას განასხვავებს სხვა ფუნქციური სტილისგან, როგორც ამას ა. მიქოიანი აღნიშნავს¹⁵¹, შეიძლება გამოვყოთ: 1. გამოყენებული საშუალებების სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხი; 2. ირიბი ნათქვამის ხშირი გამოყენება; 3. ნარატიული ინფინიტივის ხშირი გამოყენება; 4. სამეტყველო კლიშეები, შტამპები და შეფასებითი ეპითეტები; 5. პოლიტიკური და კულტურული რეალიები; 6. სტილისტური ხერხები.

¹⁵¹ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

1. გამოყენებული საშუალებების სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხი: მყარი გამოთქმებისა და კლიშეების მაღალი მაჩვენებელი, სხვადასხვა ჟურნალისტური შტამპები, სტანდარტული ტერმინები და დასახელებები (ეს თავისებურებები ძირითადად ახალ ამბებს ახასიათებს და გამოხატავს მათი ავტორების სურვილს, შექმნან ობიექტურობის და მიუკერძოებლობის შთაბეჭდილება). მაგალითად, *une tension nucléaire* - ბირთვული დაპირისპირება; *des résultats escomptés* - გათვლილი შედეგი; *une invitation à se rendre à* - მიპატიჟება; *un communiqué publié par...*- ის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკე; *les pourparlers sont en cours entre* - მიმდინარეობს მოლაპარაკებები....ებს შორის; *le Conseil de sécurité de l'ONU* - გაეროს უშიშროების საბჭო; *l'ouverture des négociations* - მოლაპარაკებების დაწყება; *une coopération mutuellement avantageuse* - ორმხრივად ხელსაყრელი თანამშრომლობა; *un accord bilatéral* - ორმხრივი შეთანხმება; *la course aux armements* - გამაღებული შეიარაღება; *une conférence de presse* - პრესკონფერენცია; *le rétablissement des relations diplomatiques* - დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა; *la présence militaire* - სამხედრო ოკუპაცია, სამხედრო ძალების ყოფნა; *le redémarrage des relations* - ურთიერთობების გადატვირთვა და ა.შ. მაგალითად:

- *Borloo pose ses conditions à l'ouverture de négociations avec la majorité* - ფრანგული რადიკალური პარტიის თავჯდომარე უმრავლესობასთან მოლაპარაკების დასაწყებად პირობებს აყენებს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ბარლო უმრავლესობასთან მოლაპარაკების დასაწყებად პირობებს აყენებს).

- *Iran : « des négociations sont en cours pour une reprise des pourparlers » (L'EXPRESS 20.10 2012)* - ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკების განახლებისათვის დიალოგი მიმდინარეობს.
- *Regain de tension sur le nucléaire nord-coréen (Le Figaro 26/03/2012)* - ჩრდილო კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დაძაბულობა მატულობს.

- *La Russie se dit prête à rétablir les relations diplomatiques avec la Géorgie*¹⁵² - რუსეთი მზადაა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად/ რუსეთი საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით მზადყოფნას აცხადებს.
- *En Afghanistan, la présence militaire française en balance*¹⁵³ - ფრანგი სამხედროების ავღანეთში ყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ავღანეთში საფრანგეთის სამხედრო ყოფნა სასწორზეა).

- *Le régime syrien bafoue le plan de paix de Kofi Annan (Le Figaro 30/03/2012)* - სირიის რეჟიმი კოფი ანანის სამშვიდობო გეგმას უხეშად არღვევს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: სირიის რეჟიმი მასხრად იგდებს კოფი ანანის სამშვიდობო გეგმას).

2. პრესის სტილისტურ თავისებურებებს შორის აღსანიშნავია ირიბი ნათქვამის ხშირი გამოყენება. ჟურნალისტები ხშირად იშველიებენ ციტირებას სხვადასხვა პუბლიკაციებიდან. ციტირების შემთხვევაში ხდება ბრჭყალების გამოყენება ან მცირედი ცვლილებებით მისი დისკურსში ინტეგრირება. ციტირების დროს გამოიყენება შემდეგი დეკლარაციული ზმნები:¹⁵⁴affirmer, ajouter, conclure, commenter, constater, décrire, dévoiler, demander, déplorer, écrire, évoquer, estimer, faire remarquer, s'exclamer, expliquer, exposer, s'interroger, ironiser, noter, poursuivre, préciser, raconter, rappeler, remarquer, répondre, renchérir, souffler, souligner, titrer, etc. ციტირების დროს, ჩართული წინადადების საშუალებით ხდება ჟურნალისტის მიერ გამოყენებული წყაროს მითითება:
- *"Quinze mois plus tard", commente Ouest-France, "le maire de la capitale et l'ex-candidate sont en compétition pour prendre la direction du Parti socialiste."*¹⁵⁵ - "15 თვის თავზე", - დასძენს, - ჟურნალი Ouest-France-ი, - "ქალაქის მერი და მერობის ყოფილი კანდიდატი ერთმანეთს სოციალისტური პარტიის სადავებებისთვის უპირისპირდებიან".

¹⁵² <http://french.peopledaily.com.cn/International/7746680.html>

¹⁵³ <http://www.la-croix.com/Actualite/S-informer/Monde/>

¹⁵⁴ http://www.rfi.fr/lffr/articles/102/article_2427.asp

¹⁵⁵ http://www.rfi.fr/actufr/articles/101/article_66386.asp

3. ფრანგულ პრესას ახასიათებს ნარატიული ინფინიტივის ხშირი გამოყენება (Et+sujet+verbe déclaratif à l'infinitif)¹⁵⁶. მსგავსი ციტირება, როგორც წესი, პარაგრაფის დასკვნის სახით გამოიყენება და სტატიას კომპაქტურობას და დინამიკურობას მატებს.
- « *Et le journal de titrer: "la bataille est lancée."* - *"ბრძოლა დაიწყო"*, - ასეთი სათაურით აქვეყნებს ჟურნალი სტატიას.
 - *Et le président candidat d'ajouter sans ciller : cela "témoigne d'une reprise économique sensible"* - *"ეს ყოველივე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდაზე მიუთითებს"*, - მტკიცედ განაცხადა პრეზიდენტმა სარკოზიმ, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას კვლავ აპირებს¹⁵⁷.
4. პრესის სტილისტურ თავისებურებებს შორის აღსანიშნავია ისეთი გამოთქმების გამოყენება, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული კონოტაცია. ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ სამეტყველო კლიშეები, შტამპები და შეფასებითი ეპითეტები: heureusement / malheureusement - საბედნიეროდ/საუბედუროდ; avenir prometteur - იმედის მომცემი მომავალი; constater avec amertume - სინანულით აღნიშვნა; d'une excellente qualité - არაჩვეულებრივი ხარისხის; le courage extraordinaire - განსაკუთრებული სიმამაცე; progrès hautement qualifié - მნიშვნელოვანი პროგრესი.
5. სხვადასხვა რეალიების სიმრავლე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებიდან: Le palais de l'Élysée - ელისეს სასახლე; Les accords d'Évian - ევიანის შეთანხმება; Le Quai d'Orsay - ორსეს სახაპირო; la Guerre froide - ცივი ომი; La Convention de Genève - ჟენევის კონვენცია; L'Assemblée nationale - ეროვნული ასამბლეა; L'affaire du Watergate - უოტერგეიტის საქმე; La révolution des Œillets - მიხაკების რევოლუცია, Les Événements de Mai-68 - 1968 წლის მოვლენები; La Cinquième République - მეხუთე რესპუბლიკა; Le scandale tunisien - ტუნისის სკანდალი; G8 - დიდი რვიანი და ა.შ. მაგალითად:
- *Alliot-Marie éclaboussée par un nouveau scandale tunisien*¹⁵⁸ - *საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახალ სკანდალში გაეხვია.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ალიო-მარი ტუნისის ახალ სკანდალში გაისვარა).

¹⁵⁶ http://www.rfi.fr/lffr/articles/102/article_2427.asp

¹⁵⁷ http://www.rfi.fr/lffr/articles/102/article_2427.asp

¹⁵⁸ <http://videos.letelegramme.com/player.php?sig=iLyROoafzwaD>

- *Les députés entrent dans le cœur de la réforme des retraites*¹⁵⁹ - დეპუტატებმა საპენსიო რეფორმის სიღრმისეული განხილვა დაიწყეს.
- *Aubry refuse d'évoquer Matignon*¹⁶⁰ - საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მის შესაძლო დანიშვნას უარყოფს / მარტინ ობრი შესაძლო გაპრემიერებას უარყოფს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: მარტინ ობრი მატინიონის შესახებ საუბარზე უარს აცხადებს)

- *L'Égypte demande au G8 de hâter le déblocage de l'aide promise*¹⁶¹ - ეგვიპტე დიდ რვიანს დაპირებული დახმარების დროულად გამოყოფას სთხოვს.
6. პრესა, რომლის ფუნქცია ფაქტების ობიექტური გაშუქებაა, ხშირად იყენებს მეტაფორას, ჰიპერბოლას, ლიტოტას, შედარებას და ანტითეზას. სტილისტური ხერხები არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტერატურულ ფენომენს, არამედ აქტიურად გამოიყენება პრესაში.

სხვადასხვა ენის სტილისტური სისტემების თავისებურებების გამო, იმ სტილისტური ხერხების გადმოცემა, რომლებიც ხატოვანი ინფორმაციის მატარებელია, ხშირ შემთხვევაში მთარგმნელისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. ხატოვანი საშუალებების თარგმნისათვის, აუცილებელია განისაზღვროს მათი ინფორმაციული შინაარსი და სემანტიკური სტრუქტურა. ხატოვანი ინფორმაციის ანალიზი, როგორც წესი, ენის დონეზე ხორციელდება. ახალი მნიშვნელობა, რომელსაც ხატოვანი საშუალებები იღებენ კონტექსტში, მათი სემანტიკური სტრუქტურის ელემენტს წარმოადგენს. ამ ელემენტს ამავე ენაში პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვა ან გამოთქმა შეესაბამება, რომელიც ამ საშუალების განმარტებისთვის გამოიყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება ხატოვანი ინფორმაციის გადატანა, მაშინ მთარგმნელი ცდილობს გადმოსცეს ამ საშუალების შინაარსობრივი მხარე.

როდესაც საუბარია საგაზეთო სტატიების სტილზე, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ მეტაფორას, მეტონიმას, ანტითეზას, ჰიპერბოლას და შედარებას, მოვლენის გაშუქებისა და მკითხველის ყურადღების

¹⁵⁹ <http://www.retraite.net/513.html>

¹⁶⁰ <http://www.leigaro.fr/spip.php?article320248>

¹⁶¹ <http://www.20minutes.fr/ledirect/848603/>

მიქცევის მიზნით. როგორც წესი, ამ სტილისტური ხერხის მთავარი მიზანი ინფორმაციის დრამატიზირებაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტაფორა ყველაზე გავრცელებული სტილისტური საშუალებაა პრესაში. მეტაფორა სათაურებში უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე თვით სტატიებში. საგაზეთო სათაურებში გამოყენებული მეტაფორა, ყველა სხვა ჟურნალისტურ მეტაფორას შორის, ყველაზე ორიგინალური და ეფექტური საშუალებაა.

სტილისტური ხერხები, განსაკუთრებით კი, მეტაფორა, ძალიან ხშირად გამოიყენება პრესის სათაურებში და განსაკუთრებული პრაგმატიკული მნიშვნელობა ენიჭება. მიჩნეულია, რომ მეტაფორა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის არის კოგნიტური თვალსაზრისით დამაჯერებელი და ამასთან, ემოციური რეაქციის გამომწვევი. მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატიკულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნას, კულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით (ჩარტერის-ბლეკი 2004)¹⁶².

სათაურებში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით მეტაფორას: *La scène politique* - პოლიტიკური სცენა; *Jouer la carte de la paix* - მშვიდობაზე ფსონის დადება; *Le carrefour intellectuel* - ინტელექტუალური გზაჯვარედინი; *Le feu vert pour* - მწვანე შუქი, *La température des relations* - ურთიერთობების ტემპერატურა; *Les variations du climat politique* - პოლიტიკური კლიმატის ცვლილება; *Les débats orageux* - ცხარე დებატები და ა.შ. ამ საშუალებების გამოყენებით ჟურნალისტები ახდენენ სიტუაციის დრამატიზირებას ან პირიქით, ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობის დაკნინებას. როგორც წესი, ამ გზით ისინი ცდილობენ მკითხველის ყურადღება მიიპყრონ. მკითხველს კი, თავის მხრივ, უხდება ყურადღებით მოეკიდოს ინფორმაციას, აღწერილი მოვლენები რეალურად რომ შეაფასოს. მაგალითად:

- *La visite de Nicolas Sarkozy alimente le débat*¹⁶³ - *პრეზიდენტ სარკოზის ვიზიტი დებატების საგანი ხდება / პრეზიდენტ სარკოზის ვიზიტთან დაკავშირებით დებატები არ ცხრება.*

¹⁶² <https://semioticsjournal.wordpress.com/tag/პოლიტიკური-დისკურსი/>

¹⁶³ <http://www.sudouest.fr/2012/03/06/>

- *Hollande nettement en tête au premier tour, selon un sondage Ipsos (Le Monde 20.04.2012)* - საზოგადოებრივი აზრის კვლევების ინსტიტუტის მიხედვით ფრანსუა ოლანდი არჩევნების პირველ ტურში ლიდერობს.
- *Sarkozy met sur un pied d'égalité opprimés et oppresseurs¹⁶⁴* - ნიკოლა სარკოზი მჩაგვრელებს და ჩაგრულებს თანაბარ პირობებში აყენებს.
- *Le bras droit d'Obama favorable au mariage homosexuel (Le Figaro 10.05.2012)* - ბარაკ ობამას მარჯვენა ხელი ჰომოსექსუალური წყვილების ქორწინებას უჭერს მხარს.

ფრანგული პრესა ხშირად იყენებს საბრძოლო მეტაფორას. საბრძოლო მეტაფორა საგაზეთო სათაურებში საკმაოდ გავრცელებული სტილისტური საშუალებაა და მისი მიზანი, მკითხველზე განსაკუთრებული ეფექტის მოხდენაა.

- *La Flandre serait en train de voter son autonomie, ce qui entraînerait de facto l'explosion du Royaume de Belgique¹⁶⁵* - ფლანდრიაში მიმდინარე არჩევნებმა, რომელმაც მისი ავტონომია უნდა განსაზღვროს, შესაძლოა ბელგიის სამეფოს დე ფაქტო დაშლა გამოიწვიოს.

მოცემულ მაგალითში საომარი მეტაფორა “explosion” – “აფეთქება” ქართულ სათაურში სიტყვა “დაშლით” შევცვალეთ. იმ მსგავსებების მიუხედავად, რომელიც ფრანგულ და ქართულ საომარ მეტაფორებს შორის არსებობს, ამ მეტაფორის პირდაპირი გადმოტანა ქართულში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ქართული ენის სტილისტური და ლექსიკური თავისებურებების გათვალისწინებით, ამიტომ ეკვივალენტად ნეიტრალური სიტყვა შევარჩიეთ.

- *Sarkozy assume la défaite, délaisse les législatives¹⁶⁶* - ნიკოლა სარკოზიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხი აღიარა და არ აპირებს საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე პარტიას უხელმძღვანელოს

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: სარკოზი აღიარებს მარცხს, ტოვებს საპარლამენტო არჩევნებს).

¹⁶⁴ http://www.algeria-watch.org/fr/article/pol/france/sarkozy_drague_pieds-noirs_harkis.htm

¹⁶⁵ <http://orm.comu.ucl.ac.be/Mediatiques/Mediatiques48.pdf>

¹⁶⁶ <http://www.lapresse.ca/international/dossiers/elysee-2012/201205/06/01-4522501>

- *Les menaces de Nicolas Sarkozy contre ses adversaires politiques*¹⁶⁷ - ნიკოლას სარკოზი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ემუქრება.
- *Élections américaines 2012: en route vers le duel de novembre*¹⁶⁸ - შეერთებულ შტატებში ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების დაპირისპირებისათვის ემზადებიან.
- *Décès de Kadhafi –Desmond Tutu déplore la mort violente de l'ex-dirigeant libyen (Le Point 21.10.2011)* - ნობელის პრემიის ლაურეატი დესმონ ტუტუ ლიბიის ყოფილი ლიდერის სასტიკ მკვლელობას გმობს.

მოცემულ მაგალითებში მოყვანილი საომარი მეტაფორების თარგმნის დროს არანაირი განსაკუთრებული სირთულე არ შეგვხვედრია, რადგან ამ მეტაფორების ქართული ეკვივალენტები ქართული პრესაში ფართოდ გამოიყენება.

- *L'Iran brandit l'arme du pétrole (Le Parisien 02.01.2012)* - ირანი ნავთობის სატრანზიტო გზის დახურვით იმუქრება.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ირანმა ნავთობის იარაღი ამოიღო).

აღნიშნული სათაურის ტრანსკოდირების გზით თარგმნა გაუმართლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან მსგავსი საომარი მეტაფორის პირდაპირი გადმოტანა ქართული ენის სტილისტური ნორმების დარღვევას გამოიწვევდა, ამიტომ საომარი მეტაფორის ნაცვლად ქართულ სათაურში ნეიტრალური სიტყვა “იმუქრება” გამოვიყენეთ. ლექსიკური ტრანსფორმაციის შედეგად, ქართული სათაური სრულად გადმოსცემს ფრანგული სათაურის შინაარსს და არ არღვევს ქართული ენის ნორმებს.

ჯვაროსნული ლაშქრობების თემა საკმაოდ ხშირად გამოიყენება ფრანგულ ჟურნალისტიკაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს როგორც საომარი, ასევე რელიგიური კონოტაციის მატარებელია. მაგალითად:

- *Cuba: Raul Castro lance une croisade contre la corruption (L'express 29/01/2012)* - რაულ კასტრო კორუფციის წინააღმდეგ “ჯვაროსნულ ლაშქრობას” იწყებს / რაულ კასტრო კორუფციის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს.

¹⁶⁷ <http://blog.dogguy.org/2007/04/>

¹⁶⁸ <http://www.dandurand.uqam.ca/evenements/evenements-passes/1039>

- *États-Unis: Obama prend pour cible le bilan de Romney (L'EXPRESS 25/05/2012)* - შერთებული შტატების პრეზიდენტმა რომნის პროგრამა სამიზნეში ამოიღო / პრეზიდენტი ობამა რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატის ანგარიშს მკაცრად აკრიტიკებს.

პირველ მაგალითში მეტაფორის გამოყენებით, სტატიის ავტორი ნათლად მიაჩნებს იმ ფაქტზე, რომ კუბაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სრული სიახლეა, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების მსგავსად, საკმაოდ რთული განსახორციელებელი იქნება. გთავაზობთ სათაურის თარგმნის ორ ვარიანტს: პირველ ვარიანტში თარგმანში ვინარჩუნებთ მეტაფორას, მეორე ვარიანტი კი კომპენსირების გზითაა შესრულებული, თუმცა, შინაარსობრივად სრულად გადმოსცემს სათაურის არსს. მეორე სათაურშიც საბრძოლო მეტაფორაა გამოყენებული. ამ მეტაფორით ჟურნალისტი მკითხველის მაქსიმალურ დაინტერესებას და თემის დრამატიზაციას ცდილობს. ანალოგიური საშუალების შენარჩუნება ქართულ თარგმანში შესაძლებლად მიგვაჩნია, თუმცა, გთავაზობთ სათაურის მეორე ვარიანტსაც, რომელიც ასევე სრულად გადმოსცემს ფრანგული სათაურის არსს, მეტაფორის გამოყენების გარეშე.

ნებისმიერ ენაში არსებობს ელემენტები, რომლებიც სხვა ენის საშუალებებით ვერ გადმოიცემა, ამიტომ თარგმანში აუცილებელი ხდება დანაკარგის კომპენსირება. საუბარია აზრობრივ და სტილისტურ დანაკარგებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხდება ხატოვანი საშუალებების გადმოცემა, გადმოიცემა მხოლოდ ამ საშუალებების შინაარსობრივი მხარე. მაგალითად:

- *Sucden, géant français du sucre, envisage de jeter l'éponge en Russie (hyperbole) (L'EXPRESS 28/06/2012)* - ფრანგული შაქრის გიგანტი რუსეთში ბრძოლის გაგრძელებაზე უარს ამბობს/რუსეთში პოზიციებს თმობს.

მოცემულ სათაურში სტატიის ავტორი ჰიპერბოლას იყენებს, რომლის მიზანსაც მოვლენის გამუქება წარმოადგენს. ფრანგული გამოთქმა *jeter l'éponge* ძირითადად რინგზე, ბოქსის დროს გამოიყენება და მოწინააღმდეგეებისათვის სახის გაწმენდას გულისხმობს, გადატანითი მნიშვნელობით კი, “ბრძოლისათვის თავის დანებებას, მიტოვებას” ნიშნავს. ქართულ ენაში მსგავსი გამოთქმა არ არსებობს, ამიტომ

იძულებულები ვხდებით, მხოლოდ სიტყვის ექსპრესიული მნიშვნელობის გადმოცემით დაგვკმაყოფილდეთ. აღნიშნული ხერხის გამოყენებით, ჟურნალისტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფრანგულმა კომპანიამ ეს გადაწყვეტილება რუსულ კომპანიასთან ხანგრძლივი და მძიმე დაპირისპირების შედეგად მიიღო. თუკი მთარგმნელი იძულებულია, არჩევანი გააკეთოს სიტყვის სტილისტურ შეფერილობასა და ექსპრესიულობას შორის, მაშინ ბუნებრივია, რომ მან, პირველ რიგში, სიტყვის ან შესიტყვების ექსპრესიული მნიშვნელობა შეინარჩუნოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შესატყვისის პოვნა შეუძლებელია, მაშინ მისი თარგმნა კომპენსირების გზით უნდა მოხდეს.

ჟურნალისტურ დისკურსში იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება პარონომაზიის გამოყენების შემთხვევები, რომელიც ერთ ფრაზაში მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად:

- *Politiques et électorat, qui se ressemble s'assemble?*¹⁶⁹ - პოლიტიკა და ელექტორატი: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

მოცემულ სათაურში სტატიის ავტორი სწორედ პარონომაზიის ხერხს იყენებს, მსგავსი ანდაზა ქართულ ენაზეც არსებობს და შესაბამისად, სათაურის გადმოტანა როგორც ექსპრესიული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, მთარგმნელისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

ფრანგულ ჟურნალისტურ დისკურსში ფართოდ გამოიყენება მეტონიმია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია რეზიდენციების ან ტოპონიმების გამოყენება სამთავრობო ინსტიტუტების აღსანიშნავად (ლეკოლი 2001, 163). მაგალითად:

- *Hollande à l'Élysée, Ayrault à Matignon?* (*Le nouvel Observateur* 15.05.2012) - საფრანგეთის პრეზიდენტად ოლანდი აირჩიეს, დაიკავებს თუ არა ჟან მარკ ეირო პრემიერის პოსტს?

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ოლანდი ელისეს სასახლეში, ეირო მატინიონში?).

- *Le nouvel homme fort de la Place Beauvau*¹⁷⁰ - შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ძლიერი პიროვნება დაინიშნა.

¹⁶⁹ <http://www.atlantico.fr/decryptage/politiques>

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ძლიერი პიროვნება ბოვოს მოედნიდან).

“ელისეს სასახლე”, “მატინიონი”, “ბავოს მოედანი” მეტონიმას წარმოადგენს და პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის რეზიდენციებზე მიუთითებს. ქართულში მათი პირდაპირი გადმოტანა მიუღებელია, ვინაიდან ფრანგი მკითხველისაგან განსხვავებით, ქართველი მკითხველისათვის ეს პოლიტიკური რეალიები უცნობია. თუმცა, ქართულ გაზეთებში ძალიან ხშირად გვხვდება მათი კალკი, რასაც პროფესიონალი მთარგმნელები ყოველთვის კრიტიკულად უდგებიან.

მასმედიის ენა წარმოადგენს მყარ შიდაენობრივ სისტემას, რომელსაც აქვს გარკვეული სტილისტური მახასიათებლები. როდესაც სათარგმნ ტექსტში გამოყენებულია დიდი რაოდენობით ნეიტრალური კლიშეები, ბუნებრივია, თარგმანშიც იგივე საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, მით უმეტეს, რომ ბევრი ჟურნალისტური კლიშესათვის, აზრობრივი და სტილისტური შესატყვისი ადვილი მოსაძებნია. იმ შემთხვევაში, როდესაც ენობრივ დონეზე მზა შესატყვისები არ მოიძებნება, მაშინ აზრის გადმოცემა უნდა მოხდეს სხვა საშუალებებით, მაგრამ უნდა მოხდეს ტექსტის ჟანრობრივი, სტილისტური და კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინება.

¹⁷⁰ <http://www.acteurspublics.com/2012/07/25/>

4.3. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმანის თავისებურებანი სემანტიკური თვალსაზრისით

პრაგმატიკული თეორიები სემანტიკურ საკითხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა. ზოგიერთი მეცნიერი სემანტიკასა და პრაგმატიკას ურთიერთშემავსებელ მეცნიერებებად განიხილავს, ზოგიერთი კი, მათ ავტონომიურ დისციპლინებად მოიაზრებს (კამბაჯა 2009, 54).

ჩვენი აზრით პრაგმატიკა მოიცავს სემანტიკას და ეს ორი დისციპლინა ერთმანეთს ავსებს და ამდიდრებს .

სემანტიკა-პრაგმატიკის ურთიერთობებს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორივე დისციპლინა, – როგორც ამას ე. კამბაჯა აღნიშნავდა, ისეთ ლინგვისტურ მოვლენებს სწავლობს, რომლებიც მიზნად ისახავს ორაზროვნების მოხსნას, რეფერენტების, ილოკუციური ძალის, მეტაფორის, მეტონიმის, სინეკდოხის და პრესუპოზიციის განსაზღვრას. პოლისემიის შემთხვევაში, მთარგმნელი, როგორც წესი, ლექსიკონს მიმართავს და ცდილობს აღნიშნულ სიტყვას თუ ტერმინს ერთ-ერთი მნიშვნელობა მიუსადაგოს, თუმცა, ძალიან ხშირად მთარგმნელი ლექსიკური ვაკუუმის პრობლემის წინაშე დგება, როდესაც აღნიშნული სიტყვა თუ ტერმინი, რომელმაც აუცილებლად უნდა შეიძინოს მნიშვნელობა, საერთოდ არაა დაფიქსირებული ლექსიკონში. ასეთ შემთხვევაში სემანტიზაცია ძირითადად კონტექსტის გათვალისწინებით ხორციელდება (კამბაჯა 2009, 58).

სემანტიკური ურთიერთობა თარგმნის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის მთავარი ფუნქცია დენოტაციური ფუნქციაა, რადგან კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანთანაა დაკავშირებული, რომელიც სამყაროს შესახებ ინფორმაციისა და არაენობრივი სინამდვილის გადმოცემას გულისხმობს. ინფორმაციის გადაცემის მექანიზმად გამოიყენება ის სემანტიკური ურთიერთობა, რომელიც ენობრივ ნიშანსა და დენოტატს შორის ჩნდება და რომელიც ენობრივ ნიშანს გარკვეულ მნიშვნელობას სძენს¹⁷¹.

¹⁷¹ http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Linguist/shveyz/p13.pdf

ტექსტის ადრესანტისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადრესატებისთვის გასაგები იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი ტექსტი არ იწვევს მკითხველში იმავე რეაქციას და განსხვავებულად აღიქმება, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თარგმანი სწორად არაა შესრულებული. მთარგმნელის მთავარი ფუნქციაა შეტყობინების აზრის გადაცემა. აზრის გადაცემისათვის კი აუცილებელია სემანტიკური და ლინგვისტური სტრუქტურების ანალიზი.

სემანტიკურ საკითხებს ტრადუქტოლოგიურ კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. როგორც ჩარლზ ტაბერი და ი. ნაიდა აღნიშნავენ: “მთარგმნელმა ზუსტად ის აზრი უნდა გადმოსცეს, რომელიც ავტორმა გამონათქვამში ჩააქსოვა”. შესაბამისად, თარგმანში სემანტიკური ეკვივალენტობა მიიღწევა არა მხოლოდ ენობრივი მნიშვნელობების დონეზე (გრამატიკულ-ლექსიკური), არამედ, აზრობრივ დონეზე (ტაბერი, ნაიდა 1971, 7).

რ. ოსტრა აღნიშნავს¹⁷², რომ თარგმნის პროცესის ყველა ასპექტი და ყველა ფაზა სემანტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. თარგმანი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას, რომლის დროსაც, მთარგმნელმა, რაც შეიძლება სრულად უნდა გაიგოს შეტყობინების აზრი და მოახდინოს სემანტიკური ინტერპრეტაცია. ეს მთარგმნელის საქმიანობის პირველი ეტაპია. ბუნებრივია, სემანტიკური ინტერპრეტაცია (დეკოდირება) ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც მოახდენს აზრის დევერბალიზაციას, მთარგმნელი სათარგმნ ენაზე აზრის ხელახალ ჩამოყალიბებას ცდილობს. იმისათვის, რომ მოახდინოს აზრის გადაცემა სათარგმნ ენაზე, მთარგმნელი უნდა იცნობდეს სათარგმნ ენაში არსებულ სტილისტურ და გრამატიკულ ნორმებს, როგორც სტანდარტულ ენას, ასევე სოციოლექტებსა და ტექნოლექტებს (ოსტრა 1979, 32-33).

ორიგინალსა და თარგმანის ენებს შორის არსებული განსხვავებები მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა. თუმცა, ენებს შორის არსებული სემანტიკური განსხვავება არ შეიძლება თარგმნისათვის დაუძლეველი დაბრკოლება იყოს იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ენებთან, როგორც აბსტრაქტულ სისტემებთან, არამედ კონკრეტულ ტექსტთან. ორიგინალისა და

¹⁷² <http://www.phil.muni.cz/plonedata/wurj/erb/volumes-01-10/ostra79.pdf>

სათარგმნი ენის სემანტიკური ეკვივალენტობა, რომელიც აუცილებელია თარგმნის განხორციელებისათვის, არსებობს არა ტექსტის ცალკეულ ელემენტებს შორის, არამედ მთლიანად ტექსტებს შორის, ამასთან, მოცემული ტექსტის შიგნით არა მხოლოდ დასაშვებია მრავალრიცხოვანი გადაადგილებები და ცალკეული აზრობრივი ელემენტების ხელახალი გადანაწილებები (მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები), არამედ ხშირ შემთხვევაში მსგავსი ტრანსფორმაციები გარდაუვალიც კი არის (ბარხუდაროვი 1975, 189).

სემანტიკური ანალიზი თარგმნის პროცესის აუცილებელი ელემენტია, რათა სათარგმნ ენაში მოხდეს ზუსტი ეკვივალენტების მოძიება. ხშირ შემთხვევაში, მთარგმნელები სემანტიკურ ანალიზს გაუაზრებლად ახორციელებენ. სემანტიკური ანალიზის საკითხი იმ შემთხვევაში დგება დღის წესრიგში, როდესაც მთარგმნელი სტილისტური, ლექსიკური თუ სინტაქსური ეკვივალენტობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. მთარგმნელი სემანტიკურ ანალიზს მიმართავს იმისთვის, რომ სრულად გაიგოს ტექსტის აზრი და დარწმუნდეს იმაში, რომ თარგმნის სწორი სტრატეგია შეარჩია (ოსტრა 1979, 33)

სემანტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გამონათქვამის აზრი და დავრწმუნდეთ, რომ ის გამონათქვამი, რომელიც სათარგმნ ენაზე იქნა შერჩეული, იმავე სემანტიკური მახასიათებლების მატარებელია. სემანტიკური ანალიზით განვსაზღვრავთ სიტყვების მნიშვნელობას და ვახდენთ ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრას (ოსტრა 1979, 34).

სიტყვა შეიძლება პოლისემანტური იყოს, მაგალითად, სიტყვა *un appel* - შეიძლება ნიშნავდეს 1. პოლ. მოწოდებას, 2. იურ. აპელაციას, 3. ეკ. ტენდერს. მაგალითად:

- *La droite populaire lance un appel à l'électorat FN (Le Figaro 25/04/2012)* - მემარჯვენე სახალხო პარტია ეროვნული ფრონტის ელექტორატს მიმართავს.
- *France/attentat de la rue Copernic : le suspect fait appel de son extradition du Canada (L'EXPRESS 13/04/2012)* - საფრანგეთში კოპერნიკის ქუჩაზე მომხდარ ტერაქტში ეჭვმიტანილი, კანადიდან მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს.

- *Internet source d'économies pour les appels d'offres (Le Figaro 08/05/2012)* - ინტერნეტი ტენდერების ორგანიზების ხარჯების შემცირების საუკეთესო წყაროდ იქცა.

სემანტიკური ანალიზი ემყარება არა სიტყვის დამწერლობას, არამედ – სიტყვის აზრს. ამით იგი ლექსიკური და გრამატიკული ანალიზისგან განსხვავდება, რომელიც, თავის მხრივ, ლექსიკასა და გრამატიკას ემყარება. ჟ დელილი აღნიშნავდა : ”წერითი თარგმნის პირველ ეტაპზე მთარგმნელები, თარჯიმნების მსგავსად, ეძებენ ტექსტის აზრს და მას სხვა ენაზე გამოხატავენ. როდესაც ეს პირველი ვერსია შესრულებულია, ისინი ცდილობენ, რომ მათი გამონათქვამები და სათარგმნი ენის ენობრივი მნიშვნელობები ერთგვარად ადეკვატური იყოს” (სელესოვიჩი, ლედერერი 2008,139).

იშვიათია, სხვადასხვა ენის ლექსიკური ერთეულების დენოტაციური მნიშვნელობები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, როგორიცაა: საკუთარი სახელები (Nicolas Sarkozy), გეოგრაფიული დასახელებები (France, Paris), ტექნიკურ-სამეცნიერო ტერმინები. ლ. ბარხუდაროვი მთლიან და ნაწილობრივ შესაბამისობას და შეუსაბამობას გამოყოფს. მთლიანი შესაბამისობის მქონე ნიშნები კონტექსტზე არ არის დამოკიდებული და მთარგმნელისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს (ბარხუდაროვი 1975, 74).

თუმცა, საკმაოდ ხშირად, სათარგმნ ენაში სიტყვას ერთი ან მეტი სემანტიკური ეკვივალენტი შეესაბამება. არის შემთხვევები, როდესაც ორივე სიტყვას (ორიგინალშიც და თარგმანშიც) აქვს როგორც ერთნაირი, ასევე განსხვავებული ეკვივალენტები (ბარხუდაროვი 1975, 76).

შესაბამისობა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, როდესაც არსებითი სახელის რიცხვის ცვლილებასთან ერთად, იცვლება მისი დენოტაციური მნიშვნელობა: *La démocratie* - დემოკრატია; დემოკრატიული ქვეყანა, *les démocraties* - დემოკრატიული ქვეყნები, *l'industrie* - მრეწველობა, *les industries* - მრეწველობის დარგები. მაგალითად:

- *Le scandale qui secoue la jeune démocratie*¹⁷³ - სკანდალი, რომელმაც შეძრა ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: სკანდალი, რომელიც ძრავს ახალგაზრდა დემოკრატიას).

სემანტიკური თარგმანის შემთხვევაში, — როგორც ამას ე. კამბაჯა აღნიშნავდა, — მთარგმნელი, სათარგმნი ენის სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, ცდილობს ამოსავალი ტექსტის ზუსტი კონტექსტური მნიშვნელობა გადმოსცეს. სემანტიკური თარგმანი ორიგინალის ტექსტზეა ორიენტირებული, კომუნიკაციური თარგმანი კი ყურადღებას სათარგმნი ენის რეცეპტორებზე ამახვილებს (კამბაჯა 2009, 52). მაგალითად:

- *Desir : Pas de contradiction entre les ministres sur la taxe à 75% (Le Figaro 07/01/2013)*
- სოციალისტური პარტიის თავჯდომარე აცხადებს, რომ მდიდრების გადასახადის ზრდასთან დაკავშირებით მინისტრებს შორის უთანხმოება არ არსებობს.

(სემანტიკური თარგმანი : დეზირი: მინისტრებს შორის არ არსებობს უთანხმოება 75%-იან გადასახადთან დაკავშირებით).

- *Un an après le retrait américain, l'Irak dans la spirale communautaire (Le Monde 04.01.2013)* - ერაყიდან ამერიკის ჯარების გაყვანიდან ერთი წლის თავზე, ქვეყანა ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირების ადგილი ხდება.

(სემანტიკური თარგმანი: ამერიკული გასვლიდან ერთი წლის შემდეგ, ერაყი თანამეგობრობის სპირალში).

- *Bachar Al-Assad propose une "solution politique", rejetée par l'opposition (Le Monde 04.01.2013)* - ბაშარ ალ ასადის მიერ წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას ოპოზიცია არ იზიარებს / ბაშარ ალ ასადის მიერ წარმოდგენილ გეგმას კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების შესახებ ოპოზიცია არ იზიარებს.

¹⁷³ <http://www.presseurop.eu/fr/content/article/2633061-le-scandale-qui-secoue-la-jeune-democratie?xtor=RSS-9>

(სემანტიკური თარგმანი : ზაშარ ალ ასადი სთავაზობს “ პოლიტიკურ მოგვარებას”, უარყოფილს ოპოზიციის მიერ).

- *Egypte: Morsi remanie son gouvernement et fait la part belle aux Frères musulmans (LEXPRESS 07/01/2013)* - ეგვიპტის პრეზიდენტმა სამთავრობო ცვლილებები განახორციელა და უპირატესობა ისლამისტური ორგანიზაცია “მუსულმანი ძმების” წევრებს მიანიჭა.

(სემანტიკური თარგმანი: ეგვიპტე: მორსი ცვლის მთავრობას და უპირატესობას მუსულმან ძმებს ანიჭებს).

- *Enquête sur des soupçons de pratiques électorales illégales à Corbeil (Libération 04.01.2013)* - კორბეიში ჩატარებულ მუნიციპალური არჩევნების სავარაუდო გაყალბებასთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო.

(სემანტიკური თარგმანი: კორბეიში არჩევნების გაყალბების ეჭვის გამო მოკვლევა დაიწყო).

- *Les élections en Afrique: passage obligé pour la démocratie?*¹⁷⁴ - აფრიკაში ჩატარებული არჩევნები დემოკრატიისკენ გადადგმული მოჩვენებითი ნაბიჯია.

(სემანტიკური თარგმანი: არჩევნები აფრიკაში: იძულებითი გადასვლა დემოკრატიისათვის).

- *Remaniement : deux changements d'attribution et quatre nouveaux ministres*¹⁷⁵ - საფრანგეთის მთავრობაში საკადრო ცვლილებების შედეგად ორმა მინისტრმა სამინისტრო შეიცვალა და ოთხი ახალი მინისტრი დაინიშნა.

(სემანტიკური თარგმანი : ცვლილება : ორი უფლებამოსილების ცვლილება და ოთხი ახალი მინისტრი).

მოცემული სათაურები ნათარგმნია ინტერპრეტაციული თარგმნის გზით. ამ გზით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ინტერპრეტაციული მოდელის უპირატესობა,

¹⁷⁴ <http://www.grioo.com/blogs/lepangolin/index.php/2006/06/07/1096>

¹⁷⁵ <http://www.rtl.fr/actualites/politique/article/>

რომელიც ცდილობს სათაურის შინაარსისა და პრაგმატიკის სრულად გადმოცემას და სათარგმნი ენის მკითხველზე ეკვივალენტური ეფექტის მოხდენას.

ნებისმიერი მთარგმნელობითი ოპერაციის მიზანს ენებს შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენა კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მისი მიზანი უნდა იყოს სათარგმნი ენაში ორიგინალის ტექსტის ხელახალი ფორმულირებით ამ განსხვავებების დაძლევა. დ. სელესკოვიჩი აღნიშნავდა: “სათანადოდ განსაზღვრულ სემანტიკურ შესატყვისებს არანაირი სარგებელი არ აქვთ, როდესაც სხვა ენაზე რაიმე ინფორმაცია უნდა გადაიცეს. იმისათვის, რომ ფრანგებმა ისევე გაიგონ დისკურსი, რასაც ინგლისურ ენაზე წარმოთქმული დისკურსი ინგლისელი აუდიტორიისათვის ქმნის (გერმანული დისკურსი – გერმანელი აუდიტორიისათვის, იაპონური დისკურსი – იაპონური აუდიტორიისათვის და ა.შ.) უნდა გამოვიყენოთ სხვა სიტყვები და არა ინგლისური, გერმანული, იაპონური სიტყვების სემანტიკური შესატყვისებები. ეს გამოდგება ყველა ენისათვის და ყველა ენობრივი კომბინაციისათვის. განსხვავებული ენები ერთი და იმავე სემანტიკური საშუალებებით არ აგებენ ერთსა და იმავე გზავნილს. ამ აღმოჩენის გაკეთების შემდეგ, თარჯიმნები, რომლებმაც დისკურსი უნდა თარგმნონ ზეპირი გამონათქვამის რიტმში, აღარ აქცევენ ყურადღებას ენობრივ მნიშვნელობებს. ისინი ცდილობენ აღადგინონ აზრი თავიანთ საკუთარ ენაზე. როგორიც არ უნდა იყოს ორიგინალის ენის სტრუქტურები, მნიშვნელობები თუ სინტაქსი” (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 135).

თავის დისერტაციაში ა. ვალევა-ბორისოვი აღნიშნავს, რომ ადეკვატური თარგმანის შესრულება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც დისკურსის მთლიანად გაგება მოხდება. შესაბამისად, სათაურების თარგმნა მხოლოდ ტექსტიდან გამომდინარეა შესაძლებელი. უნდა აღვნიშნოთ, რომ წმინდა სემანტიკური ასპექტები მნიშვნელოვანია ძირითადად იმ ეფექტის თვალსაზრისით, რომელსაც სათაური ტექსტის წაკითხვამდე ახდენს, ანუ როდესაც სათაური ტექსტისაგან დამოუკიდებლად არსებობს (ვალევა-ბორისოვი 1992, 193).

დ. სელესკოვიჩის აზრით, თარგმანი ღებულობს სხვადასხვა ფორმულირებას იმ შინაარსის მიხედვით, რომელსაც წინადადება გადმოსცემს. კარგად ჩანს, რომ აზრი არ

არის წინადადების მხოლოდ ენობრივი შემადგენლობით განსაზღვრული. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ თარგმანი, რომელსაც მხოლოდ ენობრივი ნიშნები აინტერესებს, ალბათ, გზავნილის აზრს სწორედ ვერ გამოხატავს. ინტერპრეტაციული თეორიის ერთ-ერთი ძირეული აქსიომაა, რომ ენები განსხვავებულ თარგმანებს იმის მიხედვით ითხოვენ, რისი გამოხატვა სურთ, მნიშვნელობის თუ აზრის (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 147).

4.4. ფრანგული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი პრაგმატიკული თვალსაზრისით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგაზეთო სტატიების ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, არჩევანი პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნის პრაგმატიკულ თავისებურებებზე შევაჩერეთ. იმ ნორმის თანახმად, რომელიც არსებობს არალიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში, მთარგმნელმა ტექსტთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი უნდა შეასრულოს, თუკი ეს ენობრივი, კომუნიკაციური და პრაგმატიკული თვალსაზრისით რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის (ჟილი 2005, 98).

მთარგმნელი, რომელიც თარგმნის ოპერაციის პირველ ეტაპზე ორიგინალის რეცეპტორად გვევლინება, ცდილობს, მაქსიმალურად სრული ინფორმაცია მიიღოს ამოსავალი ტექსტიდან, რისთვისაც მას, ბუნებრივია, სჭირდება იგივე ფონური ცოდნა, რომელიც ამოსავალი ენის მატარებლებს აქვთ, მას ასევე სჭირდება ამოსავალი ენის ისტორიის, პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობის, კულტურისა და რეალიების ცოდნა (კომისაროვი 1990, 210). მაგალითად:

- *Nouvelle manifestation contre les retraites (Le Figaro 02/10/2010) - საფრანგეთში საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ახალი დემონსტრაციები პენსიების წინააღმდეგ).

საფრანგეთის უკანასკნელი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი, რომელმაც ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, შედარებით უცნობია ქართველი მკითხველისათვის, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია იმის განმარტება, რომ ქვეყანაში გამართული დემონსტრაციების მიზეზი, მთავრობის მიერ წარმოდგენილი საპენსიო რეფორმა გახდა.

სათაურის თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანია სათარგმნი თემის სოციო-პოლიტიკური და სოციო-კულტურული რეალობისა და კონტექსტის ცოდნა. თუ საგაზეთო ინფორმაცია საერთაშორისო ხასიათისაა, თარგმნის დროს, ზოგადი პრესუპოზიცია ორივე ენაზე უზრუნველყოფს ტექსტის ადეკვატურ აღქმას:

- *L'Otan va prendre les commandes des opérations (Le Point 27/03/2011)* - ნატო ლიბიის სამხედრო ოპერაციას გადაიბარებს / ნატო ოდისევსის განთიადს უხელმძღვანელებს.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ნატო სამხედრო ოპერაციებს უხელმძღვანელებს).

სათაურის პირველი ვერსია სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მთარგმნელობით სტრატეგიად სათაურის უბრალო ტრანსკოდირება ავირჩიეთ. სათაურის მეორე ვერსია ნაწილობრივი ტრანსკოდირების გზითაა შესრულებული, რაც სათაურის არსის უკეთ გადმოცემაში გვეხმარება. სათაურში მოცემული “სამხედრო ოპერაციები” ამ ოპერაციის სახელით, “ოდისევსის განთიადით” შევცვალეთ. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სათაურის ორივე თარგმანი მისაღებია და სრულად გადმოსცემს სათაურის არსს.

სიტუაცია რთულდება, როცა საქმე ეხება წმინდა ეროვნულ მოვლენებს, აქ განსხვავებულ კომუნიკანტებს არ აქვთ პრესუპოზიციის ერთნაირი ფონი და ამიტომ მოცემული ინფორმაცია გასაგებია მხოლოდ ერთი ენის მატარებლისათვის, აქ მთარგმნელის განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად:

- *La burka continue d'alimenter le débat*¹⁷⁶ - მთლიანი ჩადრის ტარების ირგვლივ დებატები არ ცხრება.

ამ კონკრეტულ სათაურში მთარგმნელს უწევს ფრანგული რეალობის გადმოცემა. მთლიანი ჩადრის ტარების ირგვლივ საფრანგეთში ცოტა ხნის წინ საკანონმდებლო განხილვები დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ჩადრის ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ოფიციალურად აკრძალულია, საფრანგეთში გაზეთ “Le Monde”-ის 2009 წლის ივლისის მონაცემებით 367 ქალი მაინც ატარებს მას. ამასთან, მთარგმნელს უხდება გარკვეული ლექსიკური ტრანსფორმაციის განხორციელება, რათა ის საკითხი, რომელიც ფრანგულ საზოგადოებაში ძალზე აქტუალურია, ქართველი მკითხველისათვის გასაგები და საინტერესო გახდეს.

¹⁷⁶ <http://www.ladepeche.fr/article/2009/06/22/627782>

- *Vers un nouveau Mai 68 en France ?¹⁷⁷* - საფრანგეთში 1968 წლის მაისის მოვლენების გამეორებას არ გამოირიცხავენ.

აღნიშნული სათაური ლექსიკური დამატებების გზით არის ნათარგმნი. 1968 წლის მოვლენები კარგადაა ნაცნობი ფრანგი მკითხველისათვის, მაგრამ ნაკლებად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სათაურში არ ვაკონკრეტებთ, რა მოვლენებზეა საუბარი, ლექსიკური დამატების საშუალებით ხაზს ვუსვამთ იმ მოვლენების მნიშვნელობას, რაც მკითხველს ინტერესს აღუძრავს.

ლ. ჰოკი სათაურების “პარადოქსულ” ბუნებაზე აკეთებდა აქცენტს: “სათაური პარადოქსულ სიტუაციაშია. სათაურის ფუნქციაა ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, ინფორმაცია უნდა იყოს ზომიერი. სათაური ერთსა და იმავე დროს გვაწვდის და გვიმაღავს ინფორმაციას[...]. თუ სათაური ზედმიწევნით წარმოაჩენს ინფორმაციას, ის ტექსტს ზედაპირულს ხდის, იმ შემთხვევაში კი, თუ მას არანაირი კავშირი არ აქვს ტექსტთან, სათაური თვითონ ხდება ზედაპირული”. სათაურის გაგება თარგმანში, მისი ფორმულირებისათვის, არ უნდა მოხდეს ტექსტისაგან დამოუკიდებლად. სათაური ყოველთვის გულისხმობს ტექსტის არსებობას, თუმცა, დამოუკიდებლად აღებული სათაური, სრულად ანაცვლებს ტექტს პრაგმატიკული თვალსაზრისით (ჰოკი 1981, 177). მაგალითად:

- *Libye: insuffisances de l'Otan (Juppé) (Le Figaro 12/04/2011)* - საფრანგეთი ლიბიაში ნატოს მოქმედებებით უკმაყოფილოა.

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : ლიბია: ნატოს შეცდომები (ჟუპე)).

აღნიშნული სათაური ხელახალი ფორმულირების გზით არის ნათარგმნი. ფრანგულ ვარიანტში სიტყვა “საფრანგეთი” საერთოდ არაა მოცემული და ის, რომ საფრანგეთი ნატოს ქმედებებით უკმაყოფილოა, ჩანს ფრჩხილებში მოცემული სიტყვიდან “ჟუპე”¹⁷⁸. ქართულ ვარიანტში არ გვაქვს დაკონკრეტებული, რომ საუბარია საგარეო საქმეთა მინისტრზე, არამედ მითითებული გვაქვს, რომ მთლიანად საფრანგეთის ხელისუფლებას უკმაყოფილო ნატოს სამხედრო ოპერაციების ხარისხით. ამასთან,

¹⁷⁷ <http://www.crashdebug.fr/index.php/actuatlites-france/2532>

¹⁷⁸ აღენ ჟუპე_საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი.

ფრანგული სიტყვა “*insuffisances* - ნაკლოვანება, შეცდომები” ჩავანაცვლეთ “*სამხედრო ოპერაციებით*”. ამ ცვლილებების შედეგად, ქართული სათაური სრულად გადმოსცემს ფრანგული სათაურის არსს და იმავე რეაქციას იწვევს მკითხველში, რასაც ორიგინალი.

- *Coupable du crime d'avoir raison*¹⁷⁹ - დამნაშავეა, რადგან მართალია / ხოდორკოვსკი დამნაშავეა, რადგან მართალია

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: დამნაშავე დანაშაულისათვის იყო მართალი).

ჟურნალ “ტაბულაში” გამოქვეყნებული სტატია სათაურით “დამნაშავეა, რადგან მართალია”, ასევე ტრანსფორმაციის გზით არის ნათარგმნი, ვინაიდან სიტყვასიტყვითი თარგმანი ქართულში სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ფრანგი ფილოსოფოსი ანდრე გლუქსმანი თავის სტატიაში რუსული მართლმსაჯულების ნაკლოვანებებზე საუბრობს და მიხეილ ხოდორკოვსკის სასამართლო პროცესს განიხილავს. ქართული თარგმანით შევეცადეთ გადმოგვეცა ის იდეა, რომელიც სტატიის ავტორს ამოძრავებდა. თარგმანი შესრულებულია ლექსიკური დამატებების და გრამატიკული ტრანსფორმაციის გზით, თუმცა, სათაური გარკვეულ ინტრიგას იწვევს მკითხველში, რისი გასაღებიც სწორედ ტექსტშია მოცემული.

ა. მიქოიანის აზრით¹⁸⁰, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მომუშავე მთარგმნელმა აუცილებლად უნდა იცოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების დასახელებები, ცნობილი ისტორიული და პოლიტიკური მოვლენები, გეოგრაფიული დასახელებები და სხვა რეალიები. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელი ეკვივალენტების შერჩევაში საკმაოდ შეზღუდულია, უკეთეს შემთხვევაში მას მხოლოდ 2-3 ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, *La crise du Golfe* - სპარსეთის ყურის ომი; *La crise des missiles de Cuba* - კუბის კრიზისი (კარიბის კრიზისი; კუბის ქობინთა კრიზისი). იმის გამო, რომ ბევრ მთარგმნელს არ აქვს სათანადო ცოდნა და ზოგადი განათლება, პრესაში ხშირად ჩნდება ისეთი დასახელებები, რომლებიც არ შეესაბამება გავრცელებულ დასახელებებს (*Asie centrale* - ცენტრალური აზია შუა აზიის ნაცვლად).

¹⁷⁹ <http://www.tabula.ge/article-2415.html>

¹⁸⁰ <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

- *Beijing envisage de réagir à l'offensive diplomatique américaine*¹⁸¹ - პეკინი აპირებს რეაგირება მოახდინოს ამერიკის მიერ განხორციელებულ დიპლომატიურ შეტევაზე / ჩინეთის მთავრობა ამერიკის დიპლომატიურ შეტევაზე პასუხის გაცემას აპირებს.

მოცემულ სათაურში “Beijing -ბეიძინი”, ქართულში გადმოვეცით როგორც პეკინი, ვინაიდან ეს დასახელება, რომელიც რიგ შემთხვევებში გამოიყენება ფრანგულ მედიაში, შესაძლოა, ქართველი მკითხველის დიდი ნაწილისთვის გაუგებარი დარჩეს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოცემული გეოგრაფიული რეალია უმჯობესია მისი გავრცელებული დასახელებით შეიცვალოს. განზოგადების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში “Beijing” -ის ნაცვლად შესაძლებელია გამოვიყენოთ “ჩინეთის მთავრობა”, ორივე შემთხვევაში ის ინფორმაცია, რომლის მატარებელიცაა ფრანგული სათაური, ქართულ სათაურში სრულადაა გადმოცემული.

როდესაც ადრესატებს არ აქვთ სათანადო ფონური ცოდნა, აუცილებელი ხდება ნაგულისხმევი ინფორმაციის ექსპლიკაცია, რაც თავისთავად გულისხმობს ტექსტში განმარტებებისა და დამატებების შეტანას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია საკუთარ სახელებზე, გეოგრაფიულ დასახელებებზე, კულტურულ და საყოფაცხოვრებო რეალიებზე, ფირმების, ბეჭდვითი ორგანოების და დაწესებულებების დასახელებების გადმოცემის დროს: l'Yonne - იონის დეპარტამენტი; l'Express - ჟურნალი ლექსპრესი; la Place Beauvau - საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ. (კომისაროვი 1990, 211).

როდესაც ავტორი ქმნის ტექსტს, ის მკითხველთან გარკვეულ პრაგმატიკულ ურთიერთობებშია. პრაგმატიკულ ერთეულებად გვევლინება საკუთარი სახელები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, ციტატები, ალუზიები. შესაბამისად, პრაგმატიკული ფაქტორის გათვალისწინება სრული მთარგმნელობითი ადეკვატურობის მისაღწევად აუცილებელი პირობა ხდება. მაგალითად:

- *Construction européenne : Spectre d'un nouveau Rideau de fer*¹⁸² - ევროკავშირის მშენებლობა : ახალი რკინის ფარდის აჩრდილი.

¹⁸¹ <http://www.wsws.org/francais/News/2011/nov2011/chin-n29.shtml>

¹⁸² <http://soufiane-ben-farhat.space-blogs.net/blog-note/104884/>

- *La France, "empire du Mal" de l'espionnage industriel*¹⁸³ - საფრანგეთი სამრეწველო ჯაშუშობის “ზოროტების იმპერია” იქცა.

ორივე შემთხვევა, რომელიც ნაწილობრივი ტრანსკოდირების გზით ვთარგმნეთ, პოლიტიკურ ალუზიას შეიცავს, პირველ შემთხვევაში (Rideau de fer - რკინის ფარდა) საქმე ეხება უინსტონ ჩერჩილის მიერ გამოყენებულ გამონათქვამს, რომელიც მიუთითებდა იმ საზღვარზე, რომელიც ფიზიკურად და იდეოლოგიურად ევროპას ორ ნაწილად ჰყოფდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან, ცივი ომის დამთავრებამდე. ხოლო მეორე ფრაზა “Empire du Mal”-“ზოროტების იმპერია” არის პოლიტიკური კლიშე, რომელსაც რონალდ რეიგანი საბჭოთა კავშირის მისამართით იყენებდა.

აღნიშნული მაგალითები ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ პრაგმატიკული მნიშვნელობა მოცემულ ენობრივ ფორმულირებაზე არაა დამოკიდებული. ზემოხსენებულ მაგალითებში ჩვენ მოვახდინეთ სათაურების ინტერპრეტაცია, მაგრამ დავრჩით ორიგინალის აზრის ერთგული. ამ გზით შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ თარგმნის დროს მთარგმნელი არ უნდა შეიზოჭოს ორიგინალით. ინტერპრეტაციული მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მთარგმნელს შეუძლია აზრის გაგება ორიგინალის ფორმულირების მნიშვნელობების მეშვეობით და შემდეგ, აზრის გამოხატვა ორიგინალის მნიშვნელობებისაგან დამოუკიდებლად.

შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ტექსტის სრულყოფილი ინტერპრეტაციისათვის მხოლოდ ლინგვისტური ინტერპრეტაცია საკმარისი არაა, ლინგვისტურ ინტერპრეტაციას თან უნდა ახლდეს პრაგმატიკული ინტერპრეტაცია, ვინაიდან მხოლოდ პრაგმატიკული ინტერპრეტაციაა სრულყოფილი, რადგან იგი მხედველობაში იღებს ლოგიკურ, ენციკლოპედიურ და პერცეფციულ მონაცემებს. პრაგმატიკა მხედველობაში იღებს კონტექსტუალურ აზრს, რომელიც გამონათქვამის რეალურ აზრს წარმოადგენს (კამბაჯა 2009, 55).

¹⁸³ <http://www.france24.com/fr/20110104>

თავი 5. მთარგმნელობითი სტრატეგიის პრაგმატიკული

პირობები ქართული საგაზეთო სტატიის სათაურების თარგმნისას

5.1. მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით

თარგმანი განსხვავდება ზოგადად კომუნიკაციისგან იმით, რომ, ერთი მხრივ, პროფესიონალი მთარგმნელი არ ირჩევს ან იშვიათად ირჩევს იმ ტექსტს, რომელიც მან უნდა თარგმნოს. მას საქმე აქვს ორ ენასთან, რაც მისგან დამატებით ცოდნას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი თარგმანი ხორციელდება კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ გარემოში, სადაც თითოეულ სუბიექტს აქვს საკუთარი ინტერესები და მთარგმნელს უხდება ამ ინტერესების გათვალისწინება, მთარგმნელი მუდმივად იღებს პერსონალურ გადაწყვეტილებებს, რათა ერთი მხრივ, დარჩეს ამოსავალი ტექსტის ერთგული, და, მეორე მხრივ, სათარგმნ ენაზე შექმნას სრულყოფილი ტექსტი. ზოგიერთი ენისა და ტექსტის შემთხვევაში, ეს მოთხოვნები ადვილი შესასრულებელია, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ენებსა და კულტურებს შორის იზომორფიზმის არარსებობა განაპირობებს იმას, რომ რთულია, ზოგჯერ კი, შეუძლებელი, სათარგმნ ენაში ისეთი ფრაზის შექმნა, რომელიც მოიცავს ამოსავალ ტექსტში მოცემულ ყველა ინფორმაციას, გადმოსცემს იმავე შეტყობინებას, არის გამართული და ინარჩუნებს მაღალ სარედაქციო ხარისხს (ჟილი 2005, 69).

ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების ფრანგულად თარგმნის გავრცელებული ხერხებია: სიტყვასიტყვითი თარგმნა და ნაწილობრივი ტრანსკოდირება. საკმაოდ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სათაურის თარგმნის სტრატეგიად მთარგმნელი ხელახალ ფორმულირებას იყენებს.

არის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სათაურის სიტყვასიტყვით თარგმნა და ეს თარგმანი სავსებით შეესაბამება ფრანგულ ენაში არსებულ სტილისტურ და გრამატიკულ ნორმებს, მაგალითად:

1. გერმანიის პრეზიდენტი გადადგა¹⁸⁴ - *Le président allemand a démissionné.*
2. მექსიკის ყურე კატასტროფის პირას (24 საათი 30/04/2010) - *Golfe du Mexique face à une catastrophe écologique.*
3. სააკაშვილმა აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრა შეაფასა¹⁸⁵ - *Saakashvili a qualifié sa rencontre avec le président américain.*
4. ცხინვალში ვითარება დაძაბულია¹⁸⁶ - *La situation reste tendue à Tskhinvali.*
5. საქართველოსა და უნგრეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა¹⁸⁷ - *Signature d'un accord entre la Géorgie et la Hongrie.*
6. სააკაშვილი ობამას შეხვდა¹⁸⁸ - *Rencontre Saakashvili-Obama.*
7. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება აბოზოქრებულია" (24 საათი 08/10/12) - *La vie politique reste agitée en Géorgie.*
8. როგორ მოჩანს "დემოკრატიის შუქურა"ვაშინგტონიდან (24 საათი 23/10/2012) - *"Phare de la démocratie" vu de Washington.*
9. "ამ ხელისუფლებას არ ექნება იმის ფუფუნება, რომ მინისტრებმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ" (კვირის პალიტრა 22/10/2012) - *Le nouveau gouvernement ne pourra pas se permettre le luxe d'apprendre sur ses propres erreurs.*
10. აშშ სენატორები ეგვიპტეში ჩავიდნენ (24 საათი 21/02/2012) - *Des sénateurs américains en visite en Egypte.*
11. ომბუდსმენობის კანდიდატი ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე (კვირის პალიტრა 23/10/2012) - *Le candidat au poste d'Ombudsman évoque les difficultés récurrentes dans ce domaine.*

აღნიშნული სათაურების თარგმანი სრული და ნაწილობრივი ტრანსკოდირების გზით არის შესრულებული. პირველი სამი სათაური სრული ტრანსკოდირების მეთოდით არის ნათარგმნი და თარგმანი სრულიად მისაღებია როგორც სტილისტური, ასევე, ლექსიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება დანარჩენ მაგალითებს, მათი თარგმანი ნაწილობრივი ტრანსკოდირების მეთოდითაა შესრულებული, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ მეთოდით შესრულებული თარგმანები

¹⁸⁴ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44676&pg=1&im=main

¹⁸⁵ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44503&pg=1&im=main

¹⁸⁶ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24409246.html>

¹⁸⁷ http://rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44673&pg=1&im=main&ct=4&wth=0

¹⁸⁸ <http://www.tavisupleba.org/archive/geo-news/20110922/1001/1001.html?id=24336300>

გაცილებით უკეთესად გადმოსცემს სათაურის არსს და ამასთან, არ არღვევს ფრანგულ ენაში არსებულ ჟურნალისტურ ნორმებს. მეხუთე და მეექვსე სათაურებში ზმნები “გაფორმება” და “შეხვედრა” ფრანგულად არსებითი სახელებით შევცვალეთ, მერვე სათაურის თარგმანში კი სათაურის ფორმულირება შეცვლილი და სათაური ფრანგულად ნათარგმნია როგორც “ვაშინგტონიდან დანახული დემოკრატიის შუქურა”. რაც შეეხება მეათე და მეთერთმეტე სათაურების თარგმანს, აქაც გარკვეული ცვლილებები გვაქვს შეტანილი. მეათე სათაურში ზმნა “ჩავიდნენ” საერთოდ არ გვაქვს გამოყენებული, ხოლო ბოლო სათაურში კი, პირიქით, დამატებული გვაქვს ზმნა “évoquer” - საუბარი”, რაც ქართულ სათაურში არაა მოცემული. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საშუალებას სწორედ ფრანგულ ჟურნალისტურ დისკურსში არსებული ნორმები გვაძლევს.

თუმცა, ფრანგული სათაურების სტილისტური ნორმებიდან გამომდინარე, მთელ რიგ შემთხვევაში ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების განხორციელება აუცილებელი ხდება, რათა ნათარგმნი სათაური ფრანგულ პრესაში არსებულ ნორმებს შეესაბამებოდეს და სათაურის პრაგმატიკას სრულად გადმოსცემდეს. მიგვაჩნია, რომ ნაწილობრივი ტრანსკოდირება იმ სტრატეგიას წარმოადგენს, რომელიც მთარგმნელმა ქართული სათაურების ფრანგულად თარგმნის დროს უნდა აირჩიოს. მაგალითად:

- *სირიაში ძალადობა გრძელდება*¹⁸⁹ - *La violence monte en Syrie / La violence monte d'un cran en Syrie / La Syrie à nouveau confrontée à une montée de violence / Poursuite des violences en Syrie.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *la violence se poursuit en Syrie*).

- *იამაიკის არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა (24 საათი 31/12/11)* - *L'opposition remporte les législatives en Jamaïque / Les élections législatives en Jamaïque remportées par l'opposition / L'opposition donnée gagnante aux législatives en Jamaïque.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *L'opposition a gagné les élections en Jamaïque*).

პირველი სათაურის თარგმნის 4 ვერსიას გთავაზობთ: პირველ ორ ვერსიაში ზმნა “გრძელდება” ფრანგულში შევცვალეთ ზმნით - “მატულობს”, მესამე ვერსიაში კი

¹⁸⁹ <http://www.radiotavisupleba.ge/archive/geo-news/20120424/1001/1001.html?id=24558698>

წინადადების ფორმულირებაა შეცვლილი (“სირია ძალადობის ზრდის პირისპირ”). მეოთხე ვერსიაში ზმნა “გრძელდება” არსებითი სახელით შევცვალეთ. მეორე სათაურის თარგმნის სამ ვარიანტს გთავაზობთ: პირველი ვარიანტი სრული ტრანსკოდირების გზითაა შესრულებული, მეორე ვარიანტში ვნებითი გვარი გვაქვს გამოყენებული, მესამე ვარიანტში კი სათაურის ფორმულირებაა შეცვლილი.

- *აფეთქებას პაკისტანში ექვსი სამხედროს სიცოცხლე ემსხვერპლა¹⁹⁰ - Pakistan: 6 morts dans l'explosion d'une bombe/ 6 militaires pakistanais tués dans l'explosion d'une bombe.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *l'explosion au Pakistan a tué 6 militaires*).

- *ირანმა ინსპექტორები სამხედრო ობიექტებზე არ დაუშვა (24 საათი 23/02/12)- L'Iran interdit l'accès à ses installations militaires aux inspecteurs de l'AIEA.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *L'Iran n'a pas autorisé les inspecteurs à ses installations nucléaires / militaires*).

- *ავღანეთში საპროტესტო გამოსვლას მსხვერპლი მოჰყვა (24 საათი 23/02/2012)- Plusieurs morts dans les manifestations en Afghanistan.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *les manifestation en Afghanistan ont provoqué des victimes*).

- *მოსკოვში აქციაზე ასამდე ადამიანი დააკავეს¹⁹¹ - Une centaine de manifestants arrêtés à Moscou/Une centaine de manifestants interpellés à Moscou.*

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: *une centaine de personnes arrêtées aux manifestations à Moscou*).

- *გია ხუხაშვილი - "ყველაფერი გამოსწორდება, თუ სამოქალაქო საზოგადოება ფხიზლად იქნება" (კვირის პალიტრა 19/10/2012) - L'expert Guia Khukhashvili estime que la situation va s'améliorer si la société civile reste vigilante.*
- *"მძაფრი პოლიტიკური კრიზისის საფრთხე არსებობს" (კვირის პალიტრა 15/10/2012) - Le pays en danger de la grave crise politique /La Géorgie reste exposée au risque de la grave crise politique.*

¹⁹⁰ <http://news.ge/ge/news/story/4766>

¹⁹¹ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44732&pg=1&im=main

- *ნაციონალები დღეს გატრუნულები არიან და რევანშისტვის ემზადებიან (კვირის პალიტრა 08/10/2012) - Le parti nationaliste resté en silence après la défaite électorale, s'apprête à prendre sa revanche.*
- *გიორგი ტულუში მედიასაშუალებებს მოუწოდებს, შეწყვიტონ პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის ჩვენება - Guiorgui Tougouchi appelle les médias à arrêter la diffusion des images de tortures des prisonniers/ Le nouveau chef du système pénitentiaire appelle les médias à arrêter la diffusion des vidéos de tortures des prisonniers.*

აღნიშნული სათაურების თარგმანი ნაწილობრივი ტრანსკოდირების გზით არის შესრულებული. წარმოდგენილი გვაქვს სათაურების თარგმნის რამდენიმე ვერსია. ყველა ეს ვერსია სრულად გადმოსცემს ქართული სათაურების არსსა და პრაგმატიკას. ბუნებრივია, თარგმნის პროცესში მივმართეთ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციებს, ვინაიდან სათაურების არსებული სახით თარგმნის შემთხვევაში შინაარსი, შესაძლოა, გასაგები ყოფილიყო ფრანგი მკითხველისათვის, მაგრამ სათაურები ფრანგული ენის საგაზეთო ნორმების დაცვით არ იქნებოდა შესრულებული.

ბუნებრივია, მთარგმნელს ვერ ეცოდინება ყველა სიტყვის მნიშვნელობა და კონტექსტუალური შესატყვისი, როგორც მშობლიურ, ასევე სათარგმნ ენაში. თუმცა, პროფესიონალი მთარგმნელი ვალდებულია მიხვდეს, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში კონკრეტული ეკვივალენტის გამოყენება უადგილოა, ამაში მას ინტუიცია, გონიერება და, ბუნებრივია, ლექსიკონი დაეხმარება. მთარგმნელმა არ უნდა იმსჯელოს ამოსავალ ტექსტში მოცემული სიტყვის აზრის შესახებ მისი ძირითადი მნიშვნელობით, ან იმ მნიშვნელობით, რომელიც მისთვისაა ცნობილი, არც ლექსიკონში მოცემული პირველი მნიშვნელობით¹⁹².

იმისთვის, რომ ტექსტს ეკვივალენტი შევძინოთ, საჭიროა მისი ინტერპრეტაცია, რომელიც წინადადების მიერ გამოხატულ იდეაზე და არა – თვით წინადადებაზე გააკეთებს აქცენტს (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 13).

¹⁹² <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>

სათაურების თარგმნის დროს მთარგმნელი ვალდებულია მიუთითოს ქართულ ტექსტში მოცემული პიროვნებების თანამდებობა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის ორიგინალში მითითებული არ არის, მკითხველმა რომ მოახერხოს კონტექსტში ორიენტირება.

- *გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა (24 საათი 01/03/2012) - Le ministre d'État pour l'Intégration européenne et euro-atlantique, M. Guiorgui Baramidze en visite de travail à Bruxelles.*

მოცემული სათაური გარკვეულ დამატებებს საჭიროებს, ფრანგული სათაურის სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს, გამოვტოვოთ ზმნა “გაემგზავრა”, მაგრამ აუცილებელი ხდება *გიორგი ბარამიძის* თანამდებობის მითითება (სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში), ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია ფრანგი მკითხველისათვის უცნობია.

განხილული ფრანგული და ქართული სათაურები გვიჩვენებს, რომ თარგმნის ყველაზე მეტად გარცელებული ხერხებია სრული და ნაწილობრივი ტრანსკოდირება. თუმცა, მთარგმნელს, რიგ შემთხვევაში, სათარგმნ ტექსტში მნიშვნელოვანი დამატებების შეტანა ან სათაურის ხელახალი ფორმულირება უხდება.

გაცილებით მეტი სიფრთხილის გამოჩენა მოეთხოვება მთარგმნელს ქართული პოლიტიკური რეალობის ფრანგულად თარგმნის დროს, რადგან აუცილებელი ხდება გარკვეული დამატებების განხორციელება, ფრანგმა მკითხველმა რომ ადეკვატურად შეძლოს ინფორმაციის აღქმა, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში პრესუპოზიცია განსხვავებულია და ის, რაც დამატებითი განმარტებების გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, შეიძლება გაუგებარი და შესაბამისად უინტერესო დარჩეს ფრანგი მკითხველისათვის. ამ შემთხვევაში მთარგმნელი პრაგმატიკული ფაქტორების ექსპლიკაციას ძირითადად ლექსიკური დამატებების გზით ახდენს. მაგალითად:

- *იუსტიციის სამინისტროში ლაზიკას შესახებ სამდღიანი კონფერენცია მიმდინარეობს¹⁹³ - Le ministère géorgien de la Justice accueille une conférence de 3 jours consacrée à la construction d'une nouvelle ville “Lazika”.*

¹⁹³ <http://opinion.ge/archives/9996>

ამ სათაურის თარგმნის დროს აუცილებელია მცირე განმარტების გაკეთება. “ლაზიკას” პროექტი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, უცნობია ფრანგებისთვის, ამიტომ ვაკონკრეტებთ, რომ საქმე ეხება საქართველოში ახალი ქალაქის მშენებლობას.

- *იუსტიციის სამინისტრო კანონიერი ქურდების წინააღმდეგ*¹⁹⁴ - *Le Ministère géorgien de la Justice contre les voleurs dans la loi.*

ამ შემთხვევაში მთარგმნელს აუცილებლად სჭირდება ზუსტი ეკვივალენტი, ვინაიდან რეალია “კანონიერი ქურდები” ან “ქურდული ავტორიტეტი”, შეუძლებელია, პირდაპირი გზით ითარგმნოს, რადგან ეს ფრანგი მკითხველის სრულ გაოცებას გამოიწვევს. ამიტომ მთარგმნელმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და გამოიყენოს შესაბამისი ეკვივალენტი, “*voleurs dans la loi*”, რომელიც სწორედ ამ საბჭოთა რეალობის აღსანიშნავად დაამკვიდრეს ფრანგულ ენაში.

- *9 აპრილი, ტრაგედიის თუ დამოუკიდებლობის დღე*¹⁹⁵? - *Le 9 avril: Jour de l'Indépendance ou de deuil national en Géorgie ?*

აღნიშნული სათაური ქართველი მკითხველისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სიმბოლურ თარიღს, 9 აპრილს უკავშირდება. ბუნებრივია, ძნელია თარგმანის საშუალებით ამ სათაურის პრაგმატიკული ასპექტის სრულად გადაცემა იმ მკითხველისათვის, რომელსაც სათანადო ექსტრალინგვისტური ინფორმაცია არ აქვს, თუმცა, მაქსიმალურად შევეცადეთ, ლექსიკური დამატების გზით გადმოგვეცა ქართული სათაურის კონოტაცია. “ტრაგედიის დღე”, რაზეც საუბარია ქართულ სათაურში ფრანგულში “ეროვნული გლოვის დღედ” გადმოვეცით, ვინაიდან მისი სიტყვასიტყვით გადატანა, ვფიქრობთ, დააკნინებდა ამ დღესთან დაკავშირებულ ემოციებს.

- *ცხინვალის რეჟიმს კიდევ 13 ტყვე ჰყავს*¹⁹⁶ - *Le régime fantoche de Tskhinvali maintient en détention 13 prisonniers géorgiens.*

¹⁹⁴ <http://www.mzera.tv/news-headline-3/298>

¹⁹⁵ iberali.ge/node/10498/vud-votes

¹⁹⁶ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=36751&im=main&ct=25

ამ სათაურის ფრანგულად თარგმნა მოითხოვს გარკვეულ ახსნა-განმარტებას მთარგმნელის მხრიდან, რა არის “ცხინვალის რეჟიმი”. ამ რეჟიმის გამოსახატავად ფრანგულში დასაშვებია ორი ზედსართავი სახელის “fantoche” - “მარიონეტული” ან “sécessionniste” - “სეპარატისტული” დამატება, რომელიც ფრანგი მკითხველისათვის ორიენტირად უნდა იქცეს. ამასთან, ვფიქრობთ, აუცილებელია ტყვეების ეროვნების მითითებაც.

- ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნაზე პარლამენტში იმსჯელეს¹⁹⁷ -*La question de la réouverture du poste frontière de Kazbeghi a été évoquée au Parlement géorgien / Le parlement géorgien a examiné la question de la réouverture de la seule frontière terrestre avec la Russie.*

აღნიშნული სათაურის თარგმნის დროსაც აუცილებელი ხდება ლექსიკური ტრანსფორმაციების განხორციელება. მთარგმნელს უხდება გარკვეული განმარტებების გაკეთება, სათაური მკითხველისათვის გასაგები რომ გახდეს. სათაურის თარგმანის 2 ვარიანტს გთავაზობთ : იქიდან გამომდინარე, რომ “ლარსის საბაჟო პუნქტის” პირდაპირი თარგმანი ფრანგი მკითხველისათვის დამატებითი განმარტების გარეშე გაუგებარი იქნება, ვფიქრობთ, თარგმანის მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ ვარიანტში ლარსის საბაჟო პუნქტი არაა ნახსენები, ექსპლიციტის მეშვეობით ლარსის მაგივრად ნახსენებია “რუსეთ-საქართველოს სახმელეთო საზღვარი”.

- სოლომონის კუნძულები ოკუპირებული რეგიონების აღიარებას არ აპირებს - *Les Iles Salomon n'envisagent pas de reconnaître l'indépendance des régions séparatistes géorgiennes/ Les Iles Salomon n'envisagent pas de reconnaître l'indépendance de l'Ossétie du Sud et de l'Abkhazie.*

აღნიშნული სათაურის თარგმანის ორი ვარიანტი გვაქვს წარმოდგენილი. პირველი სათაური ნაწილობრივი ტრანსკოდირების ხერხით არის ნათარგმნი და ფრანგულ ვარიანტში “ოკუპირებული რეგიონების” მაგივრად მოცემულია “საქართველოს სეპარატისტული” რეგიონები. ამით შევეცადეთ ფრანგი მკითხველისათვის სათაურის აღქმა გაგვეოლეზინა. მეორე ვარიანტი კი კონკრეტიზაციის მეთოდით

¹⁹⁷http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=35915&pg=1&im=main

არის გადმოცემული და “ოკუპირებული რეგიონების” მაგივრად მოცემულია “აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი”. ვფიქრობთ, ორივე ვარიანტი სრულად გადმოსცემს სათაურის აზრს და მისი გაგება მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მედია ამ მოვლენებს ხშირად აშუქებს.

- *ახალი მემარჯვენეები დევნილთა გამოსახლებას აპროტესტებენ*¹⁹⁸ - *Le parti de la nouvelle droite proteste contre la vague d'expulsions des réfugiés en Géorgie.*
- *"ახლები" არჩევნებისთვის მზად არიან*¹⁹⁹ - *Le parti de la nouvelle droite se dit prêt à affronter les élections législatives.*

“ახალი მემარჯვენეები” ქართველი მკითხველისათვის კარგად ნაცნობი პოლიტიკური რეალიაა, შესაბამისად, ქართულ სათაურებში არ არის მითითებული, რომ საქმე ეხება პოლიტიკურ პარტიას, თუმცა, ამის ექსპლიკაცია თარგმნის დროს აუცილებელია. ორივე სათაურის თარგმანი შესრულებულია ნაწილობრივი ტრანსკოდირების მეთოდით. პირველი სათაურის შემთხვევაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ საუბარია დევნილების მასობრივ გამოსახლებაზე და მითითებულია, რომ მოვლენები საქართველოში ხდება. ვფიქრობთ, ამ დამატებების საშუალებით სრულად ხდება სათაურის შინაარსის გადაცემა. მეორე სათაურშიც ლექსიკური დამატებების გზით ხდება სათაურის აზრის სრულად გადატანა. ამ შემთხვევაშიც ხდება დაკონკრეტება, რომ საუბარია “ახალი მემარჯვენეების” პოლიტიკურ პარტიაზე (“ახლები”) და ასევე – იმის დაზუსტება, რომ ისინი მზად არიან საპარლამენტო არჩევნებისათვის, რაც ქართულ სათაურში მხოლოდ იმპლიციტურადაა ნაგულისხმევი.

- *იაკობაშვილის აზრით, რევოლუციის მონაპოვარი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობაა*²⁰⁰ - *Temur Iakobashvili, l'ambassadeur de Géorgie aux États-Unis estime que l'existence des institutions de l'État est un acquis de la Révolution des Roses.*

იმისთვის, რომ აღნიშნული სათაურების პრაგმატიკული მხარე ფრანგულ ენაში სრულად გამოიხატოს, ფრანგულ ტექსტში გარკვეული განმარტებების

¹⁹⁸ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/156537>

¹⁹⁹ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44886&pg=1&im=main

²⁰⁰ <http://www.amerikiskhma.com/content/article133173958/537045.html>

განხორციელება აუცილებელია. პირველ სათაურში აუცილებელია მივუთითოთ თემურ იაკობაშვილის თანამდებობა (საქართველოს ელჩი შეერთებულ შტატებში), ამასთან, რეკოლუცია, რომელზეც საუბარია ქართულ სათაურში, ზედმეტი ექსპლიკაციის გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, მაშინ როდესაც, ფრანგულ ვარიანტში აუცილებლად მიგვაჩნია იმის მითითება, რომ საუბარია “ვარდების რეკოლუციაზე”.

მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ კულტურული და ენობრივი ცოდნა საკმარისი არაა წარმატებული კომუნიკაციისათვის. ენობრივი შეტყობინების გადმოცემისთვის აუცილებელია კონტექსტის გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მთარგმნელის, როგორც კულტურული და ენობრივი შუამავლის ფუნქცია, ხშირად დაკნინებულია, მთარგმნელს უკიდურესად საპასუხისმგებლო მისია აკისრია. მის ფუნქციას მხოლოდ ტექსტის უცხო ენაზე ტრანსპოზიცია არ წარმოადგენს, მას ევალება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო სახის მასალების გავრცელება და ადაპტაცია.

თანამედროვე მსოფლიოში მთარგმნელის როლი და ფუნქციები მათი საქმიანობის კლასიკურ ჩარჩოებს გასცდა. დღეს მთარგმნელი ენათაშორის და კულტურათაშორის შუამავალს წარმოადგენს და ინტერკულტურულ კომუნიკაციაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. სწორედ მთარგმნელის დახმარებით ხდება კულტურული ბარიერების გადალახვა²⁰¹.

საქართველოში ჟურნალისტური თარგმანი ძირითადად სრულდება ჟურნალისტების მიერ, რომლებსაც შესაბამისი მომზადება არ აქვთ გავლილი. ამიტომ დღევანდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მთარგმნელობითი შეცდომების უმრეტ წყაროს წარმოადგენს, რაც ძირითადად გამოწვეულია პროფესიონალიზმის დეფიციტით, უცხო ენის არასათანადო დონეზე ფლობით და ფონური ცოდნის ნაკლებობით.

²⁰¹ http://hal-confremo.archives-ouvertes.fr/docs/00/59/95/78/PDF/LA_na_Menhem-version_finale-2_dec_2010.pdf

5.2. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმანის თავისებურებანი სტილისტური თვალსაზრისით

ჟურნალისტური დისკურსი, რომელიც კომუნიკაციის სპეციფიკურ ტიპს წარმოადგენს, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. მის გავლენას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მას ხშირად “მეოთხე ხელისუფლებადაც” კი მოიხსენიებენ.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფართო გავრცელება ჰპოვა სამეცნიერო-კვლევითმა მიმართულებამ, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისებურებებს სწავლობს. ახალი მეცნიერების განვითარება გამოწვეულია კომუნიკაციის ახალი საშუალებების გავრცელებით, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სათარგმნი ტექსტების რაოდენობის ზრდას²⁰².

დღეს ხშირად საუბრობენ იმ ფაქტზე, რომ ცუდი თარგმანების რაოდენობამ მკვეთრად იმატა, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული²⁰³.

სამწუხაროდ, ქართულ პრესასა და ტელევიზიაში შეცდომები ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, თარგმანი სწორედ ჟურნალისტების მიერ სრულდება, რომელთაც შესაბამისი მომზადება არ აქვთ გავლილი. ხშირად მათ მიერ ნათარგმნი სტატიები ლინგვისტური ტრანსფერის ეტაპს ვერ სცდება.

მთარგმნელის თეორიული მომზადება გამოიხატება მთარგმნელის უნარში, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები, აირჩიოს თარგმნის სწორი სტრატეგია და შეასრულოს თარგმანი სათარგმნი ენის ნორმების სრული დაცვით.

დ. იზაჩენკოს აზრით, პრესა არა მარტო ინფორმაციის, არამედ ლინგვისტური მასალის უშრეტი წყაროა. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მასმედია და კონკრეტულად კი, პრესა, დიდ გავლენას ახდენს ენებზე და ლინგვისტების დიდ ინტერესს იწვევს. ბეჭდური პრესა წარმოადგენს ცალკე ჟანრს, რომლის ძირითადი თავისებურება სწორედ რეალობის მომენტალური აღწერაა.

²⁰² <http://evartist.narod.ru/text12/03.htm>

²⁰³ http://ressources-cla.univ-fcomte.fr/gerflint/Mekong1/dinh_hong_van.pdf

შესაბამისად, ჟურნალისტები მასალებს დროის მოკლე მონაკვეთში ამზადებენ, მკითხველს რომ დროულად მიაწოდონ ინფორმაცია²⁰⁴.

ქართულ მედიაში, ფრანგული პრესისაგან განსხვავებით, სათაურის ლაკონიზმს საპირისპირო ტენდენცია ჩაენაცვლა: მოკლე და სხარტი სათაურების მაგივრად, ქართულ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ გრძელ და რთულ კონსტრუქციებს. ამასთან, ძალიან ხშირად, სათაურს საერთო არაფერი აქვს იმ სტატიასთან, რომელსაც ის ასათაურებს. შესაბამისად, ინტრიგა და რეკლამირება ქართულ მედიაში წინა პლანზეა წამოწეული.

პოლიტიკური სტატიების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ფრანგული, ასევე ქართული პრესა ხასიათდება კლიშეების მაღალი მაჩვენებელით. საგაზეთო კლიშეები მედიატექსტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. კლიშეები არა მხოლოდ რეგულარურად გამოიყენება პრესაში, არამედ, როგორც ამას ტ. დობროსკლონსკაია აღნიშნავდა, ხშირად მეორდება მზა საინფორმაციო პროდუქტის სახით (დობროსკლონსკაია 1986, 106).

ქართულ საგაზეთო მასალებში ხშირად გამოიყენება შემდეგი გამოთქმები და ტერმინები: საერთაშორისო კონფერენცია - une conférence internationale; უმაღლესი დონის შეხვედრა - le sommet de haut niveau; საპარლამენტო არჩევნები - les élections législatives; ვიზიტის დასრულების შემდეგ - à l'issue d'une visite; კონსტრუქციული დიალოგი - un dialogue constructif; კრიზისის მშვიდობიანი მოგვარება - une solution politique et pacifique de la crise; გაყინული კონფლიქტები - des conflits gelés; პოლიტიკური თანაცხოვრება - la cohabitation politique; ურთიერთობების გადატვირთვა - le redémarrage des relations; სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა - le respect de la souveraineté et de l'intégrité territoriale; ადამიანის უფლებების დაცვა - le respect des droits de l'homme; დაძაბულ გარემოში - dans une ambiance tendue; შეთანხმების მიღწევა - arriver à un accord; პოლიტიკური გარემო - le climat politique; შერჩევითი სამართალი - la "justice sélective"; პოლიტიკური ანგარიშშორება - le règlement de comptes politiques; ხელისუფლების გადაცემა - le transfert du pouvoir და ა.შ. მაგალითად:

²⁰⁴ <http://dea.isachenko.free.fr/>

- *სომხეთ-აზერბაიჯანის უმაღლესი დონის შეხვედრა ჩაიშალა*²⁰⁵ - *L'échec du sommet arméno-azerbaïdjanais.*
- *რუსეთი და ჩინეთი სირიის კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებას ითხოვენ*²⁰⁶ - *La Chine et la Russie demandent une solution pacifique de la crise syrienne.*
- *საქართველომ და რუსეთმა გაყინული კონფლიქტები პირდაპირი დიალოგის გზით უნდა მოაგვარონ*²⁰⁷ - *La Géorgie et la Russie devraient résoudre les "conflits gelés" par un dialogue direct.*
- *ატლანტიკური საბჭო: "საქართველოში პოლიტიკური თანაცხოვრება უნდა გაგრძელდეს"*²⁰⁸ - *Le Conseil atlantique: la cohabitation politique devrait se poursuivre en Géorgie.*
- *ემტონი: შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური ანგარიშსწორება არ უნდა არსებობდეს*²⁰⁹ - *Catherine Ashton: la "justice sélective" et le règlement de compte politique ne devraient pas être appliqués en Géorgie.*
- *აშშ-რუსეთის „ურთიერთობების გადატვირთვა“ არასდროს დაწყებულა*²¹⁰ - *Le "redémarrage" des relations russo-américaines n'a jamais vraiment commencé.*
- *Sarkozy "fera tout" pour arriver à un accord sur la dette européenne (Le Point 20/07/2011)- პრეზიდენტი სარკოზი ყველა ღონეს იხმარს, რათა მოხერხდეს შეთანხმება ევროპის ვალთან დაკავშირებით.*

სათაურების ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ პრესაში ფართოდ გამოიყენება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორიცაა: “დამოკლეს მახვილი”-l'épée de Damoclès; “ავგიას თავლა”- les écuries d'Augias; “აქილევსის ქუსლი”- le talon d'Achille; “პანდორას ყუთი”- la boîte de Pandore; “ტროას ცხენი”- le Cheval de Troie; “განხეთქილების ვაშლი”- la pomme de discorde; “არიადნეს ძაფი”- le Fil d'Ariane; “სიზიფეს შრომა”- le travail de Sisyphe და ა.შ. მაგალითად:

- *საარჩევნო კოდექსი - ოპოზიციის განხეთქილების ვაშლი*²¹¹ - *Géorgie : le code électoral constitue une pomme de discorde entre les partis d'opposition*

²⁰⁵ <http://www.amerikiskhma.com/content/article-----2-124550104/535572.html>

²⁰⁶ georgian.trib.ir/.../6718

²⁰⁷ http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8216

²⁰⁸ <http://news.ge/ge/news/story/33709>

²⁰⁹ <http://news.ge/ge/news/story/38152>

²¹⁰ http://www.for.ge/view.php?for_id=4506&f_cat=2&a_title=%60aSS

²¹¹ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24356347.html>

- *რუსეთის სამშვიდობო „დამოკლეს მახვილი“ 49 წლით²¹² - “L’épée de Damoclès” russe de paix suspendue au dessus de l’Arménie pour une durée de 49 ans.*
- *"სხვა ხარჯები" - საქართველოს ბიუჯეტის "აქილევსის ქუსლი" (კვირის პალიტრა 16.11.2012) - D'autres dépenses- talon d'Achille du Budget de l'État géorgien.*
- *რუსეთში კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას პანდორას ყუთის გახსნას ადარებენ²¹³ - La reconnaissance de l'indépendance du Kosovo est comparée en Russie à l'ouverture d'une boîte de Pandore.*

სხვადასხვა გაზეთი ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებულად აშუქებს. მოგეხსენებათ, ქართველ ჟურნალისტებს უყვართ სიტუაციის დრამატიზაცია. შესაბამისად, ქართულ პრესაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტური ხერხები, როგორიცაა, მეტაფორა და მეტონიმია. თუმცა, მხატვრული ხერხების გამოყენება დამახასიათებელია როგორც ქართული, ასევე, ფრანგული პრესისათვის. ამ გზით ჟურნალისტები ცდილობენ მკითხველზე ზეგავლენის მოხდენას და მათი ყურადღების მიპყრობას.

თარგმანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვნად, როდესაც სიტყვას სათარგმნ ენაში ისეთივე ასოციაციური ველი აქვს, როგორიც – სიტყვას ამოსავალ ენაში და რომელიც მკითხველში იწვევს ისეთ რეაქციასა და წარმოსახვას, როგორსაც – ორიგინალის მკითხველში. მაგალითად:

- *კრისტინ ლაგარდი: მსოფლიო ეკონომიკა უფსკრულის პირას აღარ დგას²¹⁴ - Pour Christine Lagarde, l'économie mondiale « n'est plus au bord du précipice »²¹⁵.*
- *„ეროვნული ხსნის კომიტეტი“ სკამებისთვის ბრძოლას არ აპირებს²¹⁶ - Le conseil de salut national n'envisage pas de se battre pour obtenir des sièges.*
- *მაჰმუდ აჰმადინეჯადი: აშშ ავღანეთში ორმაგ თამაშს თამაშობს²¹⁷ - Pour Ahmadinejad les États-Unis jouent un double jeu en Afghanistan.*

²¹² <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2133676.html>

²¹³ <http://www.amerikiskhma.com/content/icj-kosovo-ruling-russian-reaction-99560864/530711.html>

²¹⁴ <http://www.commersant.ge/npopup.php?nid=7615>

²¹⁵ <http://www.commersant.ge/index.php?id=7615>

²¹⁶ http://www.rustavisambebi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=743&catid=34&Itemid=68

²¹⁷ <http://www.ghn.ge/news-9915.html>

- გია თორთლაძე: "გადაწყვეტილი, რას ვირჩევთ – ჯვარს და ეკლესიას, თუ ნამგალსა და უროს!" (მეტონიმია)- *Gia TortLadze estime que le peuple géorgien devrait faire son choix : la croix et l'Église ou la faucille et le marteau !*

ჟ. გოტიე აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური დისკურსი მეტაფორული გამონათქვამების სიჭარბით გამოირჩევა (გოტიე 1994, 140).

ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის აზრით, მეტაფორა ვრცელდება არა მხოლოდ ენაში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს აზროვნებასა და მოქმედებაში, და რომ მთლიანად ჩვენი ცნებათა სისტემა, თავისი ბუნებით, ფუნდამენტურად მეტაფორულია (ლაკოფი, ჯონსონი 1985, 13).

ქართულ და ფრანგულ ჟურნალისტურ დისკურსებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ მეტაფორებს, როგორიცაა: მმართველი გუნდი - *l'équipe dirigeante*; პრეზიდენტის მარჯვენა ხელი - *le bras droit du président*; პოლიტიკური გარემო - *le climat politique*; დემოკრატიის შუქურა - *le phare de la démocratie*; გაფართოების ტალღა - *la vague d'élargissement*; დემოკრატიის მამები - *les pères de la démocratie*; პოლიტიკური ქარიშხალი - *la tempête politique* და ა.შ. მაგალითად:

- რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატებმა ბარაკ ობამა მიზანში ამოიღეს²¹⁸ - *Obama pris pour cible par les candidats républicains.*
- შევარდნაძე ანტიკორუფციულ «ჯვაროსნულ ლაშქრობას» იწყებს²¹⁹ - *Chevardnadze lance la croisade contre la corruption.*
- ტოტალური შეტევა ქართველებსა და ჩვენს ისტორიაზე²²⁰ - *La grande offensive contre la Géorgie et l'histoire de Géorgie.*
- ცხინვალში კუდიანებზე ნადირობა დაიწყო?²²¹ - *La chasse aux sorcières lancée en république sécessionniste d'Ossétie du Sud.*
- ბრიტანეთის სასამართლომ ჯულიან ასანჟის ექსტრადირებას "მწვანე შუქი" აუწოთ²²² - *La Cour suprême britannique donne son feu vert à l'extradition de Julian Assange.*

²¹⁸ <http://geonews.ge/category/19/world-news/news/106502/barak-obama.html>

²¹⁹ http://experti.ge/2000shevardnadze_djvarosnul_lashkrobas.htm

²²⁰ <http://iberiana.wordpress.com/samachablo/sheteva-istoriaze/>

²²¹ http://rus.expertclub.ge/portal/cnid_9531/alias_Expertclub/lang__ka-GE/tabid_2546/default.aspx

²²² <http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/uckhoethi/17912>

• *წიკლაური: სააკაშვილი პოლიტიკურ სცენაზე დარჩება*²²³ - *Le membre de la majorité parlementaire N. Tsiklauri estime, que Saakashvili restera sur la scène politique après son mandat présidentiel.*

ქართულ პრესაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საბრძოლო მეტაფორა. საბრძოლო მეტაფორა საგაზეთო სათაურებში საკმაოდ გავრცელებული სტილისტური საშუალებაა და მისი მიზანი მკითხველზე განსაკუთრებული ეფექტის მოხდენაა: “ეკონომიკური ჯაშუშობა” - *espionnage économique*; “მოწინააღმდეგეების განეიტრალება” - *neutralisation des concurrents*; “პოლიტიკური სტრატეგია” - *la stratégie politique*; “ბრძოლის არენა”, “ბრძოლის ველი” - *le champ de bataille*; “ბაზრის დაპყრობა” - *la conquête des marchés*; “საბრძოლო სულისკვეთება” - *l'esprit de combat* და ა.შ.

მეტონიმია არის სტილისტური ხერხი, რომელიც ასევე ხშირად გამოიყენება ქართულ მედიაში. ჟურნალისტურ დისკურსში მეტონიმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამთავრობო ინსტანციების აღსანიშნავად ტოპონიმების გამოყენება. მაგალითად:

- *ოფიციალური ანკარა გაეროს უშიშროების საბჭოს აკრიტიკებს* - *Les autorités turques critiquent le Conseil de sécurité de l'ONU.*
- *“ოცნება” ავლაზრის რეზიდენციაში*²²⁴ - *Le chef de la coalition « Rêve géorgien » à la résidence du président Saakashvili.*
- *ოფიციალური მოსკოვი ივანიშვილისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება*²²⁵ - *Les autorités russes attendent des démarches concrètes de la part du nouveau gouvernement géorgien / Géorgie : Moscou attend des actes concrets de la part de Tbilissi.*

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქართულ პოლიტიკურ და ჟურნალისტურ დისკურსში გაჩნდა ახალი მეტაფორები: “*ფქვილის პრინცესა*” - *la princesse de la farine* (ალუზია საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავჯდომარე – ნინო ბურჯანაძეზე); “*დაღლილი ვირი*” - *l'âne fatigué* (ალუზია ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზ. ნოღაიდელზე); “*სოროსის ბარტყი*” - *oisillon de Soros* (ალუზია საქართველოს პრეზიდენტ მ. სააკაშვილზე);

²²³ <http://news.ge/ge/news/story/8581>

²²⁴ <http://www.radiotavisupleba.ge/content/saakashvili-ivanishvili/24733747.html>

²²⁵ <http://www.internet.ge/?l=GE&m=2&sm=0&ID=13429>

“მატარებელი”- le train (საქართველოში განხორციელებული ცვლილებების სიმბოლო); ჩვენი მატარებელი მიდის, სანამ დროა, მოასწარიტ და ჩაჯექით - notre train de l'évolution s'en va, ne le ratez pas!; “საკუთარ კარში გატანილი გოლების ავტორები”- les personnes qui marquent dans leur propre but (ალუზია საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან – კახი კალაძეზე) და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული და ქართული პრესა ხშირად იყენებს სტილისტურ საშუალებებს მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით. თუმცა, რიგითი მკითხველისათვის ამ სტილისტური ხერხების იდენტიფიცირება შეიძლება რთული აღმოჩნდეს. შესაბამისად, მთარგმნელი ვალდებულია გარკვეული განმარტებები მიაწოდოს მკითხველს.

5.3. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმანის თავისებურებანი სემანტიკური თვალსაზრისით

თარგმნის ინტერპრეტაციული თეორია, რომლის ჩარჩოებშიც ჩავატარეთ ჩვენი კვლევა, ერთსა და იმავე დროს სემანტიკური და პრაგმატიკული თეორიაა. ჟ. დელედალი მიიჩნევს, რომ: “სიტყვებს აზრს სძენს არა მეტყველება, არა საგნები, არამედ აზრი, რომელიც პრაგმატიკის კვლევის ობიექტია. მაშასადამე, არ არსებობს სემანტიკა პრაგმატიკის გარეშე. შესაბამისად, მეტყველების შესწავლა აზრის კუთხით არის სემანტიკურ-პრაგმატიკული” (დელედალი 1979, 147-148).

ჟურნალისტური თარგმანი დაკავშირებულია სხვადასხვა თავისებურებებთან და სირთულეებთან. საგაზეთო მასალის თარგმნის პროცესში ემოციური შეფერილობის სიტყვები ან გამოთქმები შესაძლოა მკითხველის მიერ ერთნაირად არ იქნას აღქმული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ადამიანები სხვადასხვა ენობრივ და ეთნიკურ კოლექტივებს მიეკუთვნებიან. მაგალითად:

- *პენტაგონი ერაყიდან გასვლაზე*²²⁶ - *Le Pentagone évoque le retrait des troupes américaines d'Irak.*
- *რატომ აქებენ ერაყში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს?*²²⁷ - *Les élections locales en Irak appréciées positivement.*

აღნიშნული სათაური ფრანგულად ვთარგმნეთ როგორც: “პენტაგონი ერაყიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანაზე საუბრობს”. აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ქართულ სათაურში არაა ექსპლიციტურად მოცემული, აუცილებელია, რომ სათაურის შინაარსი ფრანგულ ენაზე სრულად გადმოიცეს, რადგან სათაურის სემანტიკური თარგმანი, ჩვენი აზრით, ფრანგი მკითხველისთვის საკმარისი არ იქნებოდა. მეორე სათაური ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციის გზით არის შესრულებული. თარგმანში კითხვითი წინადადება თხრობითი წინადადებით შეცვალეთ. ამასთან, შეცვალეთ წინადადების ფორმულირება. გადაწყვეტით ზმნა “ქება” არ გამოგვეყენებინა და უპირატესობა იმ ფორმულირებისთვის მიგვენიჭებინა, რომელიც ფრანგულ პრესაში გამოიყენება.

²²⁶ georgian.trib.ir

²²⁷ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1561619.html>

- *ვლადიმერ ბედუკაძე - "ვბრუნდები საქართველოში და დამაკავებ" ²²⁸ - Vladimir Bedukadze auteur des vidéos de tortures en prison: je rentre en Géorgie, arrêtez-moi.*

მოცემულ სათაურში ლექსიკური დამატებები გამოვიყენეთ და განვმარტეთ, თუ ვინ არის *ვლადიმერ ბედუკაძე*, რომელიც კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის, მაგრამ უცნობია ფრანგი მკითხველისათვის. ფრანგულ თარგმანში მითითებულია, რომ საუბარია ციხის წამების ამსახველ ვიდეოს ავტორზე.

- *მე-19 ტრაგედია ავღანეთში, რომელიც შეიძლებოდა, არ მომხდარიყო (კვირის პალიტრა 07-01-2013)-La mort du 19ème soldat géorgien-un drame qui aurait pu être évitée.*

მომდევნო სათაური, რომლის ფორმულირებაც, ჩვენი აზრით, არც ქართველი მკითხველისათვის არაა მისაღები, მთარგმნელის მხრიდან ექსტრალინგვისტურ ცოდნას და განმარტებებს მოითხოვს. სტატიაში საუბარია ქართველებისათვის მეტად მტკივნეულ თემაზე, კერძოდ კი, მეცხრამეტე ქართველი ჯარისკაცის დაღუპვაზე ავღანეთში. ამიტომ “მეცხრამეტე ტრაგედია” ფრანგულად ვთარგმნეთ როგორც “მეცხრამეტე ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა”, რადგან სათაურში მოცემული სიტყვების სემანტიკური შესატყვისებით თარგმნა გაუგებარს დატოვებდა სათაურის პრაგმატიკულ არსს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელის უმთავრესი ფუნქციაა ორიგინალის აზრის გადაცემა, რომელიც, როგორც წესი, ლინგვისტური სტრუქტურის, სემანტიკური ანალიზის და ექსტრალინგვისტური ცოდნის მობილიზების საფუძველზეა შესაძლებელი.

ავიღოთ წინადადება – “მემუარების წერას ვიწყებ” ან – “მიშა მოვდივარ”. კონტექსტის გარეშე აღებული ამ წინადადების სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ რომელიღაც პიროვნებები, რაღაც მოქმედების შესრულებას აპირებენ. თუმცა, ვერც ერთი ლექსიკონი და ვერანაირი გრამატიკა ვერ მოგვცემს იმის საშუალებას, გავიგოთ, რომ “მემუარების წერას ვიწყებ” ნიშნავს “ვტოვებ პრეზიდენტის პოსტს”, ხოლო “მიშა მოვდივარ” კი მუქარას პრეზიდენტის მისამართით. მაგალითად:

²²⁸ <http://www.ambebi.ge/faceambebi/68838>

“ბატონო ედუარდ, რას აპირებთ? – მემუარების წერას ვიწყებ”.

გამონათქვამის საერთო აზრი ისაა, რაც უნდა გაიგოს და თარგმნოს მთარგმნელმა. ამისათვის, მან არ უნდა მოახდინოს თითოეული სიტყვის ანალიზი, არამედ უნდა შესძლოს და ჩასწვდეს ორიგინალის აზრს. თარგმანი სიტყვებით კი არა, აზრით ქმედებაა.

თარგმანის მთავარი ფუნქციაა აზრის გაგების უზრუნველყოფა. მაგალითად, “ექვსპუნქტიანი გეგმა”, რომელიც ზედმეტი განმარტებების გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, ფრანგულად უნდა ვთარგმნოთ როგორც “Le plan de paix en six points négocié par Nicolas Sarkozy” (სამშვიდობო გეგმა), ხოლო “ტალიავინის დასკვნა” როგორც “Le rapport de la Commission Tagliavini”, ვინაიდან მხოლოდ სემანტიკური შესატყვისი ვერ გადმოსცემს ამ გამონათქვამების შინაარსს და პრაგმატიკას.

მთარგმნელის მიერ აზრის გაგება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი გასაგები იქნება მკითხველისთვის. აზრის ხელახალ გამოხატვაზე მთარგმნელმა განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს.

არსებობს განსხვავება ტექსტის და აზრის ინტერპრეტაციას შორის, ტექსტის ინტერპრეტაცია აუცილებელია ტექსტის გაგებისათვის და თარგმნისათვის. აზრის ინტერპრეტაცია, რომელიც გულისხმობს: შეფასებას, შესაძლო დასკვნებსა და მასთან დაკავშირებულ ასოციაციებს, არ შედის მთარგმნელის მოვალეობაში. აზრის ინტერპრეტაცია უნდა მოახდინოს თვით რეცეპტორმა, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ორიგინალის აზრი სათარგმნ ენაზე გასაგებად არის გადმოცემული. მაგალითად:

- "ის გარკვეული დისკომფორტი, რაც ჩვენი და ისრაელის ურთიერთობაში გაჩნდა, მალე აღმოიფხვრება და გავაგრძელებთ საუკეთესო ურთიერთობას"-
Une petite fissure apparue dans les relations israélo-géorgiennes sur le nouveau statut de la Palestine sera surmontée prochainement.

მთარგმნელი სრულად უნდა ფლობდეს სათარგმნელ ენას. ხშირად ფიქრობენ, რომ სტანდარტული ენის ცოდნა (გრამატიკა, ლექსიკა) საკმარისია თარგმანის

შესასრულებლად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ენა არის კომპლექსური პოლისისტემა, რომელიც შედგება სხვადასხვა სტილისტური დონეებისგან (ლიტერატურული, ოფიციალური, საქმიანი, სალაპარაკო). ჩვეულებრივი კომუნიკაციის პირობებში ენის მომხმარებელი იყენებს სხვადასხვა რეგისტრს, რაც მას საშუალებას აძლევს, საკმაოდ ეკონომიურად გადმოსცეს დამატებითი სემანტიკური ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, მრავლფეროვანი ასოციაციური კონოტაციის მატარებელია (ოსტრა 1979, 32).

ძალიან ხშირად ამტკიცებენ, რომ თარგმანის დროს ხდება მნიშვნელოვანი სემანტიკური ინფორმაციის დაკარგვა, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ზუსტი ეკვივალენტების არარსებობა და განსხვავებული სოციალურ-სტილისტური ფაქტორები, ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები, რომლებიც დამატებითი კონოტაციური ინფორმაციის მატარებელია, მაგრამ, რომელთა მეორე ენაზე გადატანა ძალიან რთულია. იმისთვის, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დანაკარგი, მთარგმნელმა უარი უნდა თქვას ლინგვისტური ფორმის ერთგულებაზე და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცეს ორიგინალის სემანტიკური შინაარსი კომპენსაციის და სხვადასხვა ხერხის საშუალებით (ოსტრა 1979, 37). მაგალითად:

- *"ჟვანიას საქმე იხილავს დღის სინათლეს" (კვირის პალიტრა)- Selon le procureur général de la Géorgie le dossier de l'assassinat de l'ancien premier ministre Zvania verra bientôt le jour.*
- *"ვენაცვალე ეუთოს, რომ ხმა ამოიღო"- Tous nos remerciements à l'OSCE d'avoir haussé le ton.*

ბოლო ორი სათაური ლექსიკურ-სტილისტური ტრანსფორმაციების გზით არის შესრულებული, რადგან მხოლოდ სემანტიკური თარგმანი გაუგებარი დარჩებოდა ფრანგი მკითხველისთვის. პირველ შემთხვევაში დაზუსტებულია, ვინ აკეთებს განცხადებას, ანუ მითითებულია, რომ განცხადებას საქართველოს გენერალური პროკურორი აკეთებს, რაც ქართულ სათაურში არაა მოცემული. ამასთან დაზუსტებულია, რომ საქმე ეხება საქართველოს ყოფილი პრემიერის, ჟვანიას მკვლელობის საქმეს. ხოლო მეორე სათაურში მთლიანად შეცვლილია ფორმულირება: ზმნის “ვენაცვალეთ” ნაცვლად, ფრანგულში გამოვიყენეთ “დიდ მადლობას ვუხდით”, ხოლო “ხმა ამოიღო” შევცვალეთ ზმნით “ხმა აიმაღლა”, რადგან

ეკვივალენტის მოძიება ფრანგულ ენაში შეუძლებელი იყო, ამასთან შევეცადეთ, არ დაგვერღვია ფრანგულ ენაში არსებული ჟურნალისტური ნორმები.

დ. სელესკოვიჩის აზრით, თარგმნის პროცესში საქმე გვაქვს ორი ტიპის მნიშვნელობასთან: 1. ის, რასაც გვაძლევს იზოლირებულად აღებული წინადადება და 2. მნიშვნელობა, რომელსაც წარმოადგენს კონტექსტსა და რელევანტურ ცოდნაში ინტეგრირებული გამონათქვამი. პირველ შემთხვევაში წინადადების ინტერპრეტაცია ხდება ზოგადი ცოდნის საფუძველზე. რაღაც გვესმის, მაგრამ ეს გაგება არის მხოლოდ რაღაც ვარაუდი მნიშვნელობის შესახებ. ამიტომ თარგმანიც მხოლოდ ვარაუდია. მეორე შემთხვევაში სიტუაციასა და დისკურსში ინტეგრირებული ფრაზის მნიშვნელობა ქმნის კოგნიტურ კონტექსტს. გამონათქვამის მნიშვნელობა ეყრდნობა ამ რელევანტურ ცოდნას, ამ კოგნიტურ კონტექსტს და ხორციელდება წინადადების ყველა არალელევანტური მნიშვნელობების სპონტანური გამორიცხვით. თარგმანი შესაძლებელია, მისი ხარისხი დამოკიდებულია მხოლოდ მთარგმნელის ნიჭზე (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008, 60).

5.4. ქართული საგაზეთო სტატიის სათაურის თარგმნის თავისებურებანი პრაგმატიკული თვალსაზრისით

როდესაც ვსაუბრობთ ეკვივალენტობისა და ადეკვატურობის პრობლემებზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ეკვივალენტობა თარგმანისადმი წაყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, ვინაიდან, ის სათარგმნ ენაზე ამოსავალი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის გადაცემას ითვალისწინებს. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ეკვივალენტობის დონეების იერარქია, რომლის თანახმადაც, პრაგმატიკული დონე, რომელიც შეიცავს თარგმნისათვის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა, კომუნიკაციური ინტენცია და კომუნიკაციური ეფექტი, ეკვივალენტობის ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს (შვეიცერი 1988, 145).

- *“ოცნების” გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეკლესია (24 საათი 14/10/2012) - L’Église s’est révélée un facteur décisif de la victoire du parti « Rêve géorgien » aux élections législatives.*
- *“გადაბარება” გრძელდება (24 საათი 11/10/2012) - Le transfert démocratique du pouvoir se poursuit en Géorgie.*
- *ოპოზიციური “ნაციონალური მოძრაობა” ძველ გენერალურ მდივანს იბრუნებს (24 საათი 16/10/201) - Le retour de l’ancien secrétaire général à la tête du « mouvement national » passé dans l’opposition.*

მოცემული მაგალითები ქართულ რეალობას აღწერს და თარგმნის პროცესში, სათაურების პრაგმატიკის ფრანგულ ენაზე სრულად გადმოსაცემად, მთარგმნელის ინტერვენციას საჭიროებს. პირველ მაგალითში ხდება ქართული პოლიტიკური რეალია “ოცნების” დაკონკრეტება ფრანგულ ენაზე. ეს რეალია ნათარგმნია როგორც პარტია “ქართული ოცნება” და დამატებულია, რომ საუბარია საპარლამენტო არჩევნებზე. მეორე მაგალითში “გადაბარება”, რომელიც ასევე ზედმეტი განმარტების გარეშე გასაგებია ქართველი მკითხველისათვის, ფრანგულ ენაზე გადმოცემულია როგორც “ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა” და დაკონკრეტებულია, რომ მოვლენები ხდება საქართველოში. მესამე მაგალითშიც ლექსიკური დამატებები გვაქვს განხორციელებული და დაკონკრეტებულია, რომ “ნაციონალური მოძრაობა” ოპოზიციაში გადავიდა.

- *27 სექტემბერი - შავი დღე საქართველოს ისტორიაში²²⁹ - Le 27 septembre 1993 : chute de la ville de Sokhoumi - une journée tragique pour la Géorgie.*
- *უცნობი და „გრეჩიხა“ „ქართული ოცნების“ აქციას შეუერთდნენ²³⁰ - Le showman populaire Ucnobi et son frère, ancien candidat à la présidentielle ont rejoint la manifestation du parti d'opposition « Rêve géorgien ».*

აღნიშნული სათაურები ქართული მკითხველის პრაგმატიკის გათვალისწინებით არის შედგენილი და შეუძლებელია მათი ტრანსკოდირების გზით თარგმნა, ვინაიდან პრაგმატიკული ასპექტის სრულად გადატანა ფრანგულ ენაზე, ლექსიკური დამატებების განხორციელების გარეშე, წარმოუდგენელია. პირველი სათაური, რომელიც ქართველი მკითხველისთვის გასაგებია, შეიძლება ფრანგი მკითხველისთვის რთულად აღსაქმელი იყოს, ვინაიდან აღნიშნული თარიღი არანაირ ინფორმაციას არ აწვდის მკითხველს და ვერანაირ ემოციას ვერ გამოიწვევს ფრანგ მკითხველში. შესაბამისად, ფრანგული სათაური გავშალეთ და დავამატეთ, რომ ეს დღე “სოხუმის დაცემის დღეა” და დაზუსტებულია, რომ “სოხუმი” ეს არის ქალაქი, ასევე, “შავი დღე” ფრანგულში გადმოვეცით როგორც “ტრაგიკული დღე”. მეორე სათაური აგრეთვე დატვირთულია ქართული პოლიტიკური რეალიებით, ამიტომ, თარგმანი ამ შემთხვევაშიც ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების გზით არის შესრულებული. “უცნობი”, რომელიც კარგადაა ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის, შეუძლებელია დამატებების გარეშე გადავიტანოთ ფრანგულ ენაზე, ამიტომ დაზუსტებულია, რომ “უცნობი” არის ცნობილი შოუმენი, რაც შეეხება “გრეჩიხას”, რომლის კალკიც ვერ მოვიძიეთ ფრანგულ პრესაში, ჩანაცვლების გზით გადავიტანეთ როგორც “უცნობის ძმა” და “პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი”, ასევე დაზუსტებულია, რომ “ქართული ოცნება” ეს არის პოლიტიკური პარტია.

ვ. კომისაროვი აღნიშნავდა, რომ კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად, ადრესანტი ინფორმაციის გადასაცემად ისეთ ენობრივ ერთეულებს ირჩევს, რომლებსაც აქვთ აუცილებელი საგნობრივ-ლოგიკური და კონოტაციური მნიშვნელობა. მთარგმნელი ისე ახდენს ტექსტში მათ ორგანიზებას, რომ მათ შორის აუცილებელი აზრობრივი კავშირი დაამყაროს. შედეგად, შედგენილი ტექსტი იძენს გარკვეულ პრაგმატიკულ

²²⁹ <http://experti.ge/199827septemberi.htm>

²³⁰ <http://www.droni.ge/?m=1&AID=7419>

პოტენციალსა და რეცეპტორზე გარკვეული კომუნიკაციური ეფექტის მოხდენის შესაძლებლობას (კომისაროვი 1990, 209).

პრაგმატიკული პოტენციალის გადმოსაცემად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელი იყენებს ისეთ ხერხებს, როგორიცაა: კონკრეტიზაცია, ჩანაცვლება, განზოგადება და ა.შ.

- „გირგვლიანის საქმე“: „დამოკლეს მახვილი“ მმართველი ელიტის თავზე²³¹ - *Le dossier de l'assassinat de Girgvliani-l'épée de Damoclès pour l'élite politique géorgienne / Le dossier de l'assassinat de Sandro Girgvliani - un danger constant pour l'élite politique géorgienne.*

აღნიშნული სათაური ქართულ რეალობას ასახავს და თარგმნის დროს, პრაგმატიკის გადმოცემის თვალსაზრისით, გარკვეულ ტრანსფორმაციებს საჭიროებს. „გირგვლიანის საქმე“, რომელიც განსაკუთრებულ ემოციას აღძრავს ქართველ მკითხველში, თარგმნის დროს დაზუსტებას საჭიროებს. ფრანგულ თარგმანში მითითებულია, რომ საქმე სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება. თარგმანის პირველ ვერსიაში ფრაზეოლოგიზმი „დამოკლეს ხმალი“ პირდაპირ გვაქვს გადატანილი, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოყენებული გვაქვს „მუდმივი საფრთხე“, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ორივე ვარიანტი გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის.

სხვადასხვა ხერხები, რომელთაც მთარგმნელი ტექსტის პრაგმატიკული პოტენციალის გადმოსაცემად იყენებს, ძირითადად, რეცეპტორების თავისებურებების გათვალისწინების გარეშე გამოიყენება. ზოგადად, მთარგმნელი ორიენტირებულია საშუალო დონის რეცეპტორზე. იმ შემთხვევაში, როდესაც რეცეპტორებს აქვთ ამა თუ იმ სფეროში გარკვეული ფონური ცოდნა, მაშინ, მთარგმნელს ნაკლები პრაგმატიკული განმარტებების გაკეთება უხდება თარგმანში (კომისაროვი 1990, 214).

ჟურნალისტური სათაური ტექსტის სიგნალია. ნორმალურ სიტუაციაში მთარგმნელი, რომელიც თარგმნის ტექსტს, აუცილებლად მთლიან ტექსტს კითხულობს. სათაურის თარგმნა და ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ძირითადად იმ ტექსტზე, რომელსაც ის ასათაურებს, განსხვავებულმა ტრადუქტოლოგიურმა მიდგომამ ან სტრატეგიამ

²³¹ <http://www.amerikiskhma.com/content/girgvliani-case-strasbourg-129300818/536414.html>

შესაძლოა აბსურდამდე მიგვიყვანოს. მთარგმნელი უნდა შეეცადოს სათაურის ყველანაირი ვირტუალური მნიშვნელობა გაითვალისწინოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრესის სათაურები, რომლებიც ეფემერული ხასიათისაა, იშვიათად შეიძლება მრავალგვარი ინტერპრეტაციის ობიექტი იყოს (ვალევა-ბორისოვი 1992, 153).

ქართული საგაზეთო სათაურები გარკვეულწილად ხასიათდება ორაზროვნებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ინფორმირებასთან ერთად, მკითხველის დაინტრიგების ფუნქცია, სათაურების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამით ავტორი ცდილობს მკითხველის მაქსიმალურად დაინტრიგებას იმის მოლოდინით, რომ ამ ინტრიგის გასაღები სწორედ ტექსტშია (ვალევა-ბორისოვი 1992, 154). მაგალითად:

- *"რკინის კაცი" საქართველოში 14 იანვარს დაბრუნდება²³² - L'homme de fer revient en Géorgie le 14 janvier / Géorgie : le retour de l'homme de fer, ancien ministre de l'Intérieur prévu pour le 14 janvier.*
- *ნოდარ ხადურმა არ იცის, ვინ არის "რუხი კარდინალი" "ქართულ ოცნებაში"²³³ - Le ministre géorgien des Finances Nodar Khaduri ne connaît pas "l'éminence grise" de l'alliance «Rêve géorgien».*

პირველი სათაურის შემთხვევაში თარგმანი პრაქტიკულად სრული ტრანსკოდირების გზით არის შესრულებული. თუმცა სათაურის თარგმანის მეორე ვარიანტი, სადაც განმარტებულია, რომ საქმე ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ეხება, უფრო სრულად გადმოსცემს სათაურის შინაარსს. მეორე სათაურში კი დაზუსტებულია, რომ საუბარია საქართველოს ფინანსთა მინისტრზე და პარტია “ქართულ ოცნებაზე”, რაც ქართულ სათაურში არაა დაკონკრეტებული.

თანამედროვე ხარისხიანი გაზეთების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია ინფორმაციულობის წინა პლანზე წამოწევაა, თუმცა, ქართულ ჟურნალ-გაზეთების შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებული და არასახარბიელოა. დღეს, ქართული ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობაში სწორედ ინტრიგა და რეკლამაა წინა პლანზე წამოწეული.

²³² <http://www.iveroni.com.ge/2012-01-19-17-30-47/22701>

²³³ <http://www.iveroni.com.ge/politika/18023>

სათაური, რომელიც ფორმალურადაა ტექსტისგან გამოყოფილი, ერთდროულად წარმოადგენს მთელის ნაწილსაც და დამოუკიდებელ შეტყობინებასაც (ვალევა-ბორისოვი 1992, 395).

თარგმნის იმ ხერხებს შორის, რომელსაც მთარგმნელი საგაზეთო სათაურების თარგმნისას ირჩევს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მკითხველის ინფორმირება სათაურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამ ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად, მთარგმნელი სხვადასხვა დისკურსულ სტრატეგიასა და თარგმანის ხერხს მიმართავს, რომლის მიზანიც მკითხველზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენაა. ეს სტრატეგია გააზრებული და მოქნილი უნდა იყოს, ვინაიდან ნებისმიერი სათაური გარკვეული იდეოლოგიური და პოლიტიკური ელფერის მატარებელია. იმ შემთხვევაში, როდესაც ენობრივ დონეზე მზა შესატყვისები არ მოიძებნება, აზრის გადმოცემა უნდა მოხდეს სხვა საშუალებებით, მაგრამ უნდა მოხდეს ტექსტის ჟანრობრივი, სტილისტური, კომუნიკაციური და პრაგმატიკული თავისებურებების გათვალისწინება.

ბუნებრივია, უნივერსალური ხერხები, რომელიც ყველა სიტუაციაში იქნებოდა გამოსადეგი, არ არსებობს, მაგრამ თუკი მთარგმნელი აცნობიერებს შეტყობინების არსს, შინაარსს, კომუნიკაციურ ფუნქციასა და სათარგმნი ტექსტის სტილისტურ ეფექტს, თუკი აქვს საჭირო ფონური ცოდნა იმ რეალობის შესახებ, რომელზედაც საუბარია ტექსტში, მაშინ მისი თარგმანი სავსებით ადეკვატური იქნება.

5.5. ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების შეპირისპირებითი კვლევის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგაზეთო ინფორმაციული ტექსტების თარგმნის თავისებურებების შესწავლა ერთ-ერთ რთულ, მაგრამ თარგმნის თეორიისათვის საინტერესო ასპექტს მიეკუთვნება, მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე²³⁴.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო როგორც საგაზეთო სათაურების თარგმნის სტრატეგიების სისტემატიზაცია, ასევე, იმ მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა, რომელიც ახასიათებს ფრანგულ და ქართულ საგაზეთო სათაურებს.

განხილული ფრანგული და ქართული სათაურების თარგმნის სტრატეგიების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. სათაურების თარგმნის ყველაზე გავრცელებული ხერხებია სრული და ნაწილობრივი ტრანსკოდირება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ამოსავალი ტექსტის სტრუქტურული და ფორმალური თავისებურებების დაცვა შესაძლებელია. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელის ინტერვენციის დონე საკმაოდ დაბალია. სათაური განიცდის მცირე ცვლილებას, თუმცა, უცვლელი რჩება ზოგადი ფორმა და აზრი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სათაურის პრაგმატიკული ასპექტების გადმოცემა სათაურის ხელახალ ფორმულირებას მოითხოვს.
2. ფრანგული და ქართული სათაურების თარგმნის დროს მთარგმნელს ისეთი ხერხების გამოყენება შეუძლია როგორიცაა მოდულაცია, მოდიფიკაცია და მუტაცია (ვან ლუვენ ცვარტი 1990, 151-181).

1. *მოდულაცია* - ფრანგული და ქართული სათაურების თარგმნის ერთ-ერთი სტრატეგიაა. ამ სტრატეგიით სემანტიკური ინტენსივობის გამოხატვა ნაკლები სიზუსტით ხდება და იკლებს სათაურების ემოციური დატვირთვა. მაგალითად:

- *Israël: la "défense" rongée par la corruption-ისრაელის თავდაცვის სფერო კორუმპირებულია*

²³⁴ www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc

- *ცხარე დებატები საქართველოს პარლამენტში- Géorgie: controverse au Parlement.*

სემანტიკური თვალსაზრისით თარგმანში შერჩეულია უფრო ზოგადი ეკვივალენტები (ცხარე დებატები - *controverse*²³⁵, *rongée*²³⁶ par la corruption-კორუმპირებული).

2. როგორც ფრანგული, ასევე ქართული სათაურების თარგმნისას, მთარგმნელები ხშირად იყენებენ მოდიფიკაციას. შეგვიძლია გამოვყოთ მოდიფიკაციის შემდეგი კატეგორიები:

ა) ბრჭყალების დამატება

- *ოპოზიციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ სირცხვილის კორიდორი მოაწყო.*²³⁷ - *L'opposition géorgienne a établi un "couloir de la honte" devant le diffuseur public/ L'opposition a établi un "couloir de la honte" devant la télévision publique géorgienne.*
- *La Syrie évoque une riposte «surprenante» envers Israël - სირია ისრაელის მიმართ "არნახულ" საპასუხო ქმედებებზე საუბრობს.*

ზოგადად, ბრჭყალების დამატება მიუთითებს გარკვეულ ეჭვზე, რომელიც გამოყენებული ტერმინის სიზუსტის მიმართ არსებობს.

ბ) სამეტყველო აქტის ცვლილება

ორივე ენაში არის შემთხვევები, როდესაც ამოსავალი ტექსტის სეგმენტის სამეტყველო აქტი, ექსკლამაცია ან რიტორიკული შეკითხვა თარგმანში გადმოიცემა მტკიცებითი ფორმით, რითაც სათაურში იკარგება ენონსიატიური ძალა. მაგალითად:

- *მესამე მსოფლიო ომი დაიწყო?*²³⁸ - *Le début de la 3ème Guerre Mondiale.*
- *Le Parti républicain survivra-t-il à l'échec de Mitt Romney?- რესპუბლიკური პარტია მით რომნის მარცხის შემდეგ.*

²³⁵ დავა, უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა

²³⁶ დაღრნილი, შექმნილი

²³⁷ <http://news.ge/ge/news/all/14380>

²³⁸ <http://forum.ge/?f=29&showtopic=34234647>

როგორც ქართული, ასევე ფრანგული სათაური კითხვით ფორმაშია მოცემული და გარკვეული ინტრიგის მატარებელია, მისი მიზანი მკითხველის მაქსიმალური დაინტერესებაა. ნათარგმნი სათაურები კი თხრობის თვალსაზრისით ნაკლებადაა შეფერილი.

არის შემთხვევები, როდესაც თხრობითი კილოს დაკარგვასთან ერთად ხდება სათაურის სემანტიკური დაშორება ორიგინალისგან. მაგალითად:

- *საქართველო კრიზისის მიჯნაზე (?)*²³⁹ - *L'économie géorgienne va-t-elle survivre à la crise économique mondiale ?*

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სათაურის თარგმნის სხვა სტრატეგიის არჩევაც შეიძლებოდა (მაგალითად: *La Géorgie au bord de la crise*), თუმცა, ამ მაგალითით ვცდილობთ წარმოვაჩინოთ მთარგმნელის ხელთ არსებული საშუალებები.

გ) ორწევრიანი სათაურის სტრუქტურის ცვლილება. ლოკაციური ელემენტის გაუქმება

სათაურის გაერთიანების ერთ-ერთი ხერხი ამოსავალ ტექსტში მოცემული ლოკაციური ელემენტის გაუქმებაა. როგორც წესი, ლოკაციური ელემენტი ფრანგული სათაურის დასაწყისშია მოცემული და ზოგიერთი მთარგმნელი ამ ელემენტის გაუქმების სტრატეგიასაც მიმართავს, თუმცა, ქართული ჟურნალისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, სტატიებში ლოკაციური ელემენტი რჩება, ოღონდ, ხდება მისი ადგილის ცვლილება. მაგალითად:

- *Géorgie : Saakachvili, Ivanichvili s'engagent à une transition démocratique*²⁴⁰ - *სააკაშვილი და ივანიშვილი ძალაუფლების დემოკრატიულ გადაბარებას იწყებენ.*
- *Grèce: les 2 grands partis laminés, crise politique en plus de l'économique*²⁴¹ - *ეკონომიკურ კრიზისს საბერძნეთში პოლიტიკური კრიზისიც დაერთო: საკანონმდებლო არჩევნებში ორი დიდი პოლიტიკური პარტია დამარცხდა/*

²³⁹ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/>

²⁴⁰ http://www.armenews.com/article.php3?id_article=83362

²⁴¹ <http://www.rtf.be/info/monde/detail>

ორი დიდი პოლიტიკური პარტიის მარცხის შედეგად, ეკონომიკური კრიზისის პარალელურად, საბერძნეთში პოლიტიკური კრიზისის საფრთხეც გაჩნდა.

3. სათაურებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება გრამატიკული ელიფსი. ყველაზე ხშირად ფრანგულ სათაურებში გამოტოვებულია ზმნა “Être”-ყოფნა. მთარგმნელმა, რომელიც მუშაობს საგაზეთო სათაურების თარგმანზე, უნდა შეძლოს ელიფსის ამოცნობა და მოახდინოს სათაურის ხელახალი ფორმულირება, სათარგმნ ენაში არსებული წესების გათვალისწინებით.

- *Élections en Ukraine: la corruption en toile de fond*²⁴².
- *BERLIN - Le président allemand mis en cause dans une affaire de prêt privé (L'EXPRESS 13/12/2011).*

ელიფსურ ფორმებს ქართულ სათაურებშიც ვხვდებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ინგლისური პრესის გავლენის შედეგია და ქართული ენის ნორმებისათვის მისაღები არაა. მაგალითად:

- *ჩრდილოეთ აფრიკა: ისლამიზმის ახალი ეპიცენტრი (24 საათი 10.02.13).*
- *უსუფაშვილი ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შესახებ*²⁴³.

4. როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ჟურნალისტურ დისკურსში ძირითადად აწმყო დრო გამოიყენება, რაც გამოწვეულია როგორც ეკონომიის პრინციპით, ასევე, საგაზეთო სათაურების მთავარი ფუნქციით, რაც ინფორმაციის “აქტუალიზებაში” მდგომარეობს. მაგალითად:

- *Cameron et Merkel imposent l'austérité à Hollande*²⁴⁴.
- *Les conservateurs saluent le succès de David Cameron à Bruxelles*²⁴⁵.
- *პარლამენტი ელჩობის კანდიდატებს განიხილავს.*
- *"ჰეზბოლა" ბურგასის ტერაქტის ორგანიზების ბრალდებას უარყოფს.*

5. ფრანგული და ქართული პრესა ფართოდ იყენებს ისეთ აბრევიატურებს როგორიცაა: გაერო, ეუთო, ნატო, La CPI (Cour pénale internationale), Le FMI (Fonds

²⁴² <http://lci.tf1.fr/monde/europe/elections-en-ukraine-la-corruption-en-toile-de-fond-7612665.html>

²⁴³ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26537>

²⁴⁴ <http://fr.news.yahoo.com/leurope-adopte-premier-budget-rigueur-162100200.html>

²⁴⁵ <http://fr.news.yahoo.com/les-conservateurs-saluent-le-succès-david-cameron-à-210626786--business.html>

monétaire international), BIRD (Banque internationale pour la reconstruction et le développement) და ა.შ. მაგალითად:

- *"თუ ეუთო აღიარებს, ჩვენც ვაღიარებთ"*²⁴⁶.
- *რუსეთს ნატოს სამიტის განცხადებამ იმედი გაუცრუა*²⁴⁷.
- *Le FMI déclare que la Slovénie peut se sortir de la récession économique*²⁴⁸.
- *L'ONU dénonce une hausse des violations des droits de l'homme en Syrie*(Le Monde 17.09.2012).

6. საგაზეთო სათაური შეიძლება იყოს წარმოდგენილი მარტივი და რთული წინადადებით. პრესა ძირითადად მარტივ სათაურებს იყენებს. მაგალითად:

- *Paris hausse le ton contre le Hezbollah.*
- *Chine et Japon jouent avec le feu.*
- *Les députés britanniques adoptent le mariage gay.*
- *სააკაშვილი ნატოს სამიტის შედეგებზე საუბრობს.*
- *საქართველოს პრემიერი 14 თებერვალს თურქეთში ჩავა.*

თუმცა, ზოგიერთი ქართული გაზეთი უპირატესობას გრძელ სათაურებსა და რთულ კონსტრუქციებს ანიჭებს. მაგალითად:

- *სააკაშვილი - ჩვენი შეცდომაა, რომ ყოფილი "გაიშნიკი" მუშაობდა სისტემაში, გაყიდა ინფორმაცია და გაიქცა*²⁴⁹.
- *თედო ჯაფარიძე - რუსულ-დასავლურ დღის წესრიგში გამაღიზიანებლის როლი საქართველოს ევროატლანტიკური მიზნებისთვის კონტრპროდუქტიულია*²⁵⁰.

საგაზეთო სათაურებში გვხვდება, როგორც რთული თანწყობილი, ისე რთული ქვეწყობილი წინადადებები:

- *Hollande: "Merkel décide et Sarkozy suit"*(Le Figaro 30/11/2011).
- *le président serbe déclare qu'il n'y a pas eu de génocide à Srebrenica*²⁵¹.

²⁴⁶ <http://news.ge/ge/news/story/31895-tu-euto-aghiarebs-chvents-vaghiarebt>

²⁴⁷ <http://news.ge/ge/news/story/16460>

²⁴⁸ <http://www.robert-schuman.eu/breve.php?num=25789&typ=art>

²⁴⁹ <http://www.ambebi.ge/politika/61335>

²⁵⁰ <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/229553>

²⁵¹ <http://www.20minutes.fr/ledirect/945207/>

- ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ დიმიტრი მედვედევს კიდევ არაერთხელ შეხვდება²⁵².
- "თავისუფალი დემოკრატები" არ გამორიცხავენ, რომ მათ რიგებში "შევზავნილი აგენტები" იყვნენ²⁵³.

7. ორივე ჟურნალისტური დისკურსი იყენებს ირიბ თქმას. მაგალითად:

- *Algérie: Valls "ne croit pas" qu'un Français était parmi les jihadistes*²⁵⁴.
- *Le président français Hollande déclare qu'il ne vient en Algérie pas pour "faire repence ou excuse"*²⁵⁵.
- პროკურატურა აცხადებს, რომ ნაცმოძრაობას დაფინანსების თვალთმაქცური სქემა ჰქონდა²⁵⁶.

8. როგორც ფრანგული, ასევე, ქართული პრესა ფართოდ იყენებს ვნებით გვარს. მაგალითად:

- ტერაქტის შედეგად ერაყში 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა²⁵⁷
- "ნაციონალურ მოძრაობაში" სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობს²⁵⁸.
- *Tunisie : la chasse aux sorcières est ouverte*²⁵⁹.
- *Une enquête est lancée, Juncker parlera jeudi*²⁶⁰.

9. პოლიტიკური სტატიების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ფრანგული, ასევე ქართული პრესა, ხასიათდება კლიშეების მაღალი მაჩვენებლით. საგაზეთო კლიშეები მედიატექსტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საგაზეთო სტილი გამოირჩევა სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხითა და სტილისტური თავისებურებებით²⁶¹. მაგალითად:

- *Serbie-Kosovo : ambiance tendue pour l'ouverture des premiers « points de passage »*²⁶².

²⁵² <http://1tv.ge/news-view/46304>

²⁵³ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/228188>

²⁵⁴ <http://www.publicsenat.fr/lcp/politique/alg-rie-valls-croit-pas-quun-fran-ais-tait-parmi-jihadistes-340813>

²⁵⁵ <http://french.peopledaily.com.cn/96852/8065295.html>

²⁵⁶ <http://netgazeti.ge/GE/105/News/15965/>

²⁵⁷ <http://www.palitrav.ge/akhali-ambebi/uckhoethi/19746>

²⁵⁹ <http://www.comite-valmy.org/spip.php?article2323>

²⁶⁰ <http://www.lessentiel.lu/fr/news/luxembourg/story/30457811>

²⁶¹ <http://dea.isachenko.free.fr/>

²⁶² <http://balkans.courriers.info/article21349.html>

- *Législatives en Ukraine : Ioulia Timochenko commence une grève de la faim (Le Monde 28.10.2012).*
- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით კანადის თავდაცვის ატაშე, პოლკოვნიკი ქრისტოფერ კილფორდი იმყოფება²⁶³.
- ბიძინა ივანიშვილი: "საქართველო ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა"²⁶⁴.

10. პრესაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტური ხერხები, როგორიცაა მეტაფორა და მეტონიმია.

- *Bonne gouvernance et lutte contre la corruption : Le plan quinquennal sur la table des ministres pour adoption.*
- *Le pouvoir socialiste confronté à des violences à Amiens*²⁶⁵.

მეტონიმია ხშირად გამოიყენება მედიაში. ჟურნალისტურ დისკურსში მეტონიმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ტოპონიმების გამოყენება სამთავრობო ინსტანციების აღსანიშნავად. მაგალითად:

- *Syrie : Moscou insiste sur le lancement d'un processus de transition politique*²⁶⁶.
- *Tbilissi accuse Moscou de violer le cessez-le-feu, l'Occident exige un retrait (Le Parisien 18.08.2008).*
- *თბილისი აცხადებს, რომ ვმო-ზე რუსეთთან მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა*²⁶⁷.

ბოლო სათაურის შემთხვევაში საუბარია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) რუსეთის გაწევრიანებაზე. აბრევიატურა, რომელიც ქართულ სათაურშია გამოყენებული, სრულიად გაუმართლებელია. მთარგმნელმა უნდა გამოიყენოს ან ამ ორგანიზაციის სრული დასახელება ან ინგლისური აბრევიატურა, ვინაიდან ამ ორგანიზაციის აბრევიატურა ქართულ ენაში არ არსებობს.

²⁶³ <http://www.pirweli.com.ge/?menuid=10&id=24481>

²⁶⁴ <http://liberali.ge/ge/liberali/news/113658/>

²⁶⁵ <http://fr.reuters.com/article/topNews/idFRPAE87D09H20120814>

²⁶⁶ <http://french.moqawama.org/essaydetails.php?eid=8424&cid=276>

²⁶⁷ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24628>

იმ მსგავსების მიუხედავად, რაც ზოგადად პრესისათვისაა დამახასიათებელი, ფრანგული და ქართულ საგაზეთო დისკურსში არსებობს გარკვეული განსხვავებებიც:

1. ფრანგულ პრესას ახასიათებს ორწევრიანი სათაურები, რაც ქართულ ჟურნალისტურ ტრადიციაში ნაკლებად გამოიყენება. მაგალითად:

- *La Géorgie, après la guerre - საქართველო 2008 წლის ომის შემდეგ.*
- *En Israël, l'enjeu séfarade*²⁶⁸ - ისრაელი სეფარდების პრობლემის პირისპირ.

ქართული ენის სტილისტურ-გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოცემული სათაურების ტრანსფორმაცია და სათაურის ორი ნაწილის გაერთიანება. სათაურების თარგმნის დროს დისკურსული ჟანრის მხედველობაში მიღება განაპირობებს მთარგმნელობით სტრატეგიას, სათაური სათარგმნი ენის ნორმების დაცვით რომ იქნეს შესრულებული.

2. ფრანგული პრესა, ქართული პრესისაგან განსხვავებით, ცნობილი ადამიანების გვარების შემოკლებულ ფორმებს იყენებს. მაგალითად: MAM-მიშელ ალიო მარი, DSK-დომინიკ სტროს კანი და ა.შ. მაგალითად:

- *DSK déclare qu'il n'est plus "dans l'action" mais "la réflexion"*²⁶⁹.
- *MAM dénonce des "mensonges", dit qu'elle ne démissionnera pas (LE Point 02/02/2011).*

3. ფრანგულ სათაურებში ხშირად გამოიყენება ანგლიციზმები. ანგლიციზმებს ქართული პრესაც იყენებს, თუმცა, ისინი საგაზეთო სტატიებში უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე სათაურებში. მაგალითად:

- *Notre-Dame : le happening des Femmes fortement critiqué.*
- *Opération anti hold-up dans la ville*²⁷⁰.
- *Mali: le Bénin souhaite la poursuite du "leadership" de la France*²⁷¹.

²⁶⁸ <http://www.monde-diplomatique.fr/1999/03/SCHATTNER/11758>

²⁶⁹ <http://alexandre-thomas-forum.blogs.nouvelobs.com/archive/2012/09/21/>

²⁷⁰ <http://www.lindependant.fr/2012/12/22/operation-anti-hold-up-dans-la-ville,1713101.php>

²⁷¹ <http://www.slateafrique.com/103045/>

4. ფრანგულ ჟურნალისტურ დისკურსში ძირითადად აწმყო დრო გამოიყენება. აწმყო დრო გამოიყენება როგორც აწმყო, ასევე წარსული და მომავალი მოქმედებების აღსანიშნავად. მაგალითად:

- *La SNCF lance les brigades ferroviaires: "de nouvelles patrouilles sont déployées depuis quelques jours"*²⁷².
- *Les pays européens redoutent une vague de violence kurde: "les mesures de sécurité sont renforcées autour de plusieurs ambassades"*²⁷³.

5. ფრანგულ პრესას ახასიათებს წინდებულიანი ინფინიტივის გამოყენება. წინდებულიანი ინფინიტივის გამოყენების შემთხვევაში, ქართულ ენაზე თარგმანს კონტექსტი განაპირობებს. მაგალითად:

- *Biden: les Etats-Unis prêts à engager un dialogue direct avec l'Iran*²⁷⁴.
- *Il est classé parmi les hommes à abattre, Belmokhtar dans le viseur de la CIA*²⁷⁵.

6. ფრანგული პრესისათვის დამახასიათებელია არტიკლის გამოტოვება, რაც წინადადების კომპაქტურობის სურვილით არის გამოწვეული. მაგალითად:

- *Affaire Sonatrach, Chakib Khelil ciblé par la justice.*
- *Syrie: combats acharnés à Alep, nouvelle mobilisation anti-régime prévue (Le Point 21/09/2012).*

7. ფრანგული პრესა ხშირად იყენებს ციტირებას. ციტირების ავტორი (სახელი და გვარი), როგორც წესი, მოცემულია წინადადების თავში და გამოიყენება ორწერტილი და ბრჭყალები. აღნიშნული ხერხი ბოლო დროს ქართულ პრესაშიც გაჩნდა. მაგალითად:

- *Dati : "Avec Fillon tout est possible tout le temps"*²⁷⁶.
- *Joly : "Hollande veut combattre la finance avec un sabre de bois"*²⁷⁷.
- *გიგი უგულავა: შს მინისტრი ცრუობს*²⁷⁸.

²⁷² <http://wjfms.ncl.ac.uk/engelWJ.htm>

²⁷³ <http://wjfms.ncl.ac.uk/engelWJ.htm>

²⁷⁴ http://french.news.cn/monde/2013-02/03/c_132147134.htm

²⁷⁵ <http://www.algerie360.com/algerie/politique/>

²⁷⁶ <http://lci.tf1.fr/politique/dati-avec-f-fillon-tout-est-possible-tout-le-temps-7787445.html>

²⁷⁷ <http://www.bfmtv.com/politique/joly-hollande-veut-combattre-finance-un-sabre-bois-448384.html>

²⁷⁸ <http://presa.ge/new/index.php?m=society&AID=20684>

- უსუფაშვილი: არის ლაპარაკი სისხლისღვრაზე, სახიფათო სიტყვებს ხმარობს მიხეილ სააკაშვილი.

8. ფრანგულ სათაურებში თანამდებობის პირებზე საუბრის დროს ჯერ იწერება მათი სახელი და გვარი, შემდეგ თანამდებობა. ქართულში კი, პირიქით, ჯერ იწერება თანამდებობა, ხოლო შემდეგ თანამდებობის პირის სახელი და გვარი. მაგალითად:

- *France : Jean-Marc Ayrault, un Premier ministre à la fibre africaine*²⁷⁹.
- *Dans une interview, Angela Merkel, la chancelière allemande n'a pas exclu un effacement de la dette de la Grèce*²⁸⁰.
- *საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს ეწვია*²⁸¹.
- *საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს შეხვდა*²⁸².

დაბოლოს, როგორც ქართული, ასევე ფრანგული სათაურები, გარკვეულწილად ხასიათდება ორაზროვნებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ინფორმირებასთან ერთად მკითხველის ინტრიგის გამომწვევი ფუნქცია, სათაურების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

²⁷⁹ <http://www.jeuneafrique.com/Article/ARTJAWEB20120515144255/>

²⁸⁰ <http://www.huffingtonpost.fr/2012/12/02/>

²⁸¹ <http://medianews.ge>

²⁸² http://kuwait.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=595&info_id=8301

შედეგები

ჩვენს დისერტაციაში დასახული მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანების გადაჭრა მოგვიხდა: განვიხილეთ და მოვახდინეთ საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნის სტრატეგიების სისტემატიზაცია. მოვახდინეთ ქართული და ფრანგული პოლიტიკური სტატიების სათაურების სტილისტურ-გრამატიკული და პრაგმატიკული თავისებურებების წარმოჩენა, შევეცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა მათი ტრანსპოზიციის ხერხები, განვიხილეთ ფონური ცოდნის, ექსტრალინგვისტური ცოდნის, ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების განხორციელების აუცილებლობა – ადრესატზე სასურველი ზეგავლენის მოსახდენად და სტატიის ძირითადი აზრის სათარგმნელად, რომელიც სცდება ლინგვისტური ტრანსფერის ჩარჩოებს; განვიხილეთ და ჩამოვაყალიბეთ რეალიების თარგმნის ხერხები, რომლებიც მრავლად მოიპოვება ჟურნალისტურ დისკურსში.

თემის შერჩევა და აქტუალურობა განპირობებული იყო იმით, რომ საგაზეთო სათაურების თარგმნის პრობლემა ნაკლებად არის შესწავლილი, არადა, სწორედ სათაური წარმოადგენს იმ ელემენტს, რომელიც თავდაპირველად იქცევს მკითხველის ყურადღებას, რომელიც აერთიანებს ინფორმირებისა და ზემოქმედების ფუნქციას და მთარგმნელისაგან აზრის რეტროაქტიულ გამოხატვას მოითხოვს. თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის პოსტულატებმა საშუალება მოგვცა, მრავალმხრივ გაგვეშუქებინა ჩვენი კვლევის ობიექტი.

ნაშრომის **სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ პირველად:

-მოხდა თარგმანში საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების პრაგმატიკული ასპექტების გადმოცემის ხერხების კომპლექსური კვლევა, თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის კუთხით.

-მოხდა ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სტილისტური, ლექსიკური და პრაგმატიკული თავისებურებების გადმოცემის სტრატეგიებისა და კულტურული განსხვავებების დაძლევის ხერხების ფორმულირება.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: ტრადუქტოლოგია შედარებით ახალი მეცნიერებაა. მის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ენათმეცნიერების, კომუნიკაციის თეორიისა და სხვა მეცნიერებების განვითარებამ, ასევე, მთარგმნელობითი მოღვაწეობის მეცნიერულად განზოგადების აუცილებლობამ. მთარგმნელობითმა გამოკვლევებმა დაასაბუთეს ახალი მეცნიერული მიმართულების შექმნის შესაძლებლობა და პერსპექტივა, რამაც გამოავლინა თარგმნის, როგორც ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის არსი.

განხეთქილების მიუხედავად, თანამედროვე ტრადუქტოლოგები საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ ტექსტუალური ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის მიმართ, რომელიც მხედველობაში იღებს კომუნიკაციურ სიტუაციებსა და პრაგმატიკულ ასპექტებს. დღეს ლინგვისტიკა და ტრადუქტოლოგია ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. თანამედროვე კვლევებში ლინგვისტიკა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ტექსტს და იყენებს ისეთ რეალობებს, როგორიცაა, მაგალითად, კოგნიტური და პრაგმატიკული განზომილებები. ამით იგი სცდება ლინგვისტურ სისტემას და ავითარებს ისეთ თეორიებსა და კონცეფციებს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება თარგმანის რეალობასა და ტრადუქტოლოგიას. თავის მხრივ, ტრადუქტოლოგია ამტკიცებს, რომ მისი კვლევები ხელს უწყობს ლინგვისტური კვლევების წარმოებას.

ხშირად სვამენ შეკითხვას, როგორი თარგმანი უნდა შეასრულოს მთარგმნელმა: სიტყვასიტყვითი თუ თავისუფალი. შეკითხვის ასე დასმა არასწორია. მთარგმნელმა არ უნდა შეასრულოს არც სიტყვასიტყვითი და არც – თავისუფალი თარგმანი, მან უნდა შეასრულოს ზუსტი თარგმანი და ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, შესაძლებელი იქნება თუ არა ორიგინალის ფორმის შენარჩუნება. ძალიან ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი არის ერთადერთი საშუალება იმისთვის, რომ დავრჩეთ ორიგინალის აზრის ერთგული. ბუნებრივია, ეს მიდგომა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. იმისთვის, რომ შესრულდეს კარგი თარგმანი, სათარგმნი ტექსტი სრულად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის აზრს, სათარგმნი ენის გრამატიკული და სტილისტური ნორმების გათვალისწინებით, და გასაგები უნდა იყოს სათარგმნი ენის მკითხველისათვის, რომელიც სხვა კულტურის ნაწილია, ამისთვის კი მთარგმნელს უწევს ტექსტის კულტურული ადაპტაცია. მთარგმნელი აუცილებლად უნდა აცნობიერებდეს, რომ მას არ აქვს უფლება სტრუქტურის

შენარჩუნების ხარჯზე ბუნდოვანი გახადოს შეტყობინების აზრი. არც თავისუფალი და არც სიტყვასიტყვითი თარგმანი არ იძლევა საშუალებას, გავიგოთ, რა იმალევა სიტყვების მიღმა.

თარგმანისა და ორიგინალის შინაარსის ეკვივალენტობა მათ შორის კომუნიკაციური თანასწორობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. თარგმანის ეკვივალენტობის ნორმა არ არის შეუცვლელი პარამეტრი და ძირითადად, მიმართულია იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი მსგავსება იყოს ორიგინალსა და თარგმანს შორის და გათვალისწინებულ იქნეს ის ნორმატიული მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ თარგმანის ადეკვატურობას.

თარგმანის ეკვივალენტობისა და ადეკვატურობის პრობლემებზე საუბრისას, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ეკვივალენტობა თარგმანისადმი წაყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, ვინაიდან ის ამოსავალი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის გადმოცემას ითვალისწინებს. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ეკვივალენტობის დონეების იერარქია, რომლის თანახმადაც პრაგმატიკული დონე, რომელიც შეიცავს თარგმანისათვის მნიშვნელოვან ელემენტებს (კომუნიკაციური ინტენცია, კომუნიკაციური ეფექტი) ეკვივალენტობის ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს.

თარგმნის ეკვივალენტობის დონე შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას ორიგინალსა და ნათარგმნი ტექსტის ერთეულებს შორის, როდესაც ეს უკანასკნელი გვევლინება როგორც სრულფასოვანი, და თუ საჭიროა, პირველის ფორმალური აზრობრივი ეკვივალენტი.

თარგმნის ეკვივალენტობა ასევე განისაზღვრება მთარგმნელობითი სტრატეგიის შერჩევით და მთარგმნელობითი სიტუაციის მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. ამ ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია თარგმნის მიზანი, სათარგმნი ტექსტის ტიპი და თარგმნის რეცეპტორი.

კომუნიკაციური თარგმანის მიზანია ამოსავალი ტექსტის ფუნქციის შენარჩუნება სათარგმნელ ენაში. კომუნიკაციური თარგმანი ცდილობს გადმოსცეს ამოსავალ ტექსტში არსებული კომუნიკაციური ინტენცია სათარგმნ ენაში არსებული

რესურსების გამოყენებითა და სათარგმნი ენის საზოგადოების სოციო-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. ამ ტიპის თარგმანის დროს იქმნება ისეთი ტექსტი, რომელიც არანაირად არ უქმნის სირთულეს სათარგმნი ენის მკითხველს, ანუ ეს არის ტექსტი, რომელშიც არ იგრძნობა, რომ საქმე ეხება თარგმანს. ლინგვისტური თვალსაზრისით, ეს არის ტექსტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სათარგმნი ენის ნორმებთან და მოთხოვნებთან, ამასთან, შესაძლებელია სათარგმნი ენის გარემოში მისი გამოყენება ყოველდღიური კომუნიკაციის, ლიტერატურული თუ ა.შ. მიზნებისათვის.

პრაგმატიკა საკმაოდ ფართო ცნებაა. ის საკუთარ თავში მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციური პროცესის მონაწილეების მიერ ამა თუ იმ ენობრივი ნიშნის და ტექსტის გაგების განსხვავებულ ხარისხთან და აღქმასთან, კომუნიკანტების ენობრივი და ექსტრალინგვისტური გამოცდილების გათვალისწინებით. ლინგვისტური ნიშნების პრაგმატიკული განზომილება უკიდურესად რთული მოვლენაა. პრაგმატიკული განზომილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ლინგვისტური ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობისგან. ეს განსხვავებები წარმოქმნის სირთულეებს, რომლებიც მთარგმნელმა უნდა დასძლიოს, რაც საკმაოდ დელიკატური და რთული ამოცანაა. მთარგმნელს უხდება განსაზღვროს პრაგმატიკული ასპექტები, გამოავლინოს სათარგმნი ტექსტის ბუნება, მისი ეფექტი და ის ფუნქცია, რომელსაც ეს ტექსტი ლინგვისტურ და სიტუაციურ კონტექსტში ასრულებს.

პრაგმატიკული განსხვავებები ამოსავალ ტექსტსა და სათარგმნ კულტურაში კომპლექსურია და, შესაბამისად, შეუძლებელია მათ დასაძლევად ზუსტი წესების ფორმულირება. სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ორი განსხვავებული ენის ლექსიკური ერთეულები ერთმანეთს ემთხვევა დენოტაციური მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავებულია პრაგმატიკული მნიშვნელობით (სტილისტური შეფერილობით, რეგისტრით ან ემოციური შეფერილობით). ამოსავალი და სათარგმნი ენის სიტყვების პრაგმატიკულ მნიშვნელობებს შორის განსხვავებას, ხშირად მივყავართ იქამდე, რომ თარგმნის პროცესში ესა თუ ის მნიშვნელობა იკარგება ან მისი გადატანა ხდება სათარგმნი ენის ნეიტრალური სიტყვით.

პრაგმატიკული ადაპტაცია, რომელსაც მთელ რიგ შემთხვევებში მიმართავს მთარგმნელი, განპირობებულია ექსტრატექსტუალური გარემოებებით. ხშირად, თარგმანის რეცეპტორი სხვა ლინგვისტური თუ კულტურული საზოგადოების წევრია და შესაბამისად, მთარგმნელს უხდება სათარგმნ ტექსტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ადაპტაციას მთარგმნელი იყენებს იმისთვის, რომ ლინგვისტური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად, შესძლოს სათარგმნ კულტურაში შეტყობინების გადაცემა. პრაგმატიკულ ადაპტაციას მთარგმნელი მიმართავს იმ მიზნით, რომ გაანეიტრალოს სათარგმნ კულტურაში ეკვივალენტის არარსებობა და დასძლიოს სიტუაციური განსხვავებები. ადაპტაციის მიზანს წარმოადგენს ფორმულირების სხვადასხვა საშუალებების გამოყენების გზით ტექსტის ფუნქციის შენარჩუნება. პრაგმატიკული ადაპტაცია წარმოადგენს თარგმნის სრულფასოვან ტიპს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გარდაუვალია. კონტექსტის მიხედვით, მთარგმნელის მხრიდან დისკურსის ადაპტაცია, ძირითადად, ექსპლიციტ/იმპლიციტის საშუალებით ხორციელდება.

საგაზეთო სტატიების თარგმნის პროცესში უკიდურესად მნიშვნელოვანია ფონური ცოდნა. ფონური ცოდნა მთარგმნელის პროფესიული კომპეტენციის განუყოფელი კომპონენტია. ის ექსტრალინგვისტური ცოდნის ნაწილია და თარგმნის თეორიისა და პრაქტიკისათვის პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც თარგმნის პრაქტიკა აჩვენებს, არასაკმარისი ფონური ცოდნა, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს კომუნიკაციის წარუმატებლობას. ფონურ ცოდნაში, როგორც წესი, მოიაზრება სხვადასხვა ტიპის ცოდნა, რომელიც გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე. ფონური ცოდნა განიხილება, როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილეების საერთო ცოდნა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის დამახასიათებელია რეალიების გამოყენება. თარგმნის თეორიაში რეალიებს უწოდებენ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც მატერიალური კულტურის საგნებს აღნიშნავენ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონკრეტული ერის კულტურასთან. რეალიის მთავარი მახასიათებელი მისი კოლორიტია. რეალიებთან მუშაობის დროს, სწორედ მისი კოლორიტის გადაცემა წარმოადგენს მთარგმნელის ძირითად პრობლემას. ამიტომ

სანამ უშუალოდ თარგმანს დავიწყებდეთ, აუცილებელია, გავიაზროთ იორიგინალის უცნობი რეალია და განვსაზღვროთ, რა ადგილი უკავია მას კონტექსტში.

მთარგმნელი წარმოადგენს ენობრივ და კულტურულ მედიატორს, რომელიც გვეხმარება ინტერკულტურულ კომუნიკაციასა და კულტურული ბარიერების გადალახვაში. უცხო ენის ცოდნა წარმოადგენს პირველ ელემენტს, როდესაც საქმე ეხება მთარგმნელის კვალიფიკაციას. თუმცა, ეს პირობა არ არის საკმარისი თარგმანის განხორციელებისათვის. თარგმანი არის რთული ფენომენი. თარგმნის პროცესში მთარგმნელს უხდება სიტყვების მიღმა უცხო კულტურის გაგება, ადაპტირება და სათარგმნ ენაზე ტრანსპოზიცია. მთარგმნელის მოქმედების არეალი დამოკიდებულია თარგმანის მიზანსა და ტექსტის ხასიათზე. მთარგმნელს ევალება არა მარტო ამოსავალი ტექსტის გაგება და სათარგმნ ენაში შესაბამისი შესატყვისის მოძიება, არამედ სათარგმნ ენაზე ეკვივალენტური ტექსტის შედგენა, რომელიც შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას. მთარგმნელი თავის ფუნქციას ასრულებს იმ შემთხვევაში, თუკი ტექსტი ეხმარება ავტორს თავისი მიზნების მიღწევაში, ახდენს ინფორმაციის გადაცემას, ადრესატების დარწმუნებას და იწვევს მათში ისეთ რეაქციას, როგორიც სურს ავტორს. თარგმნის დროს მთარგმნელი არ ახდენს სიტყვების თანმიმდევრულ თარგმნას, არამედ გადმოსცემს აზრს.

საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტიპის დისკურსების სტილისტური, სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები. საგაზეთო ინფორმაციული მასალები საგაზეთო ტექსტების უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ. ამ ტიპის ტექსტების თარგმანის წარმატებით შესასრულებლად, მთარგმნელი ვალდებულია იცნობდეს საგაზეთო ინფორმაციული სტილის თავისებურებებს. როგორც აღვნიშნეთ, საგაზეთო სტატიებისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების, საგაზეთო შტამპების, პოლიტიკური ტერმინებისა და რეალიების გამოყენება. სათაურის პრაგმატიკული ასპექტების გადმოსაცემად, მთარგმნელს უხდება ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური ტრანსფორმაციების განხორციელება, ეკვივალენტების მოძიება და ახსნა–

განმარტება. შესაბამისად, ნათარგმნი ტექსტი ხშირად გაცილებით უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე ორიგინალი.

ინფორმაციული ტექსტების მთარგმნელებს უხდებათ ისეთი ტექსტების თარგმნა, რომელთა ავტორებიც გამოხატვის მდიდარ საშუალებებს იყენებენ. ამასთან, საგაზეთო სტილი გამოირჩევა სტანდარტიზაციის მაღალი მაჩვენებლით და ბეჭდვითი პრესის ისეთი თავისებურებებით, როგორიცაა: ოფიციალური ტიტულები, საგაზეთო ინფორმაციული მასალის ლექსიკური თავისებურებები და ტერმინების გამოყენება.

ანთროპონიმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგაზეთო სტატიების თარგმნის დროს. ანთროპონიმი ასახელებს, მაგრამ არ მიუთითებს პიროვნების არანაირ თვისებაზე და მის შესახებ არ გვაწვდის არანაირ ინფორმაციას. თუმცა, ის გვაწვდის ინფორმაციას მისი მატარებლის ენობრივ-ნაციონალური კუთვნილებისა და სქესის შესახებ. სამეტყველო პრაქტიკაში, ანთროპონიმების საშუალებით ხდება ადამიანის იდენტიფიცირება. ნებისმიერი უცხოენოვანი სახელის გამოყენება წარმოადგენს ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის აქტს და სწორედ მისი შედეგია ორი ენის სამეტყველო და ენობრივი სისტემის, ორი კულტურულ-ფსიქოლოგიური ტრადიციის ურთიერთქმედება. საკუთარი სახელების გადმოცემის პრობლემა ენათაშორის და კულტურათაშორის კომუნიკაციაში საკმაოდ ძველია. მათ გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემები მუდმივად იჩენს თავს როგორც სუბიექტური, ასევე, ობიექტური მიზეზების გამო. მთავარი ობიექტური შეუსაბამობა, რომელსაც საკუთარი სახელების გადმოცემის სირთულე უკავშირდება, საკუთარი სახელების შიდა თვისებები და სუბიექტური ფაქტორები გახლავთ. რაც შეეხება მიზეზებს, რომელთა გამო ჩნდება საკუთარი სახელების გადმოცემის პრობლემები, ისინი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ენობრივ შუამავლებთან - უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელებთან და ჟურნალისტებთან, რომლებიც ხშირად ვერ აცნობიერებენ პრობლემის სიღრმეებს და არ გააჩნიათ გააზრებული სტრატეგია ენობრივი შუამავლობის პრაქტიკული ამოცანების მოსაგვარებლად.

ორი ენის სემანტიკური და ფორმალური განსხვავებების მიუხედავად, მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა მთარგმნელისაგან მოითხოვს

მრავალრიცხოვანი და თვისობრივად განსხვავებული ენათაშორისი ტრანსფორმაციების განხორციელებას, რათა ნათარგმნი ტექსტი მაქსიმალურად სრულად გადმოსცემდეს ამოსავალ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას სათარგმნი ენის ნორმების მკაცრი დაცვით. ლინგვისტები ხშირად საუბრობენ სემანტიკური კუთხით არსებულ განსხვავებებზე. ეს განსხვავებები, მნიშვნელობების დონეზე, ეხება პირველ ყოვლისა სხვადასხვა ენის სისტემებს. უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ თარგმანისათვის მნიშვნელოვანია არა ცალკეული სიტყვების ან იზოლირებული წინადადებების ეკვივალენტურობა, არამედ სათარგმნი ტექსტის ეკვივალენტურობა.

თარგმანის პროცესის მიმდინარეობასა და შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავარაუდო რეცეპტორის ხასიათი. როგორც წესი, მთარგმნელი ორიენტაციას ახდენს საშუალო დონის მკითხველზე, ვისთვისაც ენათაშორისი კომუნიკაციის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მთარგმნელის ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციით.

თარგმნის პროცესში ყოველთვის ვერ ხდება ორიგინალის ტექსტში მოცემული ყველა მნიშვნელობის აბსოლუტურად სრულად გადმოცემა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმნის პროცესში გარდაუვალია ლექსიკური და სტილისტური დანაკარგები. ინფორმაციული დეფიციტის დასაძლევად, მთარგმნელს მუდმივად უხდება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის შევსება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დისერტაცია თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას ემყარება, კვლევა თარგმნის ლინგვისტური ასპექტების შესწავლით დავიწყეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ თარგმნის ლინგვისტური ასპექტების მნიშვნელობის დაკნინება გაუმართლებელია, ვინაიდან, სწორედ ენა წარმოადგენს იმ მატერიალურ საშუალებას, რომლითაც ხდება ავტორისეული აზრის გადატანა სათარგმნი ენაზე.

წერილობით თარგმანში ერთ-ერთ შეუსაბამობას და დაბრკოლებას წარმოადგენს ამოსავალი ტექსტის ანალიზის გარეშე სათარგმნი ენაზე პირდაპირი ფორმულირება. პირდაპირი გადასვლის შემთხვევაში ტექსტში რჩება ამოსავალი ენის მნიშვნელოვანი ნიშნები. ხშირად, არასწორი თარგმანი გამოწვეულია იმით, რომ მთარგმნელი არ ითვალისწინებს სიტყვების აზრობრივ სტრუქტურებს შორის განსხვავებას,

შეცდომაში შედის ე.წ. მთარგმნელის “ცრუ მეგობრების” გამო და ახორციელებს სიტყვასიტყვით თარგმანს, რომელიც ისეთივე მიუღებელია, როგორც – თავისუფალი თარგმანი. ხშირად მშობლიური ენის ინტერფერენცია იმდენად დიდია, რომ ორიგინალის დისკურსის არსის გაგება წარმოადგენს დიდ საფრთხეს, რადგანაც შესაძლოა სათარგმნ ენაში გამოავლინოს ის სემანტიკური ნიშნები, რაც ორიგინალში არაა მოცემული.

განხილული ფრანგული და ქართული სათაურების თარგმნის სტრატეგიების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. სათაურების თარგმნის ყველაზე გავრცელებული ხერხებია სრული და ნაწილობრივი ტრანსკოდირება, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ამოსავალი ტექსტის სტრუქტურული და ფორმალური თავისებურებების დაცვა შესაძლებელია. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელის ინტერვენციის დონე საკმაოდ დაბალია. სათაური განიცდის მცირე ცვლილებას, თუმცა, უცვლელი რჩება ზოგადი ფორმა და აზრი. არის შემთხვევები, როდესაც სათაურის პრაგმატიკული ასპექტების გადმოცემა სათაურის ხელახალ ფორმულირებას მოითხოვს.
2. ფრანგული და ქართული სათაურების თარგმნის დროს მთარგმნელს ისეთი ხერხების გამოყენება შეუძლია, როგორიცაა: მოდულაცია, მოდიფიკაცია და მუტაცია.
3. სათაურებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება გრამატიკული ელიფსი. ყველაზე ხშირად ფრანგულ სათაურებში გამოტოვებულია ზმნა “Être”-ყოფნა. მთარგმნელმა, რომელიც მუშაობს საგაზეთო სათაურების თარგმანზე, უნდა შეძლოს ელიფსის ამოცნობა და მოახდინოს სათაურის ხელახალი ფორმულირება, სათარგმნ ენაში არსებული წესების გათვალისწინებით.
4. როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ჟურნალისტურ დისკურსში, ძირითადად, აწმყო დრო გამოიყენება, რაც გამოწვეულია როგორც ეკონომიის პრინციპით, ასევე, საგაზეთო სათაურების მთავარი ფუნქციით, რაც ინფორმაციის “აქტუალიზებაში” მდგომარეობს.
5. ფრანგული და ქართული პრესა ფართოდ იყენებს აბრევიატურებს საერთაშორისო ორგანიზაციების აღსანიშნავად.

6. საგაზეთო სათაური შეიძლება იყოს წარმოდგენილი მარტივი და რთული წინადადებით. ქართული გაზეთი უპირატესობას გრძელ სათაურებსა და რთულ კონსტრუქციებს ანიჭებს,
7. ორივე ჟურნალისტური დისკურსი იყენებს ირიბ თქმას.
8. როგორც ფრანგული, ასევე, ქართული პრესა ფართოდ იყენებს ვნებით გვარს.
9. როგორც ფრანგული, ასევე, ქართული პრესა ხასიათდება კლიშეების მაღალი მაჩვენებლით. საგაზეთო კლიშეები მედიატექსტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საგაზეთო სტილი გამოირჩევა სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხითა და სტილისტური თავისებურებებით.
10. პრესაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტური ხერხები, როგორიცაა, მეტაფორა და მეტონიმია.

იმ მსგავსების მიუხედავად, რაც ზოგადად პრესისათვისაა დამახასიათებელი, ფრანგულ და ქართულ საგაზეთო დისკურსში არსებობს გარკვეული განსხვავებებიც:

1. ფრანგულ პრესას ახასიათებს ორწევრიანი სათაურები, რაც ქართულ ჟურნალისტურ ტრადიციაში ნაკლებად გამოიყენება.
2. ფრანგული პრესა, ქართული პრესისაგან განსხვავებით, ცნობილი ადამიანების გვარების შემოკლებულ ფორმებს იყენებს.
3. ფრანგულ სათაურებში ხშირად გამოიყენება ანგლიციზმები. ანგლიციზმებს ქართული პრესაც იყენებს, თუმცა ისინი საგაზეთო სტატიებში უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე სათაურებში.
4. ფრანგულ ჟურნალისტურ დისკურსში ძირითადად აწმყო დრო გამოიყენება. აწმყო დრო გამოიყენება როგორც აწმყო, ასევე წარსული და მომავალი მოქმედებების აღსანიშნავად.
5. ფრანგულ პრესას ახასიათებს წინდებულებიანი ინფინიტივის გამოყენება. წინდებულებიანი ინფინიტივის გამოყენების შემთხვევაში, ქართულ ენაზე თარგმანს კონტექსტი განაპირობებს.
6. ფრანგული პრესისათვის დამახასიათებელია არტიკლის გამოტოვება, რაც წინადადების კომპაქტურობის სურვილით არის გამოწვეული.

7. ფრანგული პრესა ხშირად იყენებს ციტირებას. ციტირების ავტორი, როგორც წესი, მოცემულია წინადადების თავში და შემდეგ, გამოიყენება ორწერტილი და ბრჭყალები, ხოლო ქართულ პრესაში ორწერტილის შემდეგ, როგორც წესი, ბრჭყალები აღარ გამოიყენება.
8. ფრანგულ სათაურებში თანამდებობის პირებზე საუბრის დროს ჯერ იწერება მათი სახელი და გვარი, შემდეგ თანამდებობა. ქართულში კი, პირიქით, ჯერ იწერება თანამდებობა, ხოლო შემდეგ – თანამდებობის პირის სახელი და გვარი.

ზოგადად, რამდენად მისაღებია თარგმანი, განისაზღვრება როგორც მთარგმნელების შეხედულებით, ასევე იმით, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ამ სფეროში დამკვიდრებული პრინციპები. როგორც წესი, მშობლიურ ენაზე თარგმნა, ეს არის ერთადერთი საშუალება, თარგმნო ბუნებრივად, სიზუსტით და მაქსიმალური ეფექტურობით.

თარგმანი არა მარტო ენების, არამედ კულტურების კონტაქტს წარმოადგენს. თარგმანის როლი ხალხთა და კულტურათა კომუნიკაციის პროცესში დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული, არადა, სწორედ თარგმანი წარმოადგენს იმ შუალედურ კვანძს, რომელიც შესაძლებელს ხდის ენათაშორის და კულტურათაშორის კომუნიკაციებს, სწორედ თარგმანის საშუალებით ხორციელდება ნებისმიერი ინტერაქცია და დიალოგი.

დისკუსია/ინტერპრეტაცია

ჩვენი ნაშრომით მოხდა ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების პრაგმატიკული, ლექსიკური და სტილისტური თავისებურებების თარგმნის ხერხების სისტემატიზაცია. ნაშრომის თეორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საგაზეთო სტატიების თარგმნის პროცესში. ნაშრომში მოვახდინეთ იმის ჩვენება, რაოდენ მნიშვნელოვანია საინფორმაციო ჟურნალ-გაზეთებში ექსტრალინგვისტური ცოდნა, სათარგმნი თემატიკის ცოდნა და კონტექსტის მნიშვნელობა. ასევე, ნაჩვენებია ფრანგული და ქართული საგაზეთო სტატიების სათაურების თარგმნის პროცესში ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური ტრანსფორმაციების განხორციელების აუცილებლობა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ დიდ დახმარებას გაუწევს საგაზეთო პოლიტიკურ მასალაზე მომუშავე მთარგმნელებსა და ჟურნალისტებს. ნაშრომის შედეგების გამოყენება შესაძლებელია მთარგმნელობით პრაქტიკაში, კვლევის შედეგები შეიძლება, ასევე, გამოყენებულ იქნეს მთარგმნელობითი ფაკულტეტისა და სინქრონული თარგმანის კურსებზე თარგმნის თეორიის კურსის ფარგლებში.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილ დისერტაციაში ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა ქართული და ფრანგული საგაზეთო სათაურების თარგმნის სტრატეგიების სისტემატიზაცია. საგაზეთო სათაურები აღებულია ავტორიტეტული ფრანგული და ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დაახლოებით 200 სათაური. თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის პოსტულატების საშუალებით წარმოებული კვლევის საფუძველზე, ჩამოვაყალიბეთ სათაურების და, ზოგადად, საგაზეთო მასალის თარგმნის მეთოდები და მთარგმნელობითი სტრატეგიები. საგაზეთო-პუბლიცისტური ტექსტები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სისტემის სახეობა, წარმოადგენს რთულ მოვლენას, მისი მიზნებისა და კომუნიკაციის პირობების არაერთგვაროვნებისა და ექსტრალინგვისტური თავისებურებების გამო, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს საგაზეთო პოლიტიკური მასალების თარგმნის სპეციფიკას. საგაზეთო სათაურების ანალიზის საფუძველზე, ასევე, შევძელით დაგვედგინა ის საერთო ნიშან-თვისებები და განსხვავებები, რომლებიც ახასიათებს ფრანგულ და ქართულ საგაზეთო სათაურებს. ჩვენი კვლევით გვსურს ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ მთარგმნელობით საქმიანობაში.

აუცილებლად მიგვაჩნია, კვლევის გაგრძელება არა მხოლოდ საგაზეთო სათაურების თარგმნის, არამედ ზოგადად საგაზეთო მასალების კვლევის კუთხით. სასურველი იქნებოდა კვლევის გაფართოება და ეკონომიკური და იურიდიული მასალების თარგმნის თავისებურებების შესწავლა თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიის კუთხით, რისი აუცილებლობაც ნამდვილად არსებობს ჩვენს სინამდვილეში და რაც ამ თემატიკაზე მომუშავე მთარგმნელებს რეალურად დაეხმარება.

ბიბლიოგრაფია

1. ბალიაშვილი, ე. 1999. *საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა ზოგიერთი ლინგვისტური თავისებურება*. თბილისი: საენათმეცნიერო ძიებანი, IX,
2. კირვალიძე, ნ. 2008. *გრამატიკის თანამედროვე თეორიები*. თბილისი: ილ. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ლებანიძე, გ. 2004. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: ენა და კულტურა
4. მჭედლიშვილი, ი. 1984. *ჟურნალ-გაზეთების წარმოება და გაფორმება*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
5. საყვარელიძე, ნ. 2001. *თარგმნის თეორიის საკითხები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
6. სელესკოვიჩი, დ. ლედერერი, მ. 2008. *თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი*. თბილისი: ხირონი
7. ჯაში, მ. ჯაში, ქ. 2003. *თარგმნის ტექნიკა*. თბილისი: ლინგვა პლუსი.
8. Abplanalp, L. 2001. *Vers une théorie sémantico-pragmatique pour la traduction*. Göppingen: Kummerle.
9. Archibald, J. 2004. *La Localisation : problématique de la formation*. Montréal : Linguattech.
10. Austin, J.L. 1962. *Quand dire, c'est faire*. Paris : Seuil.
11. Ballard, M. 1984. *La traduction : de la théorie à la didactique*. Lille : Presses Universitaires de Lille
12. -----, 1993. *La traduction à l'université*. Lille : Presses Universitaires de Lille.
13. -----, 1994. *La traduction de l'anglais au français*. Paris : Nathan.
14. -----, 1996. *Niveaux de langue et registres de la traduction*. Paris : Presses de la Sorbonne Nouvelle.
15. Ballard, M. et Kaladi, El-A. 2003. *Traductologie, linguistique et traduction*. Arras: Artois Presse Université.
16. -----, 2005. *La traduction, contact de langue et de culture*. Arras: Artois. Presses Université.
17. -----, 2006. *Qu'est-ce que la traductologie?* Arras: Artois Presse Université

18. Barthes, R. 1964. *Essais critiques*. Paris : Seuil.
19. Bedard, C. 1986. *La traduction technique*. Montréal : Linguattech.
20. Berman, A. 1995. *Pour une critique des traductions : John Donne*. Paris : Gallimard.
21. Bernard, C. 1954. *Introduction à l'étude de la médecine expérimentale*. Paris : Les éditions de l'École.
22. Bouillon, P. Clas, A. 1993. *La Traductique : études et recherches de traduction par ordinateur*. Montréal : Presses de l'université de Montréal.
23. Brauns, J. 1981. *Comprendre pour traduire : perfectionnement linguistiques en français*. Paris : La Maison du Dictionnaire.
24. Calvet, L.J. 1999. *La Guerre des langues et les politiques linguistiques*. Paris : Hachette.
25. Cary, E. 1956. *La Traduction dans le monde moderne*. Geneve : Georg.
26. -----, 1963. *Les grands traducteurs français*. Genève : Librairie de l'Université Georg & Cie.
27. -----, 1986. *Comment faut-il traduire (cours de 1958)*. Paris: Presses universitaires de Lille.
28. Cervoni, J. 1991. *La préposition. Etude sémantique et pragmatique*. Louvain-la-Neuve : Duculot.
29. Charadeau, P. 1983. *Langage et discours, Eléments de sémiolinguistique (théorie et pratique)*. Paris : Hachette.
30. -----, 2005. *Les médias et l'information. L'impossible transparence du discours*. Bruxelles: Editions de Boeck.
31. -----, 2007. *Le discours politique. Les masques du pouvoir*. Paris : Vuibert
32. Chuquet, H. 1990. *Pratique de la traduction*. Gap : Ophrys.
33. Chuquet, H. Paillard, M. 1987. *Approche linguistique des problèmes de traduction anglais-français*. Paris : Ophrys.
34. Chuquet, H. Paillard, M. 1987. *Approche linguistique des problèmes de traduction anglais-français*. Paris : Ophrys.
35. Cloutier J. 1973. *La communication audio-scripto-visuelle a l'heure des self-media*. Montréal : Presses de l'Université de Montréal.
36. Cordonnier, J-L. 1995. *Traduction et culture*. Paris : Hatier/Didier.
37. D'hulst, L. 1990. *Cent ans de théorie française de la traduction. De Batteux à Littré*. Lille: Presses Universitaires de Lille.
38. Dancette, J. 1998. *Parcours de traduction*. Lille : Presses Universitaires de Lille.

39. Deledalle, G. 1979. *Théorie et pratique du signe. Introduction à la Sémiotique de Charles S. Peirce*. Paris : Minuit.
40. Delisle J. *Portraits de traducteurs*. Ottawa : 1999.
41. -----, 1982. *L'analyse du discours comme méthode de traduction initiation — la traduction française de textes pragmatiques anglais; Théorie et pratique*. Ottawa : Éditions de l'Université d'Ottawa.
42. -----, 1985. *L'analyse du discours comme méthode de traduction*. Ottawa : Presses de l'Université d'Ottawa.
43. -----, 1987. *La Traduction au Canada (1534-1984)*. Ottawa: University of Ottawa Press.
44. -----, 2003. *La Traduction raisonnée*. Ottawa : Presses de l'université d'Ottawa.
45. Delisle, J. Woodsworth, J. 1995. *Les traducteurs dans l'histoire*. Ottawa : Presses de l'Université d'Ottawa.
46. -----, 1981. *L'enseignement de l'interprétation et de la traduction: de la théorie à la pédagogie*. Ottawa : Editions de l'Université d'Ottawa.
47. Ducrot O. et al. 1980. *Les mots du discours*. Paris : Editions de Minuit
48. -----, 1980. *Les Échelles argumentatives*. Paris : Les Editions de Minuit.
49. -----, 1984. *Le Dire et le dit*. Paris : Les Editions de Minuit.
50. Durieux, C. 1988. *Fondement didactique de la traduction technique*. Paris : Didier Erudition.
51. Eco, U. 1992. *La production des signes*. Paris: Librairie Générale Française.
52. -----, 2007. *Dire Presque la même chose : expériences de traduction*. Paris: Grasset.
53. Flamand, J. 1983. *Écrire et traduire : sur la voie de la création*. Ottawa : Éditions du Vermillon.
54. Galisson, R. 1991. *De la langue à la culture par les mots*. Paris : CLE international.
55. Garnier, G. 1985. *Linguistique et traduction*. Caen : Paradigme.
56. Gaudin, F. 2003. *Socioterminologie, une approche sociolinguistique de la terminologie*. Bruxelles: Duculot De Boeck.
57. Gauthier, G. 1994. La métaphore guerrière dans la communication politique <http://sites-test.uclouvain.be/rec/index.php/rec/article/viewFile/341/321>
58. Ghiglione, R. Trognon, A. 1993. *Où va la pragmatique? De la pragmatique à la psychologie sociale*. Grenoble: Presses universitaires de Grenoble.

59. Gile, D. 1995. *Regards sur la recherche en interprétation de conférence*. Lille : Presses Universitaires de Lille.
60. -----, 2005. *La traduction, la comprendre, l'apprendre*. Paris: Presses Universitaires de France.
61. Gogenmos, T. 2001. *La traductologie russe (théorie, pratique, enseignement):ses apports et ses limites*. Villeneuve d'Ascq : Presses Universitaires du Septentrion.
62. Grellet, F. 1991. *Apprendre à traduire*. Nancy : Presses Universitaires de Nancy.
63. Guidère, M. 2008. *Introduction à la traductologie*. Bruxelles : Groupe De Boeck s.a.
64. -----,2000. *Publicité et traduction*. Paris : L'Harmattan.
65. Haas, C.R. 1958. *La publicité. Théorie, pratique et technique*. Paris: Dunod.
66. Hoek, L. 1981. *La marque du titre*. La Haye: Mouton.
67. Horguelin, P. 1981. *Anthologie de la manière de traduire*. Montréal : Linguattech.
68. Israël, F. Lederer, M. 2005. *La Théorie Interprétative de la Traduction - Genèse et développement*. Paris-Caen : Lettres Modernes Minard.
69. -----,1991. *La liberté en traduction*. Paris : Didier Erudition.
70. Kambaja Musampa, E. 2009. *Approche pragmatique et son application au processus de la traduction français – ciluba. Cas de la constitution de la 3ème République en R.D.Congo*. Promoteur : Maurice Muyaya Wetu, Professeur Ordinaire.
71. Kleiber, G. 1999. *Problèmes de Sémantique. Polysémie en questions*. Villeneuve d'Ascq : Presses universitaires du Septentrion.
72. Koller, W. 1989. *Equivalence in translation theory*. In A. Chesterman (Ed.).
73. Ladmiral, J.R. 1979. *Traduire : théorèmes pour la traduction*. Paris : Payot.
74. Ladmiral, L.R. Lipiansky, E.M. 1995. *La communication interculturelle*. Paris : Armand Colin.
75. Lakoff, G. Johnson, M. 1985. *Les Métaphores dans la vie quotidienne*. Paris : Editions de Minuit.
76. Laplace, C. 1994. *Théorie du langage et théorie de la traduction les concepts clefs de trois auteurs, Kade (Leipzig), Coseriu (Tubingen), Seleskovitch (Paris)*. Paris : Didier Erudition.
77. Larose, R.1989. *Théories contemporaines de la traduction*. Québec : Presses de l'Université du Québec.
78. Laufer, R.1972. *Introduction à la textologie. Vérification, établissement, édition des textes*. Paris : Librairie Larousse.
79. Lavault, E. 1998. *Fonction de la traduction en didactique des langues*. Paris: Didier.

80. -----2007. *Traduction spécialisée : pratiques, théories, formations*. Bern : Éditions scientifiques internationales.
81. Lecolle, M. 2001. *Métonymie dans la presse écrite : entre discours et langue*. *TRANEL* 34/35 : Actes du colloque "Le changement linguistique. Évolution, variation, hétérogénéité", pp. 153-170.
82. Lederer, M. 2006. *Le sens en traduction*. Caen : Lettres modernes Minard.
83. -----1981. *La traduction simultanée □ expérience et théorie*. Paris : Minard Lettres.
84. -----1989. *Pédagogie raisonnée de l'interprétation*. Paris: Didier Érudition.
85. -----1990. *Études traductologiques*. Paris : Minard Lettres Modernes.
86. -----1994. *La traduction aujourd'hui - le modèle interprétatif*. Paris : Hachette
87. Lerose, R. 1989. *Theories contemporaines de la traduction*. Quebec : Presses de l'Université de Quebec.
88. Maingueneau, D. 1976. *L'analyse du discours*. Paris: Hachette.
89. Martinet, A. 1985. *Syntaxe générale*. Paris : Colin.
90. Meunier, J.P. 2003. *Approches systématiques de la communication : systémisme, mimétisme, cognition*, Bruxelles, De Boeck.
92. Moeschler, J. 1996. *Théorie pragmatique et pragmatique conversationnelle*. Paris : Armand Colin.
93. Mompert, G.1982. *Los titulares en prensa*. Barcelona: Mitre.
94. Mounin, G. 1963. *Les problèmes théoriques de la traduction*. Paris: Gallimard.
95. -----, 1976. *Linguistique et traduction*. Bruxelles : Dessert et Mardaga.
96. -----, 1994. *Les belles infidèles*. Lille : Presses universitaires de Lille.
97. Newemark, P. 1982. *Approaches to translation*. Oxford-New York : Pergamon.
98. ----- .1988. *A Textbook of Translation*. London :Prentice Hall.
99. Nida, E.1975. *Language Structure and Translation*. Stanford : Stanford University Press.
100. Oseki-Dépré, I. 1999. *Théories et pratiques de la traduction littéraire*. Paris : Armand Colin.
101. Ostra, R. 1979. *L'interprétation sémantique dans la traduction*. Sbornik Praci Filozoficke Fakulty Brněnske Univerzity Studia Minora Facultatis Philosophicae Universitatis Brunensis. L 1 — ERB 10.
102. Peeters, J. 2006. *La traduction; de la théorie à la pratique et retour*. Rennes : Presses universitaires de Rennes.

103. Pergnier, M. 1978. *Les fondements sociolinguistiques de la traduction*. Paris : Librairie Honore Champion.
104. Plassard, F. 2007. *Lire pour Traduire*. Paris : Presses de la Sorbonne Nouvelle.
105. Pym, A. 1997. *Pour une éthique du traducteur*. Arras: Artois Presses Université.
106. Rastier, F. 1996. *Sémantique interprétative*. Paris : Presses Universitaires de France.
107. Reboul, A. Moeschler, J. 1998. *La pragmatique aujourd'hui : une nouvelle science de communication*. Paris : Editions du Seuil.
108. -----, 1998. *Pragmatique du discours. De l'interprétation de l'énoncé à l'interprétation du discours*. Paris : Armand colin.
109. Reboul, O. 1984. *La rhétorique*. Paris : Presses Universitaires de France.
110. Recanati, F. 1981. *Les Énoncés performatifs. Contribution à la pragmatique*. Paris : Editions de Minuit.
111. Reed, S.1999. *Cognition: théories et applications*. Bruxelles : De Boeck.
112. Reiss, K. 2009. *Problématiques de la traduction*. Paris: Economica.
113. Ricoeur, P.1975. *La métaphore vive*. Paris : Edition du Seuil.
114. -----, 2004. *Sur la traduction*. Paris: Beyard.
115. Sarfati, G. E.2005. *Précis de pragmatique*. Paris: Armand colin.
116. -----, 2007. *Éléments d'analyse du discours*. Paris : Armand Colin.
117. Seleskovich D. Lederer M. 200. *Interpréter pour traduire*. Paris: Didier Érudition,
118. Seleskovitch, D. 1975. *Langage, Langues et Mémoire, Étude de la prise de notes en consécutive*. Paris : Minard Lettres Modernes.
119. -----, 1983. *L'interprète dans les conférences internationales, problèmes de langage et de communication*. Paris : Minard Lettres Modernes.
120. -----, 1989. *Pédagogie raisonnée de l'interprétation*. Paris : Didier Érudition.
121. Steiner, G. 1978. *Après Babel. Une poétique du dire et de la traduction*. Paris : Albin.
122. Taber, C. Nida, E. 1971. *La traduction : théorie et méthode*. Londres : Alliance.
123. Tatilon, C. 1986. *Traduire, pour une pédagogie de la traduction*. Toronto : Éditions du GREF.
124. Van Hoof, H. 1991. *Histoire de la traduction en occident*. Paris - Louvain-la-Neuve : Éditions Duculot.
125. Vegliante, J.C. 1991. *D'écrire la traduction*. Paris : Université de la Sorbonne Nouvelle.
126. Vinay, J.P. Darbenlet, J. 1977. *Stylistique comparée du français et de l'anglais*. Paris: Didier Erudition.

127. Weeksteen, C. Kaladi, A-El. 2007. *La traductologie dans tous ses états*. Arras : Artois presses Université.
128. Арутюнова, Н.Д. Падучева, Е.В. 1985. *Истоки, проблемы и категории прагматики. // Новое в зарубежной лингвистике*. Вып. 16. Лингвистическая прагматика. Москва: Прогресс,
129. Арутюнова, О.С. 1976. *Предложение и его смысл*. Москва: Наука,
130. Бархударов, Л.С. 1975. *Язык и перевод*. Москва: Международные отношения.
131. Бахтин, М.М. 1979. *К методологии гуманитарных наук // Эстетика словесного творчества*. Москва: Искусство.
132. Бреус, Е.В. 2003. *Теория и практика перевода с английского на русский*. Москва: УРАО.
133. Валгина, Н.С. 1998. *Теория текста: Учеб. пособие*. Москва: Мир книги.
134. Ван Дейк, Т.А. 1989. *Язык. Познание. Коммуникация*. Москва : Прогресс.
135. Вачнадзе Г. 1989. *Всемирное телевидение. Новые средства массовой информации, их аудитория, техника, бизнес политика*. Тбилиси: Ганатлеба.
136. Верещагин, Е.М. Костомаров, В.Г. 1990. *Язык и культура: Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного*. Москва: Русский язык.
137. Виноградов, В. С. 1996. *Язык газеты в аспекте культуры речи // Культура русской речи и эффективность общения*. Москва : Наука.
138. -----, 2001. *Введение в переводоведение (общие и лексические вопросы)*. Москва : Издательство института общего среднего образования РАО
139. Влахов, С. Флорин С. 1986. *Непереводимое в переводе*. Москва : Высшая школа.
140. Гальперин, И.Р. 1976. *О принципах семантического анализа стилистически маркированных отрезков текста // Принципы и методы семантических исследований*. Москва: Наука.
141. -----, 1981. *Текст как объект лингвистического исследования*. Москва: Наука.
142. Грачев, А. 2004. *Политическая коммуникация: теоретические концепции, модели, векторы развития*. Москва: Прометей.
143. Грушин, Б. 1979. *Эффективность массовой информации и пропаганды: понятие и проблемы измерения*. Москва: Знание.
144. Демьянков, В.З. 2003. *Интерпретация политического дискурса в СМИ // Язык СМИ как объект междисциплинарного исследования*. Москва: МГУ.
145. Дмитриев, А. Латынов В. 2000. *Массовая коммуникация: пределы политического влияния*. Москва: ИМА-пресс.

146. Добросклонская, Т.Г. 1986. *Вопросы изучения медиатекстов*. Москва: Едиториал.
147. Ермолович, Д. 1996. *Основы профессионального перевода*. Москва: РОУ.
148. -----, 2001. *Имена собственные на стыке языков и культур*. Москва: Р.Валент
149. Засурский, Я. Вартанова, Е. Засурский, И. 2002. *Средства массовой информации постсоветской России: Учебное пособие*. Москва: Аспект Пресс.
150. Земская, Е.А. 1996. *Цитация и виды ее трансформации в заголовках современных газет // Поэтика. Стилистика. Язык и культура*. Москва : Наука.
151. Каменская, О.Л. 1990. *Текст и коммуникация*. Москва: Высшая школа.
152. Карасик, В.И. 1992. *Язык социального статуса*. Москва: Волгоград.
153. Клушина, Н.И. 2003. *Общие особенности публицистического стиля // Язык СМИ как объект междисциплинарного исследования*. Москва: МГУ.
154. Комиссаров, В. Н 1999. *Общая теория перевода*. Москва : РАО
155. -----, 1990. *Теория перевода (лингвистические аспекты)*. Москва: Высшая школа.
156. -----, 1997. *Теоретические основы методики обучения переводу*. Москва: Высшая школа.
157. -----, 2002. *Лингвистическое переводоведение в России*. Москва: ЭТС
158. -----, 2003. *Что такое «усредненный рецептор перевода»? // Перевод и переводческая компетенция*. Курск: РОСИ.
159. -----, 2000. *Современное переводоведение*. Москва: ЭТС.
160. Коробейников, В. 1986. *Эффективность средств массовой информации*. Минск: Наука и техника.
161. Крупнов В.Н. 1984. *Пособие по общественно-политической лексике и официально-деловой лексике*. Москва: Высшая школа.
162. Крюков, А.Н. 1988. *Фоновые знания и языковая коммуникация // Этнопсихоллингвистика*. Москва: Наука
163. Кузнецов, И. 2002. *История отечественной журналистики (1917-2000)*. Москва : Аспект Пресс.
164. Кухаренко, В.А. 1988. *Интерпретация текста*. Москва: Просвещение.
165. Лазарева, Э. А. 1989. *Заголовок в газете*. Свердловск: Изд-во Урал. ун-та
166. Левицкая, Т.П. Фитерман, А.М. 1963. *Пособие по переводу с английского языка на русский*. Москва.: Высшая школа.
167. Макарова, Л.С. Долуденко, Е.А. 2008. *Материалы по курсу теории и практики перевода*. Майкоп: Изд-во АГУ.

168. Миньяр-Белоручев, Р.К. 1994. *Как стать переводчиком*. Москва: Стелла,
169. -----, 1996. *Теория и методы перевода*. Москва: Московский Лицей.
170. Назаров, М. 1999. *Массовая коммуникация в современном мире: методология анализа и практика исследований*. Москва : МГУ.
171. Падучева, Е.В. 1985. *Высказывание и его соотнесенность с действительностью*. Москва: Наука.
172. Руччи, М. 1996. *Перевод – письменный и устный: языковая компетенция и психологические процессы // Актуальные проблемы преподавания перевода и иностранных языков в лингвистическом вузе*. Сб. науч. тр / Моск. гос. лингв. ун-т
173. Томахин, Г.Д. 1988. *Реалии-американизмы: Пособие по страноведению*. Москва: Высшая школа.
174. Федоров, А.В. 1953. *Введении в теорию перевода*. Москва: литература на иностранных языках
175. -----, 1983. *Основы общей теории перевода*. Москва: Высшая школа.
176. Формановская, Н.И. 1998. *Коммуникативно-прагматические аспекты единиц общения*. Москва: Институт им. А.С. Пушкина.
177. Фурманова, В.П. 1994. *Межкультурная коммуникация и лингвокультуроведение в теории и практике*. Саранск: Изд-во Мордов. ун-та.
178. Швейцер, А.Д. 1973. *Перевод и лингвистика*. Москва: Воениздат.
179. Alexandris, C. 2004. *Translational Issues in the Sublanguage of Written and Spoken Journalistic Texts in Modern Greek*. Maria Sidiropoulou & Anastasia Papacostantinou (eds), *Choice and Difference in Translation. The Specifics of Translation*. The National and Kapodistrian University of Athens, 287-307.
180. Arrowsmith, W. Roger, S. 1961. *The Craft and Context of Translation*. Austin: U Texas Press,
181. Baker, M. 1992. *In Other Words: A Coursebook on Translation*. London/New York: Routledge
182. Barnstone, W. 1993. *The Poetics of Translation: History, Theory, Practice*. New Haven : Yale University Press.
183. Bassnet, S. 1980. *Translation studies*. London and New York: Routledge
184. Bassnet, S. Lefevere, A. 1990. *Translation, History, and Culture*. London: Pinter Publishers.
185. Bassnett-McGuire, S. 1980. *Translation Studies*. London: Methuen.
186. Bell, R. T. 1991. *Translation and translating: theory and practice*. London: Longman.

187. Brower, R. 1974. *Mirror on Mirror. Translation, Imitation, Parody*. Cambridge: Harvard University Press.
188. Catford, J. A. 1965. *Linguistic Theory of Translation*. London : Longman
189. -----, 1965. *A Linguistic Theory of Translation: An Essay in Applied Linguistics*. Oxford University Press
190. Fawcett, P.D. 1997. *Translation and language: linguistic theories Explained*. Manchester: St. Jerome.
191. Gambier, Y. 1998. *Translating for the Media*. Papers from the International Conference, Languages & the Media. University of Turku: Centre for Translation and Interpreting.
192. Gentzler, E. C1993. *Contemporary Translation Theories*. London and New York: Routledge.
193. Hardwick, L. 2000. *Translating Words, Translating Culture*. London: Duckworth.
194. Hatim, B. Mason, I. 1997. *The Translator as Communicator*. London: Routledge.
195. -----, 1990. *Discourse and the Translator*. London: Longman.
196. Hatim, B. 2001. *Teaching and Researching Translation*. Harlow : Longman.
197. Hermans, T. 1999. *Translation in Systems. Descriptive and System-Oriented. Approaches Explained*. Manchester: St. Jerome Publishing
198. Holmes, J. S. 1970. *The Nature of Translation: Essays in the Theory and Practice of Literary Translation*. The Hague: Mouton.
199. -----, 1988. *Papers on Literary Translation and Translation Studies*. Amsterdam: Rodopi.
200. -----, 1978. *Literature and Translation: New Perspectives in Literary Studies*. Leuven: Acco.
201. House, J. 1977. *A Model for Translation Quality Assessment*. Tübingen: Gunter Narr.
202. Jakobson, R. 1959. *On linguistic aspects of translation*. Cambridge Mass: Harvard University Press.
203. Katan, D. 1999. *Translating cultures: an introduction for translators, interpreters and mediators*. Manchester: St. Jerome.
204. Koller, W. 1989. *Equivalence in Translation Theory*. Helsinki: Finn Lectura
205. Leuven-Zwart, K. 1989. *Translation and Original: Similarities and Dissimilarities, Target 1:2*, Amsterdam: John Benjamins.
206. Mackey, W.F. 1976. *Bilinguisme et contact de langues*. Paris: Klincksieck.
207. Neubert, A. 1968. *Pragmatische Aspekte der Übersetzung*. Leipzig: VEB Verlag Enzyklopadie.

208. Newmark, P. 1988. *A Textbook of Translation*. New York/London: Prentice Hall.
209. Nida, E. Taber, C.R. 1969. *The Theory and Practice of Translation*. Leiden: E. J. Brill.
210. Nida, E. 1964. *Toward a Science of Translating*. Leiden: E. J. Brill.
211. Niranjana, T. 1992. *Sitting Translation: History, Poststructuralism, and the Colonial Context*. Berkeley, CA: University of California Press.
212. Nord, C. 1995. *Text-functions in Translation: Titles and Headings as a Case in Point*, *Target* 7 (2): 261-284, Amsterdam: John Benjamins.
213. Pym, A. 1995. *European Translation Studies, Une science qui dérange, and Why Equivalence Needn't be a Dirty Word*. in *Traduction, Terminologie, Rédaction (TTR)*, n8(1), pp. 153-176.
214. Toury G. 1980. *In Search of a Theory of Translation*. TelAviv: Porter Institute
215. -----, 1995. *Descriptive Translation Studies and Beyond*. Amsterdam : John Benjamins
216. Vermeer, H.J. 2000. *Skopos and Commission in Translational Action, in Venuti(ed), The Translation Studies Reader*. London: Routledge

გამოყენებული ელექტრონული წყაროები

217. <http://www.km.ru/referats/AF3289B6A519414F8187B5D2D506993B>
218. http://perevods.com.ua/katalog/?adv_id=24
219. <http://evartist.narod.ru/text12/12.htm>
220. <http://referat.ru/referats/view/13815>
221. www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc
222. <http://lisa.revues.org/119>
223. http://www.classes.ru/grammar/43.Teoriya_perevoda_Lingvicticheskiye_aspekty/extfile/help2/html/unnamed_68.html
224. <http://www.erudit.org/revue/meta/1970/v15/n2/002478ar.pdf>
225. readeralexey.narod.ru/.../1.2_Translation_History_Modern.doc
226. <http://www.erudit.org/revue/meta/1987/v32/n4/003958ar.pdf>
227. http://samlib.ru/w/wagapow_a_s/kazakova.shtml
228. www.e-magazine.meli.ru/Vipusk_14/179_v14_litvinova_B.doc
229. <http://www.erudit.org/revue/meta/1999/v44/n1/002225ar.pdf>

230. http://www.classes.ru/grammar/_109.Komissarov_Sovremennoe_perevodovedenie/html/8-.html
231. <http://library.rsu.edu.ru/archives/6998>
232. www.mgimo.ru/files2/.../6eba27998ed2bdec02f5d8acde191ee3.doc
233. lingvu.ru/phpsqlitecms/files/background.doc
234. <http://fridge.com.ua/2010/10/chto-takoe-fonovyye-znaniya-i-zachem-oni-nuzhnyi/>
235. <http://referat.ru/referats/view/23656>
236. <http://rudocs.exdat.com/docs/index-128594.html>
237. http://hal-confremo.archives-ouvertes.fr/docs/00/59/95/78/PDF/LA_na_Menhem-version_finale-2_dec_2010.pdf
238. <http://evartist.narod.ru/text12/15.htm>
239. <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>
240. <http://lib.tr200.net/v.php?id=100476&sp=1>
241. <http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>
242. <http://www.translationdirectory.com/article1135.htm>
243. www.dom-rggu.ru/UserFiles/metod_rec.doc
244. <http://dea.isachenko.free.fr>
245. http://www.rfi.fr/lffr/articles/102/article_2427.asp
246. http://www.rfi.fr/actufr/articles/101/article_66386.asp
247. http://www.rfi.fr/lffr/articles/102/article_2427.asp
248. <http://www.phil.muni.cz/plonedata/wurj/erb/volumes-01-10/ostra79.pdf>
249. <http://dialnet.unirioja.es/descarga/articulo/1011557.pdf>
250. http://dtil.unilat.org/XIseminariofct_ul/gormezano.htm
251. http://hal-confremo.archives-ouvertes.fr/docs/00/59/95/78/PDF/LA_na_Menhem-version_finale-2_dec_2010.pdf
252. http://dtil.unilat.org/XIseminariofct_ul/gormezano.htm
253. <http://www.bdue.de/append/mdue/MDueculture.pdf>
254. <http://evartist.narod.ru/text12/03.htm>
255. http://ressources-cla.univ-fcomte.fr/gerflint/Mekong1/dinh_hong_van.pdf
256. <http://dea.isachenko.free.fr/>
257. http://samlib.ru/w/wagapow_a_s/breus-th-pr.shtml
258. <http://naub.oa.edu.ua/2012/k-voprosu-o-probleme-ekvyvalentnosty-y-adekvatnosty-perevoda-nauchno-tehnicheskikh-termynov/>
259. <http://library.durov.com/Komissarov-089.htm>
260. [file://localhost/C:/DOCUME~1/Admin/LOCALS~1/Temp/Rar\\$EXa0.285/KA3AKOB A%20T_%20A.htm](file://localhost/C:/DOCUME~1/Admin/LOCALS~1/Temp/Rar$EXa0.285/KA3AKOB A%20T_%20A.htm)

გამოყენებული ენციკლოპედიები და ლექსიკონები:

261. თოფურია, ვ. და ივ. გიგინეიშვილი. 1968. ქართული ორთოგრაფიის ლექსიკონი. თბილისი : განათლება.
262. Charaudeau, P. et Maingueneau, D. 2002. *Dictionnaire d'analyse du discours*,
263. *Le nouveau Petit Robert, Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française (1993), texte remanié et amplifié sous la direction de Josette Rey-Debove et Alain Rey. Paris : Dictionnaires Le Robert.*
264. DUBOIS, J. ET alii. 1973. *Dictionnaire de linguistique*. Paris : Larousse.
265. Большой Энциклопедический Словарь Языкознания. 1998. Главный ред. Ярцева, В.Н. Москва: Большая Российская энциклопедия. .
266. Лингвистический энциклопедический словарь; ред. Ярцева, В.Н.; 1990. М Москва: Советская Энциклопедия,
267. Словарь лингвистических терминов./Сост.О.С. Ахманова. - Москва: Советская энциклопедия, 1969

დანართი

საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურები

- Mali: l'ONU réticente à s'engager sur le terrain (Le Figaro 25/01/2013) - გაერო მალის კონფლიქტში ჩართვას არ ჩქარობს.
- La méthode Cameron laisse l'Europe perplexe (Le Figaro 24/01/2013) - ბრიტანეთის პრემიერის პოზიციამ ევროპის ლიდერები გაურკვევლობაში ჩააგდო.
- Mali: l'armée française progresse vers le nord, Ayrault écarte le "risque d'enlèvement" (Le Monde 25.01.2013) - საფრანგეთის არმია მალის ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის კონფლიქტში ჩათრევას გამორიცხავს.
- La France n'a pas à rougir de défendre ses intérêts au Mali (Le Monde 24.01.2013) - მაღიში საკუთარი ინტერესების დასაცავად საფრანგეთს თავის მართლება არ უნდა მოუწიოს.
- Paris et Berlin célèbrent leurs nocces d'or, oubliant les difficultés (Le Monde 22.01.2013) - საფრანგეთი და გერმანია ელისეს ხელშეკრულების 50 წლისთავს აღნიშნავენ.
- Le Guatemala renoue avec ses vieux démons²⁸³- გვატემალა კრიმინალურ წარსულს უბრუნდება.
- Merkel à rude épreuve électorale (Le Figaro 11/05/2012) - მერკელს რთული არჩევნები ელოდება
- Mines, attentat-suicide: les prémices d'une irakisation du conflit au Mali (Le Figaro 08/ 02/2013) - ტერორისტული აქტები და აფეთქებული ნაღმები იმის რისკს აჩენს, რომ მალის კონფლიქტი ერაყის კონფლიქტს დაემსგავსოს / ტერორისტული აქტები და აფეთქებული ნაღმები მალის კონფლიქტის გამწვავების საფრთხეს ქმნის.

²⁸³ <http://america-latina.blog.lemonde.fr/2013/01/21/>

- Élection régionale en Allemagne: Merkel désavouée²⁸⁴ - გერმანიის რეგიონალურ არჩევნებში მერკელის პარტიამ მარცხი განიცადა / რეგიონალურ არჩევნებზე ანგელა მერკელის პარტიამ ოპოზიციასთან წააგო.
- Des élections législatives scrutées à la loupe se tiennent en Géorgie (Le Monde 01.10.2012) - საქართველოში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებს მთელი მსოფლიო დიდი ყურადღებით აკვირდება.
- Dans la Russie de Vladimir Poutine et Dmitri Medvedev, présidents interchangeables²⁸⁵ - მედვედევა და პუტინმა თანამდებობები გაცვალეს / პუტინის და მედვედევის რუსეთში, პრემიერმა და პრეზიდენტმა თანამდებობები გაცვალეს.
- Affaire Magnitsky, un parfum de guerre froide²⁸⁶ - მაგნიტსკის საქმემ ჰაერში ცივი ომის სურნელი დაატრიალა.
- TUNISIE. "France dégage" : les islamistes d'Ennahda manifestent²⁸⁷ - მმართველი პარტია ენაჰდას მომხრეებმა ტუნისში ანტიფრანგული დემონსტრაცია გამართეს.
- MALI "Le retrait sera imposé par la réalité du terrain"²⁸⁸ - ფრანგი ჯარისკაცების მაღიდან გასვლას სიტუაცია განაპირობებს / ფრანგი ჯარისკაცების მაღიდან გასვლა სიტუაციით იქნება განპირობებული.
- L'ambassadeur d'Irak convoqué pour évoquer Nadir Dendoune²⁸⁹ - საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაკავებული ჟურნალისტის საკითხის განსახილველად ერაყიდან ელჩი გამოიწვია.
- TUNISIE. Meurtre d'un responsable de l'opposition: "un tournant grave"²⁹⁰ - ოპოზიციის ლიდერის მკვლელობამ ტუნისში სიტუაციის გაუარესება გამოიწვია.
- En Egypte, les Black Bloc détrônent les révolutionnaires²⁹¹ - ანარქისტულმა ორგანიზაცია Black Bloc-მა ტრადიციული ეგვიპტელი რევოლუციონერების ადგილი დაიკავა.

²⁸⁴ <http://www.humanite.fr/496406>

²⁸⁵ <http://www.tv5.org/cms/chaine-francophone/info>

²⁸⁶ <http://www.tv5.org/cms/chaine-francophone/info/Les-dossiers-de-la-redaction/Affaire-Magnitsky/p-23999>

²⁸⁷ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130209.OBS8359/>

²⁸⁸ <http://tempsreel.nouvelobs.com/guerre-au-mali/20130206.OBS7928/>

²⁸⁹ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130207.OBS8166/>

²⁹⁰ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130206.OBS7861/>

- Cybersécurité : Le Pentagone va muscler son jeu²⁹² - ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტმა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა.
- Les Français ne veulent plus de la Grande-Bretagne dans l'UE²⁹³ - დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენა ფრანგების უმრავლესობას აღარ სურს.
- Budget européen : David Cameron brandit la menace du veto pour s'attirer les faveurs de l'opinion²⁹⁴ - დევიდ კემერონი ევროპის ბიუჯეტზე ვეტოს უფლების შესაძლო გამოყენებით ბრიტანელების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს.
- Législatives en Israël: le poids des indécis²⁹⁵ - ისრაელის საპარლამენტო არჩევნების დაწყებამდე, ძირითადი პოლიტიკური პარტიები "შუაშისტების" მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ / ისრაელის საპარლამენტო არჩევნები: "შუაშისტების" ფაქტორი.
- Ban Ki-moon appelle la Syrie à mettre en œuvre ses engagements²⁹⁶ - გაეროს გენერალური მდივანი სირიის ხელისუფლებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ მოუწოდებს.
- La situation en Grèce fait plonger les Bourses²⁹⁷ - საბერძნეთში შექმნილი სიტუაცია მსოფლიო ბირჟებზე უარყოფითად აისახა.
- La Syrie dénonce la partialité flagrante du médiateur Lakhdar Brahimi²⁹⁸ - სირიის ხელისუფლება საერთაშორისო მედიატორის აშკარა მიკერძოებულობას გამოხატავს.
- Amnesty dénonce le silence de l'Otan sur les civils tués en Libye²⁹⁹ - ორგანიზაცია Amnesty International-ი ლიბიაში სამოქალაქო პირების დაღუპვის ფაქტზე ნატოს უმოქმედობას გამოხატავს / აკრიტიკებს.

²⁹¹ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130129.OBS6972/>

²⁹² <http://obsession.nouvelobs.com/hacker-ouvert/20130128.OBS6847/>

²⁹³ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130126.OBS6801/>

²⁹⁴ <http://www.latribune.fr/actualites/economie/union-europeenne/20121031trib000728279/>

²⁹⁵ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130122.OBS6137/>

²⁹⁶ <http://www.un.org/apps/newsFr/storyF.asp?NewsID=27886#.URd5u0fcj9U>

²⁹⁷ <http://www.la-croix.com/Actualite/Monde/>

²⁹⁸ <http://www.lorientlejour.com/category/Dernieres+Infos/article/795585>

²⁹⁹ <http://www.la-croix.com/Actualite/>

- François Hollande, totalement dépassé par l'explosion du chômage (Le Figaro 28 /11/2012) - საფრანგეთის პრეზიდენტი უმუშევრობის მკვეთრი ზრდის წინაშე აღმოჩნდა.
- Avare en conférences de presse, Sarkozy craint-il les médias ?³⁰⁰ - სარკოზი, რომელიც ჟურნალისტებს თანამშრომლობას ჰპირდებოდა, მედიას გაურბის.
- Angela Merkel reprend le leadership sur l'agenda croissance de l'Union européenne³⁰¹ - ანგელა მერკელი ევროპის ეკონომიკური ზრდის ინიციატივით გამოდის.
- Corée du Nord : Kim Jong-un annonce un "virage radical" (Le Point 01/01/2013) - ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჯონგი რადიკალური ცვლილებების შესახებ საუბრობს.
- Russie : Medvedev estime qu'une refonte du système politique est nécessaire (Le Monde 18.12.2011) - დიმიტრი მედვედევი რუსეთის პოლიტიკური სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს.
- Hollande-Merkel: ce que cache leur vraie-fausse dispute³⁰² - რა იმალება ოლანდ-მერკელის ნამდვილი და მოჩვენებითი დაპირისპირების მიღმა.
- Poussée de fièvre entre l'Arménie et l'Azerbaïdjan³⁰³ - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა დაიძაბა.
- La Turquie déploie des batteries de DCA à la frontière syrienne³⁰⁴ - თურქეთმა სირიის საზღვარზე "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტები განათავსა.
- ISRAEL. Netanyahu obtiendrait une victoire en demi-teinte³⁰⁵ - ნეთანიაუს პარტიამ ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა.
- L'Italie dénonce les risques pour l'Otan des bavures en Libye (L'EXPRESS 20/06/2011) - იტალიის ხელისუფლება ლიბიაში ნატოს შესაძლო მარცხის საფრთხეზე საუბრობს.
- L'Egypte peu encline à réviser le traité de paix avec Israël³⁰⁶ - ეგვიპტე ისრაელთან ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების გადახედვას არ აპირებს

³⁰⁰ <http://www.rue89.com/2009/10/27/123475>

³⁰¹ <http://www.lesechos.fr/30/04/2012/LesEchos/21176-028-ECH>

³⁰² <http://www.challenges.fr/europe/20120615.CHA7610/>

³⁰³ http://www.la-croix.com/Actualite/Monde/NG_-2012-09-04-849588

³⁰⁴ <http://fr.ria.ru/world/20120628/195182494.html>

³⁰⁵ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130123.OBS6256/>

- Le Printemps de Damas, ou les prémisses de l'éveil politique syrien³⁰⁷ - დამასკოს გაზაფხული თუ სირიის პოლიტიკური გამოღვიძების ნიშნები.
- Printemps arabe : après le Caire et Damas, Londres!³⁰⁸ - ქაიროს და დამასკოს შემდეგ, არაბულმა გაზაფხულმა ლონდონის ქუჩებში გადაინაცვლა.
- Affaire Benghazi: Clinton met en garde face au terrorisme en Afrique du Nord³⁰⁹ - ბენღაზის მოვლენების შემდეგ, ჰილარი კლინტონი ჩრდილოეთ აფრიკაში შესაძლო ტერორისტული საფრთხეების შესახებ საუბრობს.
- La France met en garde Damas contre l'usage d'armes chimiques³¹⁰ - საფრანგეთი სირიის ხელისუფლებას აფრთხილებს, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი არ გამოიყენოს.
- Génocide arménien : le Sénat adopte à son tour le texte controversé (Le Point 23/01/2012) - საფრანგეთის სენატმა სომხეთის გენოციდის შესახებ სადაო კანონპროექტი დაამტკიცა.
- L'OSCE et ses observateurs, sur le pied de guerre en Russie pour la présidentielle³¹¹ - ეუთო რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს საგანგებო რეჟიმში დააკვირდება.
- UKRAINE • Affaire Timochenko : l'UE contre-attaque (Le Monde 7 mai 2012) - ევროპა ტიმოშენკოს საქმესთან დაკავშირებით კონტრშეტევაზე გადადის / ტიმოშენკოს საქმესთან დაკავშირებით ევროპა საპასუხო ნაბიჯებს დგამს.
- Corruption : l'OCDE adresse un carton rouge à la France³¹² - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია საფრანგეთს კორუფციული გარიგებების არასათანადო გამოძიების გამო აკრიტიკებს.
- Russie : manifestation à Moscou en soutien aux opposants emprisonnés³¹³ - მოსკოვში დაკავებული ოპოზიციონერების მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

³⁰⁶ http://french.ruvr.ru/2012_09_27/89469693/

³⁰⁷ <http://syriana.over-blog.com/article-12946902.html>

³⁰⁸ <http://jssnews.com/2011/08/09/printemps-arabe-apres-le-caire-et-damas-londres/>

³⁰⁹ <http://www.lavoixdunord.fr/france-monde/affaire-benghazi-clinton-met-en-garde-face-au-terrorisme-ia0b0n978608>

³¹⁰ <http://www.20minutes.fr/ledirect/1057867/>

³¹¹ <http://www.rfi.fr/europe/20120126>

³¹² <http://www.challenges.fr/economie/2012102>

³¹³ <http://www.rfi.fr/europe/20120727>

- Hollande et Merkel en froid à Bruxelles (Le Figaro 19/10/2012) - საფრანგეთის პრეზიდენტისა და გერმანიის კანცლერის ბრიუსელში შეხვედრამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა.
- La transition à risque de l'Irak voulue par Washington³¹⁴ - ის ცვლილებები, რომლებიც შეერთებულ შტატებს სურს, ერაყში განახორციელოს, საფრთხის შემცველია.
- Pour Cameron, l'Europe faute de mieux (Le Monde 25.01.2013)- დევიდ ქემერონის აზრით, ამ ეტაპზე ევროკავშირზე უკეთესი ალტერნატივა არ არსებობს /დევიდ ქემერონის აზრით, სულ არარაობას ისევ ევროკავშირში ყოფნა სჯობს.
- Avec les rebelles syriens aux portes de Damas (Le Figaro 25/01/2013) - სირიელი მეამბოხეები დამასკოს უახლოვდებიან.
- Liste Magnitski : la Douma approuve des mesures de rétorsion (Le Monde 14.12.2012) - რუსეთის "დუმამ" მაგნიტსკის სიის საპასუხო ზომებს უყარა კენჭი.
- « La démission de M. Ghanouchi, un tournant politique majeur pour la Tunisie »³¹⁵ - პრემიერ განუჩის გადადგომა, ტუნისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანს.
- "Il ne faut pas grossir le problème des Roms bulgares"³¹⁶ - ბულგარეთის პრეზიდენტის აზრით, ბულგარელი ბოშების პრობლემის გამუქება არ ღირს
- SYRIE. A Paris, l'aide à l'opposition se veut "concrète"³¹⁷ - სირიის ოპოზიციას სურს დაპირებული დახმარება რეალურად მიიღოს.
- TUNISIE. La formation d'un nouveau gouvernement au point mort³¹⁸ - ტუნისის ახალი მთავრობის ფორმირება დროში გაიწელა / ტუნისის ახალი მთავრობის ფორმირების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა.

³¹⁴ <http://www.rue89.com/2010/09/01/la-transition-a-risque-de-l-irak-voulue-par-washington-164755>

³¹⁵ <http://www.politique-actu.com/dossier/241137/>

³¹⁶ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130129.OBS7030/>

³¹⁷ <http://tempsreel.nouvelobs.com/la-revolte-syrienne/20130128.OBS6880/>

³¹⁸ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130207.OBS8225/>

- L'ONU appelle Israël au retrait des colons de Cisjordanie³¹⁹ - გაერო ისრაელს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებს.
- La Géorgie déstabilisée par des vidéos de torture en prison (Le Monde 25.09.2012) - ციხის წამების ამსახველმა კადრებმა საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.
- La Grèce annonce avoir "bouclé" le train de mesures³²⁰ - საბერძნეთის ფინანსთა სამინისტრომ ეკონომიკური ზომების ახალი პაკეტის მიღება დაასრულა
- Le veto de David Cameron à Bruxelles sème le trouble au Royaume-Uni (Le Monde 12.12.2011) - ევროპის ხელშეკრულებაზე დევიდ ქემერონის ვეტომ გაერთიანებულ სამეფოში უკმაყოფილება გამოიწვია
- EGYPTE. Morsi fait face aux pires violences depuis son élection³²¹ - ეგვიპტის ახლადარჩეული პრეზიდენტი სისხლისმღვრელი შეტაკებების პირისპირ აღმოჩნდა / ეგვიპტის პრეზიდენტი არჩევნების შემდეგ პირველად აღმოჩნდა სისხლისმღვრელი შეტაკებების პირისპირ
- Printemps arabe. Le ramadan, catalyseur des manifestations?³²² - რამადანის დღესასწაულმა არაბული გაზაფხულის დემონსტრაციებში კატალიზატორის როლი შეიძლება ითამაშოს / არაბული გაზაფხულის ქვეყნებში რამადანმა შესაძლოა კატალიზატორის როლი ითამაშოს.
- Liste Magnitski: une position "aveugle"(Le Figaro 14/12/2012)- რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაგნიტსკის სია ამერიკის "ბრმა" პოზიციად შეაფასა / რუსეთის ხელისუფლებამ ამერიკის მიერ დამტკიცებული მაგნიტსკის სია შეერთებული შტატების "გაუაზრებელ" ნაბიჯად შეაფასა.
- L'opposition géorgienne en liesse après l'annonce des résultats partiels (Le Monde 02.10.2012)- ქართული ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნების წინასწარ შედეგებს ზეიმობს.
- Sarkozy souhaite geler la contribution française au budget de l'UE³²³ - ნიკოლა სარკოზი საფრანგეთი ევროპის ბიუჯეტში შესატანი თანხების გაყინვას

³¹⁹ <http://www.20minutes.fr/ledirect/1091215/>

³²⁰ <http://www.7sur7.be/7s7/fr/1536/Economie/article/detail/1506988/2012/09/26/>

³²¹ <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20130126.OBS6770/>

³²² <http://tempsreel.nouvelobs.com/monde/20110731.OBS7903/>

³²³ <http://www.france24.com/fr/20120405>

აპირებს / საფრანგეთის პრეზიდენტი ევროპის ბიუჯეტში საფრანგეთის მონაწილეობის შემცირებას აპირებს.

- L'Europe face à la crise de la dette : Les débats politiques allemands³²⁴ - ევროპის დავალიანების კრიზისმა გერმანიაში პოლიტიკური დებატები გამოიწვია.
- Le déclin de l'Europe et des États-Unis en procès à Davos (le Figaro 30/01/2011) - ევროპისა და შეერთებული შტატების ეკონომიკური დაღმასვლა დავოსის ფორუმის განხილვის თემა იყო / ევროპის და ამერიკის ეკონომიკური ვარდნა დავოსის ფორუმის განხილვის საგანი გახდა.
- Le verdict contre les Pussy Riot sévèrement jugé par les Occidentaux (Le Point 17/08/2012) - დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა მკაცრად გააკრიტიკეს Pussy Riot-ის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი.
- "Israël" craint pour son existence en cas de conflit avec l'Iran³²⁵ - ირანთან კონფლიქტის შემთხვევაში, ისრაელის სახელმწიფოებრიობას საფრთხე დაემუქრება / ისრაელის ხელისუფლება შიშობს, რომ ირანთან კონფლიქტის შემთხვევაში, ისრაელის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.
- La Grèce aurait gonflé son déficit public sous l'oeil de Bruxelles pour justifier l'austérité³²⁶ - ირკვევა, რომ საბერძნეთის მთავრობამ ხელოვნურად გაზარდა ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები, ბრიუსელის თვალში მკაცრი ეკონომიკური ზომების გასამართლებლად.
- La France déplore les « zones d'ombre » dans la condamnation d'un militant des droits de l'homme mauritanien³²⁷ - საფრანგეთის მთავრობა მავრიტანელი უფლებადამცველის დაპატიმრების საქმეში არსებულ "შავ ლაქებზე" საუბრობს.
- Roumanie : derrière la destitution du président, la crainte d'une dérive du pouvoir (Le Monde 11.07.2012) - რუმინეთის პრეზიდენტის გადაყენების მიღმა, ევროპელები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს ხედავენ.

³²⁴ <http://www.ifri.org/?page=detail-contribution&id=7215>

³²⁵ <http://www.mejliss.com/2012/09/27/6383437>

³²⁶ <http://www.latribune.fr/actualites/economie/union-europeenne/20130122trib000744060/>

³²⁷ http://www.la-croix.com/Actualite/Monde/EP_-2012-08-21-844588

- Un retrait des troupes d'Irak en trompe l'œil : les soldats occupants états-uniens remplacés par des mercenaires³²⁸ - ამერიკელი ჯარისკაცების ერაყიდან მოწვევებითი გაყვანა: ოკუპანტ ამერიკელებს დაქირავებული ჯარისკაცები ჩაანაცვლებენ.
- Grèce : la sortie de l'euro, un gouffre financier pour la France (Le Point 14/05/2012) - საბერძნეთის ევროზონიდან გასვლა საფრანგეთს ფინანსურ კატასტროფას უქადის.
- Un député russe rattrapé par les affaires (Le Figaro 20/02/2013) - რუსეთის დუმის დეპუტატი იძულებული გახდა საპარლამენტო მანდატზე უარი ეთქვა
- Laurent Gbagbo fait face à la justice internationale (20/02/2013) - კოდ დივუარის ყოფილი პრეზიდენტი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარსდგება.
- Arménie: le président sortant réélu, des fraudes dénoncées (Le Figaro 19/02/2013) - სომხეთის პრეზიდენტი მეორე ვადით აირჩიეს, ოპოზიციური პარტიები არჩევნებში არსებულ დარღვევებს აკრიტიკებენ.
- Laurent Fabius veut relancer la diplomatie française en Amérique latine- საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფრანგული დიპლომატიის გააქტიურებაზე საუბრობს.
- La France cherche à rattraper son retard en Inde (Le Monde 14.02.2013) - საფრანგეთის ხელისუფლება ინდოეთში დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობს.
- La France et l'Allemagne favorables à une zone de libre-échange avec les Etats-Unis (Le Monde 13.02.2013) - საფრანგეთი და გერმანია შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას მიესალმებიან.
- Obama appelle le Congrès à agir sur l'économie et le climat (Le Monde 13.02.2013)- პრეზიდენტი ობამა ამერიკის კონგრესს მოუწოდებს, ყურადღება ეკონომიკისა და გარემოს დაცვის საკითხებზე გაამახვილონ.
- Obama se présente en chantre des classes moyennes (Le Monde 13.02.2013) - პრეზიდენტი ობამა საშუალო კლასის დამცველად გამოდის.

³²⁸ <http://www.egaliteetreconciliation.fr/Un-retrait-des-troupes-d-Irak-en-trompe-l-oeil-les-soldats-occupants-etats-uniens-remplaces-par-des-4000.html>

- Une commission du Sénat approuve le choix de Chuck Hagel pour le Pentagone (Le Monde 12.02.2013) - სენატის კომისია მიესალმება ამერიკის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჩუკ ჰაგელის დანიშვნას.
- Syrie : le bilan humain approche 70 000 morts, selon l'ONU (Le Monde 12.02.2013) - გაეროს მონაცემებით სირიაში დაღუპულთა რიცხვი 70 000 აღწევს.
- Bruxelles douche les espoirs de Nicosie sur une restructuration de la dette (Le Monde 12.02.2013)- ევროკავშირი კვიპროსის ვალების რესტრუქტურისაციას არ აპირებს / ევროკავშირმა კვიპროსის ხელისუფლების მოლოდინს, ვალების გადავადებასთან დაკავშირებით, ცივი წყალი გადაასხა.
- La corruption gangrène toujours l'Afghanistan (Le Monde 07.02.2013) - ავღანეთი კვლავ კორუფციაშია ჩაფლული / ავღანეთში კვლავ კორუფცია მძვინვარებს.
- Les révolutionnaires ne manquent pas en Syrie de motifs d'optimisme (Le Monde 06.02.2013) - სირიელი მეამბოხეები ოპტიმისტურად არიან განწყობილი.
- Manifestation anti-Poutine à Moscou, un test pour l'opposition - პუტინის წინააღმდეგ მიმდინარე გამოსვლები ოპოზიციისათვის გამოცდაა.
- ჯონ მაკკეინი: რუსეთმა მინიმუმ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები უნდა შეასრულოს³²⁹ - Le sénateur américain John McCain: la Russie devrait respecter au moins l'accord de cessez-le-feu.
- რუსი „სიკვდილით მოვაჭრე“ ბრალდებებს უარყოფს³³⁰- Viktor Bout, marchand de mort, dément les accusations.
- საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთს თავშეკავებისა და ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებისაკენ მოუწოდებს³³¹ - Le ministère français des Affaires étrangères appelle la Russie à la retenue et au respect du cessez-le-feu.
- ჩინეთმა მეხუთე თაობის გამანადგურებელი გამოსცადა (24 საათი 02.11.12) - La Chine a lancé les essais de son chasseur de cinquième génération.
- სირია ოპოზიციასთან დათმობაზე მიდის (24 საათი 26.03.11) - Le gouvernement syrien fait des concessions avec l'opposition.

³²⁹ <http://www.turmeg.org/icerik.asp?>

³³⁰ <http://www.amerikiskhma.com/content/article109704334/533161.html>

³³¹ <http://www.onlinenews.ge/index.php?id=986&lang=geo>

- უკრაინის არჩევნების შედეგები ჯერ ვერ დაზუსტდა (24 საათი 02.11.12) - Les résultats officiels des élections législatives en Ukraine ne sont pas encore annoncés.
- ევროკავშირმა და აშშ-მ ბელარუსული რეჟიმის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები შემოიღეს (24 საათი 06.02.11) - Les États-Unis et l'UE renforcent les sanctions contre la Biélorussie.
- დომინიკ სტროს კანი კვლავ სექსუალურ სკანდალში გაეხვია³³² - Dominique Strauss-Kahn éclaboussé par un scandale sexuel / DSK à nouveau mêlé à un scandale sexuel.
- ეუთომ უარყოფითად შეაფასა უკრაინის არჩევნები³³³ - L'OSCE critique (dénonce) les résultats des législatives en Ukraine.
- საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აკვირდებიან³³⁴ - Les élections législatives géorgiennes sont observées par un certain nombre d'ONG locales et internationales.
- საფრანგეთში არჩევნების წინასწარი შედეგების ნაადრევი გამოქვეყნების გამო გამოძიება დაიწყო³³⁵ - Une enquête judiciaire ouverte après la diffusion anticipée de résultats / une enquête judiciaire ouverte suite à la publication des estimations des résultats.
- დამაბულობა სირია-ლიბანის საზღვარზე³³⁶ - La tension reste vive à la frontière syro-libanaise.
- გიგა ბოკერია - ივანიშვილი დღესვე ცდილობს ოპოზიციის განადგურებას³³⁷ - Guiga Bokeria, chef du Conseil de Sécurité géorgien: Le Premier ministre géorgien, Bidzina Ivanichvili vise à éliminer immédiatement des membres de l'opposition.
- ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად, სირიაში შეტაკებები გრძელდება (24 საათი 27.10.12) - Syrie: les violences se poursuivent malgré le cessez-le-feu.

³³² <http://www.ambebi.ge/msoplio/46751>

³³³ <http://news.ge/ge/news/story/35576>

³³⁴ <http://live.ge/r-45341>

³³⁵ <http://geoelections.ge/ge/kategoria-1>

³³⁶ <http://www.trtgeorgian.com/trtworl/gu/newsDetail.aspx?haberkodu=81a0d998-e5e3-4cc9-97fe-5d1d50fc5438>

³³⁷ <http://www.ambebi.ge/politika/72293>

- ირანი მზადაა, სირიის მოლაპარაკებებს უმასპინძლოს (24 საათი 17.07.12) - L'Iran se dit prêt à accueillir une rencontre entre le régime syrien et l'opposition / L'Iran fait part de sa disponibilité à accueillir les pourparlers entre le régime syrien et l'opposition.
- ლიბანი შეიძლება კონფესიათაშორისო დაძაბულობამ მოიცვას³³⁸ - les tensions interconfessionnelles pourraient être attisées au Liban / Le Liban en grave danger de tensions interconfessionnelles.
- უკრაინაში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების ხმების დათვლის პროცესს აპროტესტებენ - Législatives en Ukraine : l'opposition conteste la légalité du dépouillement des votes.
- სირიაში დაძაბულობის ზრდა რეგიონის უშიშროებას საფრთხეს უქმნის³³⁹ - La montée de la tension en Syrie met en danger la sécurité régionale.
- სომხეთის პრეზიდენტობის კანდიდატზე თავდასხმა მოხდა³⁴⁰ - Arménie : le candidat à la présidentielle victime d'un attentat.
- საკონსტიტუციო ცვლილებებზე საბოლოო შეთანხმება ვერ შედგა (kviris 20-02-2013)- Géorgie : un accord final n'a pas pu être trouvé sur les amendements constitutionnels.
- ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები ივანიშვილისთვის ხაფანგია - (კვირის პალიტრა 18/02/2013) - De nouveaux amendements constitutionnels constituent un piège pour le Premier ministre géorgien Ivanishvili.
- ნანატრი ასოცირებული შეთანხმება ევროკავშირთან კიოხვის ნიშნის ქვეშ დგას? (კვირის პალიტრა 15/02/2013) - Un accord d'association UE-Géorgie tant attendu pourrait être remis en question.
- შტეფან ფულე - დარწმუნებული ვარ, საქართველო რეფორმების გზას გააგრძელებს (კვირის პალიტრა 12/02/2013) - Štefan Füle se dit persuadé que la Géorgie va poursuivre la voie des réformes / Le Commissaire européen à l'élargissement : je suis sûr que la Géorgie va poursuivre sur la voie des réformes démocratiques.
- ევროკავშირში ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ძალადობრივი ინციდენტების გამო (კვირის პალიტრა 10/02/2013) - L'UE se

³³⁸ <http://www.trtgeorgian.com/trtworld/gu/newsDetail.aspx?haberkodu=81a0d998-e5e3-4cc9-97fe-5d1d50fc5438>

³³⁹ http://expertclub.ge/portal/cnid__10554/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

³⁴⁰ <http://www.iveroni.com.ge/2012-01-19-17-8-48/25441>

dit profondément préoccupée par des violents incidents survenus devant la Bibliothèque nationale.

- გიგი უგულავა - კბილაშვილმა გამოძიება პოლიტიკურად მიუღებელ პირებთან ბრძოლის ინსტრუმენტად აქცია (კვირის პალიტრა 01/02/2013) - Le maire de Tbilissi estime que le ministère public est devenu un instrument au service de la lutte contre les opposants politiques.
- ბიძინა ივანიშვილი - უმცირესობის ინიციატივებს მე აღარ ვღებულობ სერიოზულად & ნაციონალები მალე დარწმუნდებიან, რომ ძალას აღარ წარმოადგენენ (კვირის პალიტრა 01/02/2013) - Le Premier ministre géorgien: Je ne prends plus au sérieux les initiatives de la minorité parlementaire & Le Mouvement national uni va bientôt réaliser qu'il ne représente plus une force politique majeure du pays.
- ალექსანდრე ლუკაშევიჩი: მოსკოვი საქართველოსთან დსთ-ში დაბრუნების საკითხს არ განიხილავს (კვირის პალიტრა 31/01/2013) - Le porte parole du ministère des affaires étrangères russe: Moscou et Tbilissi n'évoquent pas la question de retour de la Géorgie parmi les pays de la CEI.
- დავით ბაქრაძე: "არც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია გამორიცხული" (კვირის პალიტრა 04/02/2013) - Le leader de la minorité parlementaire David Bakradze n'exclut pas la tenue d'élections législatives anticipées / Bakradze : la possibilité des élections législatives anticipées n'est pas à exclure.
- ბიძინა ივანიშვილი - თურქეთი საქართველოს პატიმრების გაცვლას სთავაზობს (კვირის პალიტრა 26/01/2013) - Le Premier ministre géorgien: la Turquie propose à la Géorgie l'échange de prisonniers.
- მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს ნატოში გაწევრიანება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს (კვირის პალიტრა 21/01/2013) - Le Président géorgien Mikhaïl Saakachvili estime que l'adhésion de la Géorgie à l'OTAN pourrait être remise en cause.
- აფხაზეთის რკინიგზა - ვინ რას იგებს? (კვირის პალიტრა 19/01/2013) - A qui va profiter l'ouverture d'une ligne de chemin de fer abkhaze / Avec la ré-ouverture d'une ligne de chemin de fer Russie - Géorgie par Soukhumi : qui est le gagnant ?
- ალექსანდრე ანჟეაბი: უნდა გავერკვეთ, ღირს თუ არა ჩიტი ბრძოლვანად? (კვირის პალიტრა 21/01/2013) - Le Président de la région séparatiste géorgienne d'Abkhazie: nous devons évaluer si le jeu en vaut bien la chandelle.

- ბიძინა ივანიშვილი - საქართველო ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ემხრობა (კვირის პალიტრა 17/01/2013) - Le Premier ministre géorgien Ivanishvili soutient le règlement pacifique du conflit du Haut Karabagh.
- გრიგოლ ვაშაძე: რუსეთთან დიალოგის აღდგენა დავიწყეთ სერიოზული მომზადების გარეშე (კვირის პალიტრა 07/02/2013) - Grigol Vachadze : le dialogue politique entre Moscou et Tbilissi a été repris (entamé) sans le travail préparatoire nécessaire.
- მიხეილ სააკაშვილი - ანგრევთ? მაშინ ამოვიღებ ხმას (კვირის პალიტრა 28/01/2013) - M. Saakashvili : Si vous venez au pouvoir comme une force destructrice, alors, nous allons hausser le ton !
- სესილია მალმსტრომი: ვიზების ლიბერალიზაცია ხელისუფლებათა დამოკიდებული (24 საათი 26.02.13)- Cecilia Malström, commissaire européenne aux Affaires intérieures: la libéralisation des visas avec la Géorgie dépend en grande partie du gouvernement.
- რუსეთი კუბას სესხის ნაწილს ჩამოაწერს (24 საათი 23.02.13) - Moscou efface une partie de la dette cubaine.
- რუსეთი და ჩინეთი ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგნი არიან (24 საათი 23.02.13)- Moscou et Pékin hostiles à une action militaire contre la Corée du Nord / Moscou et Pékin sont hostiles à toute intervention militaire en Corée du Nord.
- მიხეილ სააკაშვილი - მოსამართლეები "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს საექვოდ ხშირად იმიტომ უშვებენ, რომ მათ საექვოდ ხშირად იჭერენ³⁴¹ - Le Président Mikheil Saakashvili: les leaders du Mouvement national uni sont relâchés par des juges dans des circonstances douteuses, car ils sont souvent interpellés dans des circonstances douteuses.
- პრეზიდენტი ფიქრობს, რომ მთავრობასთან უთანხმოების თემად საკონსტიტუციო ცვლილებები "ხელოვნურად" აქციეს³⁴² - Le Président Mikheil Saakashvili estime que le désaccord sur la question des amendements constitutionnels est tout à fait artificiel.

³⁴¹ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231043>

³⁴² <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231040>

- მიხეილ სააკაშვილი - კუბისგან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების საფრთხე არსებობს³⁴³- Le Président géorgien évoque le risque d'une éventuelle reconnaissance de l'Abkhazie par Cuba.
- დავით ბერძენიშვილი - "ნაციონალურ მოძრაობას" საგარეო კურსზე მეტად საკუთარი ტყავის გადარჩენა უფრო აინტერესებს³⁴⁴- David Berdzenishvili, parlementaire géorgien: c'est sa propre peau que le Mouvement national uni essaie de sauver sans pour autant se soucier de la politique étrangère.
- პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სუპერ უპასუხისმგებლოს უწოდებს³⁴⁵- Le Président du nouveau parlement géorgien qualifie la décision du président Saakashvili d'une irresponsabilité totale.
- დავით დარჩიაშვილი - ივანიშვილი ცდილობს საქართველო აქციოს სააქციო საზოგადოებად³⁴⁶- David Darchiashvili, membre du Mouvement national uni: le Premier ministre Ivanishvili vise à transformer le pays en "société anonyme".
- ნოდარ ხადურმა აშშ-ში ვიზიტი შეაჯამა³⁴⁷- Le ministre géorgien des Finances Nodar Khaduri dresse le bilan de sa visite aux Etats-Unis.
- ხათუნა კალმახელიძე: ციხის კადრები რომ ადრე მენახა, განგაშს ავტებდი³⁴⁸- Khatuna Kalmakhelidze, ancienne ministre géorgienne de l'Administration pénitentiaire: si j'avais vu auparavant des vidéos de torture de détenus, j'aurais sonné l'alarme.
- ვაშინგტონი საქართველოს არჩევნების წარმატებით ჩატარებას ულოცავს³⁴⁹- Washington félicite la Géorgie du bon déroulement des élections législatives.
- ნატოს გენმდივანმა საქართველოს არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა³⁵⁰- Le secrétaire général de l'OTAN a évoqué l'importance des prochaines élections législatives.
- ავღანეთის მთავრობა: ამერიკელები შესაძლოა, წამებებისა და მკვლელობების უკან დგანან (24 საათი 26/02/13) - Selon le gouvernement afghan, les soldats américains pourraient être derrière les sévices et les assassinats.

³⁴³ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231036>

³⁴⁴ <http://www.interpressnews.ge/ge/qarthuli-presis-mimokhilva/230919-26022013.html>

³⁴⁵ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231013>

³⁴⁶ http://primetimenews.ge/?page=3&news_id=17345

³⁴⁷ http://primetimenews.ge/?page=4&news_id=17092

³⁴⁸ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16963/>

³⁴⁹ <http://www.internet.ge/?l=GE&m=2&sm=0&ID=12715>

³⁵⁰ <http://www.netgazeti.ge/GE/99/News/9062/>

- რუსეთს სირიის მთავრობისა და ოპოზიციის პირდაპირი მოლაპარაკების გამართვა სურს (24 საათი 22/02/13) - Syrie : Moscou souhaite un dialogue entre le régime et les insurgés.
- მიხეილ სააკაშვილი - ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ორი-სამი წლის წინ უნდა გაგვეუქმებინა³⁵¹- Saakashvili: nous aurions dû renoncer à la politique de « tolérance zéro » il y a deux-trois ans.
- დავით უსუფაშვილი - სიტუაციის ნორმალიზაციით თავად მიხეილ სააკაშვილი არ არის დაინტერესებული³⁵²- Selon le président du Parlement géorgien, le président Saakashvili n'aspire pas à l'apaisement de la situation / à la normalisation de la situation.
- რიჩარდ ნორლანდი: პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი შეთანხმების გზებს გამონახავენ³⁵³ - Ambassadeur des Etats-Unis en Géorgie: le Président et le Premier ministre pourront trouver un terrain d'entente / Richard Norland : le Président et le Premier ministre pourront parvenir à un accord.
- ზაქარიშვილი: გვინდა, საზოგადოებამ დაინახოს სააკაშვილის რეჟიმის სხვა "საქმენი საგმირონი"³⁵⁴ - Paata Zakareishvili, ministre géorgien de la Réintégration: la société devrait être informée sur d'autres "exploits" du régime de Saakashvili.
- ფილიპ დიმიტროვი: "საქართველოში დემოკრატია ალტერნატივა არ გააჩნია"³⁵⁵ Philip Dimitrov, l'ambassadeur de l'Union Européenne auprès de la Géorgie: pas d'alternative à la démocratie en Géorgie / Il n'y a pas d'alternative à la démocratie en Géorgie.
- იტალიის არჩევნებში უმრავლესობა ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა³⁵⁶- Italie : pas de majorité dégagée dans les élections législatives / Pas de majorité claire après les élections.
- ევროკავშირი უკრაინას პირობებს უყენებს³⁵⁷- L'UE pose ses conditions à l'Ukraine.

³⁵¹ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231047>

³⁵² <http://www.interpressnews.ge/ge/politika/231010>

³⁵³ <http://www.tabula.ge/article-28693.html>

³⁵⁴ <http://www.tabula.ge/article-28672.html>

³⁵⁵ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=6219

³⁵⁶ <http://www.tabula.ge/article-28675.html>

³⁵⁷ <http://www.tabula.ge/article-28674.html>

- სერგეი ლავროვი: ამერიკა ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს³⁵⁸ - Sergueï Lavrov: les Etats-Unis appliquent un double standard.
- თეთრი სახლი: ჩრდილოეთ კორეა არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს³⁵⁹ - La Maison Blanche estime que la Corée du Nord ne respecte pas (viole) ses engagements internationaux.
- გაერომ, აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და დიდმა ბრიტანეთმა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული ცდის ჩატარება დაგმეს³⁶⁰ - L'essai nucléaire coréen unanimement condamné par l'ONU, la Grande-Bretagne et la Corée du Sud.
- საბერძნეთის კრიზისი, შესაძლოა, ევროზონის კრიზისად გადაიქცეს³⁶¹ - Crise grecque : l'Europe pourrait-elle éviter la contagion ? / L'Europe face aux risques de contagion de la crise grecque.
- ვინ მიაწიჭებს ბაჩო ახალაიას პოლიტპატიმრის სტატუსს? - Qui va accorder le statut de prisonnier politique à Bacho Akhalaia ?
- პრეზიდენტი დღეს ყოველწლიური ანგარიშით ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოვა³⁶² - Le Président géorgien Mikhaïl Saakachvili va présenter son rapport annuel à la Bibliothèque nationale.
- პარლამენტმა ამნისტიის კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო³⁶³ - Le projet de la loi d'amnistie a été adopté en première lecture par le parlement géorgien.
- ივანიშვილი სააკაშვილს მიმართავს 'მკაფიო' პოზიცია დააფიქსიროს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოსალოდნელი კენჭისყრის წინ³⁶⁴ - Le Premier ministre Ivanishvili appelle Saakashvili à clarifier sa position sur les amendements constitutionnels avant le vote.
- ვენეციის კომისიის პრეზიდენტი წუხს, რომ საქართველოს პარლამენტი ამნისტიის კანონზე მათ რეკომენდაციებს არ დაელოდა³⁶⁵ - Le Président de la Commission de Venise regrette que le parlement de la Géorgie a adopté la loi d'amnistie sans attendre leurs recommandations.

³⁵⁸ <http://www.tabula.ge/article-28600.html>

³⁵⁹ <http://www.tabula.ge/article-28575.html>

³⁶⁰ <http://ambebi.vote2012.ge/?p=1811>

³⁶¹ <http://www.ghn.ge/news-20613.html>

³⁶² <http://news.ge/ge/news/story/45261>

³⁶³ <http://civil.ge/geo/article.php?id=26310>

³⁶⁴ <http://civil.ge/geo/article.php?id=26597>

³⁶⁵ <http://www.tabula.ge/article-27926.html>

- პარლამენტმა ამნისტიის კანონზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია³⁶⁶ - Le Parlement géorgien a surmonté le veto présidentiel sur la loi d'amnistie.
- "ვეთანხმები პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებას, არ ვეთანხმები პარლამენტის გადმოტანას"³⁶⁷ - Saakashvili: j'accepte la limitation de mes pouvoirs, mais je n'accepte pas le transfert du Parlement de Kutaisi à Tbilissi.
- პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მედიასთან ურთიერთობაში შეცდომა დაუშვა³⁶⁸ - Le président géorgien reconnaît avoir commis une erreur dans les relations avec les médias.
- ეუთომ საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესების მონიტორინგი დაიწყო³⁶⁹ - Géorgie: L'OSCE va surveiller le déroulement des procès d'anciens hauts fonctionnaires en justice.
- ნორლანდი: პრეზიდენტმა დამარწმუნა, რომ არ აპირებს მთავრობის დათხოვნას³⁷⁰ - L'ambassadeur des États-Unis en Géorgie: Le Président Mikheil Saakashvili m'a assuré (persuadé) qu'il n'envisageait pas de dissoudre le parlement.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა თბილისში³⁷¹ - La deuxième réunion des ministres des Affaires étrangères du Partenariat oriental pour des dialogues informels se tient à Tbilissi.
- მეტი რეფორმა ევროპაში უვიზოდ მიმოსვლისთვის³⁷² - La Géorgie devrait mettre en œuvre plus de réformes afin d'obtenir de l'UE un régime sans visa.
- მიხეილ სააკაშვილი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტში მიიღებს მონაწილეობას³⁷³ - Le Président géorgien va prendre part au sommet de l'Organisation de la Coopération Économique de la Mer Noire.
- ჟენევის მოლაპარაკებები კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვანი ელემენტია³⁷⁴ - Les pourparlers de Genève constituent un des éléments majeurs du règlement pacifique des conflits.

³⁶⁶ <http://www.tabula.ge/article-27390.html>

³⁶⁷ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16757/>

³⁶⁸ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/17288/>

³⁶⁹ <http://www.netgazeti.ge/GE/105/law/17111/>

³⁷⁰ <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/17294/>

³⁷¹ <http://netgazeti.ge/GE/105/News/16836/>

³⁷² <http://netgazeti.ge/GE/97/News/8896/>

³⁷³ <http://www.tabula.ge/article-23240.html>

³⁷⁴ <http://news.ge/ge/news/story/11973>

- ლავროვი მიუნხენის ტრიბუნიდან: აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ გადაიხედება³⁷⁵ La Russie ne reviendra pas sur la reconnaissance de l'Abkhazie et de l'Ossétie a déclaré le chef de la diplomatie russe Sergueï Lavrov.
- აშშ საქართველოს დახმარებას უმცირებს³⁷⁶- Les États-Unis vont réduire l'aide financière à la Géorgie.
- ალჟირმა საფრანგეთის საბრძოლო თვითმფრინავებს საჰაერო სივრცე გაუხსნა- L'Algérie a ouvert son espace aérien pour laisser passer les avions français / l'Algérie a ouvert son espace aérien à des avions de chasse français.
- აღასანია: რუსეთთან დიალოგზე უარის თქმა, სამხედრო ესკალაციის საფრთხეს ზრდის³⁷⁷ - Le refus de tout dialogue avec la Russie pourrait accroître les risques de l'escalade militaire.

³⁷⁵ <http://presa.ge/new/index.php?m=politics&AID=20610>

³⁷⁶ <http://news.ge/ge/news/story/46657>

³⁷⁷ <http://www.tabula.ge/article-27949.html>